საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და
ეთნოგრაფიის ინსტიტუტი

არჩილ ბარამიძე

ნარკვევები XIX საუკუნის ქართული ისტორიოგრაფიიდან

გამომცემლობა „მეცნიერება“
თბილისი
1979

~~63(21)~~
90 (~~17~~.222) ~~„18“~~
~~ბ-255~~

წიგნში განხილულია XIX ს. ქართული ისტორიოგრაფიის ძირითადი პრობლემები: ქართველი ხალხის ეთნოგენეზის, ქრონოლოგიის, პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ისტორიის საკითხები. ნაჩვენებია იმჟამინდელი ქართული ისტორიოგრაფიის განვითარების უმთავრესი ეტაპები, მეთოდები, გზები და მიმართულებანი. გარჩეულია ქართული ისტორიოგრაფიის წყაროთა (ქართული, ანტიკურ-ბიზანტიური) მნიშვნელობა საქართველოს ძველი და ადრეშუასაუკუნეების ისტორიის შესწავლის საქმეში და ქრონოლოგიურად გადმოცემულია ისტორიული ლიტერატურის მიმოხილვა.

რედაქტორი პ. რატიანი

ბ $\frac{10604}{М\ 607\ (06) — 79}$ 182—79 © გამომცემლობა „მეცნიერება“ 1979

მარად სახსოვარი დედის ნინო ივანეს ასულ და ბიძის არჩილ ივანეს ძე ელიავშვილების ნათელ ხსოვნას.

შ ე ს ა ვ ა ლ ი

ვ. ი. ლენინმა XIX საუკუნეს ცივილიზაციისა და კულტურის ეპოქა უწოდა[1]. ამ საუკუნესთანაა დაკავშირებული უდიდესი აღმოჩენები როგორც საბუნებისმეტყველო, ისე საზოგადოებრივ მეცნიერებათა სფეროში, კერძოდ, მსოფლიო ისტორიის დარგში. ამ დროს ეკუთვნის ის უდიდესი გადატრიალება ისტორიის გაგებისა და კვლევა-ძიების საქმეში, რომელიც თან მოჰყვა მარქსიზმის კლასიკოსთა შრომების გამოქვეყნებას. მათ მთელი ეპოქა შექმნეს საზოგადოებათმეცნიერებაში. იმჟამად ცხოვრობდა და მოღვაწეობდა შესანიშნავ ისტორიკოსთა მთელი პლეადა, რომლებმაც ფასდაუდებელი ღვაწლი დასდეს ისტორიულ მეცნიერებას და ძალზე გააფართოვეს მისი კვლევის საზღვრები.

მსოფლიო ისტორიისათვის ესოდენ ინტენსიური ხანა ნაყოფიერი აღმოჩნდა ჩვენი ქვეყნისთვისაც. ქართული ისტორიოგრაფიის იმჟამინდელი მეთოდები ძირითადად შეესაბამებოდა თანადროული რუსული და დასავლეთევროპული ისტორიოგრაფიის მეთოდებს, თუმცა მათ შორის საკმაო განსხვავებასთანაც გვაქვს საქმე. კერძოდ, XIX ს. ქართული ისტორიოგრაფიის 10—20-იანი წლები მატიანისებრი თხრობის სტილითა და მარტივი, ელემენტარული კრიტიკის მეთოდით ხასიათდება. ქართველი ისტორიკოსები, უპირატესად ბატონიშვილები, ვერ სცილდებიან „ქართლის ცხოვრების“ ტრადიციულ სქემას, თხრობა არსებითად შემოიფარგლება მატიანეში გადმოცემული პოლიტიკური ისტორიის ამბებით, თითქმის არა ჩანს ერთი ცნობის გარდა (პომპეუსის ლაშქრობისა საქართველოში) რაიმე სიახლე მასალის (უცხოურის) შემოტანის საკითხში და ყველაფერი დაქვემდებარებულია წყაროს ცნობაზე.

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზულებანი. ტ. 29 (გამოცემა მეოთხე), გვ. 432.

ევროპულთან სიახლოვე ჩანს პოლიტიკურ რომანტიზმში, წარსულის განსაკუთრებულ იდეალიზაციაში.

სამეფო ტახტის დაკარგვამ, სამშობლოს იძულებითმა მოწყვეტამ, შემდგომში 1832 წლის შეთქმულების განადგურებამ, ბატონიშვილთა სამწერლო მოღვაწეობაზე ძლიერი და წარუშლელი კვალი დატოვა და პესიმისტურად განაწყო არსებული სინამდვილისადმი. ისინი სამშობლოს ხსნას, საქართველოს განთავისუფლებას ქვეყნის მომავალ რევოლუციურ გარდაქმნაში კი არ ხედავდნენ, არამედ პირიქით, მისი წარსულის რომანტიკულ იდეალიზაციასა და ჰარმონიაში ეძებდნენ გულის სიმშვიდესა და სანეტარო ნუგეშს. ისტორიკოსები რეტროსპექტული, უკანდახევითი მეთოდით წერდნენ თავიანთ ნაშრომებს. ამ გარემოებამ კი თავისთავად განსაზღვრა ბაგრატიონთა ლიტერატურული საქმიანობა და რომანტიკულ ისტორიოგრაფიამდე მიიყვანა ისინი[2]. სწორედ ამიტომაა, რომ ბატონიშვილთა ნაშრომებში დიდი ადგილი დაეთმო მმართველ დინასტიათა პანეგირიკს, ქართულ სინამდვილეში არარსებული მყარი, იდილიური მონარქიული წესწყობილებისადმი ქება-დიდების შესხმასა და სხვ. ხოლო რაც შეეხება გლეხობას, მატერიალური დოვლათის მწარმოებელთა ისტორიას, მშრომელ ხალხს, სოციალურ მოძრაობებს, კლასთა ბრძოლას, ეს საკითხები ქართული რომანტიკული ისტორიოგრაფიისათვის სრულიად შეუმჩნეველი დარჩა. თავისთავად ცხადია, რომ ამ რიგის საკითხები XIX ს. 10—20-იანი წლების ქართულ ისტორიოგრაფიას არც შეეძლო ეკვლია ისტორიისადმი მისი კლასობრივი თვალსაზრისის გამო.

მართალია, XIX ს. 10—20-იანი წლების ქართული ისტორიოგრაფია არ გამოირჩევა თავისი მაღალი მეცნიერული დონით, ისტორიკოსები ძირითადად მუშაობდნენ ახალ (ქართულ) მასალათა თავმოყრასა და შეგროვებაზე, ლეგენდარულიდან ისტორიული ხასიათის ამბების გამორჩევაზე, მაგრამ ადრევე იწყება საქართველოს პრობლემატიკის გაფართოება — ერთობლივი სისტემატური კურ-

---

[2] მ. დ უ მ ბ ა ძ ე. ისტორიკოსი დიმიტრი ბაქრაძე. ბათუმი, 1950, გვ. 96; ნ. ბერძენიშვილის წერილი, დაბეჭდილი ისტორიის ინსტიტუტის შრომებში, ტ. V, ნაკვ. II, თბ., 1961, გვ. 161; ი. კ ა ჭ ა რ ა ვ ა. ქართული ისტორიოგრაფიის საკითხები. თბ., 1962, გვ. 176—177; ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი. ქართული ისტორიოგრაფიის განვითარების მთავარი ხაზი (თეზისები). თბ., 1964, გვ. 4—5, 10—11; გ. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი. საქართველოს ისტორიის შესწავლა ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავზე. საისტორიო წერილები. ნაკვ. 1, თბ., 1968, გვ. 4.

სების შედგენა. ამ ხანის ქართული ისტორიოგრაფია ფეოდალურია (თავადაზნაურული) და ძირითადად ბატონიშვილთა შრომებით განისაზღვრება. 30-იანი წლების დასასრულიდან იწყება ქართული ისტორიოგრაფიის მძლავრი აღმავლობა. დაკავშირებულია იგი როგორც ქართველ ისტორიკოსთა (თ. ბაგრატიონი, პ. იოსელიანი), ისე უცხოელ მკვლევართა (მ. ბროსე) საქმიანობასთან.

ფართოვდება კვლევის სფერო: დაიწერა საქართველოს ისტორია მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიული ფონის გათვალისწინებით (თ. ბაგრატიონი). იმჟამად ისტორიკოსები ბეჯითად ცდილობდნენ მიზეზშედეგობრივი კავშირის აღმოჩენას ისტორიულ მოვლენებსა და ისტორიულ ამბებს შორის. ქართული ისტორიოგრაფია ამოცანად ისახავს საქართველოს ისტორიის პრობლემატიკის ღრმად შესწავლას პირველწყაროთა შესწავლის საფუძველზე. ამ უკანასკნელმა ხელი შეუწყო იმ გარემოებას, რომ ისტორიულ ნაწარმოებთა მატიანისებურმა (თხრობითმა) ფორმამ თანდათან ადგილი დაუთმო ისტორიულ გამოკვლევებს. საქართველოს ისტორიის შედგენისათვის, „ქართლის ცხოვრების“ წყაროს გარდა, ორიგინალში გამოიყენება ანტიკური მასალები (პ. იოსელიანი, ს. ბარათაშვილი) და თვალნათლივ იგრძნობა ტენდენცია სოციალურ პრობლემათა ისტორიის კვლევა-ძიებისადმი. ცალკე დისციპლინად გამოიყოფა ისტორიული გეოგრაფია. მისი შესწავლის ობიექტად იქცევა ქალაქთა განვითარების (კოლხეთი, იბერია) სოციალურ-ეკონომიკური წანამძღვრები, მათი ეთნიკური შედგენილობა (პ. იოსელიანი, დ. ბაქრაძე, ა. ხახანაშვილი) და სხვ.

40-იანი წლების ბოლოსათვის და 50-იან წლებში მ. ბროსე აქვეყნებს საქართველოს ისტორიის წყაროების მთელ სერიას ქართულ და ფრანგულ ენებზე და ამით მტკიცე მეცნიერულ საფუძველს უყრის ქართველოლოგიის დარგებს — ქართულ ისტორიოგრაფიასა და ისტორიულ წყაროთმცოდნეობას. „ქართლის ცხოვრების“ ფრანგულ ენაზე თარგმნა და მისი აკადემიური გამოცემა (1849, 1856) დიდი მნიშვნელობის ისტორიული მოვლენაა. ამიერიდან რუს და დასავლეთევროპელ მეცნიერებს შესაძლებლობა მიეცათ გაცნობოდნენ ქართველი ხალხის ერთ-ერთ უძვირფასეს საისტორიო ძეგლს და სრული წარმოდგენა შეექმნათ ქართულ ფეოდალურ ისტორიოგრაფიაზე. ამავე ხანაში თბილისში თავს იყრიან ახალგაზრდა ქართველი ისტორიკოსები (პ. იოსელიანი, ს. ბარათაშვილი, დ. ბაქრაძე), რომელთა კვლევა-ძიების ობი-

ექტს შეადგენს არა მარტო საქართველოს პოლიტიკური, არამედ სოციალური და კულტურის ისტორიის საკითხები.

XIX ს-ის 60—70-იანი წლები განსაკუთრებით მნიშვნელოვანი პერიოდია ქართული ისტორიოგრაფიისა. ამ პერიოდის დახასიათებისას უნდა აღვნიშნოთ იმჟამინდელ ისტორიულ ნაშრომთა შინაარსობრივი მთლიანობა და პირველწყაროთა მიმართ შედარებით კრიტიკული დამოკიდებულების ტენდენცია. ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებას იწყებს მოვლენათა ახსნის პრაგმატული მიდგომა. პირველ პლანზე გამოდის მოვლენათა მიზეზშედეგობრივი კავშირი და ისტორიული პროცესიდან პროვიდენციალიზმის თანდათანობითი გამოძევება.

XIX ს. მეორე ნახევრის ქართული ისტორიოგრაფია თავისი იდეური შინაარსით ბურჟუაზიულია და ისტორიკოსთა შემადგენლობით — რაზნოჩინული. იმჟამინდელი ქართველი ისტორიკოსები ძირითადად დაბალი წრიდან არიან გამოსულნი (დ. ბაქრაძე, მ. ჯანაშვილი, ა. ხახანაშვილი). ისინი ყურადღებას ამახვილებენ ქვეყნის შინაგანი (სოციალურ-ეკონომიკური) ისტორიის საკითხების შესწავლაზე და კატეგორიულად მოითხოვენ „ქართლის ცხოვრების" სისტემის შეცვლას. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ მიუხედავად მეთოდოლოგიური შეზღუდულობისა, რომელიც ამ ისტორიკოსთა ნაშრომებს ახასიათებს, მათ მნიშვნელოვნად გააფართოვეს საქართველოს ისტორიის კვლევა-ძიებასთან დაკავშირებული პრობლემატიკის წრე და ამჟამად ისტორიული აზრის განვითარების პროცესზე წარმოდგენის შექმნა ამ პერიოდის ისტორიკოსთა მოღვაწეობის გათვალისწინების გარეშე არ ხერხდება.

XIX ს. მეორე ნახევრის ქართულ ისტორიოგრაფიაზე უდიდესი გავლენა მოახდინა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეოლოგიამ. ამის მკაფიო მაგალითს ი. ჭავჭავაძის ისტორიულ-პუბლიცისტური ხასიათის შრომები წარმოადგენენ, სადაც მოცემულია მნიშვნელოვანი კონცეფცია საქართველოს ისტორიის საკვანძო საკითხებზე (ქართველთა ეთნოგენეზი და ისტორიულ-გეოგრაფიული საზღვრები, ურარტოლოგია და მისი მონაცემები ურარტელთა ქართველობასთან გენეტიკური ნათესაობის ხაზით, ეკონომიკა). ი. ჭავჭავაძე ქართულ ისტორიოგრაფიაში რევოლუციურ-დემოკრატიული მიმართულების წარმომადგენელია, მშრომელი ხალხის (გლეხობის) დაუღალავი დამცველი და მათი იდეოლოგი. საყოველთაოდაა ცნობილი მისი ბრძოლა ბატონყმობის წინა-

აღმდეგ[3]. დემოკრატიულ ბანაკს დიამეტრულად წინ ეღობება თავადაზნაურული ისტორიოგრაფიის ერთი ნაწილი, რომელიც თავის ნაშრომებში მეთოდურად ატარებდა საქართველოში კერძო საკუთრების იმთავითობის იდეას. საკმარისი სიმკვეთრით ამას გამოთქვამდა ს. ბარათაშვილი თავის „საქართველოს ისტორიაში" (რვეული I). XIX ს. მეორე ნახევრის ქართულ ისტორიოგრაფიაში მან პირველმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია აგრარულ პრობლემას, როგორც პრივილეგირებული წოდების კერძო საკუთრებას და ამით თეორიული პრეცედენტი შექმნა ქართულ ისტორიოგრაფიაში.

XIX ს. 80—90-იან წლებში ქართულ ისტორიოგრაფიას თავისი ძირითადი ყურადღება გადააქვს ეროვნული პრობლემებისაკენ (დ. ბაქრაძე, ი. ჭავჭავაძე, მ. ჯანაშვილი, ა. ხახანაშვილი). ცნობილია, რომ იმჟამად საქართველოში კაპიტალისტურ ურთიერთობათა საერთო განვითარებასთან ერთად ადგილი აქვს ქართველი ხალხის კონსოლიდაციის პროცესის დასასრულს და ქართველი ბურჟუაზიული ერის ჩამოყალიბებას (თუმცა ეს პროცესი, შესაძლოა, უფრო ადრეც დაწყებულიყო). ამიტომ ბუნებრივია, რომ ქართულ ისტორიოგრაფიაში მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა ეთნოგენეზის პრობლემას, ისტორიული გეოგრაფიის საკითხებს (საქართველოს პოლიტიკურ საზღვრებს სამხრეთის მიმართულებით), ქართველ ტომთა ისტორიული განსახლების კვლევა-ძიებას სამხრეთ-დასავლეთისაკენ, კერძოდ, გაორკეცებული ინტერესით შეისწავლება ჭანეთ-ლაზეთ-ლაზისტანის ტერიტორია (დ. ჩუბინაშვილი, დ. ბაქრაძე, მ. ჯანაშვილი. ა. ხახანაშვილი). ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა „მოქცევაჲ ქართლისაჲ" (VII ს.) წყაროს ცნობათა შესწავლას ქართველ ტომთა უძველესი საცხოვრისის ლოკალიზაციაზე, ე. წ. „არიან-ქართლის" ქვეყნის ადგილმდებარეობის გარკვევას (მ. ჯანაშვილი).

XIX ს. ქართული ისტორიოგრაფია საქართველოს ისტორიის შესწავლისას რამდენიმე ფაქტორს ისახავდა მიზნად: პატრიოტული სულისკვეთების დანერგვის, ქართველობაში ეროვნული თავდაცვითვითშეგნების გაღვიძების, გათვითცნობიერება-განათლების შეტანის, ჩვენი კულტურული ტრადიციების აღდგენა-განმტკიცებისა და პოლიტიკური მომენტის გამახვილების ტენდენციებს. ეს უკანასკნელი გულისხმობდა ქართველ ისტორიკოსთა მიერ საქართველოს ის-

[3] პ. რ ა ტ ი ა ნ ი. ილია ჭავჭავაძე. თბ., 1965; მისივე. ქართული ისტორიოგრაფიის პრობლემები მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების შუქზე. I, თბ., 1976.

ტორიებისა თუ ცალკეულ საკითხთა რუსულ ენაზე წერას, რათა რუსეთის ხელისუფალთათვის ეჩვენებინათ ქართველი ხალხის ესოდენ მდიდარი, მრავალფეროვანი და მრავალსაუკუნოვანი ისტორია და კულტურა. ეს მომენტი კარგად აქვს დაჭერილი ცნობილ ქართველ მწიგნობარს ზაქარია ჭიჭინაძეს პ. იოსელიანის მაგალითზე. იგი გადმოგვცემს ისტორიკოსის სიტყვებს: „რუსულად უნდა ვწერო, რომ საქართველოს მშვენიერი ისტორიები რუსებმა გაიცნან[4]". პ. იოსელიანმა თავის მიზანს ნაწილობრივ მიაღწია. მის ცნობილ ნაშრომზე: «Краткая история грузинской церкви» (СПб., 1843) გაზეთში «Литературная газета» (№35, 1843) გამოქვეყნდა რეცენზია გამოჩენილი რუსი რევოლუციონერი-დემოკრატის, პოეტ ნ. ნეკრასოვისა. ამ ნაშრომს ნ. ნეკრასოვი თვლიდა ქართული ისტორიოგრაფიის მნიშვნელოვან შენაძენად.

ახლა დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ქართული საბჭოთა ისტორიოგრაფია განვითარების იმ მაღალ დონეზე ვერ ავიდოდა, მას წინამორბედად რომ არა ჰყოლოდა XIX ს. ქართული ისტორიოგრაფია. ამდენად, თანამედროვე ისტორიული მეცნიერება განუყრელად და გენეტიკურადაა დაკავშირებული გასული საუკუნის ქართველოლოგიასთან[5]. ეს გარემოება კი ავალებს ქართულ საბჭოთა ისტორიოგრაფიას ერთ-ერთ გადაუდებელ ამოცანად დაისახოს გასული საუკუნის ფეოდალური, ბურჟუაზიულ და რევოლუციურ-დემოკრატიულ ისტორიოგრაფიათა შესწავლა. მართალია, ბევრი რამ ამ მხრივ უკვე გაკეთებულია, მაგრამ მთელი რიგი პრობლემები საკუთრივ ისტორიოგრაფიული ხასიათისა არ დასმულა ქართულ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში. ასეთებია, კერძოდ, საქართველოს ძველი და შუა საუკუნეების ეთნოგენეზისა და ეთნიკური განვითარების, ისტორიული გეოგრაფიის, ქრონოლოგიის, პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ისტორიისა და სხვა მნიშვნელოვანი პრობლემები.

XIX ს. მთელ სიგრძეზე ქართული ისტორიოგრაფია შეუნელებელი გულისყურითა და ენერგიის დაუზოგავად ქმნიდა ნაშრომებს საქართველოს ისტორიაზე (დ. ბაგრატიონი, ვ. ბაგრატიონი, თ. ბაგრატიონი, ნ. დადიანი, მ ბროსე, პ. იოსელიანი, ს. ბარათაშვილი, დ. ბაქრაძე, მ. ჯანაშვილი, ა. ხახანაშვილი). აშკარად განსხვა-

---

[4] ზ. ჭ. პ ლ ა ტ ო ნ ი ო ს ე ლ ი ა ნ ი. თბ., 1893, გვ. 27.

[5] შდრ. М. В. Н е ч к и н а. История истории. კრებულში: «История и историки». 1965, გვ. 19.

ვებულ მეთოდოლოგიურ პოზიციათა და ისტორიულ თვალსაზრისთა, აგრეთვე ისტორიულ ფაქტთა გაანალიზების შედეგად მიღებულ დასკვნათა მიუხედავად, ისტორიის კურსებში წითელი ზოლივით გადის საქართველოს პოლიტიკური და ეთნიკური ერთიანობის იდეა — ერთობლივი, მთლიანი, განუყოფელი (გაყოფის მიუხედავად), ერთპიროვნული და მონარქიული საქართველოსი. XIX ს. პირველი ნახევრის საქართველოს ისტორიისადმი მიძღვნილ ნაშრომებში ხშირადაა საუბარი მეორეხარისხოვან საკითხებზე. კერძოდ, სამეფო ტახტის მემკვიდრეობის უფლებებზე და მასთან დაკავშირებულ ოჯახურ ინტრიგებზე. ცხადია, ეს გარემოება ქართული ისტორიოგრაფიის კრიზისული მოვლენების შედეგია.

ზემოთ აღნიშნულ პრობლემათა მონოგრაფიული გამოკვლევა გამართლებულია სულ ცოტა ორი გარემოებით: ერთი მხრივ, მან გარკვეული წვლილი უნდა შეიტანოს ქართული მარქსისტული ისტორიოგრაფიის წანამძღვართა კვლევა-ძიების საქმეში და შეძლებისდაგვარად შექმნას სრული წარმოდგენა ძველი და შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიაზე. მეორე მხრივ, XIX ს. ქართული ისტორიოგრაფიის კონკრეტულ-ისტორიული შესწავლა შესაძლებელს ქმნის იმჟამინდელ ისტორიულ მიმართულებათა კლასობრივი ბუნების გარკვევის, ქართველ ისტორიკოსთა სოციალურ-პოლიტიკურ შეხედულებათა დადგენის, საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიის გაშუქებისა და თვით ქართული ისტორიული მეცნიერების განვითარების დონის ჩვენებას. სწორედ ამაში მდგომარეობს, ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ნაშრომის აქტუალობა და მიზანი. ამრიგად, XIX ს. ქართული ისტორიოგრაფია მნიშვნელოვანი ეტაპია საერთოდ ქართული ისტორიული აზროვნების განვითარებაში. ამასთან, იგი საქართველოს რუსეთთან ისტორიული შეერთების ეპოქის ისტორიოგრაფიაცაა და იკვლევს ახალ მეთოდოლოგიურ მიმართულებებს, ჩვენში რუსეთის გზით შემოსულ ახალ ისტორიოგრაფიულ იდეათა პრობლემატიკას. ამიტომ ავირჩიეთ ჩვენ ეს საუკუნე სპეციალური ისტორიოგრაფიული კვლევა-ძიების ობიექტად. მაგრამ ჩვენთვის ისიც ცხადია, რომ XIX ს. საქართველო არ იყო ერთიანი, მთლიანი, იგი ორ პერიოდად იყოფა, რომელთა შორის თვისებრივი და არსებითი განსხვავებაა: 60-იან წლებამდე, ე. ი. რეფორმამდელ ხანად და 60-იანი წლებიდან, ე. ი. რეფორმისშემდგომ ხანად.

XIX ს. ქართულმა ისტორიოგრაფიამ თავისი განვითარების ფრიად რთული გზა განვლო: საუკუნის პირველ ნახევარში გაბატო-

ნებულ პოზიციას იკავებს ფეოდალური ისტორიოგრაფია, რომელიც მჭიდრო კავშირს ამყარებს XVIII ს. ქართველ ისტორიკოსებთან და, რომელიც თავადაზნაურობის კლასობრივ ინტერესებს იცავს, განსაკუთრებით მის არისტოკრატიულ ნაწილისას. საუკუნის მეორე ნახევარში ქართული ისტორიოგრაფია კავშირს აბამს უკვე რუსულ ისტორიოგრაფიასთან და თანდათან მისი გავლენით ისახება ბურჟუაზიული მიმართულება, რომელიც მნიშვნელოვან განვითარებას აღწევს ამავე საუკუნის 70-იან წლებში. 60-იანი წლების ბოლოსათვის ქართულ ისტორიოგრაფიაში აღმოცენდა რევოლუციურ-დემოკრატიული მიმართულება, რომელიც მშრომელი ხალხის იდეოლოგიას გამოხატავდა. მან თვისებრივად ახალი ეტაპი შექმნა ქართული ისტორიული აზროვნების განვითარებაში. XIX ს. ქართული ისტორიოგრაფიის მსვლელობა, კერძოდ, მის მეორე ნახევარში, მიმდინარეობდა ფეოდალურ, ბურჟუაზიულ და რევოლუციურ-დემოკრატიულ მიმართულებათა თანაცხოვრებასა და ურთიერთბრძოლაში.

XIX ს. პირველი ნახევრის ქართულ ისტორიულ მეცნიერებაში თავადაზნაურული მიმართულების შედარებით გამოჩენილი წარმომადგენლები იყვნენ დავით, ვახტანგ და თეიმურაზ ბაგრატიონები, ნიკო დადიანი და ნაწილობრივ სულხან ბარათაშვილი, რომლის შემოქმედებაში შეიმჩნევა თავადაზნაურული ისტორიოგრაფიის პოზიციებიდან ბურჟუაზიულისაკენ გადახრა. თავადაზნაურული მიმართულების წარმომადგენლები ცხოველმყოფელ გავლენას განიცდიდნენ, ერთი მხრივ, XVIII ს. გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსის ვახუშტი ბაგრატიონის შემოქმედებისა, ხოლო, მეორე მხრივ, რუსულის გზით დასავლეთევროპული ისტორიოგრაფიისას (ფრანგული, გერმანული, გ. ნიბური). ისინი არ კმაყოფილდებიან ფაქტების უბრალო რეგისტრაციით, არამედ ცდილობენ ახსნან და გაიაზრონ ისტორიული მოვლენები. მისდევენ რა გარკვეულ პოლიტიკურ მიზნებს, თავადაზნაურული ისტორიკოსები თანდათან აფართოებენ გამოყენებულ წყაროთა წრეს და ქმნიან ნაწარმოებებს, რომლებშიც მასალათა გადმოცემის მატიანისებრი თხრობის ფორმა ადგილს უთმობს ისტორიულ მოთხრობებს. ისტორიკოსები ცდილობენ რეალისტურად ახსნან საკვლევი თემა და კრიტიკულად მიუდგნენ წყაროებს. მაგრამ მათ საქმიანობას ძალზე აფერხებს და ამუხრუჭებს პროვიდენციალიზმი, ისტორიულ მოვლენათა რელიგიური ახსნა.

XIX ს. 60-იან, განსაკუთრებით კი 70-იან წლებში, საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში ღრმა ცვლილება მოხდა, რაც დაკავშირებული იყო ფეოდალური ფორმაციის ლიკვიდაციასთან და კაპიტალისტურ (ბურჟუაზიულ) ურთიერთობათა დამყარებასთან. შესაბამისად მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა აგრეთვე ქართულ ისტორიოგრაფიაშიც. თანდათანობით აღმოცენებას და განვითარებას იწყებს ისტორიული აზროვნების ბურჟუაზიული მიმართულება. პირველი ქართველი ბურჟუაზიული ისტორიკოსია პლატონ იოსელიანი, რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა ქართული ისტორიული მეცნიერების წარმატებით განვითარების საქმეში და მის დაახლოებაში თანადროულ რუსულ და დასავლეთ-ევროპულ ისტორიოგრაფიებთან; ეს დაახლოება ჩანს ავტორის მრავალრიცხოვან ნაშრომებში, რომლებშიც აირეკლა არა მარტო რუსულ-ევროპული ისტორიული ლიტერატურის ღრმა ცოდნა, არამედ იდეები (ვაჭრობა, განათლება, კაპიტალიზმი და სხვ.) და თეორიები. ბურჟუაზიული მიმდინარეობის წარმომადგენლები ისტორიაში ობიექტურ კანონზომიერებათა პოზიციებზე დგანან და ქართველი ხალხის ისტორიული განვითარების ერთიანობას აღიარებენ, თუმცა საკითხებს იდეალისტურად ხსნიან. იმჟამად ეს იყო ქართული ისტორიოგრაფიის წინგადადგმული ნაბიჯი. ზოგიერომა ბურჟუაზიულმა ისტორიკოსმა დასვა საკითხი ქვეყნის ეკონომიკური შესწავლის მნიშვნელობის შესახებ: ვაჭრობის, მრეწველობისა და საქალაქო ცხოვრების განვითარებაზე. ისტორიკოსთა თვალსაზრისით, ვაჭრობის, ყიდვა-გაყიდვისა და მრეწველობის განვითარება განაპირობებს ქართველი ხალხის პროგრესს. ხოლო ყოველივე ეს ხელს უწყობს განათლების აყვავებას. ამ მიმართულების ისტორიული შეხედულებების წარმომადგენელთა სოციალურ-პოლიტიკური ფესვები ბურჟუაზიულ ლიბერალიზმში ძევს, რომელიც ბურჟუაზიულ რეფორმათა დროს აღმოცენდა, და, რომელიც ასე ნათლად დაახასიათა თავის ნაშრომებში ვ. ი. ლენინმა[6].

ბურჟუაზიულ რეფორმათა დასასრულს, რევოლუციური სიტუაციის პერიოდში ქართულ ისტორიულ მეცნიერებაში აღმოცენდა და თანდათან ჩამოყალიბდა დემოკრატიული მიმართულება, რომლის წყაროს წარმოადგენდა დიდი რუსი რევოლუციონერი დემოკრატების — ვ. ბელინსკის, ა. გერცენის, ნ. ჩერნიშევსკისა და ნ. დობროლიუბოვის რევოლუციური იდეები. 60—70-იანი წლების

---

[6] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზულებანი. ტ. 20, გვ. 229.

ქართული ისტორიოგრაფიის ამ. თავის დროისათვის ყველაზე მოწინავე მიმართულების ჩამოყალიბება, განსაკუთრებული მნიშვნელობის ისტორიული მოვლენა იყო ქართულ სინამდვილეში. რევოლუციურ-დემოკრატიული მიმართულების ქართველმა ისტორიკოსებმა, მიილტვოდნენ რა თავისი ქვეყნის ისტორიული პროცესის საერთო კანონზომიერებათა გახსნისაკენ, წინა პლანზე წამოაყენეს საზოგადოებრივი ცხოვრებისა და ხალხთა მასების სოციალური ბრძოლის ისტორიის საკითხთა შესწავლა. მათ მყარი ფუნდამენტი ჩაუყარეს იმჟამინდელ ისტორიულ მეცნიერებას.

ქართული ისტორიოგრაფიის ზემოთ ნახსენებ მიმართულებათა „ბრძოლამ" თავისი გამოხატულება ჰპოვა განსახილველი ხანის საისტორიო თხზულებებსა და გამოკვლევათა შორის, რომლებიც მიძღვნილი იყვნენ ძველი და შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიისადმი.

XIX ს. ქართული ისტორიული აზროვნების შესწავლისას ჩვენ გამოვიკვლიეთ ქართველ ისტორიკოსთა მთელი შემოქმედება და ვცდილობდით, რაც შეიძლება ზედმიწევნით ჩავწვდომოდით მათ ზოგადისტორიულ თვალსაზრისს. ამრიგად, ჩვენ ერთიანად და მთლიანად შევისწავლეთ XIX ს. ქართველ მეცნიერთა ისტორიული კონცეფციები და ამ გზით შევიმუშავეთ საკუთარი შეხედულება მათ თვალსაზრისზე ძველი და შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიის შესახებ.

მეთოდოლოგიური თვალსაზრისით ჩვენი ნაშრომი ემყარება მარქსისტულ-ლენინურ მოძღვრებას. განსაკუთრებით ვსარგებლობდით ვ. ი. ლენინის ცნობილი ფორმულირებით ისტორიულ მოღვაწეთა დამსახურების შეფასების შესახებ. ვ. ი. ლენინი ამბობდა: „ისტორიული დამსახურება ფასდება არა იმის მიხედვით, თუ რ ა არ მ ო უ ც ი ა თ ისტორიულ მოღვაწეებს თანამედროვე მოთხოვნებთან შედარებით, არამედ იმის მიხედვით, თუ რ ა მ ო გ ვ ც ე ს ა ხ ა ლ ი თავიანთ წინამორბედებთან შედარებით"[7].

ჩვენ ნაშრომის მთელ მანძილზე ვხელმძღვანელობდით ვ. ი. ლენინის ამ ბრწყინვალე მითითებებით და ისტორიოგრაფიაში ქრონოლოგიური პრინციპის დაცვით ვცდილობდით ისტორიკოსთა დამსახურების ჩვენებას საქართველოს ისტორიაში. შეძლებისდაგვა-

---

[7] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზულებანი. ტ. 2 (გამოცემა მეოთხე), გვ. 217 (ხაზი ავტორისაა).

რად ვიძლევით ავტორთა მეთოდოლოგიის შეფასებასა და მათი თვალსაზრისის მიმართულების გარკვევას.

ჩვენი ნაშრომი ისტორიოგრაფიული ხასიათისაა. ისტორიული მეცნიერების ისტორია კი საბჭოთა ისტორიოგრაფიაში შედარებით ახალი დარგია. შეიძლება ითქვას, რომ მას ახლა ეყრება მყარი მეცნიერული საფუძველი. ბუნებრივია, რომ ამგვარი ხასიათის ნაშრომი არ იქნება დაზღვეული შეცდომათაგან.

პირველი თავი

ისტორიული წყაროებისა და ლიტერატურის მიმოხილვა

1. წყაროები

ა) ქართული („ქართლის ცხოვრება")

წინამდებარე ნაშრომის ერთ-ერთი თავისებურება ისაა, რომ მისი კვლევა-ძიების უშუალო საგანია საკუთრივ ისტორიული ლიტერატურა, XIX ს. ქართველ მეცნიერთა საისტორიო შემოქმედება, როგორც წყარო ქართული საბჭოთა ისტორიოგრაფიისა. მკვლევართა ნააზრევის დონის დადგენა და იმის განსაზღვრა, თუ რა მეცნიერული, შემეცნებითი მნიშვნელობა აქვს ისტორიულ ლიტერატურას აღნიშნული პრობლემის შესწავლის საქმეში. მაგრამ ისტორიული ლიტერატურის, როგორც წყაროს, სპეციალურ თავში გარჩევა, ჩვენ მიზანშეწონილად არ მივიჩნიეთ, რადგან გამოკვლევის საფუძველი ხომ თვით ლიტერატურაა, რომელთაც ვემყარებით ნაშრომში. ისტორიული ლიტერატურის გარჩევისა და მიმოხილვის მაგიერ, ჩვენ ამ უკანასკნელის წყაროთმცოდნეობითი ბაზა გავიხადეთ სპეციალური კვლევა-ძიების საგნად. ესაა „ქართლის ცხოვრება", ვახუშტის „ისტორია" და ანტიკურ-ბიზანტიურ მწერალთა ცნობები საქართველოზე, თუ რა პოზიტიურ მასალას შეიცავენ ისინი ჩვენი ქვეყნის წარსულის შესახებ.

„ქართლის ცხოვრება" მთელი XIX ს. მანძილზე რჩებოდა უმნიშვნელოვანეს წყაროდ, რომლის მეოხებით იკვლევდნენ საქართველოში, რუსეთსა და დასავლეთ ევროპაში ქართველი ხალხის წარსულ ცხოვრებას. ამჟამად ამ პირველხარისხოვან ძეგლზე ჩვენ სავსებით კონკრეტული წარმოდგენა გვაქვს, ვიცით მისი თანდათანობითი შედგენისა და მიზანდასახულობის ისტორია[1]. მაგრამ

[1] ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი. ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლა. წიგნი 1, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა (V—XVIII სს.). მეორე-მესამე შევსებული გამოცემა, თბ., 1945.

XIX ს-ში ამ შესანიშნავი ძეგლის მნიშვნელობა სხვადასხვაგვარად იყო შეფასებული: დადებით-კრიტიკულად ან ჰიპერკრიტიკულ-უარყოფითად. სახელდობრ, XIX ს. რუსული ოფიციალური ისტორიოგრაფიის წარმომადგენელთა ერთი ნაწილი „ქართლის ცხოვრებას“ ან გვიანდელი ხანის რედაქციად, ანდა ვახტანგ VI-ის (1675—1737) მიერ შედგენილ ძეგლად თვლიდა.

ამავე დროს ზოგი ფრანგი მკვლევარი „ქართლის ცხოვრებას“ ერთობ სანდო ისტორიულ წყაროდ მიიჩნევდა. მართალია, ისინი აღიარებდნენ იმ უეჭველ დებულებას, რომ „ქართლის ცხოვრებაში“ შეინიშნება საეკლესიო მწერლობის გავლენა, რომ ეს ძეგლი მაინცდამაინც ძველი წარმოშობისა არაა, მაგრამ ამ მწერლობას მატიანის არსებით ნაწილზე დაღი არ დაუსვამს. მატიანეში თვალნათლივ გამოსჭვივის უძველესი ადგილობრივი საისტორიო ტრადიცია.

დადებით შეფასებას აძლევდა „ქართლის ცხოვრებას“ აგრეთვე XIX ს. ქართული ისტორიოგრაფია. ეს უკანასკნელი მის თანადროულ რუსულ ისტორიოგრაფიასთან შედარებით „ქართლის ცხოვრების“ მნიშვნელობის შეფასების საკითხში გაცილებით უფრო მაღლა იდგა. მაგრამ ამთავითვე უნდა შევნიშნოთ, რომ საკითხი ეხება არა ერთობლივად აღებულს XIX ს. რუსულ ისტორიოგრაფიას, არამედ მის ზოგიერთ წარმომადგენელს, რომელსაც არ სწამდა ან არ ესმოდა ამ ისტორიული ძეგლის მეცნიერული მნიშვნელობა და იგი XVIII ს-ში შეთხზულად წარმოედგინა.

ამრიგად, XIX ს. ისტორიოგრაფიაში „ქართლის ცხოვრების“ შეფასებას სხვადასხვაგვარად უდგებოდნენ.

რუსულ ისტორიოგრაფიაში „ქართლის ცხოვრების“ ძეგლის ცნობებს ქართველთა უძველესი ისტორიის შესწავლის მიზნით პირველად შეეხო ცნობილი ორიენტალისტი, პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორი ოსიპ სენკოვსკი (1800—1858). მან საქართველოსა და მის საისტორიო ძეგლზე შეცდომებით სავსე გამოკვლევა გამოაქვეყნა[2].

ამ ნაშრომის მთელი შინაარსი იმაზე დაიყვანება, რომ ე. წ. „ქართლის ცხოვრება“, რომელიც შეუდგენია XVIII ს-ში მეფე ვახტანგ VI-ს, შეიცავს ბიბლიურ ნოედან დაწყებულ ზღაპრების

---

[2] О. Сенковский. Некоторые сомнения касательно истории грузинов. Библиотека для чтения, т. XXX, № 10, 1838, с. 151—172.

თანდათანობით თხრობას, ვიდრე ახალი წელთაღრიცხვის XIX ს-მდე, ხოლო მას აქეთ ვახტანგის შვილს ვახუშტის გაუგრძელებია ეს ისტორია და მოუყვანია იგი თავის დრომდე. ო. სენკოვსკის სიტყვით, მეფე ვახტანგს არა აქვს მითითებული ის წყაროები, რომლითაც მას უსარგებლია ძეგლის შედგენის დროს. რაც შეეხება ვახუშტის, მას ვახტანგთან შედარებით ის უპირატესობა აქვს, რომ იგი მიუთითებს რაღაც მატიანეებსა და დოკუმენტებზე, რომელთა ბედი მის გარდაცვალებასთან ერთად გადაწყვეტილა კიდეც, ისინი სამუდამოდ დაკარგულან მეცნიერებისათვის.

ო. სენკოვსკისვე განცხადებით, ქართველები ამიერკავკასიაში XII ს-მდე არ არსებულან. თუ, საერთოდ, შესაძლებელია, მისი სიტყვით, საუბარი ქართველთა ოდინდელ არსებობაზე, მაშინ მათი პირველსაცხოვრისი ჩრდილოეთ კავკასიაშია საძებნი. რაც შეეხება იბერულ ეთნოსს, ეს უკანასკნელი კრებითი შინაარსის შემცველი სახელია, რომლის შემადგენლობაში უპირველესი ადგილი სომხებს ეკავათ და რომელთა გავლენის სფეროში მოქცეული ყოფილა ამიერკავკასიის სხვადასხვა ხალხები. ცხადია, ქართული ეთნოსი აქ სავსებით გამორიცხულია.

ო. სენკოვსკის წერილი მ. ბროსეს ავტორიტეტისა და სახელის დასამცირებლადაც იყო გამიზნული, რამდენადაც ეს უკანასკნელი ქართველოლოგიის აღიარებული ფუძემდებელი იყო. ამას ო. სენკოვსკი არც მალავდა, როცა თავის ერთ-ერთ რეცენზიაში მიუთითებდა, რომ, თუ მ. ბროსე „обозрение"-ს გაიცხავდა მის შეცდომათა გამო, რაც მასში საქართველოს ისტორიის ცალკეულ საკითხებთან დაკავშირებითაა დაშვებული, მაშინ — „ჩვენ მოკავშირენი ვართ „მიმოხილვისა" და მზად ვართ დავიცვათ იგი"[3].

ო. სენკოვსკის ამგვარი ტენდენციურობა ბუნებრივად გამოიწვევდა მ. ბროსეს სამართლიან უკმაყოფილებას. მართლაც, მ. ბროსემ საკადრისი პასუხი გასცა სენკოვსკის, მაგრამ ამჟამად ჩვენ საკითხის ეს მხარე არ გვაინტერესებს. მ. ბროსეს წერილში, ისე როგორც მის შემდეგდროინდელ სამეცნიერო მოღვაწეობაში, „ქართლის ცხოვრების" ძეგლის შესწავლასა და შეფასებას დიდი ადგილი ეთმობა. სწორედ ამ გარემოებამ ათქმევინა ისტორიკოს დ. ბაქრაძეს: „უდავოა, რომ მან (მ. ბროსემ. — ა. ბ.) უფრო მეტი გააკეთა სა-

---

[3] Библ. для чтения, განყოფილება V, ტ XXVI, 1838, გვ. 13.

ქართველოსათვის, ვიდრე მეცნიერებაში ცნობილმა ჟ. სენ-მარტენ-მა სომხეთისათვის"[4].

ამთავითვე უნდა აღინიშნოს, რომ მ. ბროსე აღტაცებული იყო ამ წყაროს მნიშვნელობით საქართველოს ისტორიისათვის. იგი ყურადღებას აქცევდა „ქართლის ცხოვრების" ტექსტუალურ კრიტიკას და მისი ისტორიული ანალიზის საფუძველზე სათანადო მეცნიერულ განზოგადოებებს იძლეოდა. ავტორის სიტყვით: „უწინარეს ყოვლისა უნდა აღვნიშნოთ, რომ შეუძლებელია 1675 წელს დაბადებულ ვახტანგს, უწინდელ მასალათა გაუთვალისწინებლად, დაეწერა ისეთი მატიანე, რომელიც შეიცავს, არათუ წარღვნის დროთა გადმოცემას, არამედ ქრისტეს დაბადებამდე მეოთხე საუკუნის ისტორიულ ფაქტებს. სათანადო მასალები საქართველოში ნამდვილად არსებობდა ვახტანგამდე, და არა როგორც განცალკევებული ცნობები, არამედ როგორც მატიანის მთელი წიგნები. ამას მოწმობენ სომეხი ისტორიკოსები მხითარ ერეწი, რომელსაც იხსენიებს ვარდან დიდი, მხითარ აირივანქელი, თვით ვარდან დიდი და სტეფანოზ ორბელიანი. ეს ისტორიკოსები წერდნენ XII და XIII საუკუნეებში და მოგვითხრობენ, რომ მათ უკითხავთ ქართული მატიანე. სტეფანოზ ორბელიანი იმასაც დასძენს, რომ ამ მატიანეს უწოდებენ „ქ ა რ თ ლ ი ს ც ხ ო ვ რ ე ბ ა ს" (ხაზი ავტორს ეკუთვნის — ა. ბ.), სწორედ იმ სახელს, რომლითაც ცნობილია აღნიშნული მატიანე"[5].

მ. ბროსემ ყურადღება მიაქცია ვახტანგისეული რედაქციით ცნობილ „ქართლის ცხოვრების" იმ ადგილს, სადაც ეწერა: „პატიოსანნო და დიდებულნო ქართველნო, ჟამთა ვითარებისაგან ქართლის ცხოვრება გარყვნილ იყო, რომელიმე მწერალთა მიერ და რომელიმე ჟამთა ვითარებისაგან, არღარა წერებულ იყო: ხოლო მეხუთემან ვახტანგ, ძემან ლეონისამან და ძმისწულმან სახელოვნის გიორგისამან, შეკრიბნა მეცნიერნი კაცნი და მოიხენა, საცა რამ ქართლის ცხოვრებაები პოვნა, და კუალად გუჯარნი მცხეთისანი, გელათისანი და მრავალთა ეკლესიათა და დიდებულთანი, და

---

[4] Дм. Бакрадзе. Об источниках грузинской истории. «Кавказский календарь». 1857, გვ. 416; დ. ბ ა ქ რ ა ძ ე. საქართველოს ისტორიის წყაროები. აკადემიის წევრს, მარი ივანეს ძე ბროსეს. „ცისკარი", № 2, 1857, გვ. 68.

[5] M. Brosset. Histoire de la Gèorgie... Introduction... SPB., 1858, გვ. XIV—XV. შდრ. ა. ჭყონია. ისტორიული ნარკვევი ანე ქრესტომატია საქართველოს ისტორიისათვის, თბ., 1890, გვ. 76.

შეამოწმეს, და რომელი განრყვნილ იყო განმართეს, და სხუაცა წერილნი მოიხუნეს, რომელიმე სომეხთა და სპარსთა ცხოვრებისაგან გამოხვნეს და ესრეთ აღაწერინეს"[6].

„ამ სიტყვებიდან ცხადად ჩანს, — აღნიშნავდა მ. ბროსე, რომ ვახტანგმა მხოლოდ შეაკრებინა სხვადასხვა მატიანენი და ცნობანი, რომელნიც მოიპოვებოდა მის დროს საქართველოში, მაგრამ გაბნეული იყო და მხოლოდ დაურთო რამდენიმე წვრილმანი ცნობები, რომლებიც აკლდა ძველ მატიანეებს. ჩვენი აზრით, ამგვარი შრომაც დიდ ღვაწლად უნდა ჩაეთვალოს ვახტანგს"[7].

ყოველივე ამის შემდეგ, ცხადია, მ. ბროსეს წერილზე ო. სენკოვსკიმ პასუხი ვერ გამოძებნა. ამ ავტორის ნაწარმოებთა კრებულის გამომცემელი ადელ სენკოვსკაია (ო. სენკოვსკის მეუღლე) აღნიშნავდა, რომ „ეს სტატია (საუბარია სენკოვსკის წერილზე „ეჭვები"... — ა. ბ.) სენკოვსკიმ დაწერა მის დრომდე ხელუხლებელი საკითხის აღძვრის გამო და თავის მიზანს მიაღწია. მ. ბროსემ პასუხი გასცა ამ „ეჭვებს" სტატიით... და მას შემდეგ გამოსცა „ქართველ მატიანეთა კრებული", რომელთა კრიტიკულ შესწავლას შეუძლია შუქი მოფინოს საქართველოს ისტორიას"[8].

ცნობილია, რომ ა. სენკოვსკაია (იგი წარმოშობით ფრანგი იყო, ბანკირ რალის ქალიშვილი) სხვას არაფერს კითხულობდა რუსულად, თუ არა მისი მეუღლის ნაწარმოებებს. ამათ კი იგი თითქმის იზეპირებდა[9]. ამიტომ მისი ზემოთ მოტანილი ცნობა დამაჯერებლობას მოკლებულია.

მ. ბროსეს მიერ რუსეთში წყაროთმცოდნეობითი მუშაობის ასე წარმატებით დაწყებული საქმე იმ ინტენსიური მოღვაწეობის გაგრძელებას წარმოადგენდა, რომელსაც იგი აწარმოებდა ჯერ კიდევ საფრანგეთში ყოფნის დროს ცნობილ ორიენტალისტ ჟან სენ-მარტენთან ერთად. მართალია, ეს უკანასკნელი თავისი პროფესიით არმენოლოგი იყო, მაგრამ მან, როგორც სომხეთის ისტორი-

---

[6] ქართლის ცხოვრება... თარგმნილი და გამოცემული ღვაწლითა უ. ბროსესი. ნაწ. პირველი. სანკტ. პეტერბურგი, 1849, გვ. 15.

[7] M. Brosset. დასახ. ნაშრ., გვ. XV. შდრ. ა. ჭყონია. ისტორიული ნარკვევი, გვ. 77.

[8] Собрание сочинений Сенковского (Барона Брамбеуса), т. 6, СПб, 1859, გვ. 198-ის შენიშვნა.

[9] Е. А. Соловьев, О. И. Сенковский. Его жизнь и литературная деятельность в связи с историей современной ему журналистики. СПб., 1892, გვ. 76—77.

კოსმა იმთავითვე სწორად შეაფასა ქართული საისტორიო წყაროების მნიშვნელობა სომხეთის ისტორიისათვის და მისი ყურადღება „ქართლის ცხოვრებამაც“ მიიპყრო.

ჟ. სენ-მარტენმა ჯერ კიდევ 1819 წელს აღნიშნა, რომ „ქართლის ცხოვრების“ ცნობები ქართველ ტომთა უძველესი ისტორიისათვის სავსებით სანდოა. მართალია, ამ ძეგლს ატყვია გავლენა, განსაკუთრებით ბერძნული კულტურისა, მაგრამ ეს გარემოება, ავტორის აზრით, სრულიად არ ხსნის „ქართლის ცხოვრების“ ტექსტის უტყუარობას. ჟ. სენ-მარტენის სიტყვით რომ ვთქვათ, „ბერძენმა ისტორიკოსებმა არ დაგვიტოვეს არავითარი ცნობები ევქსინოს პონტოს აღმოსავლეთის სანაპიროს ბერძნების ომიანობაზე კოლხებთან. მარტოოდენ „ქართლის ცხოვრებაში“ ვპოულობთ ჩვენ ამ ცნობებს, რომელნიც მნიშვნელოვანნიც და დასაჯერებელნიც არიან“[10].

უფრო შორს მიდის და მეტ ნდობას უცხადებს „ქართლის ცხოვრებას“ ვივიენ დე სენ-მარტენი. „როდესაც ჩვენ გამოვიკვლიეთ — აღნიშნავდა იგი — ძველი სომხური წყაროები, დაგვამწუხრა იმ ფიქრმა, რომ არც ერთ დოკუმენტს სომხეთის ისტორიის დასაწყისზე ჩვენამდე არ მოუღწევია თავის პირვანდელი სახით, ვიდრე ადგილობრივ თქმულებას შეცვლიდა ქრისტიანობის დროიდან შემოტანილი ბიბლიური თქმულება. ახლა ჩვენ ვხედავთ, რომ ამ ნაკლს ავსებს ქართველი ხალხის ისტორიული დოკუმენტი... თუმცა ქართულ გადმოცემაში შეინიშნება ქრისტიანობის გავლენა, მაგრამ ეს ცვლილება იმგვარი არაა, რომ მას შეძლებოდა ძველი ადგილობრივი თქმულების შესუსტება. ის დიდ სინათლეს მოფენს არა მარტო საქართველოს ისტორიის დასაწყისს, არამედ კავკასიელთა მთელ შთამომავლობას. ეს (გადმოცემა — ა. ბ.) ეთანხმება დაბადების X თავს. ამ მსგავსებას ვხედავთ როგორც სახელწოდებებში, ისე ფაქტობრივ ცნობებშიაც. მართალია, არ შეიძლება დავემყაროთ სავსებით ამ ფაქტებს, საკუთრივ მათ გენეალოგიას, მაგრამ, როდესაც თქვენ დაუპირისპირებთ და შეადარებთ „ქართლის ცხოვრების“ ცნობებს, ერთი მხრივ, დაბადების გადმოცემას (ხოლო.—ა. ბ.) მეორე მხრივ, სხვა უცხო ხალხთა თქმულებას, მაშინ თქვენ დარწმუნდებით, რომ საქართველოს ძველი თქმულება თუ უდიდესი ავტორიტეტის ღირსი არაა, ნაკლები მაინც არაა იმ ფაქტებზე, რომელ-

---

[10] I. Saint-Martin. Memoires historiques et géographique sur L'Armenie. T. second, Paris, 1819, p. 190, n. e.

ნიც კრიტიკას აღმოუჩენია ჰეროდოტესა და ტიტე ლივიუსის მიერ მოთხრობილ ძველ თქმულებათა შორის"[11].

დაახლოებით ასეთივე აზრისაა ვ. ლანგლუაც. მისი თვალსაზრისით, „ქართლის ცხოვრების" დასაწყისი ნაწილი ზღაპრულია, როგორც ყველა ხალხის ისტორია. ვ. ლანგლუა ქართველთა საისტორიო წყაროს ორ ნაწილად ყოფს: პირველი ნაწილი აღმოცენებულია ზეპირსიტყვიერების საფუძველზე, თუმცა მას ეტყობა ქრისტიანობის გავლენა, რომელიც თავის მხრივ აღადგენს ძველი გადმოცემის კვალს. ეს ნაწილი მთავრდება ვიდრე ახალი წელთაღრიცხვის VI ს-ზე, როდესაც გაიღვიძა ეროვნულმა ტრადიციამ. ამიერიდან ქართველთა ისტორია კარგავს თავის ძველ ზღაპრულ ხასიათს და ნამდვილ ნიადაგზე დგება. მემატიანეები ქართველ მეფეთა ხელმძღვანელობით თავიანთ ქრონიკებში აღნიშნავდნენ ქართველი ხალხის ისტორიის მსვლელობას და მონეტებიც ქართული წარწერებით იბეჭდება[12].

აქრიგად. ჩვენ ვხედავთ, რომ XIX ს. ფრანგულ ორიენტალისტიკაში სავსებით ჩამოყალიბებული წარმოდგენა არსებობდა ჩვენი ისტორიული ძეგლის შესახებ. ცხადია, აქ გარკვეულ გადაჭარბებასთან გვაქვს საქმე „ქართლის ცხოვრების" ცნობათა სამართლიანობის განსაზღვრაში, მაგრამ ამ ავტორებს აშკარად ემჩნევათ, რომ ისინი ყოველგვარი ტენდენციურობისაგან შორსა დგანან. ამ მკვლევართა მოღვაწეობის ხანაში, ე. ი. XIX ს. პირველ ნახევარში, მსგავსი აზრის გამოთქმა ქართულ ქრონიკათა გარშემო ჯერ კიდევ შეუძლებელ საქმედ ჩანდა. მტკიცე და ურყევი აზრი ამ საკითხზე მხოლოდ იმ ქართულ ხელნაწერთა აღმოჩენისა და გამოქვეყნების შემდეგ შეიძლება შემუშავებულიყო, რომლებიც მოპოვებულ იქნა შედარებით მოგვიანებით მ. ბროსესა და დ. ბაქრაძის მიერ. მაგრამ საყურადღებო აქ ისაა, რომ ფრანგი ორიენტალისტების იდეა, იმჟამად საჭირო დასაბუთებას მოკლებული, სადღეისოდაც ბევრ საკითხში მართებულად გამოიყურება. ისინი სავსებით მართალნი იყვნენ, როდესაც „ქართლის ცხოვრება" გამოაცხადეს საყურად-

---

[11] V. de Saint-Martin. Recherches sur les populations primitives du Caucase. Paris, 1847, p. 53—54, 78—79.

[12] V. Langlois. Essai de classification des suites monetaires de la Georgie. Paris, 1860, გვ. 3—10. შდრ. დ. ბაქრაძე. პროფესორი პატკანოვი და ქართული ისტორიის წყაროები. „იბერია" № 7—8, 1884, გვ. 67—68.

ღებო წყაროდ არა მარტო საქართველოს ისტორიისათვის, არამედ მის მეზობელ ხალხთა წარსულის შესწავლისათვისაც[13].

XIX ს. პირველი ნახევრის ქართული ისტორიოგრაფია მის თანადროულ ფრანგულ ორიენტალისტიკასთან შედარებით დაბლა დგას ფაქტობრივი მასალის განზოგადოების თვალსაზრისით. ამ ხანის ისტორიკოსებისათვის (დავით, ვახტანგ, ბაგრატ ბაგრატიონები) დამახასიათებელია მარტივი ისტორიული კრიტიკა და ზოგიერთ შემთხვევაში მატიანისებრი თხრობის ხასიათი.

რაც შეეხება „ქართლის ცხოვრების" ძეგლის მნიშვნელობას, როგორც წყაროს საქართველოს ისტორიისათვის, აქ XIX ს. პირველი ნახევრის ჩვენი ისტორიოგრაფიის წარმომადგენელთა უმეტესი ნაწილის დამოკიდებულებაც მის მიმართ ძალზე სუსტია, თითქმის უკრიტიკოა. ერთგვარი გამონაკლისია მხოლოდ ს. ბარათაშვილი. ეს უკანასკნელი, როგორც მისი „საქართველოს ისტორიიდან" ჩანს, თავისი დროისათვის საკმაოდ განათლებული და გონებამახვილი ისტორიკოსი ყოფილა და ქართულ წყაროთა შესანიშნავი მცოდნე. მეტად ორიგინალურია მისი შეხედულება ჩვენი წყაროს შეფასების საკითხში. მკვლევრის აზრით, რაკი „ქართლის ცხოვრება" ცნობილია მხოლოდ ვახტანგისეული რედაქციით, ამიტომ შეუძლებელია იმ ჰეშმარიტების დადგენა, თუ რამდენად სწორ ანდა დამახინჯებულ ცნობებს შეიცავს ეს უკანასკნელი ძველი ხანის საქართველოს ისტორიისათვის. ვიდრე არ აღმოჩნდება ვახტანგამდელი „ქართლის ცხოვრების" წყარო, მანამდე ბეჯითი აზრის შექმნა შეუძლებელ საქმედ ჩანსო[14].

ამრიგად, ს. ბარათაშვილი საყვედურს გამოთქვამდა ვახტანგ VI-ის მიმართ, რომ მას არა ჰქონდა უფლება „ქართლის ცხოვრების" ტექსტის ნაწილობრივი შესწორებისა. ავტორის ეს მოსაზრება, რა თქმა უნდა, მცდარია, თუმცა მასში ყურადღებაა გამახვილებული ტექსტის პირვანდელი სახით დაცვის სასარგებლოდ.

ს. ბარათაშვილის მსჯელობას, როგორც ვხედავთ, ახასიათებს წყაროსადმი კრიტიკული დამოკიდებულება. სამწუხაროდ, იგი ისე გარდაიცვალა (1866), რომ ვერ მოესწრო დ. ბაქრაძის მიერ ე. წ. მარიამ დედოფლისეული „ქართლის ცხოვრების" აღმოჩენას (1884),

---

[13] F. Dubois de Montpéreux. Voyage autour du Caucase. t. I, Paris, 1839, p. 62—63.

[14] ს. ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი. საქართველოს ისტორია, რვეული 1, საქართველოს ძველი ისტორია, ქუთაისი, 1895, გვ. 7—8, შდრ. С. Б а р а т о в. История Грузии, Тетрадь 1, Древняя история Грузии, СПб., 1865, გვ. 3.

რომელიც საქართველოს ისტორიას ძირითადად ისევე გადმოგ-ვცემს, როგორც ვახტანგისეული რედაქცია.

მიუხედავად ამისა, ს. ბარათაშვილი თავის „საქართველოს ისტორიაში" არსებითად მაინც ვახტანგისეული „ქართლის ცხოვრე-ბის" რედაქციის ტექსტს მისდევდა და, სადაც სათანადო ფაქტების ნაკლებობას განიცდიდა, იქ ბერძნულ-რომაულ წყაროებს იშველი-ებდა ხოლმე დედანში.

ამგვარი გზით, ე. ი. ქართულ და უცხო წყაროთა ურთიერთ-დაპირისპირებით, მათში საერთო პარალელების აღმოჩენით, ჩვენმა ისტორიკოსმა თავისი დროისათვის ფრიად სასარგებლო საქმეს ჩაუყარა საფუძველი. მან ერთ-ერთმა პირველმა რუსულ ენაზე გა-მოაქვეყნა საქართველოს ისტორია და ყველას თვალნათლივ დაა-ნახვა, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ამ დარგში გაშლილი მეცნიე-რული კვლევა-ძიების წარმართვა.

კიდევ უფრო საფუძვლიანი იყო გამოჩენილი ქართველი ის-ტორიკოსის დიმიტრი ბაქრაძის სამეცნიერო მოღვაწეობა. XIX ს. ქართულ ისტორიოგრაფიაში არ დარჩენილა არც ერთი მეტ-ნაკ-ლებად საჭირბოროტო საკითხი, რომ დ. ბაქრაძეს მასზე პასუხი არ გაეცეს. მის წყაროთმცოდნეობით ნაშრომთა შორის განსაკუთრებუ-ლი ადგილი უჭირავს „ქართლის ცხოვრების" წყაროს შესწავლის საკითხს, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ ძეგლის კვლევა დ. ბაქრაძემ მხოლოდ გარეგანი კრიტიკით შემოფარგლა[15]. მაგრამ ჩვენი ავტორის ერთ-ერთი დიდი დამსახურება იმაშიც მდგომა-რეობს, რომ იგი საქართველოს ისტორიის შესადგენად არა მარ-ტო „ქართლის ცხოვრების" ტექსტის ცნობებს აღიარებდა, არა-მედ მატერიალური კულტურის ძეგლთა მონაცემები, მისი აზ-რით, ძვირფას ისტორიულ წყაროს წარმოადგენდნენ. მაშასადამე, ამ სახის ძეგლთა გამოყენება, როგორც წყაროსი, საქართველოს ისტორიისათვის დ. ბაქრაძის უცილობელ დამსახურებად უნდა ვაღიაროთ XIX ს. ქართულ ისტორიოგრაფიაში. ავტორი წერს: „ჩვენამდე მოღწეულს ძველს საქართველოს წერილობითს სახსო-ვართ შორის განსაკუთრებული ყურადღება მიქცეულ უნდა იყოს ქართველთ საისტორიო შრომაზე. ამ შრომას შეადგენს: ადგილობ-რივი ქრონიკები და არქეოლოგიური ცნობარი, როგორც, მაგალი-თად, ზედ წარწერანი საეკლესიო შენობაზე და ხატის შეჭედილო-ბაზედ, მიწერილობანი ძველ ხელნაწერებზე, მონასტერთა და თა-

---

[15] მ. დ უ მ ბ ა ძ ე. ისტორიკოსი... გვ. 143, 145.

ვად-აზნაურთათვის ბოძებულ ეგრეთ წოდებულ გუჯრებზე, საერო და საეკლესიოზე"[16].

საქართველოს ისტორიის წყაროთა შორის დ. ბაქრაძე ასახელებდა ნუმიზმატიკისა და სიგელ-გუჯრებს[17]. მისი სიტყვით, „ისტორიულ წყაროებს საკმაოდ შეეწევა ნუმიზმატიკა"[18].

საგულისხმოა, რომ ჩვენ ავტორზე ნაყოფიერი გავლენა მოუხდენია XIX ს. გამოჩენილი გერმანელი მეცნიერის გეორგ ნიბურის (1776—1831) „რომის ისტორიას", რომელმაც მთელი ეპოქა და მიმდინარეობა შექმნა დასავლეთევროპულ ისტორიოგრაფიაში, და რომლის საფუძვლიანი დამუშავების შედეგად დ. ბაქრაძემ კრიტიკული თვალთახედვით გაარჩია „ქართლის ცხოვრების" დასაწყისი ნაწილი. მკვლევარის სიტყვით, გ. ნიბურის მოსაზრებას რომ ემყარება, „ქართლის ცხოვრების" უძველესი ნაწილი ზღაპრულია და ჩვენ დრომდე მოაღწია ზეპირსიტყვიერების გზით. „ეს დასაწყისი ჩვენ მატიანეებში იმგვარივეა, — აღნიშნავდა იგი — როგორც უცხო ტომთ თქმულებანი წარმოგვიდგენენ. ევროპის განვითარებულთ მეცნიერთ შეუნიშნავთ, რომ არც ერთმა ტომმა არ იცის თავისი შთამომავლობა და ყველა მოთხრობა პირველ საუკუნეებზე ზღაპარია. ეს ასეც უნდა იყოს. ყოველივე ამგვარი თქმულება დაფუძნებულია ზეპირ-სიტყვაობაზე"[19].

უნდა აღინიშნოს, რომ ეს აზრი დ. ბაქრაძეს არაერთგზის აქვს გამოთქმული თავის წყაროთმცოდნეობითი ხასიათის ნაშრომებში[20]. მაგრამ „კავკაზსკი კალენდარში" რუსულ ადეკვატურ ტექსტში გაკეთებული კომენტარი ქართულ წყაროზე არაკეთილსინდისიერად გამოიყენა პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორმა ქეროპე პატკანოვმა (1833—1889) თავის წერილში „ქართული ქრონიკის

---

[16] დ. ბ ა ქ რ ა ძ ე. ახალ გამოკვლევაზედ დაფუძნებული საქართველოს ისტორია. „ივერია", № 12, 1883, გვ. 17.

[17] დ. ბ ა ქ რ ა ძ ე. საქართველოს ისტორიის წყაროები. „ცისკარი", № 2, 1857, გვ. 57—60, 66—67; შდრ. Дм. Б а к р а д з е. Об источниках грузинской истории. «Кавказский календарь», 1857, 411, 414—415.

[18] დ. ბ ა ქ რ ა ძ ე. დასახ. ნაშრ., გვ. 57; Д м. Б а к р а д з е. დასახ. ნაშრ., გვ. 409.

[19] დ. ბ ა ქ რ ა ძ ე. საქართველოს ისტორიის პირველ-დაწყება. „მნათობი", № 2, 1872, გვ. 52.

[20] დ. ბ ა ქ რ ა ძ ე. საქართველოს ისტორიის წყაროები... „ცისკარი", № 2, 1857, გვ. 51; მისივე. Об источниках грузинской истории. «КК», 1857, გვ. 405-407; მისივე. ახალ გამოკვლევაზედ, „ივერია" № 12, 1883, გვ. 22; მისივე, ქართული ისტორია, 11, „დროება" № 12. 1882, გვ. 3.

შესახებ"[21]. ავტორმა უარყო „ქართლის ცხოვრების" პირველი ნაწილის ღირსება და დ. ბაქრაძის ზემოთ მოტანილი მოსაზრება დაიმოწმა. ქ. პატკანოვმა შეგნებულად გვერდი აუარა მკვლევრის მთელ აბზაცს და მისი წერილიდან ამოგლეჯილი ერთი წინადადების საფუძველზე დაიწყო მსჯელობა.

XIX ს. ქართულმა ისტორიოგრაფიამ უარყოფითი შეფასება მისცა ქ. პატკანოვის კონცეფციას ქართული საისტორიო წყაროს გამო გამართულ პოლემიკაში[22]. დ. ბაქრაძემ, ხოლო, შემდეგ ი. ჭავჭავაძემ, სიტყვასიტყვით გაარჩიეს ავტორის შეხედულებანი და მათთვის დამახასიათებელი საბუთიანობით ცხადყვეს ქ. პატკანოვის მოსაზრებათა მცდარობა.

„ქართლის ცხოვრების" პატკანოვისეული კრიტიკის არსებითი მიზანი იმაში მდგომარეობდა, რომ პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორს არა სწამდა მის დროს დასავლეთ ევროპის მეცნიერთა შორის გაბატონებული აზრი ქართველ ტომთა ნათესაობის შესახებ ისტორიული არმენიის ტერიტორიაზე მცხოვრებ ურარტელებთან. ამ დებულებიდან გამომდინარეობდა ლოგიკური დასკვნა, რომ ქართველ ტომთა პირველსაცხოვრისი სომხეთი ყოფილა. ეს მოსაზრება ქ. პატკანოვის განსაკუთრებული ეჭვის საგნად იქცა.

მაშასადამე, თუ ქ. პატკანოვი შეძლებდა იმის დამტკიცებას, რომ „ქართლის ცხოვრების" უძველესი ნაწილი ქართველ ტომთა თავდაპირველი საცხოვრისის შესახებ ყალბი, სიცრუის შემცველი და უნაყოფოა, რომელიც შეთხზულია XII ს-ში უვიცი სომეხი ბერის მიერ, მაშინ არაპირდაპირი გზით შეიძლებოდა უარყოფილიყო XIX ს. დასავლეთევროპელ ორიენტალისტთა აზრი ქართველ და ურარტელ ტომთა გენეტიკურ ნათესაობაზე. ქ. პატკანოვის გამოკვლევის მთელი შინაარსი შეიძლება მოკლედ ასე გამოიხატოს:

„ქართლის ცხოვრების" ცნობათა მკაცრი კრიტიკის შემწეობით უნდა დავასკვნათ, რომ ძველ ქართულ ქრონიკაში დასანახია არა უმეტეს „შედარებით ახალი, უხეირო კომპილაცია, შედგენილი გამოუცდელი ხელის მიერ ცნობილი შაბლონით" და რომ „საქართ-

---

[21] К. Патканов. О древней грузинской хронике. ЖМНП, № 12, 1883, გვ. 199—274.

[22] დ. ბაქრაძე. პროფესორი პატკანოვი და ქართული ისტორიის წყაროები, „ივერია" № 7—8, გვ. 54—88; ი. ჭავჭავაძე. სომეხთა მეცნიერნი და ქართველ ლაღადი. თბ., 1889, გვ. 42—65.

ველოს ისტორიის პირველი ნაწილი შედგენილია არა გადმოცემის მიხედვით, არამედ შეთხზულია ერთი პიროვნების მიერ წინასწარაღებული თვალსაზრისით" (გვ. 205). მეფე ვახტანგის რედაქტორობით ცნობილ „ქართლის ცხოვრების" ვრცელ ძეგლს, როგორც ირკვევა, საფუძვლად ედო მოკლე ქართული მატიანე, რომელიც ცნობილი იყო სომხურ თარგმანში და რომელიც შეუთხზავს (მატიანე) უვიც სომეხ ბერს XII ს-ში ქართველთა დაკვეთით, როდესაც მათ საერთოდ იგრძნეს ისტორიის დაწერის აუცილებლობა[23].

ამრიგად, ჩვენ ვხედავთ, რომ „ქართლის ცხოვრების" უძველესი ნაწილის პატკანოვისეული კრიტიკა აშკარად ცალმხრივია, მაგრამ ამ ნაშრომის გამოქვეყნებიდან არ გასულა ერთი წელიც, რომ დ. ბაქრაძემ 1884 წელს აღმოაჩინა „ქართლის ცხოვრების" XVII ს. ხელნაწერი, ე. წ. „მარიამისეული" ნუსხა, რამაც არსებითად შეცვალა ქ. პატკანოვის შეხედულება[24].

ახალი ნუსხა, ანუ მარიამისეული „ქართლის ცხოვრება" დ. ბაქრაძის გამოანგარიშებით, გადაუწერიათ მარიამ დედოფლის ბრძანებით 1636—1646 წლებში[25], ვახტანგ VI-ის სახელით ცნობილ „ქართლის ცხოვრებაზე" ზუსტად ნახევარ საუკუნზე ცოტა მეტი დროით. აქედან ნათლად ჩანსო, შენიშნავდა ჩვენი მკვლევარი, რომ ქ. პატკანოვის ზემოთ აღნიშნული მოსაზრება თავიდან ბოლომდე მცდარია.

აქ აღნიშნულის გარდა, მარიამისეული ნუსხა მ. ბროსეს მიერ გამოცემულ „ქართლის ცხოვრებასთან" შედარებით უფრო ვრცელია, მასში შეტანილია სუმბატის ქრონიკა ბაგრატიონთა შესახებ, გიორგი III-ისა და თამარ მეფის „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი" მთლიანად და სხვ. სწორედ ამ ძირითადი ნიშნებით განსხვავდება მარიამისეული ნუსხა 1884 წლამდე ცნობილ „ქართლის ცხოვრებისაგან".

---

[23] ქ. პ ა ტ კ ა ნ ო ვ ი ამზადებდა „ქართლის ცხოვრების" ძველი სომხური ნუსხის გამოცემას. იხ. ქართლის ცხოვრების ძველი სომხური თარგმანი. ქართული ტექსტი და ძველი სომხური თარგმანი გამოკვლევითა და ლექსიკონით გამოსცა ი. აბულაძემ, თბ., 1953, გვ. 02.

[24] დ. ბ ა ქ რ ა ძ ე. პროფესორი პატკანოვი... გვ. 72.

[25] დ. ბ ა ქ რ ა ძ ე. დასახ. ნაშრ., გვ. 64, შდრ. Д. З. Б а к р а д з е. Статьи по истории и древностям Грузии... გვ. 16. ამჟამად ეს თარიღი კ. გრიგოლიამ უფრო დააზუსტა და მარიამისეული „ქართლის ცხოვრების" ნუსხის გადაწერა 1633—1646 წლებით დაათარიღა. კ. გ რ ი გ ო ლ ი ა. ნარკვევები საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობიდან. 1. ახალი ქართლის ცხოვრება. თბ., 1954, გვ. 94, 115.

მაგრამ ქ. პატკანოვის მთავარი და არსებითი ხასიათის შეცდომა მაინც აღნიშნულით არ განისაზღვრება. საქმე ისაა, რომ მან ანგარიში არ გაუწია მ. ბროსეს მიერ შემჩნეულ განსხვავებას, ერთი მხრივ, XVIII ს. „ქართლის ცხოვრებებსა“ (სამი ნუსხა)[26] და, მეორე მხრივ, „სომხურ ქრონიკას“ შორის, რამაც ფრანგ მკვლევარს არსებითად შეაცვლევინა მისი ძველი შეხედულება. მან უკუაგდო ტრადიცია „ქართლის ცხოვრების“ ვახტანგისეული წარმომავლობის შესახებ[27]. მ. ბროსეს ამ ფრიად საყურადღებო დაკვირვებას პირუთვნელი მკვლევარი, რა თქმა უნდა, ანგარიშს გაუწევდა. მაგრამ, სამწუხაროდ, ქ. პატკანოვმა მას ყურადღება შეგნებულად არ მიაქცია და, როგორც დავინახეთ, არსებითი ხასიათის შეცდომა დაუშვა. ქ. პატკანოვი ვერ ურიგდებოდა XIX ს. ისტორიოგრაფიასა და ენათმეცნიერებაში გავრცელებულ მოსაზრებას, რომ ქართველი ტომები გენეტიკურ, წარმომავლობით კავშირში იმყოფებიან ისტორიული არმენიის ტერიტორიაზე მოსახლე ურარტელ ტომებთან.

ქ. პატკანოვის აღნიშნული ნაშრომის გამოქვეყნების შემდეგ გავიდა სულ რაღაც 15 წელი და «ქართლის ცხოვრების» ისტორიული მნიშვნელობა ხელახლა კითხვის ქვეშ დაისვა. მხედველობაში გვაქვს ვ. ბოლოტოვის (1854—1900) რეცენზია მღვდელ გიორგი გამყრელიძის ნაშრომზე: «Древнейшая история церкви в Грузии (от IV в. до прибытия сирских святых)[28]», სადაც ქართველი სასულიერო პირი ძირითადად ქართულ საისტორიო წყაროთა მონაცემების საფუძველზე იკვლევდა ქართული ქრისტიანობისა და ეკლესიის საკითხებს. მიუხედავად იმისა, რომ, რეცენზენტის აზრით, გ. გამყრელიძემ დასახულ მიზანს მიაღწია და მნიშვნელოვანი გამოკვლევაც შექმნა ამ მიმართულებით, მაინც მისი ძირითადი პირველწყარო, ე. ი. «ქართლის ცხოვრება», სანდო საისტორიო ძეგლი არაა. ეს ნათლად ჩანს, ავტორის აზრით, ორი გარემოებიდან. უწინარეს ყოვლისა, მასში სრულიად იგნორირებულია რომაელთა გამარჯვება ივერიელებზე და არც იმაზეა საუბარი, რომ ამიერიდან ივერიელები რომაელებ-

---

[26] მ. ბროსეს განკარგულებაში იყო XVIII ს. „ქართლის ცხოვრების“ სამი ხელნაწერი: ბროსესეული, რუმიანცევისეული და თეიმურაზისეული.

[27] M. Brosset. Histoire... გვ. XIV—XV, XVIII.

[28] Отзывы ординарного профессора В. В. Болотова о сочинении студента Георгия Гамкрелова «Древнейшая история церкви в Грузии (от IV в. до прибытия сирских святых)». «Христианское чтение», т. ССУ, ч. II, СПб, 1898, с. 253—271.

ზე იყვნენ დამოკიდებულები. ხოლო, ივერიელთა ამგვარ დამოკიდებულებაში ყოფნა კი უეჭვო ფაქტიაო, დასძენს ვ. ბოლოტოვი (გვ. 258).

მეორე მხრივ, ვ. ბოლოტოვის ყურადღებას იქცევდა ვახტანგ გორგასლის მოღვაწეობის აღწერა „ქართლის ცხოვრების" მიხედვით. ვ. ბოლოტოვის აზრით, ვახტანგის „გარშემო არსებული ცნობები ყველა ლეგენდარული წარმოშობისაა: ზღაპრულია მისი ნახევრად თათრული სახელი; ლეგენდარულია მისი სახელოვანი გამარჯვებები; სინამდვილეს არ შეესაბამება, აგრეთვე, ვახტანგის იერუსალიმში სალოცავად სვლის ტრიუმფი და მრავალი სხვა (გვ. 259).

ეს გარემოება იმის საფუძველს აძლევდა ვ. ბოლოტოვს, რომ მას „ქართლის ცხოვრება" ნდობასმოკლებულ წყაროდ მიეჩნია. „ამ შეცდომათა გამო, — აღნიშნავს იგი, — შეიძლება კი დამწერლობის ისეთი ნაწარმოები, როგორიცაა „ქართლის ცხოვრება" მიჩნეულ იქნას საისტორიო წყაროდ? ჩემი აზრით, მეცნიერული ისტორია საქართველოსი მის უძველეს პერიოდზე „ქართლის ცხოვრების" მიხედვით შეიძლება დაიწეროს მხოლოდ უმკაცრეს, პრინციპულ უნდობლობის გამოცხადების გზით" (გვ. 260).

ვ. ბოლოტოვის დასკვნა ფრიად მცდარია. „ქართლის ცხოვრების" წყაროს კრიტიკაში აქ ახალი მხოლოდ ისაა, რომ ყურადღება მიექცა მატიანეში რომის იბერიასთან ურთიერთობის ამსახველ ფაქტთა მოუხსენებლობას.

სამწუხაროდ, ვ. ბოლოტოვი ცუდად იცნობდა თავისი დროის ქართულ ისტორიოგრაფიას, იგი არ იყო ამ საქმეში ჩახედული. წინაალმდეგ შემთხვევაში, მას ეცოდინებოდა დ. ბაქრაძის აზრი, თუ რა მიზეზით არ შეუტანია „ქართლის ცხოვრების" უძველესი პერიოდის ავტორს, ლეონტი მროველს[29], ცნობები რომისა და იბერიის სახელმწიფოთა ურთიერთობის შესახებ.

დ. ბაქრაძე თავის ერთ-ერთ გამოკვლევაში[30], იმჟამინდელი

---

[29] დ. ბ ა ქ რ ა ძ ე ლეონტი მროველს VII ს-ის მოღვაწედ მიიჩნევდა. იხ. Дм. Бакрадзе. Об источниках. ტ. 1, ნაკვ. 1, Тб., 1882, გვ. 31; მისივე. „ქართლის ცხოვრების" პირველ გადმოცემათა წყაროები და მათი ხასიათი, „ივერია", № 1, 1885, გვ. 50.

[30] Д. Б а к р а д з е. История Грузии на основании новых изысканий. Историческое значение: а) надписей на храмах и иконах Грузии, б) приписок на ее манускриптах, и в) церковных и светских ее хартий. Программа их исследований. Записки императорской Академии наук, т. XXII, 2, 1873, с. 1—18. შდრ. «Кавказская старина» 1873, № 7—8 გვ. 201—208, „ივერია", № 12, 1883, გვ. 10—34.

ისტორიული მეცნიერების მონაპოვართა გათვალისწინების საფუძველზე, ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ „მართალია, „ქართლის ცხოვრებაში“ ბევრგან ერთი-ერთმანეთის წინააღმდეგი ცნობანი მოიპოვება, ალაგ-ალაგ სულ გამოტოვებულია ზოგიერთი მოთხრობა და ისტორიული ფაქტი, მაგრამ ეს გარემოება მარტო ქართლის ცხოვრების ხვედრს არ შეადგენს; ესეები ყოველის ხალხის მატიანეში მოიპოვება“[31].

ამ დაკვირვების გარდა, დ. ბაქრაძე იმეორებს გ. ნიბურის ცნობილ თეზისს იმაზე, რომ არათუ უძველესი ქართული წყაროები არ შეიცავენ სანდო ცნობებს საქართველოს ძველ ისტორიაზე, არამედ ყველა ხალხის დასაწყისი ისტორია, მათ შორის, ბერძნებისა და რომაელების წარსული, თავის დასაწყისში საშინელი ბურუსითაა მოსილი.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ ვ. ბოლოტოვის შეხედულება „ქართლის ცხოვრების“ მატიანის დასაწყისი ნაწილის თაობაზე იმ საერთო შთაბეჭდილების მიხედვით, რაც მას მიუღია გ. გამყრელიძის დისერტაციის კითხვის პროცესში, არ შეიძლება ჩაითვალოს დამაკმაყოფილებლად.

რაკი ვ. ბოლოტოვმა ქართული ენა, როგორც თვითონ აღნიშნავდა, სრულიად არ იცოდა (გვ. 253) და სათანადო ლიტერატურასაც ძალზე სუსტად იყო გაცნობილი, ამიტომ მას შეეძლო დაეშვა ცალკეული ხასიათის შეცდომები, რაც, ცხადია, მის ტენდენციურობაზე არ მიუთითებს. მაგრამ, სამწუხაროა, რომ XIX ს. რუსული ფეოდალურ-კლერიკალური ისტორიოგრაფიის ცნობილ წარმომადგენლისათვის უცნობი თუ შეუმჩნეველი დარჩა მისი თანადროული ევროპული ისტორიული სკოლის წამყვან მეცნიერთა მნიშვნელოვანი ნაშრომები კავკასიის ხალხთა ისტორიის დარგში.

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ვ. ბოლოტოვი თავს ვერ გაიმართლებდა იმით, რომ მან ქართული ენა არ იცოდა. მის დროს ძალიან კარგად იყო ცნობილი პროფ. ვსევოლოდ მილერის (1848-1913) „Осетинские этюды“, რომელშიც ავტორის მიერ, მართალია, საკმაოდ მკაცრად, მაგრამ ობიექტურადაა გარჩეული ქართული ეროვნული საისტორიო ტრადიციის ცნობები ოსი ხალხის უძველეს ისტორიაზე[32]. მართალია, ვ. მილერი ნაწილობრივ ეთანხ-

[31] დ. ბ ა ქ რ ა ძ ე. დასახ. ნაშრ., გვ. 22. შდრ. Записки имп. Академии наук. გვ. 8. «Кавказская старина» გვ. 204—205.

[32] В. М и л л е р. Осетинские этюды. Часть третья. Исследование, М., 1881, გვ. 15—39.

მებოდა ქ. პატკანოვს „ქართლის ცხოვრების“ უძველესი ნაწილის დახასიათებაში, გაზვიადებულად ეჩვენებოდა მატიანის ცნობები ვახტანგ გორგასლის მოღვაწეობის შესახებ (გვ. 17), მაგრამ მას, ამ ნაკლის მიუხედავად, ეს წყარო მაინც ღირსეულად მიაჩნდა, რომ იგი გამოყენებული ყოფილიყო, როგორც ოსთა ისე ხაზართა, ე. ი. სკვითთა ისტორიისათვის (გვ. 18).

ამ კონკრეტული შემთხვევების გარდა, ვ. მილერი აღნიშნავდა აგრეთვე იმასაც, რომ როგორც წესი, შუა საუკუნეების ისტორიკოსებისათვის უაღრესად დამახასიათებელი იყო მატიანეებში შეტანა იმ ხალხური გადმოცემებისა, რომლებიც ცნობილი ყოფილა მათ დროს. ეს ხდებოდა არა იმისათვის, რომ ავტორებს ზღაპრებით შეევსოთ ისტორიული თხზულებები, არამედ იმიტომ, რომ მოთხრობებში მათ რეალურ ფაქტებთან ჰქონდათ საქმე. ასეთ კონკრეტულ შემთხვევასთან გვაქვს ჩვენ საქმეო, დასძენდა ვ. მილერი, „ქართლის ცხოვრების“ მატიანეშიც (გვ. 21). მაშასადამე, ეს საერთო ნიშანია და იგი არც ქართველთა მატიანეშია დარღვეული.

ამრიგად, ჩვენი მიმოხილვიდან ნათლად ჩანს, რომ XIX ს. ისტორიოგრაფიაში დიდი ადგილი ჰქონდა დათმობილი „ქართლის ცხოვრების“ შესწავლას. მოსალოდნელი იყო, რომ ამ ძეგლის განხილვის დროს მომარჯვებული იქნებოდა კვლევა-ძიების უფრო ღრმამეცნიერული პრინციპები, რომელიც გამოიმუშავა ამ საუკუნის პირველი ნახევრის ისტორიულ-კრიტიკულმა სკოლამ (გ. ნიბური) და რომელიც მიილტვოდა ზუსტი, წარსულის ო ბ ი ე ქ ტ უ რ ი აღდგენისაკენ. მაგრამ, როგორც გაირკვა, XIX ს. ისტორიოგრაფია ყოველთვის როდი აღწევდა „ქართლის ცხოვრების“ სამართლიან შეფასებას. ამ ძეგლის შეფასებაში ადგილი ჰქონდა ცალმხრივსა და მცდარ მიმართულებას. XIX ს. ისტორიოგრაფიაში გავრცელება პოვა მოსაზრებამ, თითქოს „ქართლის ცხოვრება“ ვახტანგ VI-ის მიერ ყოფილა შედგენილი XVIII ს-ში და სხვ.

საკითხის ამგვარი დასმით უარყოფდნენ ამიერკავკასიაში ქართველი ხალხის ოდინდელ ისტორიულ არსებობას და ამიტომ ეს მწვავე პოლემიკური დავა ეროვნულ საკითხში გადაიზარდა. გასული საუკუნის 70—80-იან წლებში ეს საკითხი ქართველოლოგიის ერთ-ერთი აქტუალური პრობლემათაგანი გახდა. იგი ამდენად განუყრელად დაუკავშირდა XIX ს. ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას. რაკი მისი მედროშე ი. ჭავჭავაძეც აქტიურად გამოეხმაურა მას[33].

[33] მ. დ უ მ ბ ა ძ ე. დასახ. ნაშრ., გვ. 57, 59.

ბ) ბერძნულ—რომაულ—ბიზანტიური

ქართულ ისტორიულ წყაროთა გარდა, ჩვენი ხალხის ძველ და ადრე შუა საუკუნეების ისტორიაზე ძალზე მდიდარ და მნიშვნელოვან ცნობებს შეიცავს ბერძნულ-რომაული, ანუ ანტიკური და ბიზანტიური ისტორიოგრაფია. XVIII—XIX სს-ში ქართულ ენაზე არ მოიპოვებოდა ანტიკურ ავტორთა თხზულებების თარგმანი, რათა ისტორიკოსებს შესაძლებლობა ჰქონოდათ ამ წყაროებით სარგებლობისა. ამიტომ ისტორიკოსები (ვ. იოსელიანი, ს. ბარათაშვილი, დ. ბაქრაძე, ა. ხახანაშვილი) ხშირად მიმართავდნენ ხოლმე ანტიკურ ავტორთა ორიგინალებს, ანდა ასეთთა უქონლობის შემთხვევაში XVIII—XIX სს. საქვეყნოდ ცნობილ თარგმანებს რუსულ, ფრანგულ, გერმანულ და ინგლისურ ენებზე და ამ წყაროთა მეოხებით იკვლევდნენ მათთვის საინტერესო პერიოდის ისტორიის პრობლემებს. ამგვარი ვითარება ჩვენში გაგრძელდა 1884 წლამდე. კარლ განმა (1848—1925), თბილისის ვაჟთა პირველი გიმნაზიის კლასიკურ ენათა მასწავლებელმა, 1884 წელს რუსულ ენაზე გამოსცა «Известия древних греческих и римских писателей о Кавказе,»[34] ხოლო 1890 წელს ამ ნაშრომის მეორე ნაწილი. მისივე განცხადებით, ანტიკურ მწერალთა ცნობების გამოცემის იდეა დაბადებულა 1881 წელს თბილისში მოწვეულ მე-5 არქეოლოგიურ ყრილობაზე.

ეს იყო პირველი, თავის დროისათვის კარგი, წამოწყება ბერძნულ-რომაულ წყაროთა გამოცემის საქმეში. დ. ბაქრაძემ გამოაქვეყნა დადებითი რეცენზია[35], თუმცა მთარგმნელს მიუთითა მთელ რიგ ნაკლოვან მხარეებსა და აშკარა შეცდომებზე. მისი ერთ-ერთი არსებითი შენიშვნა შეეხებოდა კ. განის მიერ წყაროებით სარგებლობის საკითხს. კ. განის წყაროთა მონაცემებზეა არსებითად აგებული მ. ჯანაშვილის „ცნობანი ძველის მწერლობისა კავკასიაზედ“[36]. კ. განის ამავე თარგმანს ხშირად იყენებდა ა. ხახანაშვილიც[37]. ერთი სიტყვით, ბერძენ და რომაელ ავტორთა გამოცემით

---

[34] К. Ган. Известия... ч. 1. От Гомера до VI столетия по р. Христова, Тб., 1884. т. II. Византийские писатели. А. Лазика и Иберия, Тб., 1890. С латинского текста перевел К. Ган.

[35] Д. Бакрадзе. Древнейшие классические писатели о Кавказе. «Кавказ», 1884, № 272, 281—283.

[36] „იბერია“, № 8, 1885, გვ. 105—124.

[37] А. С. Хаханов. Древнейшие пределы расселения грузин по малой Азии, ЗКОИРГО, вып. 22, 1903, с. 14, 16, 17.

აშკარად კარგი საქმე გაკეთდა და მკვლევრებს შესაძლებლობა მიეცათ ფართოდ გაეშალათ მეცნიერული კვლევა-ძიება ქართველოლოგიაში.

კ. განის თარგმანის პირველი ნაწილი 248 გვერდისაგან შედგება და ქრონოლოგიურად გადმოგვცემს ბერძენ-რომაელ ავტორთა ცნობებს კავკასიის ხალხთა ისტორიაზე. მეორე ნაწილიც დიდი მოცულობისაა (XIV+215+10) და შეიცავს დიდძალ მასალას ბიზანტიელ ავტორთა ცნობებისას ლაზიკისა და იბერიის ეთნიკურ, გეოგრაფიულ, სოციალურ და პოლიტიკურ ისტორიაზე. ორივე ნაშრომს, კეთილსინდისიერად გამოცემულს ახლავს კარგად შედგენილი ანალიტიკურ-ალფავიტური საძიებლები. თუ მეორე ნაწილის დასაწყისშივე კ. განი გვაცნობს პირველწყაროს, რომლითაც უსარგებლია მას თარგმანზე მუშაობისას, ამას ვერ ვიტყვით პირველი ნაწილის შესახებ. ამიტომ სავსებით სამართლიანი იყო დ. ბაქრაძის რეცენზიაში მითითება იმაზე, რომ „დასანანია, რომ ავტორი თავის საგანს არ მიუდგა ისე, როგორც ეს საჭირო იყო. მან თავის „ცნობებს“ არ მიანიჭა მეცნიერული ხასიათი, იგი არ მიუთითებს წყაროებზე, რომლითაც სარგებლობდა. მისი სიტყვებიდან ჩანს, რომ იგი თავის ცნობებს იღებდა „დედნებიდან“... მაგრამ... ეს დედნები შეიცავენ სხვადასხვა ვარიანტებს, რომელთაგან ყველა ნდობას არ იმსახურებს“ (№ 283, გვ. 3).

აქედან ჩანს, თუ რამდენად კრიტიკულად მიუდგა დ. ბაქრაძე წყაროთა გამოყენების საქმეს. ეტყობა კ. განს გაუთვალისწინებია ქართველი ისტორიკოსის შენიშვნა და მეორე ნაწილის გამოქვეყნებისას (დასაწყისშივე) მიუთითებია წყაროზე — რუსი აკადემიკოსის ივანე შტრიტერის (1740—1801) თხზულება-თარგმანზე „Memoireae populorum“[38], რომელიც გამოსცა 4 ტომად. უკანასკნელ ტომში ქრონოლოგიური წესის დაცვით შესულია ბიზანტიელ ავტორთა (აგათია სქოლასტიკოსი, პროკოპი კესარიელი, კედრენე და სხვ.) ცნობები შავ და კასპიის ზღვებს შუა მცხოვრებ ხალხთა ისტორიაზე (ლაზეთი, აბასგია, მისიმიანეთი, აფშილეთი, ჭანეთი, სვანეთი, მესხეთი, ჯიქეთი, იბერია, ალბანია). არსებობს ამ ნაშრომის რუსული თარგმანიც[39]. სწორედ ამ წყაროთი უსარგებ-

[38] I. G. Strittero. Memoireal... Petropoli, т. IV, 1779.

[39] И. Штриттер. Сведения о народах, некогда живущих по Дону и около Черного моря, Азовского, на Кавказе, у Каспийского моря и даже к северу, заимствованные из писателей о византийской истории. СПб, т. IV, 1779.

ლია კ. განს. ი. შტრიტერის ნაშრომი საყოველთაოდ აღიარებული წყაროა ბიზანტიური ხანის კავკასიის ხალხთა ისტორიის შესწავლისათვის. იგი შეიცავს ორიგინალის (ლათინური) გარდა შენიშვნებს, კომენტარებსა და ისტორიულ და გეოგრაფიულ სახელწოდებათა მაჩვენებლებს (ინდექსებს). აკად. ვლადიმერ ბუზესკულის (1858—1931) სიტყვით, ი. შტრიტერის ნაშრომი „ეს კოლოსალური შრომაა, რომლის გარეშე დიდხანს შემდგომშიც გვერდს ვერ უხვევენ რუსულ და სლავურ სიძველეთა შესწავლაში. ასევე ამჟამადაც იგი ჯერ კიდევ შეუცვლელია სხვა რამ მსგავსით“[40].

რაც შეეხება კ. განის ნაშრომის პირველ ნაწილს, დ. ბაქრაძისა არ იყოს, ჩვენთვის უცნობია ის წყაროები, რომლითაც უსარგებლია მას. იგი არ მიუთითებს ძველ ავტორთა თხზულებების გამოცემათა იმ ვარიანტებზე, რომელნიც გამოუყენებია მას თავისი ნაშრომის შედგენისას. „ჩვენ გვეჩვენება, — წერს დ. ბაქრაძე, — რომ ავტორი გამოიყენებდა ბერძენ მწერალთა იმ ვარიანტს, რომელიც საუკეთესოდაა მიჩნეული. შესაძლებელია, ეს პირობა შეასრულა კიდევაც კ. განმა, მაგრამ იგი ამაზე ჩვენ არაფერს არ გვატყობინებს და ამიტომ ეჭვებში გვტოვებს“ (№ 283, გვ. 3).

მოკლედ, კ. განის ნაშრომი ბევრ ხარვეზს, შეცდომასა და უზუსტობას შეიცავს, მაგრამ მისი გამოქვეყნება, დ. ბაქრაძის სიტყვით, მაინც დადებითი მოვლენა იყო იმჟამინდელ კავკასიისმცოდნეობაში (283, გვ. 2).

კ. განის ნაშრომის პირველ ტომს ერთობ ვრცელი და ძალზე ობიექტური რეცენზია მიუძღვნა გამოჩენილმა რუსმა ანტიკოსფილოლოგმა, აკად. ვასილ ლატიშევმა (1855—1921). მან თავისი რეცენზია გამოაქვეყნა სახალხო განათლების სამინისტროს ჟურნალში[41]. ვ. ლატიშევის მიერ შენიშნული არსებითი ხასიათის ნაკლოვანი მხარეები ძირითადად ემთხვევა დ. ბაქრაძის შენიშვნებს, რაც სავსებით ბუნებრივი ჩანს. მისი არსებითი შენიშვნა შეეხება განისეულ წყაროთა გამოყენების საკითხს. „კ. განის მრავალ შეცდომათა შორის, უმთავრეს ნაკლად ჩვენ მაინც მიგვაჩნია ავტორთა დედნისეულ ტექსტთა არარსებობა“ (გვ. 98). ამიტომ ძნელდება იმის გარკვევა, თუ რა წყაროთი უსარგებლია მთარგმნელს (გვ. 100, შენ. I). სტრაბონის შესახებ კი სავსებით ცხადია, რომ შემდგე-

---

[40] В. Б у з е с к у л. Всеобщая история и ее представители в России в XIX и начале XX века. Часть первая, Л., 1929, С. 9.

[41] ЖМНП, № 5, 1885, გვ. 96—119.

ნელი „სარგებლობდა რომელიღაც ძველი და სუსტი გამოცემით“ (იქვე). ეს გარემოება შეუძლებელს ხდის ფრაზების თარგმანთა სიზუსტის შემოწმებას. სამწუხაროდ, რამდენადაც შესაძლებლობა გვქონდა შეგვემოწმებინა კ. განის თარგმანები, იმდენად მათი დამაკმაყოფილებლად ჩათვლა შეუძლებელია არა მარტო სიზუსტის მხრივ, არამედ ლიტერატურული დამუშავების თვალსაზრისითაც“ მაგრამ ამ ხარვეზთა მიუხედავად, ვ. ლატიშევის აზრით, კ. განის თარგმანს მაინც აქვს ერთგვარი მნიშვნელობა კავკასიისმცოდნეობისათვის და რომ მეორე ტომის გამოცემისას ძირითადი ნაკლი (წყაროებზე მითითება) დაძლეული იქნება.

დადებითად შეაფასა კ. განის ნაშრომი ლ. მელიქსეთბეგმაც[42]. იგი სამართლიანად მიუთითებს კ. განის ნაშრომის დადებით და სუსტ მხარეებზე და აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ კლასიკურ ენათა მასწავლებლის სუსტმა თარგმანმა რუსულ ენაზე მისცა ბიძგი ვ. ლატიშევს შეედგინა სანიმუშო გამოცემა „დედნისეულ ექსცერპტებში და რუსული თარგმანით „ძველ ბერძენ და ლათინელ მწერალთა ცნობები სკვითეთსა და კავკასიაზე“.

ამრიგად, კ. განის თარგმანს ისტორიულად ორი მნიშვნელოვანი მისიის შესრულება ხვდა წილად: უწინარეს ყოვლისა, როგორც პირველწყაროსი, მრავალ ნაკლოვანებათა მიუხედავად, მიზნად რომ ისახავდა კავკასიის ხალხთა უძველესი ხანის ისტორიის შესწავლას ანტიკური და ბიზანტიური ისტორიოგრაფიის მონაცემთა საფუძველზე. მეორე მხრივ, იმ მისიონერული როლის შესრულება, რომლის საქმიანობამ წარმოშვა ახალი იდეა ბერძნულ-რომაულ წყაროთა აკადემიური გამოცემისა კავკასიის ხალხთა შესახებ. ამ მხრივ მისი როლი მართლაც მნიშვნელოვანია.

2. ლიტერატურის მიმოხილვა

ქართულ ისტორიოგრაფიას თავისი არსებობის კარგა ხნის ისტორია აქვს. ამისდა მიხედვით მას რამდენიმე პერიოდად ყოფენ, რომელთა შორის განსაკუთრებული მნიშვნელობისაა XIX ს. ისტორიოგრაფია. ამ ხანამ ჩვენი ისტორიოგრაფიის წინაშე დასვა და თავისებურადაც გადაჭრა მრავალი საჭირბოროტო პრობლემა. მართალია, მის მიერ გამოკვლეული პრობლემები, უპირატესად სოციალ-

[42] Меликсет-Беков. К. Ф. Ган (некролог), ИКИАИ, Тб., Т. IV, 1926, с. 144—148.

ლურ-პოლიტიკური თუ ისტორიულ-კულტურული ხასიათისა, ყოველთვის მიაღები არაა ქართული საბჭოთა ისტორიოგრაფიისათვის მეთოდოლოგიური თვალსაზრისით და იგი ხშირად გულუბრყვილობა-მიამიტობის ნიშნებსაც ატარებს, ვიდრე მეცნიერულისას, მაგრამ ძნელად მოიძებნება ამჟამად რაიმე ისეთი ისტორიოგრაფიული საკითხი, რომ XIX ს. ქართულ საისტორიო მეცნიერებას მასზე თავისი შეხედულება არ გამოეთქვას.

დიდ ქართველ ისტორიკოსს ივ. ჯავახიშვილს განზრახული ჰქონდა გამოეკვლია XIX ს. ქართული ისტორიოგრაფია და ყველა მისი წარმომადგენლის შესახებ გამოეთქვა თავისი ძალზე კომპეტენტური თვალსაზრისი[43]. სამწუხაროდ, მას ამ კეთილშობილური საქმის წამოწყება არ დასცალდა, მან თავისი განზრახვა სისრულეში ვერ მოიყვანა. ამ მძიმე დანაკლისის მიუხედავად, მის მრავალრიცხოვან საისტორიო შემოქმედებაში ხშირად შეეხვდებით ხოლმე ავტორის ცალკეულ ფორმულირებებსა და მოკლე დახასიათებებს, რომლებიც ქმნიან სწორ წარმოდგენებს XIX ს. ქართული ისტორიოგრაფიის განვითარების გზებზე. ივ. ჯავახიშვილის სიტყვებით, საქართველოში „წარსული საუკუნის 90-იანი წლების დამლევამდე და შემდეგაც არსებითად უგეგმო, შემთხვევითი ხასიათის, ისტორიოგრაფია ბატონობდა“[44].

კრიტიკულად იყო განწყობილი ჩვენი მეცნიერი აგრეთვე XIX ს. ზოგიერთი ავტორის მიერ გამოყენებული წყაროებისადმი. მაგალითად, იგი არ იწყნარებდა თ. ბაგრატიონის ცნობებს საქართველოში გვაროვნულ წყობილებაში არსებულ ზოგიერთი ინსტიტუტის შესახებ[45]. მას მიაჩნდა, რომ თეიმურაზი პირდაპირ თხზავდა ანდა სხვა ხალხის მაგალითისამებრ ანალოგიის გზით გადმოჰქონდა ჩვენ სინამდვილეში გვაროვნული წყობილების ამსახველი სურათები (გვ. 4).

XIX ს. ქართული ისტორიოგრაფიის ერთ-ერთ დიდ წარმომადგენელს ივ. ჯავახიშვილმა მოცულობით პატარა (16 გვ.), მაგრამ შინაარსით ძალზე მნიშვნელოვანი მონოგრაფია უძღვნა[46]. ესაა პირველი მეცნიერული ნაშრომი ილ. ჭავჭავაძის ისტორიოგრაფი-

---

[43] ივ. ჯავახიშვილი. ისტ. მიზანი... გვ. 2, 13—14.

[44] ივ. ჯავახიშვილი. ი. ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორია. თბ., 1938, გვ. 5.

[45] И. Джавахов. Государственный строй древней Грузии и древней Армении. т. 1, СПб, 1905, с. 4.

[46] ივ. ჯავახიშვილი. ი. ჭავჭავაძე.... გვ. 16.

ულ შეხედულებათა თაობაზე. ამ ნაშრომის გამოქვეყნებით ქართულ ისტორიოგრაფიაში დაიწყო ახალი ეტაპი, სერიოზული კვლევა-ძიება პოეტის ისტორიულ შეხედულებათა შესწავლის მიმართულებით. ნაშრომში მიღებულია შემდეგი მნიშვნელოვანი დასკვნა: „ვინც მომავალში ქართული ისტორიოგრაფიის თავგადასავლის მე-19 ს. ამბების შესწავლასა და აღწერას შეუდგება, ის ვალდებული იქნება ისიც აღნიშნოს, რომ ილ. ჭავჭავაძე დიდებული იყო მარტო პოეზიასა და პუბლიცისტიკაში კი არა, ანდა კიდევ მარტო ვითარცა ახალი სალიტერატურო ქართულის შემქმნელიც კი არა, არამედ, რომ საქართველოს ისტორიოგრაფიაშიც მას ისეთი ღვაწლი ჰქონია, რომლის დავიწყების უფლება არც ერთ ქართველს არა აქვს“ (გვ. 16).

XIX ს. ქართულ ისტორიოგრაფიას მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობდა ს. ჯანაშია. გარდა ზოგადი სოციოლოგიური თვალსაზრისისა XIX ს. მეორე ნახევრის ქართულ ისტორიოგრაფიაზე, ძირითად ხაზებში რომ სწორად აშუქებს ეპოქის ისტორიულ მაჯისცემას[47], ს. ჯანაშიას გამოქვეყნებული აქვს საყურადღებო მონოგრაფია გიორგი შარვაშიძეზე[48]. აქ XIX ს. პირველი ნახევრის დასავლეთ საქართველოს პოლიტიკური და კულტურული ისტორიის გარდა, გადმოცემულია ავტორის თვალსაზრისი ისტორიკოს ნიკო დადიანის (გ. შარვაშიძე იყო მისი შვილიშვილი დედის მხრიდან) ისტორიოგრაფიულ ნაშრომებზე. ს. ჯანაშია სამართლიანად მიუთითებს, რომ ნ. დადიანის „ქართველთ ცხოვრებაში“ სამეგრელოს ისტორია განხილულია არა ვიწრო ქვეყნის ისტორიად. რომელშიც მხოლოდ თავისი კუთხის წარსულია გადმოცემული, არამედ ავტორის სახით ჩვენ ერთობლივი საქართველოს ისტორიის აღმწერელთან გვაქვს საქმე. მან შექმნა ვრცელი მონოგრაფია ერთიანი საქართველოს ისტორიაზე. კერძოდ, საყურადღებოა, ს. ჯანაშიას დასკვნა, რომ ნ. დადიანის „ქართველთ ცხოვრების“ ძირითადი ლეიტმოტივია საქართველოს ისტორიის მთლიანობაში წარმოდგენა, „სამეგრელოს ისტორიული სინამდვილე, — მისი სიტყვით, — ეს

---

[47] ს. ჯ ა ნ ა შ ი ა. საზოგადოებრივი მეცნიერებანი საბჭოთა საქართველოში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 20 წლის თავზე. „ენიმკის“ მოამბე, ტ. 1, თბ., 1937, გვ. XI—XL.

[48] ს. ჯ ა ნ ა შ ი ა. გიორგი შარვაშიძე. ნარკვევი აფხაზეთისა და სამეგრელოს კულტურული ისტორიიდან, მსკი, თბ., 1939, ნაკვ. III, გვ. 5—96; მისივე. გ. შარვაშიძე, ლირიკა, ეპოსი, დრამა, სოხუმი, 1946, გვ. 7—232. ჩვენთვის საინტერესო საკითხები, გვ. 36—38.

არის საქართველოს ისტორიის ძალთა მოქმედების მხოლოდ ადგილობრივი შედეგი. ავტორი, როგორც შვილი მამულისა, არის „ქართველთ ისტორიის“, და არა განთვითებული პროვინციული თავგადასავლის, მწერალი“ (გვ. 42).

ს. ჯანაშიამ პირველმა მიუთითა ნ. დადიანის თხზულების წყაროებზეც. ესაა „ქართლის ცხოვრება“ და დ. ბაგრატიონის ისტორიული „ნარკვევი“ დაბეჭდილი თბილისში 1800 წელს (გვ. 42). თანამედროვე ქართულმა ისტორიოგრაფიამ ძირითადად გაიზიარა ს. ჯანაშიას თვალსაზრისი ნ. დადიანის ისტორიულ შეხედულებათა შესახებ. გამოქვეყნებულ იქნა რამდენიმე წერილი და გამოკვლევა ისტორიკოსის ცხოვრებისა და საქმიანობის გარშემო[49].

ცალკე უნდა შევჩერდეთ ნ. დადიანის „ქართველთ ცხოვრების“ შ. ბურჯანაძისეულ გამოცემაზე[50]. იგი დაისტამბა თბილისში 1962 წელს, ხელნაწერთა ინსტიტუტის მიერ. ეს ნაშრომი აკადემიურადაა გამოცემული და წინასიტყვაობისა და ტექსტის გარდა, 8 თავისაგან შედგება, თითოეული თავი მრავალ ქვეთავადაა დაყოფილი. გარდა იმისა, რომ ჩვენ ხელთაა შესანიშნავი გამოკვლევა ნ. დადიანის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე, ტექსტს ახლავს კომენტარები (გვ. 213—245, სულ 515 კომენტარი).

XIX ს. ქართული ისტორიოგრაფიის მრავალი საკითხი განხილულია ნ. ბერძენიშვილის მოღვაწეობის უკანასკნელი წლების გამოკვლევებში. მართალია, მას არა ჰყავს კრიტიკულად განხილული XIX ს. რომელიმე ქართველი ისტორიკოსი, მაგრამ თავის ნაშრომებში ავტორი საგანგებოდ ჩერდება XIX ს. პირველი ნახევრის საქართველოს ისტორიის კულტურულ-პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ისტორიის საკითხებზე; ქართული ფეოდალუ-

---

[49] შ. მ ე ს ხ ი ა. ისტორიკოსი ნიკო დადიანი. გაზეთი „მებრძოლი“, № 27, 1941, გვ. 3; მ. დ უ მ ბ ა ძ ე. ისტორიკოსი დ. ბაქრაძე. გვ. 97—98; გ. ბ ა ხ ტ ა ძ ე. ისტორიკოსი ნიკო დადიანი. პუშკინის სახ. თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის „შრომები“, ტ. 17, 1963, გვ. 75—85; ი. მეუნარგიამ 1897 წელს გამოსცა ნ. დადიანის „დასტურლამა“. გვ. 3—40. აქვეა მოცემული მისი ცნობები ნ. დადიანზე. მასზე ლაპარაკია აგრეთვე თ. ჟორდანიას მიერ ქუთაისში 1898 წელს გამოცემულ ჭყონდიდელის „ქადაგების“ წინასიტყვაობაშიც, გვ. V—VI. ნ. დადიანის „ქართველთ ცხოვრების“ ცალკეული ადგილები თარგმნა ე. თაყაიშვილმა რუსულად მის «Описание рукописей»-ში, ტ. 1, ნაკვ. 1—4, თბ., 1904, გვ. 8—104.

[50] ნ ი კ ო დ ა დ ი ა ნ ი. ქართველთ ცხოვრება. თბ., 1962. ტექსტი გამოსცა, წინასიტყვაობა, გამოკვლევა, კომენტარები, საძიებლები და ლექსიკონი დაურთო შ. ბურჯანაძემ.

რი საზოგადოების აღიარებული სახელმძღვანელოს „ქართლის ცხოვრების“ ისტორიულ მნიშვნელობაზე; აღნიშნავს ამ ძეგლის ილიასეული კრიტიკის სამართლიანობას; XIX ს. ქართველ ისტორიკოსთა რომანტიკული გატაცების მიზეზებს და ქართველ ბურჟუაზიულ (დ. ბაქრაძე) ისტორიკოსთა როლს ქართველი ხალხის გათვითცნობიერების საქმეში[51]. შესაძლებელია ზოგი რამ მის შეხედულებებში ჩვენთვის მიუღებელი იყოს, საკითხის თაობაზე სხვა, უფრო დამაჯერებელი პასუხი მოიძებნოს, მაგრამ XIX ს. ქართულ ისტორიოგრაფიაზე მომუშავე მკვლევარი ნ. ბერძენიშვილის ნაშრომებს გვერდს ვერ აუვლის.

* * *

XIX ს. ქართული ისტორიოგრაფიის მეცნიერული შესწავლა ჯერ ისევ გასულ საუკუნეში დაიწყო. ამ მიმართებით პირველი ნაბიჯები დ. ბაქრაძემ გადადგა. მას გამოქვეყნებული აქვს საინტერესო წერილების სერია მ. ბროსეს დამსახურებაზე ქართულ წყაროთა შესწავლის საქმეში[52]. მ. ბროსეს ადგილი ქართველოლოგიაში კრიტიკულად განიხილა ნ. მარმაც[53].

ქართველი ისტორიკოსის დ. ბატონიშვილის პოლიტიკურ თვალსაზრისზე ყურადღებას ამახვილებდა კავკასიის სიძველეთა

---

[51] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი. სიტყვა 1941 წ. 12 ნოემბერს ივ. ჯავახიშვილის გარდაცვალების წლისთავის აღსანიშნავად მოწყობილ სხდომაზე. ენიმკის „მოამბე“ ტ. XIII, თბ., 1942, გვ. 263—267; მისივე. რეცენზია ა. კიკვიძის სადოქტორო დისერტაციაზე. ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. 1, თბ., 1955, გვ. 465—486; მისივე. სიტყვა... ისტორ. ინსტ. შრომები, ტ. V, ნაკვ. II, თბ., 1961, გვ. 161—165. მისივე. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობა და ქართული საბჭოთა ისტორიოგრაფიის ამოცანები. თბ., 1962, გვ. 3—14; მისივე, ქართული ისტორიოგრაფიის განვითარების მთავარი ხაზი (თეზისები), თბ., 1964, გვ. 3—13.

[52] დ. ბ ა ქ რ ა ძ ე. საქართველოს ისტორიის წყაროები. „ცისკარი“, № 2, 1857, გვ. 51—59; მისივე. Об источниках грузинской истории. «КК», 1857. 405—416; მისივე, შრომა ევროპელ სწავლულთა და განსაკუთრებით მ. ბროსესი ქართული საისტორო წყაროების შესწავლაში. „ივერია“, № 3, 1883, 38—51; მისივე. Статьи по истории и древностям Грузии. Прил. к V тому записок имп. Академии наук, СПб, 1887, с. I—II.

[53] Н. М а р р. К столетии со дня рождения. М. И. Броссе, ЗВОРАО, т. XIV., ნაკვ. I, СПб., 1902, გვ. 073—078.

ცნობილი შემკრები და ჟურნალისტი ა. ერიწოვი (1841—1902)[54]. იმ დროიდან მოკიდებული დ. ბატონიშვილის პოლიტიკური მრწამსისა და ისტორიოგრაფიული (თუ სხვა) შემოქმედება არ გამოდის მკვლევართა თვალთახედვის სფეროდან[55]. მათი კვლევა-ძიების ძირითად საკითხს დ. ბატონიშვილის პოლიტიკურ და ისტორიულ შეხედულებათა გარკვევა შეადგენდა. მრავალი მკვლევარი მას ვოლტერიანელად თვლიდა, თუმცა არასწორად ესმოდათ დავითის ვოლტერიანობა. სათანადო სამეცნიერო ლიტერატურაში ამჟამად სწორადაა ამოცნობილი დავითის ვოლტერიანობის საფუძველი (დ. ფურცელაძე, გ. ბახტაძე, ა. ბარამიძე). საქმე ისაა, რომ დავითის საზოგადოებრივ-პოლიტიკური თვალსაზრისი ემყარებოდა „განათლებული აბსოლუტიზმის“ იდეებს. ხოლო, ეს იდეა მას აღებული ჰქონდა ფ. ვოლტერისაგან. აქედან ცხადია დ. ბატონიშვილის სიმპათიები ფ. ვოლტერისადმი.

XIX ს. ქართული ისტორიოგრაფიის შესწავლა თანამედროვე ისტორიული მეცნიერების დონეზე შესაძლებელი გახდა მხოლოდ საქართველოში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ, რადგან ამ კვლევა-ძიებას სისტემატური და გეგმაზომიერი ხასიათი მიეცა. ცხადია, იმთავითვე ძალზე ძნელი იყო ძველი თაობის ქართველ ისტორიკოსთა დაახლოება მარქსისტულ-ლენინური მეთოდოლოგიის საფუძვლებთან, რადგან ზოგიერთი ისტორიკოსი კვლავინდებუ-

---

[54] А. Е р и ц о в. Грузинский наследный царевич Давид Георгиевич, «КВ», № 1, 1900, გვ. 84—90.

[55] დ. ბატონიშვილზე სრული ბიბლიოგრაფია იხ. შემდეგ გამოკვლევებში; ლ. ა ს ა თ ი ა ნ ი. ვოლტერიანობა საქართველოში. თბ., 1933, გვ. 63—76; ალ. ბ ა რ ა მ ი ძ ი ს რეცენზია ამ წიგნზე, „მნათობი“, № 7—8, 1934, გვ. 342—347; ტ. რ უ ხ ა ძ ე. დავით ბატონიშვილი და მისი ლიტერატურული მემკვიდრეობა. „ლიტერატურული ძიებანი“, ტ. I, თბ., 1943, გვ. 125—148; Р. Р. О р б е л и. Грузинские рукописи Института востоковедения АН СССР. М.-Л., 1956, გვ, 171. აქაა მითითება წყაროებზე. დ. ბაგრატიონი. საქართველოს სამართლისა და კანონმცოდნეობის მიმოხილვა, ა. როგავას რედაქციითა და გამოკვლევით, თბ., 1959, გვ. 5—218; გ. ბ ა ხ ტ ა ძ ე. დ. ბაგრატიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ისტორიული შეხედულებანი. პუშკინის სახ. თბ. სახელმწ. პედინსტიტუტის შრომები, ტ. 14, 1959, გვ. 227—242; სამართალი ბატონიშვილის დავითისა. ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა დაურთო დ. ფურცელაძემ, თბ., 1964, გვ. 5—44; დავით და იოანე ბაგრატიონის ლექსიკოგრაფიული ნაშრომები. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა და საძიებლები დაურთო ლ. ქუთათელაძემ. თბ., 1967, გვ. 10—46; ს. ბ ა რ ნ ა ვ ე ლ ი. დ. ბაგრატიონის საბეჭდავი. „ძველის მეგობარი“ № 9, 1967, გვ. 48—52. ა. ბ ა რ ა მ ი ძ ე. დ. ბაგრატიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ შეხედულებათა საკითხისათვის. „ცისკარი“, № 11, 1968, გვ. 129—138.

რად ბურჟუაზიულ თვალსაზრისზე იდგა. 20-იანი წლების შუა ხანებში ს. კაკაბაძე მიზნად ისახავს საქართველოში სახელმწიფოებრიობის წარმოშობის ისტორიის შესწავლას. მასვე ეკუთვნის პატარა მოცულობის წერილი მ. ბროსეზე, სადაც აღნიშნულია ფრანგი მეცნიერის როლი ქართული სიძველეების კვლევა-ძიებაში[56].

ქართული ისტორიოგრაფიის და, კერძოდ, ს. ბარათაშვილის ნაშრომთა მარქსისტული პოზიციებიდან შესწავლის ცდას წარმოადგენს გ. ნათაძის წიგნი: «Сулхан Баратов как историк Грузии»[57]. ს. ბარათაშვილის ღვაწლის შეფასებისას ავტორი ტენდენციურობას იჩენს. ივი ცდილობს მარქსისტული თვალსაზრისი დაინახოს ს. ბარათაშვილის ნაშრომებში. გ. ნათაძე იძლევა ტექსტის თვითნებურ და ნებისმიერ ინტერპრეტაციას და ამდენად, უპირველეს ყოვლისა, სცოდავს თვით მარქსისტული მეთოდოლოგიის წინაშე, რომელიც მეცნიერული განვითარების პროცესების ისტორიული თვალთახედვით შეფასებას გვასწავლის. მიუხედავად ასეთი სერიოზული ნაკლისა, ამ წიგნს თავისი მნიშვნელობა მაინც აქვს, რადგან მისი ავტორი ერთ-ერთი პირველთაგანია, რომელიც გაბედულად შეეცადა 30-იანი წლების ქართული ისტორიოგრაფიის კვლევაში მარქსისტული მეთოდოლოგია დაენერგა. მონოგრაფია მრავალ ფაქტობრივ მასალას შეიცავს და გვიხმარება ს. ბარათაშვილის საისტორიო შემოქმედების ზოგიერთი საკითხის სწორ გადაწყვეტაში.

გ. ნათაძის მონოგრაფიის გამოქვეყნების შემდეგ XIX ს. ქართული ისტორიოგრაფიის საკითხებზე მეცნიერულ კვლევა-ძიებას ხელს ჰკიდებს ა. გაწერელია. მისი მუშაობის ძირითადი ობიექტია პლატონ იოსელიანი, რომლის მონოგრაფია „ცხოვრება გიორგი მეცამეტისა" ა. გაწერელიას შესავალი წერილითა და რედაქციით გამოდის თბილისში 1936 წელს, თუმცა სტატია პ. იოსელი-

---

[56] С. Н. Какабадзе. Акад. М. Броссе и его значение в грузинской историографии. „საისტორიო მოამბე" წიგ. II, თბ., 1925, გვ. 120—122.

[57] Г. Натадзе, დასახ. ნაშრ., Тб., 1934, გვ. 104; ს. ბარათაშვილზე იხ. აგრეთვე: ვ. თულაშვილი. რამოდენიმე სიტყვა თავად სულხან ბარათაშვილზედ. „დროება", № 34, 1866, გვ. 3—4; თ. სახოკია. თ-დი ს. გერმანოზისძე ბარათაშვილი. „მოამბე", № 7, 1896, გვ. 1—46; სოლ. ცაიშვილი. ს. ბარათაშვილი. „დროშა", № 2, 1956, გვ. 19; მისივე. ლიტერატურული ნარკვევები (საქართველოს ისტორიის მკვლევარი). თბ., 1965, გვ. 13—19; ა. ბარამიძე. ისტორიკოსი ს. ბარათაშვილი. „ჩაცნე", ისტ. სერია, № 4, 1977, გვ. 188—195.

ანზე მან დაბეჭდა „მნათობში“ ჯერ კიდევ 1933 წელს[58]. აქაა შეკრებილი პირველი ბიოგრაფიული ცნობები ქართველ ისტორიკოსზე, დახასიათებულია მისი არქაული ენა და სტილი. ნაჩვენებია ის ბუნებრივი ურთიერთობა გრ. ორბელიანთან, რომელიც მრავალი წლის მანძილზე არსებობდა მათ შორის.

ა. გაწერელიას აზრით, პ. იოსელიანი არქირეაქციონერი ისტორიკოსია. მას ახასიათებს ერთგვარი სუბიექტივიზმი, მისი მსოფლმხედველობა ქრისტიანული რელიგიის სულისკვეთებითაა გამსჭვალული, თუმცა ავტორი განათლებული და ნიჭიერი მკვლევარია[59]. ასეთი აზრი გამოთქმული აქვს აგრეთვე ვ. გაბაშვილსაც[60].

ქართულ ისტორიოგრაფიაში პლ. იოსელიანის პრობლემა ძველთაძველია. მისი პიროვნებისა თუ ისტორიული კონცეფციის საკითხი ავტორის სიცოცხლეშივე იყო ცნობილი, თუმცა, ბუნებრივია, რომ პ. იოსელიანის გარდაცვალების შემდეგ (1875) ისტორიულ-ლიტერატურულმა ნარკვევებმა იმატა. მასზე წერდნენ ს. მესხი („დროება, № 134, 1875, გვ. 1); ა. ერიწოვი („Кавказ“, № 146, 1875, გვ. 2); ა. ჯამბაკურ-ორბელიანი (ხელნაწერი, ინახება ხელნაწერთა ინსტიტუტში, ამ ხელნაწერზე იხ. ჩვენი წერილი ა. ორბელიანის ერთი წერილის გამო. „ლიტერატურული საქართველო“, № 5. 1970, გვ. 2): ზ. ჭიჭინაძე (პ. იოსელიანი, თბ., 1893, გვ. 36); გ. ლეონიძე („თეატრი და ცხოვრება“, № 47, 1915, გვ. 4—5; იქვე ანონიმის წერილი, გვ. 12—13) და სხვები.

ჩვენ დროში პ. იოსელიანს შეეხებიან ლ. მელიქსეთ-ბეგი (ეპიზოდი პ. იოსელიანის ცხოვრებიდან. „ლიტერატურული საქართველო“, № 31, 1938, გვ. 4); ანდ. აბრამიშვილი (პ. იოსელიანის ბიოგრაფიისათვის, სტალინირის სახ. პედინსტიტუტის შრომები,

---

[58] ა. გ ა წ ე რ ე ლ ი ა. პლატონ იოსელიანი. „მნათობი“, № 6—7, 1933, გვ. 274—298. ეს წერილი თითქმის უცვლელად გადაბეჭდილია ა. გაწერელიას რჩეული ნაწერების 1 ტომში, თბ., 1962, გვ. 99—128. ვსარგებლობთ „ცხოვრების“ გვერდების აღნიშვნით.

[59] ა. გაწერელიას ეკუთვნის აგრეთვე პოლემიკური წერილები ს. დ. (სეით დევდარიანი) მიმართ, რომელმაც უარყოფითი რეცენზია გამოაქვეყნა პ. იოსელიანის მონოგრაფიაზე და მიუთითა, რომ ეს ისტორია ტყუილებითაა სავსე. ს. დ. ტყუილი ისტორია. „ლიტერატურული საქართველო“, № 5, 1937, გვ. 6; ა. გ ა წ ე რ ე ლ ი ა. პ. იოსელიანის „ცხოვრების“ გარშემო. პასუხი ს. დ-ს. „ლიტერატურული საქართველო“ № 6, 1937, გვ. 3, 6; ს. დ. პ. იოსელიანის „ცხოვრების“ გარშემო პასუხის საპასუხოდ. „ლიტერატურული საქართველო“, № 6, 1937, გვ. 6. უნდა აღინიშნოს, რომ ს.დ.-ს პოლემიკური წერილები ძალზე ტენდენციერია.

[60] Очерки истории исторической науки в СССР, т. I, М., 1955, с. 63.

ტ. III, 1956, გვ. 422—432. გადაბეჭდილია. ა. აბრამიშვილი. ლიტერატურული წერილები, თბ., 1968, გვ. 99—113. არსებობს რეცენზია ამ წიგნზე: ვ. სიდამონიძე. ერთი კრებულის ავ-კარგი. „წიგნის სამყარო". № 20, 1969, გვ. 6) ს. ხუციშვილი (ნ. ნეკრასოვი და პ. იოსელიანი. „ლიტერატურული გაზეთი", № 21, 1960, გვ. 4): თ. ბეგიაშვილი („ლიტერატურული გაზეთი", № 38, 1961) და მრავალი სხვა. მაგრამ ჩვენ მიერ ჩამოთვლილი ლიტერატურა მ ა ი ნ ც ვ ე რ ი ძ ლ ე ვ ა ს წ ო რ მ ე ც ნ ი ე რ უ ლ პ ა ს უ ხ ს პ. იოსელიანის პროვინებასა და მის შემოქმედებაზე. მკვლევრის როლი ქართული ისტორიოგრაფიის წინაშე ფრიად დიდია და ობიექტურ შემფასებელს ელის.

1938—39 წლებში, როგორც აღინიშნა, XIX ს. ქართული ისტორიოგრაფიის შესწავლა ერთბაშად მაღალ დონეზე ადის ივ. ჯავახიშვილისა და ს. ჯანაშიას სამეცნიერო მოღვაწეობის შედეგად. მათი დიდი ერუდიციის, განსაკუთრებული ისტორიული ალღოს, ფაქტების განზოგადების ბრწყინვალე უნარისა და კვლევა-ძიების მაღალი ტექნიკის მეოხებით ქართული საბჭოთა ისტორიოგრაფია არაჩვეულებრივად დიდ წარმატებას აღწევს. მათ გზას მიჰყვა მათივე გამოზრდილი ახალგაზრდა ქართველ ნიჭიერ ისტორიკოსთა მთელი თაობა (შ. მესხია, ვ. გაბაშვილი, კ. ცგრიგოლია, მ დუმბაძე, გ. მელიქიშვილი, ა. კიკვიძე, ი. ანთელავა. ი. კაჭარავა, პ. რატიანი, ზ. ანჩაბაძე), რამაც თავისი გამოხატულება ჰპოვა დიდ მონოგრაფიებში XIX ს. ქართველ ისტორიკოსებზე.

შ. მესხია აქვეყნებს საინტერესო გამოკვლევას პირველ ქართველ აკადემიკოს თეიმურაზ ბაგრატიონზე[61]. ავტორმა შეისწავლა XIX ს. პირველი ნახევრის რუსულ-ქართული ისტორიოგრაფიის ძირითადი მიმართულებანი, მოგვცა თ. ბატონიშვილის, როგორც ისტორიკოსის, დახასიათება და მიუჩინა მას თავისი კუთვნილი ადგილი ამ ისტორიოგრაფიაში. ქართველ ბატონიშვილს ახასიათებს წყაროთა გამოყენება და მათზე მითითება, სამეცნიერო აპარატურის მომარჯვება, სხვადასხვა წყაროთა (ისტორიული, ფოლკლორული) ურთიერთშეჯერება და მათი ანალიზის შედეგად ლეგენდარულის გამოყოფა ისტორიულისაგან და სხვ. ამასთან, თ. ბაგრატიონს „ევერიის ისტორიაში" შემოაქვს მითი არგონავტებზე და იყენებს ჰეროდოტეს „ისტორიაში" დაცულ მოთხრობას სეზოსტრი-

---

61 შ. მ ე ს ხ ი ა. თეიმურაზ ბატონიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა. მსკი, ნაკვ. I, თბ., 1939, გვ. 19—78.

სის მიერ კოლხეთის ქვეყანაში ლაშქრობის შესახებ. ესაა სავსებით ახალი ფაქტობრივი წყარო და იგი გამოყენებულია საქართველოს უძველესი ხანის ისტორიის შესწავლისათვის.

1811 წლიდან, ე. ი. თეიმურაზის პეტერბურგში დამკვიდრების დროიდან, იწყება ამ შესანიშნავი მეცნიერის განსაკუთრებით ნაყოფიერი მწერლობის ხანა. მთელი თავისუფალი დრო ჩვენმა თანამემამულემ მიუძღვნა საქართველოს ისტორიის მასალების შეგროვებისა და მათი შემდგომი მეცნიერული დამუშავების საპატიო საქმეს. მისი ხანგრძლივი მუშაობა საქართველოს ისტორიაში დაგვირგვინდა ვრცელი მონოგრაფიით — „ისტორია ივერიისა" (სპბ., 1848, გამოსცა დ. ჩუბინაშვილმა).

თ. ბაგრატიონი ფართო თემაა ქართული ისტორიოგრაფიისა. შ. მესხიას გარდა, მის შემოქმედებას იკვლევდნენ სხვა ქართველი ისტორიკოსები[62], ფილოლოგები[63] და გეოგრაფოსები[64]. თავის დროზე საყურადღებო წერილი მიუძღვნა მას ა. ხახანაშვილმაც[65]. ამ ნაშრომებში თ. ბატონიშვილი ჩვენ წარმოგვიდგება როგორც ფართო გაქანების ერუდიტი ისტორიკოსი და საზოგადო მოღვაწე. მთელი მისი დაუღალავი შრომა მიმართული იყო ქართველთა განათლებისა და გათვითცნობიერების კეთილშობილური საქმისადმი.

---

[62] მ. დუმბაძე. დასახ. ნაშრ., გვ. 99—100; ა. კიკვიძე. XIX ს. ქართული ისტორიული აზროვნება. მსკი, ნაკე. 9, თბ., 1951, გვ. 1—2; Очерки. ტ. I, М., 1955, გვ. 637 (წერილის ავტორია ვ. გაბაშვილი); Р. Р. Орбели, დასახ. ნაშრ., გვ. 174—175. აქაა მითითება თეიმურაზსა და მის ნაშრომებზე. ა. აბრამიშვილი. ლიტ. წერილები. გვ. 64—77, 78—85. ა. ბარამიძე. თ. ბაგრატიონი და პირველყოფილ-თემური წყობილების საკითხი ქართველ ტომებში. საქართველოს მეცნ. აკად. „მოამბე", ტ. XXVI, № 5, 1961, გვ. 631—638.

[63] კატალოგი წიგნთსაცავისა თ. ბატონიშვილისა. თბ., 1948, დაამზადა გამოსაცემად, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ს. ორდანიშვილმა. Р. Р. Орбели. Из криптографированных записей Теймураза Багратиони. УЗИВ, т. XVI, М.-Л., 1858, გვ. 393—403; თ. ბაგრატიონი. განმარტება პოემა ვეფხისტყაოსნისა, თბ., 1960. გ. იმედაშვილის რედაქციით, გამოკვლევითა და საძიებლით; ქ. ცხადაძე. თ. ბატონიშვილის „ივერიის ისტორიის" ერთი ქართული წყაროს შესახებ. თბილისის უნივერსიტეტის შრომები, ტ. 93, თბ., 1960, გვ. 261—276; გ. შარაძე. თ. ბაგრატიონი. ტ. I, თბ., 1972, ტ. II, თბ., 1974; მისივე. თ. ბაგრატიონი ბიბლიოგრაფი და კოლექციონერი. თბ., 1974. აქვეა უახლესი ლიტერატურა თეიმურაზზე.

[64] ნ. ილაშვილი. მოგზაური თეიმურაზ ბაგრატიონი. „მეცნიერება და ტექნიკა", № 11, 1954, გვ. 39—41; გ. ზარდალიშვილი. გამოჩენილი ქართველი მოგზაურები. თბ., 1958, გვ. 74.

[65] ა. ხახანაშვილი. თ. ბატონიშვილის საბიბლიოგრაფიო მასალად. „სავაკრო გზა", № 17, 1908, გვ. 3.

რაც შეეხება გვაროვნული წყობილების პრობლემას, მასზე მრავალმა ქართველმა ისტორიკოსმა გამოთქვა თავისი აზრი. უწინარეს ყოვლისა, ამ საკითხს შეეხო ივ. ჯავახიშვილი, რომელმაც აღნიშნა თეიმურაზის თვალსაზრისის მეცნიერული მნიშვნელობა ქართული ისტორიოგრაფიისათვის, თუმცა გამოთქვა სკეპტიკური შეხედულება ავტორის წყაროებზე საქართველოში გვაროვნული წყობილების შესახებ. ივ. ჯავახიშვილი თეიმურაზის თეორიას უსაფუძვლოდ ანდა სხვა ხალხთა მაგალითის გავლენით ხსნიდა. კერძოდ, მას სათუოდ მიაჩნდა თეიმურაზის მითითება არჩეულთა საბჭოს, სახალხო კრებისა და სასამართლოს წარმოების წესზე[66]. ივ. ჯავახიშვილზე გაცილებით უფრო ადრე თეიმურაზის ამ ცნობის სანდოობის საკითხს შეეხო დ. ბაქრაძე, რომელმაც აღნიშნა, რომ ბატონიშვილის მასალები მამასახლისობის ინსტიტუტზე „არ ვიცით საიდამ არის გადმოწერილი, მაგრამ კი ეთანხმება თავის საგანსა, რადგანაც მსგავსივე გამგეობა დარჩენილია ძველთაგან აქამომდე მთიელ ქართველებში"[67]. დ. ბაქრაძის ეს თეზისი საყურადღებო და მნიშვნელოვანია.

მიუხედავად იმისა, რომ ივ. ჯავახიშვილი თეიმურაზის წყაროთა მიმართ აშკარა ეჭვს გამოთქვამდა, მას მაინც ქართველ ტომთა უძველესი ეპოქის თეიმურაზისეული სურათი ძალზე საინტერესოდ და უმეტეს შემთხვევაში გამართლებულად მიაჩნდა (იქვე).

ივ. ჯავახიშვილის ეს მოსაზრება ძირითადად გაიზიარა აგრეთვე ივ. სურგულაძემ, თუმცა იგი იმედოვნებს, რომ შესაძლებელია აღმოჩნდეს ის წყარო, რომელმაც საფუძველი მისცა თეიმურაზს ასეთი საინტერესო კონცეფციის შემუშავებაში[68].

თეიმურაზ ბატონიშვილისადმი ივ. ჯავახიშვილის ამგვარი სკეპტიკური დამოკიდებულება არ გაიზიარეს ნ. მარრმ[69], გ. სოსელიამ[70] და შ. მესხიამ. საკითხის გარშემო საერთო მსჯელობის გარდა, შ. მესხიას მოაქვს დ. ბაქრაძის ცნობა იმის თაობაზე, რომ თეიმუ-

---

[66] И. А. Джавахов. Государственный строй... გვ. 4.

[67] დ. ბაქრაძე. ისტორია საქართველოსი. თბ., 1889, გვ. 61.

[68] ივ. სურგულაძე. სახელმწიფოს წარმოშობა საქართველოში. თბ., 1951, გვ. 15.

[69] Н. Марр. Рец. на раб. И. А. Джавахова «О гос. строе», ЖМНП, часть XV, № 5, 1908, გვ. 202—203.

[70] გ. ქ. სოსელია. სახელმწიფოს წარმოშობის საკითხისათვის. თბ., 1934, გვ. 49—50.

რაზს დაწერილი ჰქონია „სპეციალური ნარკვევიც ამავე საკითხზე: „ძველი საქართველოს შინაგანი წყობის შესახებ“[71].

სამწუხაროდ, ჯერჯერობით დაკარგულად ითვლება თეიმურაზის ხელნაწერი ნაშრომი, რომელიც გარკვეულ შეხედულებას შეგვიქმნიდა ავტორის მიერ გამოყენებულ წყაროთა სანდოობაზე, და რომელიც მას, როგორც ირკვევა, დასაბეჭდად გაუგზავნია საფრანგეთის სააზიო საზოგადოებისათვის (ამ ცნობას გადმოგვცემს დ. ბაქრაძე)[72]. ამიტომ ჩვენ სავსებით ვეთანხმებით შ. მესხიას, რომ ძნელი დასაჯერებელია თეიმურაზს ეს ნაშრომი არარსებული მასალის ნიადაგზე შეეთხზას.

1950 წელს აჭარის სახელმწიფო გამომცემლობამ გამოაქვეყნა მ. დუმბაძის მონოგრაფია „ისტორიკოსი დიმიტრი ბაქრაძე“[73]. ეს ნაშრომი ბევრნაირად იქცევს ჩვენს ყურადღებას. უწინარეს ყოვლისა, დ. ბაქრაძეს თავისი უანგარო და პატრიოტული შრომით დიდი ხანია დამსახურებული აქვს პატივი, რათა ქართულ ისტორიოგრაფიას აღენუსხა მისი ღვაწლი სამშობლოს წინაშე. მ. დუმბაძეს დ. ბაქრაძის ცხოვრება, საზოგადოებრივი მოღვაწეობა და სამეცნიერო საქმიანობა განხილული აქვს XIX ს. მეორე ნახევრის ფართო ისტორიულ ფონზე. ისტორიკოსი წარმოგვიდგება როგორც აქტიური მებრძოლი თავისი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა. როგორც ისტორიკოსი დ. ბაქრაძე გაცილებით უფრო მაღლა დგას, ვიდრე მისი უშუალო წინამორბედი თუ თანამედროვე ისტორიკოსი. ამ ისტორიოგრაფიული საკითხისადმია მიძღვნილი ავტორის ნაშრომის მე-2 თავი (ისტორიოგრაფიული შესავლის მაგიერ). აქ მოკლედ, სულ რაღაც 14 გვერდზე, შეჯამებულია XIX ს. ქართული ისტორიოგრაფიის უმთავრესი მიღწევები დ. ბაქრაძემდე. ეს თავი მნიშვნელოვნად განსაზღვრავს თვით დ. ბაქრაძის როლისა და ადგილის საკითხს XIX ს. ქართულ ისტორიოგრაფიაში.

---

[71] შ. მ ე ს ხ ი ა. დასახ. ნაშრ., გვ. 68.

[72] Д. З. Б а к р а д з е. Статьи по истории..., с. 210.

[73] დ. ბაქრაძეზე დიდძალი ლიტერატურა არსებობს; მივუთითებთ ზოგიერთზე: Очерки, т. II, М., 1960, გვ. 753—757, 760—761; ი. კ ა ჭ ა რ ა ვ ა, ქართული ისტორიოგრაფიის საკითხები. თბ., 1962, გვ. 13—14, 16, 20—27, 29—30, 33—34, 66, 178, 203—204; П. Р а т и а н и. Национально-освободительное движение...„მაცნე“, № 6, 1964, გვ. 91; А. Б а р а м и д з е. Историк, археолог, этнограф. «Вечерний Тбилиси», № 43, 1965; გვ. 4; გ. ჯ ა ბ უ რ ი ა. ერისშვილი. „კომუნისტი“, № 53, 1970; გვ. 4; ა. ბ ა რ ა მ ი ძ ე. დ. ბაქრაძე. „მაცნე“, ისტ. სერ. № 4, 1976, გვ. 191—199.

ამრიგად, დ. ბაქრაძემ თავისი მოღვაწეობის უმთავრეს საგნად დაისახა საქართველოს ისტორიის შესწავლა. ქართველი ხალხის ცხოვრებაში ესაა ახალი ხანა, ბურჟუაზიული ურთიერთობის ხანა. იმჟამად ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ახალ საფეხურზე ავიდა. დ. ბაქრაძე ილიასთან ერთად და მის მხარდამხარ იბრძოდა ქართველი ხალხის უკეთესი მერმისისათვის, თუმცა მას ეს ბედნიერება არ მოსწრებია. ქართულ ისტორიოგრაფიაში მისი საქმე დიდმა ილიამ განაგრძო.

მიმდინარე საუკუნის 40-იანი წლების შუა ხანებიდან ქართულ ისტორიოგრაფიაში მტკიცედ იკიდებს ფეხს ი. ჭავჭავაძის როლის პრობლემა საქართველოს ისტორიის კვლევაში. ცხადია, ესაა გაგრძელება ივ. ჯავახიშვილის მიერ დაწყებული საქმისა. ამ დროს ი. ჭავჭავაძის მოღვაწეობისა და აზროვნების საკითხებზე მუშაობა დაიწყო პ. რატიანმა. მან რამდენიმე მონოგრაფია მიუძღვნა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მედროშეს და 1965 წელს თბილისში გამოცემულ კაპიტალურ ნაშრომში „ილია ჭავჭავაძე“ (655 გვ.) შემდგომ განავითარა თავისი ახალი თვალსაზრისი ილიას მსოფლმხედველობის შესახებ. პ. რატიანის აზრით, ი. ჭავჭავაძე გლეხობის იდეოლოგია, მაშასადამე, რევოლუციონერი დემოკრატია. მისი ძირითადი საზოგადოებრივი შეხედულება სიახლოვეს იჩენს მარქსიზმთან, თუმცა იგი ვერ ამაღლდა მის დონემდე.

ქართულ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში კარგადაა გაშუქებული ი. ჭავჭავაძის ისტორიოგრაფიული შეხედულებანი, ამ თემაზე სპეციალური გამოკვლევები გამოაქვეყანეს ა. იოსელიანმა[74] და ა. კიკვიძემ[75]. მათ აჩვენეს, რომ ილიას ისტორიოგრაფიულ შეხედულებებს საფუძვლად ედო დ. ბაქრაძისა და მ. ბროსეს გამოკვლევები.

განსაკუთრებით დიდია მ. ბროსეს დამსახურება ქართული ისტორიოგრაფიის წინაშე. მისი მრავალფეროვანი და მდიდარი შემოქმედება კარგა ხანია ქართველოლოგთა შეუნელებელი ყურადღების საგნად იქცა. დ. ბაქრაძეს, ნ. მარს, ს. კაკაბაძეს, მ. დუმბაძეს, ა. კიკვიძესა და რ. ორბელს მხარში ამოუდგნენ ახალი თაობის ქართველი ფილოლოგები და ისტორიკოსები.

1962 წელს ფრანგული ფილოლოგიის მკვლევარმა რ. დოდაშვილმა გამოაქვეყნა წიგნი „მარი ბროსე — ქართული მწერლო-

---

[74] ავთ. ი ო ს ე ლ ი ა ნ ი. ი. ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორიის საკითხები (ქართული საზოგადოებრივი აზრის ისტორიიდან). თბ., 1951.

[75] ა. კ ი კ ვ ი ძ ე. დასახ. ნაშრ., გვ. 8—19.

ბის მკვლევარი". ბიოგრაფიული ცნობების გარდა, აქ განხილულია მ. ბროსეს საქმიანობა პარიზსა და პეტერბურგში. კერძოდ, რ. დოდაშვილს აინტერესებს ფრანგი მეცნიერის დამოკიდებულება ქართული ენისა და ლექსიკოგრაფიისადმი, ქართული კლასიკური და აღორძინების პერიოდის ლიტერატურისადმი და XIX ს. ქართული ლიტერატურისადმი. ავტორმა საგანგებო თავი მიუძღვნა მ. ბროსეს ღვაწლს ქართულ ისტორიულ წყაროთა გამოცემის საქმეში.

ამ სასარგებლო წიგნს 1966 წელს შეემატა შ. ხანთაძის მონოგრაფია „მარი ბროსე" (ისტორიოგრაფიული ნარკვევი). ავტორს კარგად აქვს ნაჩვენები, თუ რა დიდი ენთუზიაზმი, ქართული კულტურისადმი ცხოველმყოფელი ინტერესი და სიყვარული იყო საჭირო, რომ მ. ბროსეს პარიზში სრულიად დამოუკიდებლად შეესწავლა ქართული ენა. ეს სიყვარული ქართული კულტურისადმი მას მოჰყვა პეტერბურგამდეც და არასდროს არ უღალატია მისთვის.

შ. ხანთაძის მონოგრაფია შესავლისა და ბიბლიოგრაფიის გარდა ოთხი ძირითადი თავისაგან შედგება. ძნელია ამ თავებიდან რომელიმეს განსაკუთრებული გამოყოფა, ყველა ისინი დიდი სითბოთი და ზედმიწევნითი გულისხმიერებითაა შედგენილი[76].

მონოგრაფიას წინ უწრებდა ავტორის პატარა წერილი მ. ბროსეზე[77]. მანვე გამოაქვეყნა არქეოლოგ დ. მეღვინეთუხუცესიშვილისა[78] და პოეტ რ. ერისთავის მიმოწერა ფრანგი მეცნიერისადმი[79]. შ. ხანთაძეს გამოქვეყნებული აქვს აგრეთვე წერილი ვ. ბაგრატიონის პოლიტიკურ შეხედულებათა შესახებ[80]. მან გაარკვია, რომ ამ უკანასკნელის პოლიტიკური თვალსაზრისი გამოხატავდა ცენტრა-

---

[76] არჩ. ბ ა რ ა მ ი ძ ე. წიგნი ფრანგ ორიენტალისტზე. „ლიტერატურული საქართველო", № 8, 1967, გვ. 2.

[77] შ. ხ ა ნ თ ა ძ ე. აკადემიკოსი მარი ბროსე. „ცისკარი", № 1, 1960, გვ. 107—111.

[78] შ. ხ ა ნ თ ა ძ ე. დ. მეღვინეთუხუცესიშვილის წერილები მ. ბროსესადმი. „საისტორიო მოამბე", № 6, 1952, გვ. 1—32.

[79] შ. ხ ა ნ თ ა ძ ე. რ. ერისთავისა და მ. ბროსეს მიმოწერა. „ლიტერატურა და ხელოვნება", № 1, 1952, გვ. 4. შ. ხანთაძის გარდა მ. ბროსესადმი ქართველ ისტორიკოსთა მიმოწერა გამოსცეს ს. ყუბანეიშვილმა (პ. იოსელიანის წერილები მ. ბროსესადმი. ბათუმის პედინსტიტუტის შრომები, ტ. I, 1941, გვ. 149—201. თ. ბაგრატიონის წერილები აკად. მ. ბროსესადმი. თბ., 1964) და შ. ვაშაყმაძემ. რ. ერისთავის წერილები აკად. მ. ბროსესადმი. „ლიტერატურული ძიებანი", ტ. IX, 1955, გვ. 409—424.

[80] შ. ხ ა ნ თ ა ძ ე. ქართული პოლიტიკური აზროვნება XVIII—XIX საუკუნეთა მიჯნაზე. „მნათობი", № 12, 1962, გვ. 163—169.

ლური ხელისუფლებისათვის მებრძოლთა, სახელმწიფოს ცენტრალიზაციის მომხრეთა პოლიტიკას.

1956 წელს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილებამ გამოსცა ცნობილი ქართველოლოგის, ფილოგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის, რუსუდან ორბელის ნაშრომი: «Грузинские рукописи Института востоковедения Академии наук СССР» (პირველი ნაკვეთი). მასში მოთავსებულია 161 დასახელების ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (ისტორია, გეოგრაფია, მოგზაურობა, არქეოლოგია, კანონმდებლობა, ფილოსოფია, ენათმეცნიერება, ბიბლიოგრაფია). ნაშრომის შესავალში ავტორი გვაცნობს ამ ხელნაწერთა წარმოშობისა და მათი შემდგომი ბედის ისტორიას. მოგვითხრობს ქართულ ხელნაწერთა კატალოგების შედგენის ამბებს. შესავალი დაზღვეულია არა მარტო მშრალი აღწერილობითი მეთოდისაგან, რაც ახასიათებს ხოლმე ამ სახის ნაშრომთა უმრავლესობას, არა ბიბლიოგრაფიულ ცნობათაგან, არამედ მდიდარი, საკითხის ღრმა ცოდნითა და სიყვარულით დაწერილი გამოკვლევაა. იგი ამომწურავ პასუხს იძლევა ხელნაწერთა შესახებ და ხელს გვიწყობს ქართველ ავტორთა ნაშრომების მოპოვებაში.

1956 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა გამოსცა წიგნი „მოსე ჯანაშვილი". ესაა ჯერჯერობით ერთადერთი ნაშრომი ცნობილი ქართველი ისტორიკოსის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე. ამ წიგნში მოთავსებულია კ. გრიგოლიას წერილი „მოსე ჯანაშვილი როგორც საქართველოს ისტორიის მკვლევარი" (გვ. 14—25)[81], სადაც დასაბუთებულია ის აზრი, რომ მ. ჯანაშვილის სახით ჩვენ მეთოდოლოგიურად პროგრესულ ისტორიკოსთან გვაქვს საქმე. მისი ისტორიოგრაფიული თვალსაზრისი მარქსიზმს უახლოვდება, რამდენადაც მას შინაგანი ისტორიის საკითხების შესწავლა აინტერესებდა და მიზეზშედეგობრივი კავშირის ძიება იზიდავდა. მ. ჯანაშვილი რევოლუციურ-დემოკრატიული მიმართულების ისტორიკოსადაა მიჩნეული[82].

პროგრესული მიმართულების მკვლევარი იყო აგრეთვე ა. ხახანაშვილიც. მისი ისტორიოგრაფიული შემოქმედება გამოირჩევა არაჩვეულებრივი მრავალფეროვნებით და საქართველოს ისტორი-

---

[81] „ქართული ისტორიოგრაფიის" (წიგ. 2) კრებულში დაბეჭდილია (თბ., 1971, გვ. 126—135) ს. ჯანაშიას წერილი (1930) „მოსე ჯანაშვილი".

[82] П. Ратиани. დასახ. ნაშრ., გვ. 91.

ის ყველა პერიოდს მოიცავს. მას განსაკუთრებით აინტერესებდა საქართველოში გვაროვნული წყობილებისა და ფეოდალიზმის პრობლემა. გვაროვნული წყობილების შესწავლისადმი მას მრავალი ნაშრომი აქვს მიძღვნილი, რომლის კვლევა-ძიებას აწარმოებდა იგი ფ. ენგელსის „ცნობილი წიგნის „ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობის“ მიხედვით[83].

რაც შეეხება ქართული ფეოდალიზმის პრობლემას, იგი მას ძირითადად საეკლესიო გუჯრების ანალიზის მეოხებით სწავლობდა. მას მიაჩნდა, რომ გუჯრების განახლება და მეფის უმაღლესი მამულის ყურისგდება ფეოდალიზმის საფუძველს შეადგენდა. ამასთან, ა. ხახანაშვილს ანალოგიების გზით მექანიკურად გადმოჰქონდა ქართულ სინამდვილეში ბიზანტიური ფეოდალიზმის თავისებურება[84].

ა. ხახანაშვილის ისტორიოგრაფიული შეხედულებანი გარჩეული აქვს შ. ბადრიძეს[85]. ხოლო, საერთოდ, მისი ქართველოლოგიური საქმიანობა კარგადაა შესწავლილ-გაშუქებული[86].

1967 წელს ლიტერატურათმცოდნე ნ. მახათაძემ გამოაქვეყნა მონოგრაფია „ქართული კულტურის კერა პეტერბურგში“. მას საყურადღებო მასალები აქვს შეგროვილი ქართველ ისტორიკოსებზე — დ. ბაგრატიონზე, თ. ბაგრატიონზე და პ. იოსელიანზე. ეს წიგნი დიდ სარგებლობას მოუტანს ქართველ ისტორიკოსებს.

1971 წელს გამომცემლობა „ნაკადულმა“ გამოაქვეყნა კ. კინწურაშვილის პატარა წიგნი: „დავით ჩუბინაშვილი“. მასში პოპულარულადაა გადმოცემული გამოჩენილი ქართველი ლექსიკოგრაფის დ. ჩუბინაშვილის ქართველოლოგიური მოღვაწეობა. წიგნი კარგადაა დაწერილი და დიდი ინტერესით იკითხება. ამავე ავტორს გამოქვეყნებული აქვს საჟურნალო და საგაზეთო წერილები ქართ-

---

[83] ა. ბ ა რ ა მ ი ძ ე. ა. ხახანაშვილი და პირველყოფილ-თემური წყობილების საკითხები ქართველ ტომებში. საქართველოს სსრ მეცნ. აკად. „მოამბე“, ტ. XXXIV: 3, 1964, გვ. 737—744.

[84] ა. ხ ა ხ ა ნ ა შ ვ ი ლ ი. გუჯრები. ქუთაისი, 1891, გვ. I—XXXI.

[85] შ. ბ ა დ რ ი ძ ე. ქართველთმცოდნეობის გამოჩენილი მოკვლევანი. თბ., 1968.

[86] А. Н. Джавахов. А. С. Хаханов и его деятельность в области Кавказоведения. «ЭО», № 3—4, 1912, გვ. 18—48; შ. გ ო ზ ა ლ ი შ ვ ი ლ ი. ა. წულუკიძის მიწერ-მოწერა ა. ხახანაშვილთან. „დროშა“, № 6, 1952, გვ. 10; მისივე. ა. სოლომონის ძე ხახანაშვილი (ცხოვრება და მოღვაწეობა). ახალი ქართული ლიტერატურის საკითხები. ტ. I, თბ., 1969, გვ. 194—228.

ველ მეცნიერზე[87]. დ. ჩუბინაშვილის სამეცნიერო მოღვაწეობის შესწავლას საფუძველი ჩაეყარა ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში[88].

ამრიგად, ჩვენ მიმოვიხილეთ XIX ს. ქართულ ისტორიოგრაფიაზე არსებული სამეცნიერო ლიტერატურა. ამ უკანასკნელმა ჩვენ დაგვარწმუნა, რომ საძიებელი პრობლემა მრავალი მკვლევრის განსაკუთრებული ყურადღების საგანს შეადგენდა. ამ გარემოებამ ჩვენ მნიშვნელოვნად შეგვიწყო ხელი; ზოგიერთი ქართველი ისტორიკოსი კარგადაა შესწავლილი თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში, თუმცა მკვლევართა თვალსაზრისი ჩვენთვის ყოველთვის როდი იყო მისაღები. მაგრამ, რაკი ნაშრომი თავისთავად არსებობდა, ამ შემთხვევაშიც ჩვენი კვლევის მიზნის განხორციელება მაინც ადვილდებოდა. ქართულ ისტორიოგრაფიაში დარჩნენ ისტორიკოსები, რომლებიც სუსტად, ანდა თითქმის სრულიად არ არიან შესწავლილ-გამოკვლეულნი, აქ კი ჩვენ გვიხდებოდა გაუტეხელი ყამირის აღება, არას ვამბობთ იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს ძველი და შუა საუკუნეების ისტორიის ისტორიოგრაფიული პრობლემატიკის კვლევა-ძიება თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში შეუსწავლელი თემაა.

---

[87] კ. კ ი ნ წ უ რ ა შ ვ ი ლ ი. დ. ჩუბინაშვილი და ქართველი საზოგადოებრიობა. „მნათობი“, № 10, 1969, გვ. 169—174; მისივე. დ. ჩუბინაშვილი. „ახალგაზრდა კომუნისტი“, № 56, 1966, გვ. 3; მისივე, მშობლიური ენის, სიტყვიერების მოჭირნახულე. „ახალგაზრდა კომუნისტი“, № 130, 1964, გვ. 4.

[88] ანონიმი. Об ученых трудах Д. И. Чубинова. СПб., 1890, გვ. I—VIII. ვ. ბ ე რ ი ძ ე. დ. ჩუბინაშვილი. თბ. უნივერსიტეტის შრომები, № V, 1936, გვ. 347.

მ ე ო რ ე თ ა ვ ი

მასალები ქართველი ხალხის ეთნოგენეზის პრობლემისათვის XIX ს. ქართულ ისტორიოგრაფიაში

XIX ს. პირველი ნახევრის ქართულ ისტორიოგრაფიაში ხალხთა წარმოშობის (ეთნოგენეზი) საკითხი ნაკლებ ემყარებოდა მეცნიერულად საბუთ ანალიზით მოპოვებულ ფაქტებსა და დასკვნებს. ეს შეეხება არა მარტო ქართულ ისტორიოგრაფიას, არამედ მთლიანად აღებულს მის თანადროულ რუსულსა და დასავლეთევროპულ ისტორიოგრაფიასაც.

იმჟამად ხალხთა წარმოშობის თეორია სამ ძირითად მეთოდს ემყარებოდა: ა) გენეალოგიურ პრინციპს, ბ) წინაპართა პოვნისა და გ) წინარე სამშობლოს იდეას. პირველი გულისხმობს ამა თუ იმ ხალხის დაყვანას მისი ლეგენდარული ფუძემდებლის პიროვნებამდე. ამგვარი მეთოდი გამოყენებულია „ბიბლიის“ ავტორთა და ზოგიერთი ანტიკური მწერლის მიერ. იგივე პრინციპი სახეზე გვაქვს ლეონტი მროველის კონცეფციაშიც ქართველთა წარმოშობის შესახებ.

წინაპართა პოვნის მეთოდი, პირველთან შედარებით, უფრო საფუძვლიანია და მიზნად ისახავს ამა თუ იმ ხალხის გაიგივებას რომელიმე უძველეს ეთნოსთან, წინაპართან. ასე იქცეოდნენ, მაგალითად, ქართველთა მიმართ XIX ს-ში. იმჟამად ფართო გასაქანი ჰპოვა იდეამ, რომ ქართველები დიდი ინდოევროპული ხალხის ოჯახის წევრებია და ჩვენ ენას ძველსპარსულს უახლოვებდნენ[1]. გენეალოგიური თვალსაზრისის საწინააღმდეგოდ, ეს „წინაპართა თეორია“, რიგ შემთხვევაში გამართლებას პოულობდა. მაგრამ ამ კონცეფციის ძირითადი თეზისი, რა თქმა უნდა, უარსაყოფია. საქმე ისაა, რომ ფეოდალური და ბურჟუაზული ისტორიოგრაფია

[1] M. Brosset. l'art liberal ou grammaire géorgienne. Paris, 1834; M. Brosset. Eléments de la langue géorgienne, Paris, 1837.

ხალხს მარადიულ კატეგორიად თვლიდა. საქმე ისე იყო წარმოდგენილი, თითქოს ესა თუ ის ეთნიკური წარმონაქმნი უცვლელი და ერთსახიანი იყო. ამიტომ იმჟამინდელი ეთნოგენეტიკოსები, მაგალითად, პირდაპირ აიგივებდნენ ისტორიულ თუბალებსა და მუსკებს ქართველებთან. ასეთი ცდები მაინც გარკვეული თვალსაზრისით წინ გადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენდა[2].

რაც შეეხება მესამე მეთოდს, ანუ წინარე სამშობლოს ძიებას, იგი უნივერსალური იყო და თავისი წარმოშობით სათავეს იღებდა ადრე შუასაუკუნეების ისტორიოგრაფიაში. ეთნოგენეზის აღნიშნულ მეთოდებში ძნელი არ უნდა იყოს მათი წყაროსთავის, „ბიბლიის" მიგნება. „ბიბლია" შუა საუკუნეებში უაღრესად დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა და მასზე მითითება უკვე არგუმენტსა და მტკიცებას ნიშნავდა[3]. ამიტომ ეთნოგენეზის თეორიაც თავისი წარმოშობით ბიბლიური გენეალოგიური კლასიფიკაციის სვეტს ემყარებოდა. ამგვარი მეთოდით სარგებლობს აგრეთვე ძველი ქართველი ისტორიკოსიც ლეონტი მროველი თავის სქემაში ქართველთა წარმოშობაზე. მას მიაჩნია, რომ ქართველობაც წარმოშობით ბიბლიური ნოედან მომდინარეობს.

ამ ლეგენდაში, რა თქმა უნდა, ძნელი დასანახი არ უნდა იყოს ის გარემოება, რომ ჩვენ წინაშეა შუა საუკუნეებში შექმნილი ეთნოგენეტიკური თეორიის უბრალო მიბაძვა. „ბიბლიის" ჭეშმარიტების დასაბუთების ქართული ცდა. XIX ს. პირველი ნახევრის ქართული ისტორიოგრაფია (დავითი, ვახტანგი, თეიმურაზი, ნ. დადიანი, მ. ბროსე) ძირითადად და არსებითად ამ კონცეფციის ნიადაგზე დგას. ესაა საერთო წესი, რომელიც გაბატონებული იყო იმჟამინდელ ისტორიოგრაფიაში. გამონაკლისს ამ საერთო წესიდან მხოლოდ დიდი ფრანგი ფილოსოფოსი ფრანსუა ვოლტერი (1694—1778) წარმოადგენდა. მას აინტერესებდა საკითხი, თუ როგორ ყალიბდებოდა ესა თუ ის ხალხი, რა ეთნიკურ ნაწილებს შეიცავდა იგი და სხვ[4]. სამწუხაროდ, დავით ბატონიშვილი ფ. ვოლტე-

---

[2] С. А. Токарев. К постановке проблем этногенеза. «Советская этнография», № 3, 1949, გვ. 12 — 36; გ. ჩიტაია. აკად. ს. ჯანაშია და ქართველი ხალხის წარმოშობის პრობლემა. „მიმომხილველი", ტ. I, თბ., 1949, გვ. 1.

[3] Е. А. Косминский. Историография средних веков. М., 1963, გვ. 29.

[4] Р. Ю. Виппер. Общественные учения и исторические теории XVIII—XIX вв. (теория прогресса). Иваново-Вознесенск, 1925, с. 57. შდრ. Е. А. Косминский, დასახ. ნაშრომი, გვ. 185.

რის მიმდევარი მეფის უფლების „განათლებული აბსოლუტიზმის“ (მონარქიის) საკითხში, ეთნოგენეზის პრობლემებს იკვლევს „ქართლის ცხოვრების“ სქემის მიხედვით. მისი სიტყვით, „ყველაზე ადრე საქართველოში დასახლდა მისი დამაარსებელი ქართლოსი“[5]. „ქართლოსის ჩამომავლობა მომდინარეობს ნოეს ძეთა, სემისა და იაფეთის გვარიდან“ (გვ. 6). და ამგვარად მოჰყვება ქართველთა წარმომავლობის ბიბლიურ-ლეონტისეულ კონცეფციას.

როგორც ვხედავთ, დავითის „ისტორიაში“ ახალი არაფერია ქართველთა ეთნოგენეზზე. იგი არსებითად ემყარება ლეონტის. დავითის სქემაში წარმოდგენილი სურათი ძალზე მარტივია. მისი აზრით, ქართველთა ეთნარქი ქართლოსი საქართველოს პირველი მკვიდრია და იგია ამ ქვეყნის სახელის მიმცემიც. ქართველები სახლდებიან არარატისა და მასისის მთათა შორის მდებარე ქვეყანაში, სადაც ისინი მოსულან ბაბილონიდან ენათა აღრევის შემდეგ. აქაც, მაშასადამე, სახეზეა ლეონტის კონცეფცია, ორიგინალობას იგი აბსოლუტურად მოკლებულია. ქართველთა მოსვლა (მიგრაცია) სამხრეთიდან ჩვეულებრივი ამბავია ფეოდალური ისტორიოგრაფიისათვის და ამ წესს ემორჩილება ჩვენი ავტორიც.

ქართველთა ეთნოგენეზში ლეონტის კონცეფციას მნიშვნელოვნად სცილდება ვახტანგ ბატონიშვილის წარმოდგენები, თუმცა მისი თეორიაც «ქართლის ცხოვრებიდან“ მომდინარეობს. მისი ნაშრომი: «Обозрение истории грузинского народа» შეიცავს ნიშანდობლივ მსჯელობას ჩვენთვის საინტერესო საკითხზე. «ქართველი ხალხის მატიანეები, — აღნიშნავს იგი, — ყველა ქართველთა წინაპრად მიიჩნევენ ვინმე ქართლოსს, რომელმაც თავისი სახელი გადასცა მის მიერ დაკავებულ ქვეყანას, რადგან საქართველოს ჩვეულებრივად ეწოდება . . .ქართლი . . . თუმცა, ქართლოსი იყო ალბათ მმართველი, ბელადი და სჯულმდებელი ქართველებისა და არა მამამთავარი. მაგრამ, როგორც არ უნდა იყოს, ქართლოსი მიეკუთვნება ძველ მამათა იმ მცირე ნაწილს, რომელნიც ქმნიდნენ, ასე ვთქვათ, მთელ ხალხებს. მართალია, იგი არ იწოდებოდა მეფედ, მაგრამ მაინც მთაყვანსა და პატივს სცემდნენ მისი თანამემამულენი მისი კეთილგონიერებისა და სათნოებისათვის»[6].

ვ. ბატონიშვილი ეთნოგენეზის საკითხში არაფერს ახალს არ

---

[5] Царевич Грузинский Давид. Краткая история Грузии со времен первого во оной населения. СПб, 1805, с. 5. შემდგომში: Давид. Краткая.

[6] Грузинский царевич Вахтанг. Обозрение... СПб, 1814, с. 1—2.

გვთავაზობს. მართალია, იგი, თითქოს უარყოფს ქართლოსის ფუძემდებლურ როლს ქართველთა წარმოშობაში და მას წარმოგვიდგენს, როგორც მმართველს, ბელადსა და კანონმდებელს, მაგრამ, ამასთან, აღნიშნავს, რომ „იგი მიეკუთვნება ძველი დროის მამაკაცთა იმ მცირე რიცხვს, რომელნიც ქმნიდნენ, ასე ვთქვათ, მთელ ხალხებს". როგორც ჩანს, ვახტანგი ინტუიციით გრძნობდა ეთნარქ ქართლოსის „უძლურებას" ქართველი ხალხის წარმოქმნა-გაჩენაში, მაგრამ მისი ცოდნა ადამიანის წარმოშობის შესახებ იმდენად პრიმიტიული იყო და „დაბადებაზე" დამყარებული, რომ იძულებულია ტრადიციული სქემის მონაცემები ან გაიზიაროს, ანდა ყოველ შემთხვევაში საკითხი ღიად დატოვოს.

ქართველთა ეთნოგენეზის საკითხში „ქართლის ცხოვრების" ტრადიციული სქემის მიმდევარია აგრეთვე თ. ბაგრატიონიც. მასაც ყველაფერი ისე სჯერა, როგორც ეს „დაბადებასა" და ლეონტისთანაა წარმოდგენილი. მაგრამ მის შეხედულებებში ბევრი სიახლეც იჩენს თავს. თუ დავით და ვახტანგ ბაგრატიონები ლაპარაკობენ ერთიან „ქართლოსიან" ქართველობაზე და არ გამოყოფენ „ქართლოსიანთაგან" არც ერთ ქართველ ტომს, თეიმურაზი უკვე იცნობს ეთნიკურ ტერმინებს: „თემს" (გვ. 1), „გვარეულობას" (გვ. 1), „ტომებს" (გვ. 4), „ერს" (გვ. 1). ცალკე გამოყოფს ქართველ ტომებს: „იმერლებს, კახელებს, სამცხეჯავახებს, ანუ მესხებს, მეგრელებს, აფხაზებს, ლეკებს" და სხვ[7]. იგი ქართველ ტომთა ეთნოგენეზის საკითხს სპეციალურ თავს უძღვნის, რომელსაც უწოდებს: „პირველი უწყებანი შთამომავლობათა ივერიელთა თემისა" (გვ. 9—13). თ. ბატონიშვილი თავისი ეთნოგენეტიკური კონცეფციისათვის იყენებს ანტიკური ხანის ისტორიკოსთა თხზულებებს, განსაკუთრებით ჩერდება ებრაელი ისტორიკოსის იოსებ ფლავიუსის ცნობებზე იბერთა ტომზე. მაგრამ ყველაფერი ეს მაინც მეორეხარისხოვანი მასალაა და მისი ძირითადი წყაროა „ქართლის ცხოვრების" ცნობები.

თ. ბატონიშვილი XIX ს. პირველი ნახევრის ქართველ ისტორიკოსთა შორის პირველია ქართველ ტომთა წარმოშობის საკითხზე საგანგებოდ რომ ჩერდება და მას სპეციალურ თავსაც უძღვნის. მარტოოდენ ამ ფაქტითაც იგი უკვე წინ უსწრებს თავის წინამორ-

---

[7] თ ე ი მ უ რ ა ზ ი. ისტორია დაწყებითგან ივერიისა, ესე იგი გიორგიისა, რომელ არს სრულიად საქართველოისა. სანკტპეტერბურღი, 1848, გვ. 25. ცხადია, აფხაზები და ლეკები ქართველ ტომებს არ მიეკუთვნებიან.

ბედ ისტორიკოსებს. ამასთან, მას ქართველთა ეთნოგენეზის საკითხში შემოაქვს. ერთი მხრივ, ანტიკური ხანის წყაროები, მეორე მხრივ, როგორც თვით აღნიშნავს, „ყოველნი მსოფლიო ისტორიკოსთა" (გვ. 13) ნაშრომებიც, რათა თავის გამოკვლევას მეტი მეცნიერულობა და სანდოობა მიანიჭოს. მაგრამ, როგორც ქართულ (ერთვნულ) ისტორიოგრაფიის ტრადიციებზე აღზრდილს, თეიმურაზს ეთნოგენეზის საკითხში ჰეშმარიტი მასალა მარტოოდენ „ქართლის ცხოვრების" ცნობებში ეგულება და ახალ, მის მიერვე პირველად შემჩნეულს, შემდგომში ისტორიულად გამართლებულ წყაროებს (ი. ფლავიუსის ცნობა), უგულებელყოფს. თუბალი მისთვის უცხო ეთნიკური ელემენტია, რომლის ინფილტრაცია ქართლოსიანებთან ყოვლად დაუშვებელია. ეს გარემოება, ცხადია, თეიმურაზის ისტორიული მეთოდის მერყეობაზე მიუთითებს. ამას თითქოს თვით ავტორიც გრძნობს: „ამა მიზეზთა ზემოთქმულთა ძალით იძულებულ ვართ და თანამაცს, რათა ვითარცა პირველ ჩვენსა მყოფთა იწყეს დასაბამი ნათესაობათა იეფრიისა თემთა, მეცა ეგრეთვე შევუდგე მათ... რომელ ვიცოდეთ მხოლოდ ქართლოს ნათესავთ — მთავრად პირველად ჩვენსა, და ვიწყოთ მისგან" (გვ. 12 — 13).

ასე მარტივად წყვეტს ქართველთა ისტორიულ წარმოშობას თ. ბატონიშვილი. მას არავითარი კორექტივი არ შეაქვს დაბადება-ლეონტის შუასაუკუნეობრივ კონცეფციაში და დასახელებული გენეალოგიური პრინციპის მიხედვით მზამზარეულად გამოჰყავს ქართველობა ისტორიის ასპარეზზე.

ქართველთა წარმოშობის საკითხის გადაწყვეტის „ბიბლიური" ეტაპი უკავშირდება აგრეთვე მ. ბროსეს სახელს. ახალგაზრდობაში მიღებულმა საკმაოდ ძლიერმა რელიგიურმა განათლებამ მ. ბროსეს მსოფლმხედველობაზე დიდი გავლენა იქონია, რაც მის ქართველოლოგიურ ნაშრომებსაც ემჩნევა. მას სწამს „დაბადებაში" მოთხრობილ ამბავთა ისტორიული რეალობა.

მ. ბროსეს ეთნოგენეტიკური თეორია მთლიანად „დაბადება" ლეონტის ცნებებზეა აგებული. მართალია, იგი ხაზგასმით შენიშნავს, რომ „ქართლის ცხოვრების" უძველესი ნაწილის ავტორს გამოყენებული აქვს ერის ზეპირგადმოცემა, მაგრამ მასში არეკლილი ცნობები, მისი აზრით, სანდო ღირებულებისაა. მას სწამს ეთნარქ ქართლოსისა და მისი შვილების ისტორიულობა, იზიარებს აგრეთვე თარგამოსის არსებობასაც და მის შთამომავლობაში ცალკეულ ქართველ ტომთა ჯგუფებს (თემებს) გამოჰყოფს, რომლე-

ბიც შემდგომში მამასახლის-პატრიარქ მცხეთოსის სიკვდილის შემდეგ ერთიმეორეს პირველობისათვის ეცილებოდნენ (გვ. 10). ქართველთა მთელი ისტორია ესაა მამასახლის-პატრიარქთა მოღვაწეობა ხალხის გამრავლება-გაძლიერების მიზნით შთაგონებული. მაშასადამე, მ. ბროსეს ეთნოლოგიური კონცეფცია არსებითად პატრიარქალურ-გენეალოგიურია და არაფერს ახალს არ შეიცავს, რაც მას განასხვავებდა მის წინამორბედ ქართველ ისტორიკოსთაგან.

ქართველთა ეთნოგენეზის აქ განხილული მასალა ძირითადად ერთ მეთოდს ემყარება. ესაა ბიბლიური გენეალოგიური პრინციპი, საიდანაც სათავეს იღებს აგრეთვე ჩვენი წყაროს ეთნარქ-ეპონიმების სქემა. ადრე შუა საუკუნეებში გაჩენილი ეს თეორია უაღრესად პოპულარული იყო მსოფლიო ისტორიოგრაფიაში. იგი საკმაოდ ფართოდ იყო გავრცელებული აგრეთვე XIX ს. პირველი ნახევრის ქართულ ისტორიოგრაფიაშიც. ამ ხანის ქართველი ისტორიკოსები, „დაბადებასა“ და „ქართლის ცხოვრების“ ტრადიციაზე აღზრდილნი, ბრძად იზიარებდნენ მათში მოთხრობილ ეთნოგენეტიკურ კონცეფციას პატრიარქების შესახებ. მათი აზრით, პატრიარქები მთელი ხალხის (ეთნოსის) შემქმნელი ძალაა. ქართველები ამ პატრიარქთა მემკვიდრეებად, შვილებად იგულისხმებიან. ამიტომ ამ ხანაში ეთნოგენეზის პრობლემა გენეალოგიურ-პატრიარქალური თეორიის ტყვეობაში იმყოფება. ასეთია ქართველთა ეთნოგენეზის შესწავლის პირველი ეტაპი.

ეთნოგენეზის საკითხში გარკვეული წინსვლა ეტყობა ქართულ ისტორიოგრაფიას პ. იოსელიანის ნაშრომების გამოქვეყნების დროიდან. ესაა გასული საუკუნის 30—70-იანი წლები, როდესაც საქართველოს ისტორიის საკითხების კვლევა-ძიების საქმეს ხელს ჰკიდებს უაღრესად განათლებული, დიდი ერუდიციისა და შესანიშნავი ნიჭის მქონე მკვლევარი პ. იოსელიანი. მართალია, იმჟამად შეუძლებელი იყო ქართველი ხალხის ეთნოგენეზზე სწორი მეცნიერული შეხედულებების შექმნა (ქართული არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ენათმეცნიერების არარსებობის გამო), მაგრამ მის მრავალრიცხოვან ნაშრომებში ძალზე ხშირად საუბარია საქართველოს ისტორიის იმ უძველეს ხანაზე, რომლებზედაც ჩვენი ეროვნული ისტორიული წყაროები არას გვეუბნებიან. პ. იოსელიანის ერთ-ერთი მთავარი დამსახურება ისაა, რომ მან ძველი ისტორიის დარგში კომპლექსურად გამოიყენა იმჟამად არსებული მასალა: ქართული წყაროების გარდა, იგი უხვად სარგებლობდა ბერძნულ-რომაული წერილობითი წყაროებით საქართველოს შესახებ, სა-

დაც ქართველ ტომთა (კოლხები, იბერები, სასპეირები, მესხები, თუბალები და მრავალი სხვ.) ისტორიული ცხოვრებისა და გავრცელების საინტერესო სურათია წარმოდგენილი. ანტიკურ წყაროებს, თავის მხრივ, ემატება აგრეთვე „ბიბლიური" ცნობებიც თუბალ-მეშეხის თაობაზე. ეს საკითხი ძალზე პოპულარული შეიქმნა სწორედ XIX ს. ისტორიოგრაფიაში. მაგრამ, სამწუხაროდ, პ. იოსელიანს ერთიანი ქართველი ხალხის წარმოშობის პროცესი დაჰყავს თუბალ-მეშეხის ისტორიამდე, რომელშიც იკარგება სხვა მრავალი ქართველი ტომის ინდივიდუალობა. ცხადია, ეს მეორე უკიდურესობაა, მაგრამ მაინც წინ გადადგმული ნაბიჯია.

პ. იოსელიანის მრავალრიცხოვან საისტორიო ნაშრომებში დიდი ადგილი ეთმობა ქართველ ტომთა წარმოშობა-განსახლების საკითხს. მათ შორის განსაკუთრებული მნიშვნელობისაა მისი ხელნაწერი ნაშრომი: «Историческое и географическое описание древней Грузии».[8] მის მიზანს შეადგენს საკუთრივ ქართველ ტომთა წარმოშობისა და ისტორიული განსახლების საკითხის შესწავლა იმჟამად ავტორის ხელთ არსებული, როგორც ქართული, ისე განსაკუთრებით ანტიკური წერილობითი წყაროების მონაცემთა საფუძველზე. ამასთან, ავტორს გამოყენებული აქვს აგრეთვე მის დროს არსებული სათანადო საისტორიო (ქართული, რუსული, დასავლეთევროპული) ლიტერატურაც. ყველა ამათ გათვალისწინებისა და გააზრების შედეგად, პ. იოსელიანი მიდის იმ დასკვნამდე, რომ ქართველთა წარმოშობის «ქართლის ცხოვრებისეულ» კონცეფციას მყარი ნიადაგი არ მოეძებნება. მან კარგად იცის, რომ ქართლოსი და სხვა ეთნარქები არარეალური პიროვნებებია, რომ მათ შესახებ ცნობები ლეგენდარული და ზღაპრულია. „ჩვენ მატიანეებს — აღნიშნავს იგი — ივერიის ყველა მოსახლე იაფეთის შვილიშვილის შვილისაგან გამოჰყავთ... არავითარი ეჭვი არაა, რომ ამგვარი თვალსაზრისი მოგვიანო ხანის შემოქმედების ნაყოფია, კერძოდ, იმ დროისა, როდესაც მათ ენებზე ითარგმნებოდა საღვთო წერილი" (გვ. 64).

მაშასადამე, ავტორის აზრით, ქართველთა წარმოშობის „ბიბლიური" კონცეფცია საქართველოში გაჩენილი უნდა ყოფილიყო

---

[8] П. Иоселиани. Историческое... Тб., 1838, იხ. პ. იოსელიანის წერილები აკად. მ. ბროსესადმი. გვ. 150. შდრ. ა. ბარამიძე. პ. იოსელიანის ახლად აღმოჩენილი ხელნაწერის შესახებ. „ლიტერატურული გაზეთი", № 29, 1959, გვ. 2; მისივე. კოლხეთის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები XIX ს. პირველი ნახევრის ქართულ ისტორიოგრაფიაში. „მოამბე", № 5, 1963, გვ. 103—109.

ამ წიგნის ქართულად თარგმნის დროისათვის. მაგრამ მას არა სწამს თარგამოს-ქართლოსის ისტორიულობა და „ქართლის ცხოვრების“ უძველეს ნაწილში დაცულ გადმოცემას ეთნარქეებზე „იგავებად“ მიიჩნევს (გვ. 62). ეს საკითხის მხოლოდ ერთი მხარეა. ხოლო, რაც შეეხება „შესაქმეთა“ წიგნის მე-10 თავში არეკლილ ცნობებს თუბალისა და მეშეხის თაობაზე, პ. იოსელიანის აზრით, მათი ისტორია სავსებით სანდო და დამაჯერებელია. მსგავსი მასალა საკმაოდ უხვად შემოუნახავს აგრეთვე ანტიკური ხანის მწერლობას ტიბარენთა და მოსხთა სახით. თუბალის ქვეყნის ქართველობასთან გენეტიკური ნათესაობისათვის, მისი აზრით, შესანიშნავ ცნობას იძლევა ჩვენი წელთაღრიცხვის 1 ს-ში მცხოვრები ებრაელი ისტორიკოსი იოსებ ფლავიუსი, რომელიც აღნიშნავდა, რომ „დაბადების“ თუბალი მის დროს „იბერად“ იწოდებოდა“[9]. ამ ისტორიული ცნობის გარდა, პ. იოსელიანი მიუთითებს აგრეთვე სამეცნიერო ლილიტერატურაზეც, სახელდობრ, ფრანგი განმანათლებლის ფრანსუა ვოლნეის (1757—1820) ნაშრომში გამოთქმულ მოსაზრებაზე, რომ თუბალი და თბილისი ერთიმეორის იდენტური სახელებია[10]. ფრანგი განმანათლებლის ამ მოსაზრებას ჩვენი ავტორი შემდეგი გარემოებით ასაბუთებს. მან ყურადღება მიაქცია წინასწარმეტყველ იეზეკიელის ცნობას მეშეხისა და თუბალის (resp. თბილისის) მიერ ტვიროსში მონათა ვაჭრობის შესახებ. რაკი „დაბადების“ მეშეხი იგივე მესხია (მცხეთა), ხოლო, თბილისი მესხეთთან, ანუ მცხეთასთან გეოგრაფიულად (ტერიტორიულად) ახლოსაა, ამიტომ სავსებით დამაჯერებელი უნდა იყოსო, რომ თუბალი თბილისის იდენტური სახელწოდებაა.

ცხადია, პ. იოსელიანის ეს დასკვნები არადამაჯერებელია. მაგრამ, რაც შეეხება იოსებ ფლავიუსის ცნობას, იგი მეტად საგულისხმოა. ანგარიშგასაწევია პ. იოსელიანის მოსაზრებაც, რომ „მცხეთაში“ სავარაუდოა მესხთა ტომის სახელის დანახვა[11].

---

[9] П. Иоселиани. Различные наименования грузинов. ЖМВД, № 6, 1844, გვ. 117, შენ. 1.

[10] F. Volney, Voyage en Egypte et en Syrie. ტ. II, Paris, 1825, გვ. 104, შენ. 2; შდრ. П. Иоселиани. Древние памятники Тифлиса. ЖМВД, № 1, 1844, გვ. 93. მისივე. Описание древностей гор. Тифлиса, Тб., 1866, გვ. 10—11. იხ. აგრეთვე ა. ბარამიძე. მცირე შენიშვნა. „ლიტერატურული საქართველო“, № 30, 1965, გვ. 4.

[11] П. Иоселиани. Туземные города, существовавшие и существующие в Грузии. ЖМВД, №6, 1844, გვ. 408.

პ. იოსელიანის აქ განხილული მოსაზრებები მეტად საინტერესოა. იგი არღვევს მის წინამორბედ ისტორიკოსთა ეთნოგენეტიკურ თეორიებს და თუმცა „ბიბლიასაც“ იშველიებს, მაგრამ უკვე ისე, როგორც ეს ნამდვილ ისტორიკოსს შეეფერება. მისთვის ნათელია, რომ „დაბადება“ რიგ შემთხვევაში სანდო ისტორიულ ცნობებს შეიცავს და მათ შორის ქართველ ტომთა (თუბალი, მეშეხი) თაობაზე მასში დაცული მასალები ნდობის ღირსია. ესაა ახალი მიდგომა და იგი თანდათან გზას იკვლევს სხვა ქართველ ისტორიკოსთა ნაშრომებშიაც.

აღნიშვნას საჭიროებს აგრეთვე პ. იოსელიანის კვლევა-ძიების მეთოდი. მას ახასიათებს წყაროთა ერთმანეთთან შეჯერება და სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებათა მიმართ თავისი პირადი პოზიციის გამომჟღავნება. ამგვარი ხერხი ეფექტური იარაღი იყო ეთნოგენეტიკური კვლევა-ძიებისათვის, მაგრამ მთელ რიგ სამეცნიერო დისციპლინათა არარსებობამ წინასწარ განსაზღვრა პ. იოსელიანის „მარცხი“ ქართველთა ეთნოგენეზის საკითხში. თუ მის წინამორბედ ისტორიკოსთა ეთნოგენეტიკურმა კონცეფციებმა შექმნეს პირველი ეტაპი — პატრიარქალური თეორიის ნიადაგს რომ ემყარებოდა — ჩვენი ავტორის საქმიანობა ამ მიმართულებით მეორე ეტაპის, ე. წ. თუბალ-მეშეხის ეტაპის წამომწყებია. მან ხელი შეუწყო ამ ტომთა ისტორიის შესწავლის საქმეს. ამ ეტაპს ახასიათებს ქართველი ხალხის წარმოშობის საკითხისადმი ინტერესის გაღვივება და მასალის შემდგომ გამდიდრებაზე ყურადღების გამახვილება. ეთნოგენეზთან ერთად დღის წესრიგში დგებოდა ამ ძველაღმოსავლურ ხალხთა პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ისტორიის შესწავლის საკითხიც. ეს პერიოდი ნიადაგს ამზადებს მომავალი, მეთოდურად გამართლებული, მეცნიერული თეორიების წარმოსაქმნელად.

* * *

XIX ს. მეორე ნახევრის ქართულ ისტორიოგრაფიაში ქართველთა ეთნოგენეზის შესწავლა წინამავალ პერიოდთან შედარებით გაცილებით შორსაა წასული. ჩვენ ვხედავთ ფართო მსჯელობებს, სხვადასხვა ვარაუდებს და მოსაზრებებს ქართველთა წარმომავლობის შესახებ. დაძლეულია „დაბადებისეული“ ეთნარქ-პატ-

რიარქების სქემა. მეტად საგულისხმოა ს. ბარათაშვილის მსჯელობაში ენათმეცნიერებისა და ფიზიოლოგიის მონაცემთა გათვალისწინება. „ახლანდელ დროში, — წერს იგი, — ენათ ცოდნა და ფიზიოლოგია უმტკიცეს საშუალებად მიაჩნიათ რომელიმე ხალხის დასაწყისის გამოკვლევისათვის, მაგრამ გამოკვლევის ამგვარ სახსარს ჯერ არა აქვს ფეხი მოდგმული“[12]. ამიტომ იგი სხვა მეთოდს მიმართავს. ამასთან, ს. ბარათაშვილი ერთგვარ ხარკს უხდის „ქართლის ცხოვრების“ ცნობებს და აღნიშნავს, რომ ამ წყაროს მიხედვით ქართველობა უკავშირდება „დაბადების“ ნოეს. შემდეგ მოგვითხრობს ქართლოსსა და მის ჩამომავლობაზე და ასკვნის, რომ ქართველობა არაა კავკასიის მკვიდრი, აბორიგენი მოსახლე და რომ იგი სამხრეთიდანაა მოსული (გვ. 9—11).

უარყოფს რა „ქართლის ცხოვრების“ ცნობათა ჭეშმარიტებას ქართველთა წარმოშობის საკითხში, ს. ბარათაშვილი გადადის ანტიკური ხანის მწერლობის ცნობათა განხილვაზე: იძიებს, თუ რამდენად სარწმუნო მასალებია დაცული მათში ჩვენთვის საინტერესო საკითხის გარშემო. პასუხი აქაც უარყოფითია. აზრი ასეთია: ანტიკური წერილობითი წყაროები შეიცავენ მრავალ საინტერესო ცნობას ქართველთა წარმოშობის თაობაზე, თუმცა ისინი შორს არიან ჭეშმარიტებისაგან. ანტიკური ისტორიოგრაფია ვერ იძლევა პასუხს ქართველი ხალხის წარმოშობის პრობლემაზე.

ქართველი ხალხის ეთნოგენეზის საკითხით დაინტერესებულა აგრეთვე ცნობილი ენათმეცნიერი (ლექსიკოგრაფი), პეტერბურგის უნივერსიტეტის დამსახურებული პროფესორი დავით ჩუბინაშვილი. მისი გამოკვლევა „ეთნოგრაფიული განხილვა ძველთა და ახალთა კაპადოკიის ან ჭანეთის მკვიდრთა მოსახლეთა“[13] მიზნად ისახავს კაპადოკიის მოსახლეობის ეთნიკური შედგენილობის საკითხის შესწავლას ძირითადად ანტიკური (ბერძნულ-რომაული) ნარატიული წყაროების მიხედვით. ამ წყაროთა შესწავლას ავტორი დაურწმუნებია იმაში, რომ ფართოდ გაგებულ კაპადოკიაში (მცირე აზია — შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი, პონტოს სამეფო და

---

[12] ს. ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი. საქართველოს ისტორია. რვეული I, გვ. 6.

[13] ეს ნაშრომი დაუწერია დ. ჩუბინაშვილს რუსულად: «Этнография народов, населяющих древнюю континентальную и приморскую Каппадокию» (Понт римских писателей). სამწუხაროდ, იგი რუსულად არ დაბეჭდილა. ი. ჯავახიშვილის ერთ-ერთი წერილიდან ჩანს, რომ ეს რუსული ხელნაწერი ტექსტი მისთვის გამოუგზავნია დ. ჩუბინაშვილს „ივერიის“ თანაშრომლის ეასილ მაჩაბლის ხელით, ხოლო ილიას უთარგმნია ქართულად და დაუბეჭდავს „ივერიაში“ 1877 წელს.

კოლხეთი) „მცხოვრებნი ხალხნი იყვნენ ერთისა ნათესავისა და ლაპარაკობდნენ ერთსა და იგივე ენაზედ“ (გვ. 7). „კაპადოკიის ხალხსა ჰქონდა მონათესაობა საქართველოს ხალხთან“ (გვ. 10—11). ამით ავტორს იმის თქმა სურს, რომ კაპადოკიაში სახლობდა მხოლოდ ერთი ხალხი, რომელიც ქართველურ ენაზე მეტყველებდა. ეს ხალხი ძირითადად ჰანებია. ამ თეზისის დასამტკიცებლად დ. ჩუბინაშვილი იმოწმებს I ს. გეოგრაფის სტრაბონის ცნობას; „სახელი კაპადოკიელი ეკუთვნის სრულებით ერთს ხალხსა, რომელნიც არიან ერთ ნათესავნი და ლაპარაკობენ ერთს ენაზედ და სახლობენ შემდგომთა საზღვართა შორის. სამხრეთით მთა კილიკიის ტავრი, აღმოსავლეთით სომხითი, კოლხიდა, და მათ შორის ადგილები და მცხოვრებნი, მოლაპარაკენი უცხოს ენაზედ; ჩრდილოეთით პონტოს ზღვა შესართავამდე ჰალიზის მდინარისა, დასავლეთით პაფლაგონია, გალატია, ფრიგია და ლიკაონია“ (გვ. 7-8). ავტორის თარგმანი საკმაოდ მოძველებულია. ზუსტი თარგმანი ასე იუწყება: კაპადოკიელები „ერთ ენაზე მოლაპარაკენი არიან, განსაკუთრებით ისინი, ვინც შემოსაზღვრულნი არიან სამხრეთისაკენ ე. წ. კილიკიის ტავრით, აღმოსავლეთისაკენ არმენიით, კოლხიდით და ამათ შორის მოსახლე სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ტომებით, ჩრდილოეთისაკენ ევქსინით, ვიდრე ჰალისის შესართავებამდე, დასავლეთით პაფლაგონიელთა ტომით და გალატელთა (ტომით), რომელიც ფრიგიაში მოსახლეობს ლიკაონელებამდე და იმ კილიკიელებამდე, რომლებიც კლდოვან კილიკიაში ცხოვრობენ“[14]. დ. ჩუბინაშვილი მხოლოდ ნაწილობრივაა მართალი; არა ცდება იგი კაპადოკიის ტერიტორიის იმ რაიონების მიმართ, რომელთაც შეადგენდა პონტოს სამეფო და კოლხეთი. ეს ტერიტორიები მართლაც უხსოვარ დროიდან ქართველი ტომებით იყო დასახლებული[15]. დ. ჩუბინაშვილის ძირითადი წყაროა ქსენოფონტის „ანაბასისი“, საიდანაც იგი მესალებს კრებს ქართველ ტომებზე (გვ.. 29— 32, მოტანილია ტექსტი). ეს ცნობები ძველი წელთაღრიცხვის V ს. ეკუთვნის.

დ. ჩუბინაშვილის აზრით, ქსენოფონტის მიხედვით შემდეგი სურათი წარმოგვიდგება: პირველი ტომი, რომელსაც იგი ახ-

---

[14] სტრაბონის გეოგრაფია. ცნობები საქართველოს შესახებ. გამოცემა თ. ყაუხჩიშვილისა. თბ., 1957 (წიგნი XII, თავი I, გვ. 199). შდრ. Страбон. География. М., 1964, გვ. 502.

[15] H. Gelzer, Kappadocien und seine Bewohner. ჟურნალი Zeitschrift fur Aegyptische Sprache, „1875, 14—26; Г. А. Меликишвили. К истории... 1959; გ. გოზალიშვილი. მითრიდატე პონტოელი. თბ., 1962, გვ. 5—229.

სენებს, ფაზიანნი, ეთნიკურად არც ქართველები და არც სომხები არ იყვნენ; ისინი, როგორც ჩანს, ჰეროდოტეს ალაროდიელებს ენათესავებოდნენ. მათ მოჰყვებათ ქართველი ტომი ტაოხებისა, ტაოელნი, რომელთა ჩრდილოეთით მდებარეობდა სპერი, ქართველთა ისპირის ხეობა; ტაო და სპერი შეადგენდა კლარჯეთის საერისთავოს. მესამე ხალხს ხალიბნი შეადგენდნენ, ისინი უნდა იყვნენ „ილიადაში“ მოხსენებული ჰალიბეს ხალხი და გამოსულან მდინარე ალაზნის ველიდან, კახეთიდან. მეოთხე ტომი მაკრონებია. ისინი სტრაბონისა და პლინიუსის სანებია, არიანეს ტძანები და ბიზანტიელთა ტცანები, ქართველთა ჭანი და სკილაქსის მაკროცეფალებია. მაკრონებს, მთებში რომ სახლობდნენ, ეწოდებოდათ სეპტაკომეტები (შვიდკოშკელები). აქედან ჩანს, რომ მოსინიკები და მაკრონები ერთი და იგივე ხალხია. მათ მოჰყვებიან ტიბარენები; ისინი ქ. კოტიორას (ორდუს) მახლობლად სახლობდნენ. ტიბარენები და ხალიბები ცხოვრობდნენ როგორც კოტიორას რაიონში, ისე სამცხესა და ქართლში. ტიბარენები „საღვთო წერილის“ თუბალია.

„კაპადოკიაში“ მცხოვრებ ტომთა შესახებ ცნობების დ. ჩუბინაშვილისეული ინტერპრეტაცია და მათი ეთნიკური კუთვნილების განსაზღვრა თავისი დროისათვის სავსებით დამაკმაყოფილებლად გამოიყურება. კითხვას იწვევს მხოლოდ ის გარემოება, თუ რატომ არ ჩათვალა ავტორმა ფასიანები ქართველ ტომებში? ფასიანები ქართული ეთნიკური სამყაროს ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილს შეადგენდნენ[16].

თუ შევაჯამებთ ყოველივე ზემოთქმულს, უნდა ვაღიაროთ, რომ დ. ჩუბინაშვილის ეთნოგენეტიკური კონცეფცია ბევრ საგულისხმო დაკვირვებას შეიცავს. დამაჯერებელია მისი შეხედულება პონტოკოლხეთის ტერიტორიის მოსახლეთა ეთნიკური შედგენილობის შესახებ. იგი ერთ-ერთი პირველთაგანია, რომელმაც სერიოზული ყურადღება მიაქცია სტრაბონის ცნობას და სრულიად ორიგინალური (თუნდაც მიუღებელი) გააზრება წარმოგვიდგინა. მის მიერ სწორადაა შენიშნული ძველი წელთაღრიცხვის VII ს-იდან ცალკეულ ქართველ ტომთა არსებობა. დ. ჩუბინაშვილისა და მის წინამორბედ ისტორიკოსთა წვლილი ქართველი ხალხის წარმოშობის საკითხში, განსაკუთრებით სათანადო საისტორიო მასალათა შეგროვება-გაანალიზების თვალსაზრისით, ერთობ დიდია ქართული

---

[16] თ. მ ი ქ ე ლ ა ძ ე. ქსენოფონტის „ანაბასისი“. თბ., 1967, გვ. 124—127, იქვეა სათანადო ლიტერატურა.

ისტორიოგრაფიისათვის და იგი ნიადაგს ამზადებს მომავალი ეთნოგენეტიკური კონცეფციებისათვის. აღსანიშნავია ისიც, რომ მასთან უკვე იხსენიება ძველაღმოსავლურ ეპიგრაფიკულ წყაროთა (ასურული, სპარსული) სიმრავლე და მნიშვნელობა ქართველი ხალხის უძველესი განსახლების საკითხისათვის, მაგრამ ისინი ჯერ კიდევ არ არიან მოხმობილი ქართველთა ეთნოგენეზის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყაროს სახით.

გასული საუკუნის 80—90-იან წლებში, როდესაც ჩვენ ქვეყანაში ადგილი აქვს ქართველი ხალხის კონსოლიდაციის პროცესის დასასრულს და ქართველი ერის ჩამოყალიბებას, ქართულ ისტორიოგრაფიაში კიდევ უფრო მდიდარი ისტორიული მასალების მოზიდვით დაისმის საკითხი ეთნოგენეზის შესახებ. ქართველი ხალხის ბურჟუაზიულ ერად ჩამოყალიბებას ისტორიოგრაფიაში სინქრონულად მოყვა ეთნოგენეზის საკითხში მესამე ეტაპის დაწყებაც. იგი, უწინარეს ყოვლისა, აღინიშნა ძველაღმოსავლურ წყაროთა შედარებით მეტი გამოყენებით. ამ ეტაპის წამომწყები და პირველი დიდი წარმომადგენელია რუსეთის საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი დ. ბაქრაძე. მის მდიდარ და მრავალფეროვან შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ქართველ ტომთა წარმოშობა-განსახლების საკითხს. ავტორის ნაშრომები საქართველოს შესახებ ძველაღმოსავლური (ასურული, სპარსული, ებრაული) წყაროების, ანტიკური ხანის ისტორიკოსების, ბიზანტიელ ავტორთა ცნობებისა და იმჟამინდელი არქეოლოგიის მონაცემთა საფუძვლიან ცოდნაზეა დამყარებული. მისი „ისტორია საქართველოსი“ ძალზე მდიდარ მასალას შეიცავს საქართველოს უძველესი ისტორიისას. აქაა მოთხრობილი „საზოგადო ცნობები ისტორიის წინა-დროებაზე“ (გვ. 1—20). „კავკაზი და იმისი უძველესი ისტორია“ (გვ. 21—37). „საქართველო და მისნი უძველესნი ადგილობრივი ცნობანი“ (გვ. 38—75). სამივე ეს თავი იმჟამინდელი მეცნიერების (გეოლოგია, ენათმეცნიერება, არქეოლოგია) მონაპოვართა სინთეზეზეა წარმოდგენილი და ნაჩვენებია საგულისხმო სურათი ქართველთა უძველესი ცხოვრებისა. აქვეა მოცემული ავტორისეული კონცეფცია ქართველთა წარმოშობაზეც. დ. ბაქრაძე გულისტკივილით შენიშნავს, რომ ქართველ ტომთა (მუსკი, მოსხნი, ტაბალნი, ტუბალნი, ტიბარენნი, იბერნი) „ისტორიის წინა-დროთა არქეოლოგია ჩვენ რომ გამოკვლეული გვქონდეს, შეიძლებოდა იმათ ყოფა-ცხოვრებას, დამოკიდებულებას ერთისა მეორესთან და უცხო ტომ-ნათესავებთან შევხებიყავით, მაგრამ ამ შემთხვევაში

ძალიან ნაკლულადა ვართ“ (გვ. 38). ავტორი მაინც არ კარგავს იმედს; უეჭველია, რომ „ქართლ-კახეთში, იმერეთში, მესხეთში და შავი ზღვის პირად უნდა აღმოჩნდეს მრავალი ძველი ნივთეულობა, რომელიც ნათელს მოფენს ჩვენ წარსულ საუკუნეებსა“ (გვ. 39). „ვიდრე იმ დროს მოვესწრებოდეთ ჩვენ უნდა ვიკმაროთ იმ წყაროებით, რომლებიც ჯერჯერობით ხელთა გვაქვს“ (გვ. 39) — დასძენდა დ. ბაქრაძე[17].

პირველწყაროთა გარდა, საქართველოს უძველესი ისტორიისათვის ჩვენ ავტორს ფართოდ აქვს გამოყენებული აგრეთვე ევროპული სამეცნიერო ლიტერატურა ძველი აღმოსავლეთის შესახებ, სახელდობრ, იგი ხშირად ახსენებს ცნობილი ორიენტალისტის ფრანსუა ლენორმანის (1837—1883) ნაშრომს[18].

ამა თუ იმ ხალხის ისტორიის გადმოცემა ჩვეულებრივ მისი ადგილსამყოფელის განსაზღვრით იწყება. ასე დგას ეს საკითხი დ. ბაქრაძის შრომებშიც. მისი წარმოდგენით, ქართველი ტომები ძველი წელთაღრიცხვის I ათასწლეულში ვრცელდებოდნენ მცირე აზიიდან ვიდრე კავკასიონის ქედამდე. მაგრამ მას არ აკმაყოფილებს ცალკეულ ქართველ ტომთა ის ლოკალიზაცია, რომელიც მოცემული აქვს ფ. ლენორმანს. იგი სავსებით სამართლიანად აღნიშნავს, რომ „ქართველ ტომთა საცხოვრებელი ადგილები და ერთი მეორის საზღვარი არეული უნდა იყოს“[19].

მართლაც, თუ ჩვენ დავუკვირდებით ფ. ლენორმანის რუკებს, სადაც მოცემულია ცალკეული ქართველი ტომების ადგილსამყოფლის განსაზღვრა (რუკები, III, VII, XI, XIII, XVIII)[20], დავინახავთ, რომ საძიებელ ტომთა ადგილსამყოფელი ფრანგ მეცნიერს მართლაც ძალზე ზოგადად აქვს მოხაზული. მისი ლოკალიზაცია ხშირ შემთხვევაში არადამაკმაყოფილებელია, იგი მოკლებული ჩანს კონკრეტულობას. მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ მესამე რუკა, რომელზედაც თუბალს მთელი თანამედროვე საქართველო უკავია, მაშინ როდესაც XI რუკაზე მუშქების (მუსკაია) საცხოვრისი ქართლ-კახეთშია გადატანილი. ამ ფონზე სრულიად

---

[17] დ. ბ ა ქ რ ა ძ ე. ისტორია საქართველოსი. თბ., 1889.

[18] F. L e n o r m a n t. Histoire ancienne de l'orient jusqu' aux guerres mediques. Paris. 1881.

[19] დ. ბ ა ქ რ ა ძ ე. ახალი გამოკვლევა ისტორიის წინა დროებაზე და ქართველი ტომის დასაწყისზე. თბ., 1881, გვ. 25—26.

[20] F. L e n o r m a n t. Atlas d'Histoire ancienne de l'Orient, Paris, 1881.

სამართლიანია დ. ბაქრაძის შენიშვნა ქართველ ტომთა ლენორმანისეული ლოკალიზაციის მცდარობის თაობაზე.

მაგრამ, თუ დ. ბაქრაძე სწორ შეხედულებებს გამოთქვამს ცალკეულ ქართველ ტომთა ადგილსამყოფელზე, იგივე არ ითქმის ქართველი ხალხის წარმოშობის საკითხზე. მის შრომებში იგი შედარებით სუსტად გამოიყურება. ეს, უწინარეს ყოვლისა, გამოწვეულია იმქამინდელი ისტორიული მეცნიერების განვითარების დაბალი დონით. მართალია, XIX ს. ისტორიულ მეცნიერებას გარკვეული წარმატებებიც ჰქონდა ამ მიმართულებით, მაგრამ ჯერ კიდევ არ არსებობდა ქართული არქეოლოგია, ეთნოგრაფია და ენათმეცნიერება, რომ მათ საფუძველზე სწორად ყოფილიყო გაშუქებული ეთნოგენეზის საკითხები. ამასთან, ხსენებულ მეცნიერებათა წარმატებით განვითარებას აფერხებდა მყარი მეცნიერული მეთოდოლოგიის უქონლობა.

ყველაფერს ამას, რა თქმა უნდა, უარყოფითი შედეგი ჰქონდა დ. ბაქრაძისთვისაც. იგი ქართველი ხალხის წარმოშობის საკითხში მიგრაციის თეორიის პოზიციებზე დგას. მას დასაშვებად მიაჩნდა ქართველი ხალხის ჩამოყალიბება არა საქართველოს თანამედროვე მიწა-წყალზე, არამედ შუა აზიაში უძველეს დროს სემიტების, ინდოევროპელებისა და ქამიტების საგრძნობი კულტურული გავლენის პირობებში. მრავალი, უთუოდ ქართული წარმოშობის სიტყვები, მას უცხოურ წარმომავლობისად მიაჩნდა[21].

დ. ბაქრაძისათვის ქართველი ტომების მეორე სამშობლოს მცირე აზია წარმოადგენს. აქ გაუჩაღებიათ მათ თავისი ცხოვრების ახალი კერა. ამ ქართველ ტომთა შორის იყვნენ: თუბალები (თაბალები), მუშქები (მეშეხები), ტიბარენები, ხალიბები, მაკრონები, ტაოხები და სხვანი. ამრიგად, დ. ბაქრაძის აზრით, ქართველი ტომები უკვე ჩამოყალიბებული სახით მოსულან თავის პირვანდელ სამშობლოდან, წამოუღიათ იქაური უძველესი კულტურა და მხოლოდ ამის შემდეგ დასახლებულან მცირე აზიაში. ეს უკანასკნელი დ. ბაქრაძის სამართლიანი განცხადებით კავკასიის უძველესი ისტორიისათვის ფრიად მნიშვნელოვანი რეგიონია. იგი მჭიდროდ იყო დაკავშირებული საქართველოს უძველეს ისტორიასთან[22].

---

[21] დ. ბ ა ქ რ ა ძ ე. ისტორია. გვ. 31—33.

[22] დ. ბ ა ქ რ ა ძ ე. საქართველო. პირველი რვეული, შესავალი: კავკაზია, თბ., 1871, გვ. 22; მისივე. საქართველო. „ივერია", 1877, № 44, გვ. 9; მისივე. ახალი გამოკვლევა ისტორიის წინა დროებაზე... გვ. 14; მისივე. ისტორია საქართველოსი, გვ. 12.

ქართველი ტომების უძველესი კულტურა, ავტორის სიტყვით, თურანული წარმოშობისაა (შუა აზიური). მათი მატერიალური კულტურის ძეგლები თურანული სამყაროსათვის დამახასიათებელ ნივთებს შეიცავენ. შუა აზია კი XIX ს. ისტორიოგრაფიაში ხალხთა წარმოშობის ერთადერთ კერად განიხილებოდა. დ. ბაქრაძეს ქართველ ტომთა კულტურის ეს თურანული წარმომავლობა ნასესხები აქვს არქეოლოგ ჟიულ სიურისაგან, რომელიც თაბალებსა და მოსხებს თურანელებად თვლიდა[23]. მაგრამ არც ჟ. სიურის ეკუთვნის თეორია ქართველ ტომთა თურანული წარმოშობის შესახებ. ეს აზრი საწყისს პოულობს ცნობილი ენათმეცნიერის მაქს მიულერის (1823—1900) მოსაზრებებში, რომელიც დროის გარკვეულ მონაკვეთში ქართველურ ენებს დიდი თურანული ოჯახის წევრებად გულისხმობდა[24].

მართალია, დ. ბაქრაძე ქართველ ტომთა მატერიალურ კულტურას თურანულად თვლიდა, მაგრამ იგი არ იზიარებს ქართველ ტომთა ენის თურანულობას[25], ერთი შეხედვით შეიძლება გვეფიქრა, რომ დ. ბაქრაძე აქ ერთგვარ წინააღმდეგობაში მოდის თავის თავთან. მართლაც, თუ ქართველი ტომების კულტურა თურანულია, მაშინ როგორღა ავხსნათ მათი ენის არათურანული წარმომავლობა? მაგრამ დ. ბაქრაძემ კარგად იცოდა, რომ ხალხის ეთნიკური ვინაობის გამოკვლევისათვის არსებითი მნიშვნელობა ენიჭება ენას. იგია უძირითადესი ელემენტი ეთნოლოგიური საკითხების კვლევა-ძიებაში. სწორედ ამიტომაა, რომ მკვლევარი თავის „ისტორია საქართველოსის“ პირველსავე თავში საუბრობს კულტურის ისტორიაში ენის მნიშვნელობის განსაკუთრებულ როლზე (გვ. 4—5), ხოლო თავის ერთ-ერთ გამოკვლევაში კი პირდაპირ აღნიშნავს, რომ „ტომთა ერთ შთამომავლობის ერთს უეჭველს საბუთთაგანს წარმოგვიდგენს ლინგვისტიკა“[26].

მაშასადამე, დ. ბაქრაძისათვის ძირითადი ეთნიკური ნიშანია ენა, რომლის შესწავლა, მისი აზრით, ნათელს ჰფენს ამა თუ იმ ხალხის ეროვნულ კუთვნილებას. ჩვენი ავტორის ამ ზოგადი დებუ-

---

[23] J. Soyri. L'Asie-Mineure d'après les nouvelles d'écouvertes archéologiques. Revue de Deux Mondes, 15 ostobre, 1873, p. 909—910.

[24] M. Müller. The languagues of the seat of war in the east. 2 editt., London—Leipzig, 1855, გვ. 124.

[25] დ. ბაქრაძე. ისტორია... გვ. 28, შენ. 1.

[26] დ. ბაქრაძე. „ქართლის ცხოვრების“ პირველ გადმოცემათა წყაროები. გვ. 55; მისივე. Об источниках... ტ. I, ნაკვ. I, გვ. 35.

ლებიდან უნდა გამოვიდეთ ახლაც, როდესაც ვიკვლევთ მის შეხედულებებს ქართველი ხალხის ეთნოგენეზზე. ვფიქრობთ. დ. ბაქრაძე სავსებით სწორად მოიქცა, როდესაც ქართველი ტომების წარმოშობის საკითხში არსებითი მნიშვნელობა მიანიჭა ენას და არა არქეოლოგიას — ენობრივად თუბალები და მეშეხები იმჟამად მიღებული თვალსაზრისის მიხედვით, ქართულ ენაზე მოლაპარაკე ტომები იყვნენ, თუმცა მატერიალური კულტურის მიხედვით, თურანელებს მიეკუთვნებოდნენ.

ამრიგად, დ. ბაქრაძის ეთნოგენეტიკური შეხედულებების განხილვა გვარწმუნებს იმაში, რომ მისი სახით ჩვენ საქმე გვაქვს საქართველოს ისტორიის გამოჩენილ მკვლევართან. იგი შესანიშნავად იცნობს ამ ხანის ისტორიულ წყაროებსა და საფუძვლიანად იყენებს მის მონაცემებს. ავტორი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ენას, როგორც ერთ-ერთ ძირითად ნიშანს ხალხის ეთნიკური კუთვნილების განსასაზღვრავად. ენასთან ერთად ეთნოგენეზის საკითხის გადაწყვეტისათვის დახმარების გაწევა შეუძლია აგრეთვე გათხრით არქეოლოგიასაც. მაგრამ დ. ბაქრაძის კვლევა-ძიება მთელი რიგი ნაკლოვანებებით ხასიათდება. ავტორი გადაჭარბებულ მნიშვნელობას ანიჭებდა ქართველთა წარმოშობას წინა აზიის უძველეს მოსახლეობისაგან (თუბალი, მეშეხი). რადგან, ცხადია, ძველ აღმოსავლურ ხანაში (1 ათასწლეული) ქართველ ტომებს, მცხოვრებთ საქართველოს თანამედროვე ტერიტორიაზე, უკვე გააჩნდათ თავისი ენობრივი და ეთნიკური ინდივიდუალობა[27]. მართალია, დ. ბაქრაძე კარგად გრძნობდა, რომ ქართველი ხალხის წარმოშობისათვის მნიშვნელობა აქვს საკუთრივ მისი ტერიტორიის არქეოლოგიურად გამოკვლევას, რომლის შესწავლილობის იმჟამინდელი ეტაპი სასურველ შედეგს არ იძლეოდა, მის უკმარისობას აშკარად ხედავდა, მაგრამ გადამწყვეტ ფაქტორად ქართველთა ეთნოგენეზში, მას მაინც ეს ძველაღმოსავლური ტომები (თუბალი, მეშეხი) წარმოედგინა, ამასთან, როგორც თავისი ეპოქის შვილი, დ. ბაქრაძეც არაა დაზღვეული მიგრაციის თეორიის მავნე გავლენისაგან. მიუხედავად ამისა, იგი XIX ს. ქართული ისტორიოგრაფიის უდიდეს ფიგურას წარმოადგენს.

ქართველი ხალხის წარმომავლობა-განსახლების პრობლემას არა ერთი საყურადღებო გამოკვლევა მიუძღვნა აგრეთვე მოსკოვის ლაზარევის აღმოსავლურ ენათა ინსტიტუტის პროფესორმა ალექსან-

---

[27] Г. А. Меликишвили. К истории..., 1959, с. 13.

დრე ხახანაშვილმა. ამ მიმართებით განსაკუთრებული მნიშვნელობისაა მისი შემაჯამებელი ხასიათის ნაშრომი: «Древнейшие пределы расселения грузин по Малой Азии»[28], სადაც ძველაღმოსავლური და ანტიკური წყაროების ცნობათა ანალიზის შედეგად მოცემულია ქართველი ტომების გავრცელების დადგენის საინტერესო ცდა. უნდა ამთავითვე ითქვას, რომ ეს ამოცანა ავტორმა შესანიშნავად გადაწყვიტა, როგორც ისტორიული, ისე ენობრივი მასალების მიხედვით.

დ. ჩუბინაშვილის მსგავსად, ჩვენ ავტორსაც აინტერესებს მცირე აზიაში (კაპადოკია — პონტო) მცხოვრები ტომების ეთნიკური კუთვნილების საკითხი. იგი ასევე იყენებს სტრაბონის წყაროს, რომელზედაც არსებითად იყო დამყარებული დ. ჩუბინაშვილი, თუმცა ა. ხახანაშვილი შედარებით ფრთხილია და ცდილობს კრიტიკულად მიუდგეს სტრაბონის ცნობას კაპადოკიაში მცხოვრები ტომების ეთნიკურ ერთიანობაზე. იგი ყურადღებას აქცევს სტრაბონის ჩვენებას „ტიბარენული ტომების“ შესახებ, რომელთა კრებითი, ზოგადი სახელწოდების ქვეშ იგულისხმებიან სანების, მაკრონების, ტსანების (ტძანები), სანიგების, მაკრონების (მაკროკეფალები), მოსინიკებისა და მარების ტომები. მისი სიტყვით, ყველა აქ ჩამოთვლილი ტომის ქართული დასახლებაა ჭანი, რომელიც ადრე შუა საუკუნეებში ლაზების სახელწოდებით იცვლება და რომელიც მეგრულ-ჭანური, ანუ თანამედროვე ტერმინოლოგიით, დასავლურ-ქართული მოსახლეობის ზოგადი, კრებითი სახელია.

ა. ხახანაშვილი იზიარებს ანტიკურ ტიბარენთა იგივეობას „ბიბლიურ“ თუბალთან და ძველაღმოსავლურ თაბალთან, ერთი მხრივ, ხოლო, ძველბერძნულ მოსხთა, „დაბადების“ მეშეხთა და ასურული „მუსკის“ ტომებთან, მეორე მხრივ. ამ იგივეობის წყაროს შეადგენს, მისი აზრით, „ქართლის ცხოვრების“ დასაწყისი თხზულების ავტორთან დასახელებულ ეთნარქთა (უფლოსი, მცხეთოსი) სახელწოდებები. მკვლევარი ამ ფაქტის უბრალო აღნიშვნით არ კმაყოფილდება. თუ მისი წინამორბედი ისტორიკოსები საძიებელ საკითხს უპირატესად ისტორიული მეთოდით იკვლევდნენ, ჩვენი ავტორი ამ დებულებას მყარსა ხდის ენათმეცნიერული მასალების გათვალისწინებით. კერძოდ, მას მიაჩნია, რომ მეშეხი და მოსხი ერთი კონკრეტული ეთნოსის ორი სხვადასხვა ვარიანტთაგანია (გვ. 3, 34). ამ სახელწოდებათა შორის არსებობს მხოლოდ ფონეტიკუ-

---

[28] ЗКОИРГО, ტ. XXII, ნაკვ. 6, გვ. 1—64, თბ., 1902.

რი სხვაობა, სახელდობრ, „შ“-„ს“-სა და „ე“-„ო“-ს სახით. თუ „დაბადებაში“ ხსენებულ ხალხს მესეხი (მეშეხი) ეწოდება, ანტიკურ ხანაში მას მოსხი ცვლის (გვ. 3).

ამგვარი ხერხით შესაძლოა, მისი აზრით, „დაბადების“ თუბალისა და ანტიკური ხანის ტიბარენების სახელწოდებათა მსგავსებისა და იგივეობის მტკიცება. იგი ჰეროდოტეს ტიბარენებში, ლ. ვივიენდეს-სენ მარტენის მიხედვით, გამოყოფს ქართულ „ენ“[29] სუფიქსს, რომლის მოცილების შემდეგ რჩება ფესვი „ტიბარ“-ი. სწორედ ეს უკანასკნელი ძალზე ახლოს დგას „დაბადების“ თუბალთან[30]. რ ბგერის ლ-თი შეცვლა კარგადაა ცნობილი, რაც უდავოს ხდის ტიბარენთა იდენტურობის აზრს თუბალთან (გვ. 3). ხოლო ეს ტიბარ ფუძე ეტიმოლოგიურად დაკავშირებულია ტბასთან, საიდანაც მიღებულია ზედსართავი სახელი ტბელი (ან ტობელი), რომელიც შეესაბამება სვანურ ტვიბარს (გვ. 36). ჩვენი მხრიდან შევნიშნავთ, რომ სვანურად ტბას ტომბი ეწოდება და არა ტვიბარი[31]. — ხევი , ხევეში (სჯრ)

ა. ხახანაშვილი იმეორებს ვ. სენ-მარტენის მოსაზრებას მეშეხის სახელის „ქართლის ცხოვრების“ მცხეთოსის სახელწოდებიდან ბოდინარეობაზე. მაგრამ მცხეთოსი ეპონიმია, რომლის სახელწოდება თვით ბოდინარეობს ისტორიულ მცხეთადან.

ბუნებრივად იბადება კითხვა, როგორ ხსნის ფრანგი მეცნიერი ზემოხსენებულ სახელწოდებათა იგივეობას? ვ. სენ-მარტენი „მცხეთაში“ გამოყოფს უკანასკნელ მარცვალს „ეთ“-ს, რომელიც წარმოადგენს ეთნიკური კუთვნილების აღმნიშვნელ მაწარმოებელ სუფიქსს ქვეყნის სახელისაგან, როგორც, მაგალითად, **ოს-ეთ**-ი, **აფხაზ-ეთ**-ი და სხვა. ამ კომბინაციის საფუძველზე რჩება ფუძე „**მცხ**“, რომელსაც უთუო კავშირი აქვს ებრაულ „**მსხ**“-თან.

რაკი „**მცხ**“ ფუძის გამოთქმისათვის საჭირო იყო ხმოვანი ბგერების მიმატება, ამიტომ „მცხ“, ანუ „მსხ“ გადაიქცა შემდეგ სიტყვებად: **მეცეხ, მესეხ, მოსოხ, მოსხ, მესხ** და სხვ. „**მცხ**“-სა და „**მესხ**“-ის იდენტურობა იმ ფაქტიდანაც ნათლად ჩანს, რომ ახალციხის რაიონი ცნობილია აგრეთვე სამცხისა და მესხეთის სახელწოდებით.

---

[29] ა. ხახანაშვილი მართალია, როდესაც აცხადებს, რომ „ენ“ სუფიქსი ქართული წარმოშობისა არისო. იხ. ს. ჯანაშია. თუბალ-თაბალი, ტიბარენი, იბერი. ენიმკის „მოამბე“, ტ. I, თბ., 1937, გვ. 211—213, 214.

[30] V. Saint-Martin., დასახ. ნაშრ., გვ. 49, შენ. 1.

[31] „ენიმკის მოამბე“, ტ. I. გვ. 82. შდრ. ს. ჯანაშია, თუბალ... გვ. 240.

ახლა „დაბადების“ თუბალის შესახებ. ეს უკანასკნელი ვ. სენ-მარტენისა და ა. ხახანაშვილის თანახმად აშკარა კავშირშია „ქართლის ცხოვრების“ უფლოსთან, რომელიც დამაარსებელი იყო საქართველოს მეორე უძველესი დედაქალაქის უფლის-ციხისაო. ვ. სენ-მარტენის სიტყვით, ხსენებული სახელები ერთი და იგივენი არიან, როგორც მეშეხ მცხეთოსის სახელწოდებანი[32]. მათ იგივეობას, მისი აზრით, სრულებით არა ცვლის უხმო ბგერის მიმატება, რადგან ძირითადი ბგერები სავსებით ეთანხმება ერთიმეორეს: „**უფლ**“ და „**თუბლ**“.

უფლოსმა „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, თავისი მამისაგან, მცხეთოსისაგან, ძირითად საუფლობელოს მცხეთას გარდა, მემკვიდრეობად მიიღო აგრეთვე ის მიწა-წყალი, რომელიც მდებარეობდა არაგვიდან და თბილისიდან ვიდრე ტაშისკარისა და ფარავნის ტბამდე[33].

უფლოსის მიერ დაკავებული ტერიტორია, ვ. სენ-მარტენის აზრით, ახლოს დგას იმ მიწა-წყალთან, რომელიც ჰეროდოტეს მიხედვით, ტიბარენების კუთვნილებას შეადგენდა. ხოლო ამ უკანასკნელთა ტერიტორია ძველი წელთაღრიცხვის V ს-ში საკმაოდ შეკვეცილი ჩანს იმასთან შედარებით, რომელიც მათ ეკავათ „დაბადებისა“ და ასურეთის ბატონობის ხანაში. კერძოდ, ჰეროდოტეს დროს ტიბარენებს მნიშვნელოვნად გაუწევიათ ღალისიდან აღმოსავლეთის მიმართულებით.

ეს გარემოება აძლევს საფუძველს ვ. სენ-მარტენს დაასკვნას, რომ „დაბადების“ თუბალი (ანტიკური ხანის ტიბარენს შეესაბამება), თავის სახელწოდებას იღებს უფლოსისაგან, რის გამოც ტიბარენები ეპონიმის განსახიერებას წარმოადგენენ მხოლოდ, რომელმაც ეს სახელი მისცა მთელ ხალხს, ეთნოსს. ტიბარენთა ტომი, როგორც ჩანს, გავრცელებული ყოფილა მცირე აზიაში ვიდრე ღალისამდე, ხოლო მათი პოლიტიკური ცენტრი ქალაქ უფლისციხეში მდებარეობდა.

რა თქმა უნდა, არაა სწორი დებულება იმის შესახებ, რომ თითქოს ეთნიკურ ტერმინს მეშეხს (მუშქი) საფუძვლად ედოს «მცხეთა» სახელწოდება. პირიქით, როგორც ეს გამოარკვია ქართული ეთნიკური ტერმინის «მესხის» მაგალითზე კ. წერეთელმა, უცხოური წყარო-

---

[32] ვ. სენ-მარტენი. დასახ. ნაშრ., გვ. 53; ა. კუონია. ისტორიული ნარკვევი. თბ., 1890, გვ. 101.

[33] ქართლის ცხოვრება. ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, ტ. I, თბ., 1955, გვ. 10.

ებში დადასტურებული ფორმები მესხთა ირგვლივ ქართული მესხ || მუსხის ვარიანტების გადმოცემას წარმოადგენს[34]. ყველა ისინი ქართული სინამდვილიდან მომდინარეობენ. ქართული მესხის გადმოსაცემად არსებულა ორი უძველესი პარალელური ფორმა. ერთს საფუძვლად ედო «მესხ» ფუძე, საიდანაც წარმოიშვა ებრაული meŝek (მეშექ) და ბერძნული mesh (oi); ხოლო მეორეს — «მუსხ» ფუძე. საიდანაც წარმოიშვა აქადური (ასურულ-ბაბილონური) muŝku, სამარიტანული mošek II mošok, ბერძნული mosoh II mosh (oi,) ხუნძური mosok.

სწორია ვ. სენ-მარტენისა და ა. ხახანაშვილის დებულება, რომ ეთნარქ მცხეთოსის სახელი საფუძვლად არ ედო უცხო წყაროებში დაცულ ცნობებს მესხების შესახებ. აგრეთვე შესაწყნარებელია მათი მოსაზრება ამ ფუძის დადასტურების თაობაზე ზემოხსენებულ პარალელურ სახელწოდებებში. ასევე ფრიად საგულისხმოა, რომ ა. ხახანაშვილმა პირველმა მიუთითა სახელწოდება ტიბარენის „ტბიდან“ მომდინარეობის შესაძლებლობაზე, რაც, ვფიქრობთ, მართებული უნდა იყოს. ამასთან, ა. ხახანაშვილს, ვ. სენ-მარტენიდან გამომდინარეს, ტიბარენული ტომები ლაზური (მეგრულ-ჭანური) წარმოშობის ხალხად მიაჩნდა. მართალია, იგი იზიარებდა ი. ფლავიუსის ცნობას თუბალისა და იბერის იგივეობაზე, მაგრამ, მისი აზრით, იბერია ეს დასავლურ-ქართული (მეგრულ-ჭანური) ეთნიკური კოლექტივია. „ტიბარენულ ხალხებს“ მე ჩავაყენებ, — აღნიშნავდა ა. ხახანაშვილი, — მემკვიდრეობით კავშირში „იბერიულ ხალხებთან“, რომელთაც ეკუთვნოდნენ კოლხებიც“ (გვ. 11).

ქართველი მეცნიერის ამ სიტყვებიდან ჩანს, რომ იგი იზიარებდა თუბალებისა და იბერების მეგრულ-ჭანური წარმოშობის აზრს და კონკრეტულად ამ სახელწოდების ქვეშ აერთიანებდა, როგორც ვახსენეთ, სანების, მაკრონების, ტცანების (ტძანების), სანიგების, მაკრონების (მაკრო-კეფალების), მოსინიკებისა და მარების ტომებს (გვ. 7 — 13). ერთი სიტყვით, ა. ხახანაშვილის აზრით, თუბალები (ტიბარები, იბერები) მეგრულ-ჭანური, ანუ დასავლურ-ქართული მოსახლეობის წარმომადგენლებს ეკუთვნოდნენ.

---

[34] კ. წ ე რ ე თ ე ლ ი. ქართული ეთნიკური ტერმინის „მესხ“-ის ისტორიისათვის. საქართველოს მეცნ. აკად. „მოამბე“, ტ. XV, № 2, 1954, გვ. 111—118; გ. თ ო ფ უ რ ი ა, ქართულ-ქართველური ეთნონიმიკის ლინგვისტური საკითხები. 1. მესხ-ეთნონიმის ისტორიისათვის. იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება. ტ. XVII, თბ., 1970, გვ. 118—123.

ამრიგად, მესხების ეტიმოლოგიის ირგვლივ სათანადო სამეცნიერო ლიტერატურაში უკვე განმტკიცებული აზრი არსებობს. იგივე ითქმის აგრეთვე ეთნიკური ტერმინის თუბალის (თაბალი, ტიბარენი) შესახებაც. ა. შანიძემ დაბეჯითებით დაამტკიცა, რომ მცირე აზიის ერთ-ერთი ტბის ტოპადის (თურქული აჯი-გიოლი) სახელწოდებაში თავს იჩენს ქართველურ ენებში ფართოდ გავრცელებული სიტყვა ტაბა, რაც ძველ ქართულში ტბას აღნიშნავს[35]. ხოლო, აქედან გამომდინარე, ს. ჯანაშიამ ასურულ ლურსმულ წარწერებში დამოწმებული ქვეყნის თაბალის ეტიმოლოგიის ქართველურ ენათა მასალებით ამოხსნის ცდა წარმოადგინა. ს. ჯანაშიას აზრით, ასურული თაბალი ქართულ სიტყვა „ტაბად" (ტბა) და ქართველურ სუფიქს „ალ"-ად იშლება[36];

ქართველთა ეთნოგენეზის საკითხებს დიდი წარმატებით იკვლევდა პროფესორი მოსე ჯანაშვილი. მისი სამეცნიერო მემკვიდრეობა 1665 შრომამდე აღწევს[37], რომელთა შორის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ქართველ ტომთა წარმომავლობისა და განსახლების საკითხს. მართალია, მ. ჯანაშვილს არ მოუცია ერთიანი კონცეფცია ქართველი ხალხის ეთნოგენეზის პრობლემაზე, მაგრამ მისი ცალკეული წერილები მაინც იძლევიან ავტორის გარკვეულ წარმოდგენას ჩვენთვის საინტერესო საკითხებზე.

მ. ჯანაშვილის „საქართველოს ისტორიაში" ყურადღება ექცევა ქართველ ტომებს — მუშქებსა და თაბალებს. იგი აღნიშნავს უცილობელ კავშირს თუბალ-თაბალ-ტიბარენს შორის, ერთი მხრივ, ხოლო, მუშქ-მეშხ-მოსხ-მესხს შორის, მეორე მხრივ. აქვეა მოცემული ხსენებულ ტომთა მიწა-წყალის სწორი ლოკალიზაცია; აღნიშნულია, რომ ასურული ლურსმული წარწერების მიხედვით, ეს ორი ძლიერი ტომი (მისი სიტყვით, ერი) ძველი წელთაღრიცხვის XII—VII სს-ში სახლობდა კაპადოკიაში კილიკიამდე და ზემო ევფრატამდე[38].

---

[35] А. Шанидзе. К этимологии названия «Топада». „ენიმკის" მოამბე. ტ. I, 1937, გვ. 79—88.

[36] ს. ჯანაშია, თუბალ-თაბალი, ტიბარენი, იბერი. ენიმკის „მოამბე", ტ. I, თბ., 1937, გვ. 235.

[37] იხ. კრებული „მოსე ჯანაშვილი" (ცხოვრება და მოღვაწეობა), თბ., 1956, გვ. 4.

[38] მ. ჯანაშვილი. დასახ. ნაშრ., გვ. 15; მისივე. ქართველები და ქართული ენა. II, ივერია, „განათლება", № 5—6, 1916, გვ. 323.

ამასთან დაკავშირებით მ. ჯანაშვილის სხვა ნაშრომში[39] ხაზგასმულია, რომ თუბალები (თობელი) იყვნენ არა მარტო ძველაღმოსავლურ დიდებულ ცივილიზაციათა (ქალდეა, ეგვიპტე, ბაბილონეთი) მომსწრენი, არამედ მათ ქმედითი და ცხოველი მონაწილეობა მიუღიათ ამ ცივილიზაციათა შექმნაში, როგორც ერთ-ერთი უფროსი და უმნიშვნელოვანესი მათი წევრთაგანი. მართალია, აქ ცოტაოდენ გადაჭარბებასთან გვაქვს საქმე, მაგრამ, ცხადია, რომ თუბალებს დიდი წვლილი აქვთ შეტანილი ძველაღმოსავლური მეტალურგიის წარმატებით განვითარებაში. სწორედ ამაზე ამახვილებს თავის ყურადღებას მ. ჯანაშვილი. მისი სიტყვით, ქართველები ისტორიული თუბალის მემკვიდრენი არიან, ე. ი. იმ თუბალისა, თუბალ-კაინისა, რომელიც იყო „კვერით ხუროი, მჭედელი რვალისა და რკინისა“ (შესაქმე, 4, 22). ამ რკინისა და სპილენძის მეტალურგ თუბალ-კაინს,თუ თუბალკინს (ბ. უსლარით, იგი უდრის თვალკინს) თავის სახელწოდებაში დაუცავს საკუთარი პროფესიის სახელი „კინა“, რაც მეგრულად (ქართულად) რკინას ნიშნავს[40]. ამასთან, ჩვენი ავტორის აზრით, თუბალის (თობელი-თუბალი-თოველი-თოვალი-ტიბარი-ტიბარენი) სახელწოდებაში შემონახულია სპილენძის ქართული სახელი თუთბერი. მაგრამ მ. ჯანაშვილი ამაზე არა ჩერდება, იგი თვლის, რომ თუბალის სახელწოდებაში ამჟამადაც ისმის მისი შთამომავლის ქართველის ეთნიკური სახელი ქალთველი-ქალ-თუვალი-ქართველი[41].

საგულისხმოა, რომ მ. ჯანაშვილი თუბალის იბერთან კავშირის საკითხში ეკამათება ი. ფლავიუსს. იგი ფიქრობს, რომ თუბალში დასახახია არა საკუთრივ იბერია, როგორც ამას ი. ფლავიუსი გადმოგვცემს, არამედ ისტორიული საქართველოს ის ნაწილი, რომელიც ზღვის ნაპირზე მდებარეობდა, ტბიან ადგილას. მისი აზრით, თობელი, თუბალი, თაბალი, ტიბარენი, ტიბრანი ახსნას პოულობს ქართული ტბის (ტობა, ტოპი, ტვიბ) სახელწოდებიდან[42].

ჩვენ შეგვეძლო კიდევ მრავალი მასალის მოტანა მ. ჯანაშვილის ნაშრომებიდან, ისე როგორც მისი წინამორბედი ისტორიკოსე-

---

[39] М. Г. Джанашвили. О родстве грузинского языка с индоевропейскими. Тб., 1913, გვ. 2—3.

[40] მ. ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი. ქართველები და ქართული ენა. II, ივერია. „განათლება“, № V—VI, 1916, გვ. 329.

[41] М. Г. Джанашвили. О родстве..., გვ. 2. თუბალის აქ წარმოდგენილი ეტიმოლოგია, რა თქმა უნდა, მცდარია. მისი ეტიმოლოგია იხ. ზემოთ.

[42] მ. ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი. საქართველოს ისტორია, გვ. 16.

ბის თხზულებებიდან ქართველთა წარმოშობის საკითხზე, მაგრამ, ვფიქრობთ, აღნიშნულიც საერთო შთაბეჭდილებას ქმნის, გვისურათებს იმას, თუ რა მეთოდებითა და ხერხებით აწარმოებდნენ კვლევა-ძიებას XIX ს. ქართველი ისტორიკოსები აქ აღძრულ საკითხთა გარშემო. ამიტომ ჩვენ ამ საკითხზე მოვათავებთ საუბარს და შევეცდებით ზოგადი დასკვნების წარმოდგენას.

აქ განხილულ ეთნოგენეტიკურ შეხედულებებს, ჩვენთვის, უწინარეს ყოვლისა, ისტორიული მნიშვნელობა აქვს.

ქართველთა ეთნოგენეზის საკითხის განხილვის პირველი ეტაპი უკავშირდება ძალზე პრიმიტიულ, მარტივ კონცეფციას, რომელიც ერთნარქ-პატრიარქთა — „ბიბლია"-ლეონტის თეორიას ემყარება. ამ კონცეფციას მეცნიერებასთან საერთო არაფერი აქვს. აქაა გაბატონებული „ბიბლიური" გენეალოგიური სქემა, რომელსაც მექანიკურად დაუკავშირეს ქართველთა ლეგენდარული წინაპარი ქართლოსი. ამ უკანასკნელის გარშემო თავს იყრის მისი შთამომავლობა — ქართველობა, რომელიც ხალხად ყალიბდება. ამავე წიაღში, ე. ი. ამ გენეალოგიური კონცეფციის წიაღში, თანდათან გზას იკვლევს შედარებით რაციონალური იდეა ქართველთა გაჩენისა „ბიბლიური" თუბალისაგან. ეს უკანასკნელი ცხადდება იბერთა წინაპრად და თითქოს ნიადაგს ამზადებს ეთნოგენეზის საკითხის სწორად გადაჭრისათვის. მაგრამ თეიმურაზი ამ თეორიას უარყოფს „ქართლის ცხოვრების" ტექსტზე მითითებით, აღნიშნავს, რომ ეს წყარო ამ კონცეფციას არ იცნობდა და ამიტომ მიუღებელია.

ქართველთა წარმოშობის მეორე ეტაპი იწყება პ. იოსელიანის ნაშრომთა გამოქვეყნებიდან. ეს უკანასკნელი უარყოფს ეთნარქ-ეპონიმთა ისტორიულ რეალობას და ამით საფუძველს აცლის გენეალოგიურ სქემას. იგი უკვე კომპლექსური მეთოდით ხელმძღვანელობს და „ბიბლია" — „ქართლის ცხოვრების" ცნობებთან შედარებით წინა პლანზე აყენებს ანტიკური (ბერძნულ-რომაული) ნარატიული წყაროების ჩვენებებს ქართველი ტომების წარმომავლობისა და ისტორიული განსახლების შესახებ. მაგრამ არც მისი კონცეფციაა მყარ ნიადაგზე დაფუძნებული. მეშეხი და თუბალი თუნდაც რომ კონკრეტული სახით იყოს წარმოდგენილი „დაბადებაში", მაინც ძალზე მცირე მასალას იძლევა ქართველთა ეთნიკური ფიზიონომიის განსაზღვრისათვის. მიუხედავად ამისა, პ. იოსელიანის ცდა ქართველი ხალხის წარმოშობისა თავის დროისათვის საინტერესო და საგულისხმო ჩანს. ამასთან, მან საკითხის შესახებ

მასალათა შემდგომი შეგროვების მიმართულებით დიდი სამუშაოს შესრულება შეძლო.

XIX ს. მეორე ნახევრის ქართულ ისტორიოგრაფიაში ქართველთა ეთნოგენეზის საკითხი კიდევ უფრო მეტად უახლოვდება მეცნიერულ დონეს. ყურადღებას იქცევს ს. ბარათაშვილის ცდა ამ პრობლემის შესწავლაში ენათმეცნიერებისა და ფიზიოლოგიის მონაცემთა გამოყენებისა. მასვე ეკუთვნის ქართველთა დაკავშირება ინდოევროპულ ხალხთა ოჯახთან და ამით ქართველი ხალხის წინაპრების მოძებნის „ინდოევროპული გზით" სვლა. მას უპირისპირდება დ. ჩუბინაშვილ — ი. ხახანაშვილის კონცეფცია ქართველი ტომების წარმოშობა-განსახლების არეთა შესახებ, რომელიც მიუთითებს მცირე აზია-კაპადოკია-პონტო-კოლხეთის ვრცელ ტერიტორიაზე და იქ მარტოოდენ ქართული ეთნიკური ელემენტით დასახლებას ვარაუდობს. ეს ტერიტორია, მათი აზრით. ძირითადად დასავლურ-ქართული ეთნიკური მასივით (ჭანი, ლაზი) უნდა ყოფილიყო დასახლებული. მათ გზას გაჰყვა აგრეთვე დ. ბაქრაძეც. მისი მოღვაწეობის დროისათვის საქართველოში დასრულდა პროცესი ქართველი ბურჟუაზიული ერის ჩამოყალიბებისა. ეს უკანასკნელი კი საჭიროს ხდიდა ამ პროცესის დასაბუთებას ისტორიულ-თეორიულად, რისი შესრულება წილად ხვდა დ. ბაქრაძესა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ბელადს ი. ჭავჭავაძეს. მათ ქართველი ხალხის წარმოშობა ეროვნული თვითგამორკვევის პრობლემას დაუკავშირეს და ამ საქმისათვის მოიმარჯვეს როგორც ზოგადი მსოფლიო ისტორიული თეორიები ქართველთა წარმომავლობაზე, ისე განსაკუთრებით ენა და ენობრივი მონაცემები[43]. ამასთან, დ. ბაქრაძეს ჩვენთვის საინტერესო საკითხის კვლევა-ძიებისათვის გამოყენებული აქვს მრავალფეროვანი მასალა: ქართული წყაროები, „ბიბლიის" ცნობები, ანტიკურ მწერალთა მონაცემები და ძველაღმოსავლურ (ასურული) ეპიგრაფიკულ ძეგლებში დაცული მასალები ქართველ ტომთა (თუბალი, მუსკი) შესახებ. წერილობითი წყაროების გარდა, დ. ბაქრაძე ქართველი ხალხის უძველესი ხანის ისტორიის შესასწავლად და მათი წარმომავლობის დასადგენად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა არქეოლოგიას, რომელიც მის ხელში გადაიქცეოდა, ალბათ, რეალურ წყაროდ, ქართველთა ეთნოგენეზის კვლევაში, მაგრამ გათხრითი არქეოლოგიური მასა-

---

[43] გ. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი. საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის. თბ., 1965, გვ. 32—33.

ლის მეტისმეტმა სიმცირემ ხელი ააღებინა ავტორს ამ რიგის წყაროთა გამოყენებისაგან. დ. ბაქრაძით იწყება მესამე ეტაპი ქართველთა ეთნოგენეზის კვლევა-ძიებაში. ეს ეტაპი თავისი მეცნიერული მნიშვნელობით გაცილებით უფრო მაღლა იდგა, ვიდრე მისი წინამორბედი ორი ეტაპი. მაგრამ, მიუხედავად დიდი განსხვავებისა, სამივე ეს ეტაპი ძირითად ხაზებში მაინც შეიძლება ერთმანეთს დავუკავშიროთ, გავაერთიანოთ, რაკი მათ საფუძვლად ედოთ ლიტერატურული ტრადიცია, რომელიც ცნობათა სამი კომპლექსისაგან შედგებოდა: „ბიბლიის“, ანტიკური ხანის მწერალთა მონაცემებისა და ძველაღმოსავლურ წყაროთაგან.

მ ე ს ა მ ე თ ა ვ ი

ძველი საქართველოს ქრონოლოგიის პრობლემები XIX ს. ქართულ ისტორიოგრაფიაში

ცნობილია, რომ პოლიტიკური ისტორია ქრონოლოგიის გარეშე წარმოუდგენელია. ვიდრე ჩვენ XIX ს. ქართველ ისტორიკოსთა პოლიტიკურ თვალსაზრისს გავარჩევდით ძველ საქართველოზე, ცოტაოდენი ყურადღება უნდა შევაჩეროთ ქართულ ისტორიულ ქრონოლოგიაზეც.

ქართული ისტორიოგრაფია მეტად ღარიბია ქრონოლოგიით. ამის მიზეზი საკუთრივ ძველ ქართულ საისტორიო მწერლობაშია საძიებელი. „ქართლის ცხოვრება" ან სრულებით არ იცნობს ქრონოლოგიას ან მასში მოცემული თარიღები ძალზე არეულია.

ქრონოლოგია ისტორიული მეცნიერების დამხმარე დარგია, რომელიც შეისწავლის დროის განსაზღვრას და იყოფა ორად: მათემატიკურ და ისტორიულ, ანუ ტექნიკურ ქრონოლოგიად. მათემატიკური ქრონოლოგია შეისწავლის ცის მნათობთა მოძრაობის გამოანგარიშების საფუძველზე დროის ზუსტ ასტრონომიულ გამოთვლას. ხოლო ისტორიული ქრონოლოგია არსებული დოკუმენტური მასალის მეოხებით საისტორიო წყაროებში დაცულ თარიღებს ადგენს[1]. მაგრამ ისტორიული ქრონოლოგია ამა თუ იმ ფაქტის დადგენაში სარგებლობს აგრეთვე მათემატიკური ქრონოლოგიითაც. ამის მაგალითები ჩვენ ისტორიოგრაფიას მრავლად მოეპოვება. ამ მხრივ საკმარისია აღინიშნოს მ. ბროსეს „Etudes de chronologie technique", რათა დავრწუნდეთ ზემოაღნიშნულის სინამდვილეში.

ამრიგად, ქრონოლოგია ისტორიული მეცნიერების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დარგთაგანია. იგი უზრუნველყოფს ისტორი-

---

[1] В. К. Никольский. Происхождение нашего летосчисления. Огиз, 1938, с. 3.

ული წარსულის მეცნიერულ შესწავლას სწორი ქრონოლოგიური თანმიმდევრობით.

ქართული წელთაღრიცხვის მეცნიერული შესწავლა ვახუშტი ბატონიშვილმა დაიწყო. მან დაგვიტოვა არა მარტო ბრწყინვალე ტრაქტატი ქართული კალენდრის შესახებ, არამედ შეადგინა ქართველ მეფეთა ცხოვრება-მოღვაწეობის ქრონოლოგიაც.

ვახუშტიმ თავის „საქართველოს ისტორიაში" წარმოგვიდგინა საინტერესო თეორია ქართულ წელთაღრიცხვაზე. ამ თეორიის მიხედვით, ჩვენი ისტორიის დასაწყისი — ლეგენდარული ნოედან დაწყებული ვიდრე XVIII ს-მდე სავსებით დათარიღებულია. ამასთან, თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ქრონოლოგია, როგორც მეცნიერება, აღმოცენდა მხოლოდ XVI ს. მეორე ნახევარში, მაშინ უნდა აღვნიშნოთ, რომ ვახუშტის დამსახურება ქართულ ქრონოლოგიაში ფრიად დიდია და იგი ამ მეცნიერების ფუძემდებელია ჩვენში. ვახუშტი, ლაპარაკობს რა „მატიანის" მნიშვნელობაზე, აღნიშნავს, რომ ის „მოგვახსენებს დასაბამითგანსა ჟამსა, წელსა და საუკუნოსა". იგი „მეტყუელებს ჭეშმარიტსა და არცა სცბის, და მოწმობს სხვათა და სხვათა"[2]. ვახუშტის სიტყვით, „მატიანე განიყოფების ოთხწილად: ადგილის აღწერად, ნათესავმეტყუელებად, წლისმრიცხუელობად და მოქმედების აღწერად" (გვ. 1, გვ. 4). მაგრამ მატიანის ამ ოთხი ძირითადი ელემენტიდან, ვახუშტის განცხადებით, „წლის მრიცხველება", ანუ ქრონოლოგია საქართველოს ისტორიაში მეტად ღარიბია: „უწყება ჯერ არს, — წერს იგი, — უკეთუ ცხოვრებისა ჩუენისა ქრონიკონნი არიან იშვით" (გვ. 1. გვ. 5) და „შრომა ჩუენი ამისათვის არს" (გვ. 1, გვ. 4), რათა ქრონოლოგია „გამოვაცხადოთ" (გვ. 1, გვ. 4). მაშასადამე, ვახუშტის მიზნად დაუსახავს ქრონოლოგიის შეტანა საქართველოს ისტორიაში და მის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან ამ რთულ პრობლემას ბრწყინვალედ გაართვა თავი. შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, თითქოს ვახუშტის ქრონოლოგიაში ყველაფერი რიგზეა. ცხადია, მის მიერ დადგენილ თარიღებს ხშირად სიზუსტე აკლია, არის შემთხვევა თარიღების ერთიმეორეში არევისა, მაგრამ ეს გარემოება ოდნავადაც არ ამცირებს ვახუშტის ღვაწლსა და დამსახურებას ქართული ქრონოლოგიის მეცნიერულ გამართვაში.

ბუნებრივად იბადება კითხვა — რა წყაროებით, ლიტერატურითა და მეთოდებით სარგებლობდა ვახუშტი ქართული ქრონოლო-

---

[2] ვ ა ხ უ შ ტ ი. საქართველოს ისტორია, გვ. 1.

გიის გამართვის დროს? პასუხს ამ კითხვაზე იძლევა თვით ავტორი. იგი წერს: „უწყება ჯერ არს, უკეთუ ცხოვრებისა ჩუენისა ქორონიკონნი არიან იშვით, არამედ ნოედამ მირიანისამდე რაოდენნი მოიპოებიან, უმეტეს მოწმობენ რომაულსა; ხოლო მირიანიდამ ბაგრატოვანამდე ბერძულსა და მას ქუეითნი თამარ მეფისამდე არიან ხუთასიანნი. რომელსა ჩვენ უწოდებთ ქართულსა, და ჩუენცა ეგრეთვე შემოწმებულ ჩუენთა ცხორებათა ზედა ვქმენით“ (გვ. 11, გვ. 5).

მაშასადამე, ვახუშტი გვაუწყებს, რომ ქართულ ისტორიოგრაფიაში მის დრომდე თარიღების საკითხი გადაწყვეტილი არა ყოფილა, ხშირად ამა თუ იმ მატიანეს თარიღი აკლდა, რისი გამოსწორება მას დაუსახავს მიზნად. ამ შემთხვევაში იგი წყაროსაც ასახელებს ხოლმე. „ნოედამ ნებროთის გამეფებამდე საჩინო არს დაბადებისაგან. ხოლო ნებროთ რაოდენი წელი მეფა და მოკუდა, იხილვების სხუათა მატიანეთაგან, რომელნი მოწმობენ ჩუენთა მატიანეთა. ხოლო მას ქუეითნი კერპთათაყვანისცემა და მოსეს ზღვის გამოსლვა დაბადებისაგანვე, და სხუანი სპარსთა მეფეთა. და ნაბუქოდორნოსესა, და ალექსანდრე მაკიდონელისათი ვპოვეთ“ (გვ. 11, გვ. 5—6).

ვახუშტი ბატონიშვილის ეს განცხადება სწორი არაა. მან უფრო მეტი გააკეთა, ვიდრე სინამდვილეში წერს. ვახუშტის „ისტორიაზე“ დაკვირვებამ ივ. ჯავახიშვილს ათქმევინა, რომ გამოჩენილი ისტორიკოსი ძალზე იშვიათ შემთხვევაში მიმართავდა ხოლმე აღნიშნულ წყაროთაგან თარიღთა პირდაპირ ამოღებას. „უფრო ხშირად გამოანგარიშება იყო საჭირო, — აღნიშნავდა ივ. ჯავახიშვილი, — და ვახუშტიც სწორედ ასე მოქცეულა და ქართველ მეფეთა-დროინდელ უცხოელ ხელმწიფეთა, ან უცხოეთის ისტორიის შესანიშნავ ამბების თარიღებისდა მიხედვით... არკვევდა“[3].

ამგვარი მეთოდი რომ ახასიათებდა ვახუშტის, ეს მისი სიტყვებიდანაც ჩანს: „ვინაითგან ალექსანდრეს მოსლვა ქართლსა შინა მოვიპოვეთ, ამით ადვილ გვექმნა გამეფება ფარნაოზ პირველისა მეფისა, — აღნიშნავს იგი, — ვინაითგან მოსლვასა ალექსანდრესასა, რაოდენის წლისა იყო, და რაოდენისა გამეფდა, და რაოდენ წელ მეფე მუნავე წერილ არს“ (გვ. 11, გვ. 6). „ადერკის მეფო-

---

[3] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი. ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლა. წიგნი 1. ძველი ქართული საისტორიო მწერლობა. თბ., 1945, გვ. 332 (შემოკლებით, ივ. ჯავახიშვილი. „ისტორიის მიზანი“).

ბა იქმნა პირველსა წელსა შობისა ქრისტესსა, და მეფობაცა მისი ცხად არს. არამედ მას ქუეითნი მეფენი მირიანისამდე კეისართა, სპარსთა და სომეხთა მეფეთაგან მოწმობითა დავსხენით" (გვ. 11, გვ. 6).

ამრიგად, მოტანილი მაგალითები მოწმობენ, რომ ვახუშტი არ კმაყოფილდებოდა წყაროთაგან თარიღების პირდაპირი ამოწერის მეთოდით. იგი უფრო რთულ გზას მიმართავდა და საკუთარი გამოანგარიშების მეოხებით იკვლევდა ამა თუ იმ მოვლენის სინამდვილეს. ამგვარი მეთოდი კი ისტორიოგრაფიაში სინქრონიზმის სახელწოდებით ცნობილი, ქართულ საისტორიო მწერლობაში პირველად ვახუშტიმ შემოიტანა[4].

ბუნებრივად გვებადება კითხვა, თუ რამდენად შეესაბამება ვახუშტის თეორიული ხასიათის მსჯელობა ქართულ ქრონოლოგიაზე მისსავე მიღებულ თარიღებს? ამთავითვე შეიძლება ითქვას, რომ ვახუშტის თეორია და პრაქტიკა ერთმანეთთან სრულ იგივეობაშია და არავითარ წინააღმდეგობასთან არა გვაქვს საქმე.

‹ ვახუშტი ბაგრატიონი თავის „საქართველოს ისტორიაში" წელთაღრიცხვათა არსებულ სისტემებს შორის მხოლოდ ოთხით სარგებლობს. ესაა „დასაბამითგან", რომელიც ჟ. სკალიგერის ერაზეა დამყარებული და ჩვენ წელთაღრიცხვამდე 3949 წელს ითვლის[5]. მეორე ერა „ბერძნული", ანუ ბიზანტიურია და 5508 წლიანი თარიღია „ქვეყნის გაჩენიდან". მესამე წელთაღრიცხვა „ქართული", ანუ ქორონიკონულია, რომელიც 532 წლიან ციკლზეა დამყარებული და რომელსაც ვახუშტი „ქართულს" უწოდებს (გვ. 11). ეს სისტემა „ქვეყნის გაჩენიდან" ვიდრე „ქრისტეს დაბადებამდე" 5604 წელს გულისხმობს და შემოსულია ჩვენში ადრე შუა საუკუნეებში. მეოთხეა ებრაული, რომელიც 4004 წელს აღნიშნავს „დასაბამიდან". ›

ცნობილია, რომ წლების გამოთვლა „ქორონიკონით" 532 წლიანი ციკლით წარმოებს. ესაა წმინდა ასტრონომიული რიცხვი, რომელიც გამოანგარიშებული იყო ძველ ეგვიპტეში და რომელიც მთელ რიგ ქრონოლოგიურ სისტემებს დაედო საფუძვლად. იგი მთვარისა და მზის მოქცევათა ჯამზეა აგებული. საქართველოში ამ სისტემით უკვე განვითარებულ შუა საუკუნეებში სარგებლობდნენ.

---

4 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი. ისტორიის მიზანი..., გვ. 332.

5 F. K. G i n z e l. Handbuch der mathematischen und technischen chronologie. b. III, Leipzig, 1914, გვ. 184, 406.

ამ სისტემით სარგებლობს აგრეთვე ვახუშტიც. მისი სიტყვით: „რადგან მზის მოქცევი 28 არს და მთოვარისა 19, ესენი გასწორდებიან 532 წელს. ესრეთ, 28 ჯერ მოიქცევიან და ისევ პირველსავე მოჰყვებიან, და ამის ნაკლებ წელს არაოდეს შესწორდებიან“[6].

მაშასადამე, ქართულ ისტორიოგრაფიაში ვახუშტიმ პირველმა გამოიყენა 532 წლიანი ციკლი[7]. იგი სამართლიანად შენიშნავს, რომ 532 წლიანი ციკლის დამთავრებისას კვირის, თვისა და წლის დღეები უცვლელი თანამიმდევრობით მეორდებიან. თითოეულ 532 წლის მოქცევას კიკლოსი, ანუ ციკლი ეწოდება და ჩვენ რომ „დასაბამითგან სოფლისა“ (ქვეყნის გაჩენიდან) წელთა მსვლელობა ციკლებად დავყოთ ქართული სისტემის მიხედვით, დავინახავთ, რომ ამჟამად ჩვენ XV ციკლში, ანუ მოქცევაში ვიმყოფებით. როგორც აღინიშნა, ქართული წელთაღრიცხვის მიხედვით, „დასაბამითგან სოფლისა“ იანგარიშება 5604 წელი, ხოლო „ბერძნულით“ 5508 წელი; მაშასადამე, ამ ორ სისტემას შორის განსხვავება 96 წელია. ამრიგად, თუ ჩვენ „დასაბამითგან“ 96 წელს პირველ მოქცევაში შევიტანთ და ამით დავასრულებთ ამ მოქცევას, მეორე მოქცევა დაიწყება 436 წელს, მესამე — 968, მეოთხე — 1500, მეხუთე — 2032, მეექვსე — 2564, მეშვიდე — 3096, მერვე — 3628, მეცხრე — 4160, მეათე — 4692, მეთერთმეტე — 5224, მეთორმეტე — 5756, ანუ 248 წელს ჩვენი წელთაღრიცხვით, მეცამეტე — 6288, ანუ 780 წელს ჩვენი წელთაღრიცხვით, მეთოთხმეტე — 6820, ანუ 1312 წელს ჩვენი წელთაღრიცხვით და მეთხუთმეტე — 1844 წელს ჩვენი წელთაღრიცხვით. ეს დაყოფა ჩვენი წელთაღრიცხვის უწინარესი დროისა ვახუშტის ეკუთვნის[8].

ვახუშტი „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, ქართველთა გაჩენას „დაბადების“ მამამთავართა გენეალოგიას უკავშირებს. ამის მიხედვით იგი ქართლოსს ქართველთა ეთნარქად მიიჩნევს და მის შთამომავალთა ისტორიას მოგვითხრობს ქრონოლოგიის დართვით. ამ ქრონოლოგიით თარგამოსიანთა გამოყოფა ნოეს ჩამომავალთაგან და მათ მიერ ამიერკავკასიაში დასახლება მომხდარა „დასაბა-

---

[6] M. Brosset. Etudes de chronologie technique. SPB., 1868, გვ. 57. შემდგომში: M. Brosset. Etudes...

[7] ჩვენ ვგულისხმობთ ისტორიულ ნაშარმოებებს და არა ქართულ ორიგინალურ ასტრონომიულ ტრაქტატებს.

[8] დ. ბაქრაძე. ისტ. საქ., გვ. 215. მას კი მ. ბროსედან აქვს აღებული, Mélanges Asialiqués, ტ. XIII, 1881, გვ. 42.

მითგან 1758, ბერძულსა 2785, ქართულსა 221" (გვ. 28, გვ. 47), მაშასადამე, აქ სახეზეა სამი თარიღი, რომელთა შორის საგრძნობ განსხვავებასთან გვაქვს საქმე, თუმცა ეს განსხვავება მხოლოდ გარეგნულია. ირკვევა, რომ ყველა თარიღი აბსოლუტურ იგივეობაში იმყოფება ერთმანეთთან.

ბერძნულ და ქართულ რიცხვებს შორის რომ სრული თანხმობაა, ეს შემდეგიდან ჩანს. ვახუშტი იმავე გვერდზე (28) სქოლიოში შენიშნავს, რომ „ქართული ქორონიკონი ხუთასიანი ხუთჯერ მოქცეულა"-ო. მაშასადამე, ჩვენ აქ საქმე გვაქვს V მოქცევასთან. რაკი ყოველი მოქცევა 532 წლიან ციკლს შეიცავს, ამიტომ 532×5=2660. ამას თავის მხრივ უნდა მიემატოს 221, რაც ჯამში იძლევა 2881 წელს. ამის შემდეგ ქართულ წელთაღრიცხვას 5604 აკლდება 2881 და მიიღება 2723 წელი. ასევე ბერძნულ საფეძველს, ე. ი. 5508—2785=2723-ს.

ამრიგად, ჩვენი გამოანგარიშებიდან ჩანს, რომ ბერძნული და ქართული წელთაღრიცხვები ერთმანეთს ეთანხმება და მათში საეჭვო არაფერია. კითხვას იწვევს მხოლოდ ვახუშტის თარიღი 1758 წელი „ქვეყნის დასაბამიდან", რომელიც არ უდგება აღნიშნულ რიცხვებს. მათ შორის განსხვავება იძლევა (2785—1758) 1027 წელს. მართალია, ძნელია „დასაბამითგანის" იმ ერის პოვნა, რომელსაც გულისხმობს ვახუშტი, მაგრამ ეს გარემოება ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ იგი აქ შემცდარია. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ვახუშტის „დასაბამითგანის" ქვეშ მხედველობაში აქვს სკალიგერის 3949 წლიანი ერა, რომელიც ასტრონომიულ გამოანგარიშებაზეა დამყარებული.

კულტურის ისტორიაში ცნობილია რამდენიმე ასეული „მსოფლიო ერა", თუმცა უფრო მიღებული და გაბატონებულია შემდეგი: ესაა ფრანგი მეცნიერის ჟოზეფ სკალიგერის (1540—1609) 3949 წლიანი ერა და ებრაული 3761 წლიანი ერა, რაც შეეხება ამ უკანასკნელს, ვახუშტის ქრონოლოგიის შედარებამ მასთან სასურველი შედეგი არ მოგვცა, განსხვავება ძალზე დიდია. შემოწმებამ დაგვარწმუნა, რომ ვახუშტის მხედველობაში აქვს სწორედ სკალიგერის 3949 წლიანი ერა. ამ პერიოდს ქრონოლოგიაში წესრიგის დამყარება და სხვადასხვა ერათა ურთიერთშეთანხმებაში მოყვანა შეუძლია.

ვახუშტის თავის „საქართველოს ისტორიის" ხელნაწერის ბოლოს დართული აქვს სინქრონული ტაბულა, რომელშიც მოცემულია ხუთი საწყისი თარიღი „ქვეყნის გაჩენიდან". ხელნაწერის

შესწავლამ ცხადი გახადა ჩვენი დაკვირვების სისწორე, კერძოდ ის, რომ ვახუშტის „დასაბამითგანის“ თარიღად მართლაც აღებული აქვს 3947 წლიანი ერა[9]. ამის შესაბამისად ბერძნული და ქართული თარიღებიც პირველს ექვემდებარება და მათი საწყისი რიცხვი 5506 და 5602. მაშასადამე, ტრადიციულ ერებთან შედარებამ გამოარკვია, რომ აქ ორი წლის განსხვავებასთან გვაქვს საქმე, რაც, ჩვენი აზრით, იმაზე მიუთითებს, რომ ვახუშტი თავის ქრონოლოგიაში საერთოდ ორი წლით უნდა ცდებოდეს. ამასთან, როგორც ქვემოთ დავრწმუნდებით, ვახუშტი ცდება აგრეთვე ერთი მოქცევითაც, თუმცა ეს შეცდომა წმინდა მექანიკურია და მის კონცეფციას არ ცვლის, რადგან ჩვენ მიერ ნებისმიერად აღებული სამივე ციფრი ერთი და იგივე თარიღს იძლევა „დასაბამითგანს“ რომ მივამატებთ ან გამოვაკლებთ 532 წელს.

ახლა, როდესაც ჩვენთვის ცნობილია ვახუშტის „დასაბამითგანის“ საწყისი წელი (იგი უდრის არა 3947-ს, არამედ 3949-ს), მისი საშუალებით უნდა ვაწარმოოთ გამოთვლა, რათა დავრწმუნდეთ ზემოთქმულის სიმართლეში. მაშასადამე, ჩვენ გვაქვს მოცემული სამი თარიღი (გვ. 28): „დასაბამითგანი“ 1758, ბერძნული 2785 და ქართული 221. ამ ორი უკანასკნელი თარიღის შესახებ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ისინი ერთმანეთთან იდენტურ კავშირში არიან. გამოსარკვევი დაგვრჩა 1758 წელი, თუ რა მიმართებაშია ეს უკანასკნელი ამ ორთან. ამისათვის 3949—1758=2191. მაგრამ ეს რიცხვი არ ეთანხმება ბერძნულ და ქართულ თარიღებს. სწორედ აქაა გამოსაყენებელი 532 წლიანი ინდიქტიონი, რომლის მიმატება 2191-თან იძლევა 2723 წელს ჩვენ ერამდე. ამგვარი გზით ჩვენ ვხედავთ, რომ სამივე ეს თარიღი ერთმანეთის მსგავსია.

ვახუშტი რომ ჟ. სკალიგერის სისტემით სარგებლობდა, ამაში დარწმუნება მხოლოდ ერთი მაგალითის მიხედვით ყოვლად დაუშვებელია. ამისათვის მივმართოთ მეორე მაგალითს: ვახუშტი იმავე გვერდზე (28) გადმოგვცემს თარგამოსიანთა აჯანყებას ნებროთის წინააღმდეგ და მის მოკვლას. ეს ფაქტი მისი სიტყვით მომხდარა „დასაბამითგან 1829, ბერძულსა 2856, ქართულსა 292“. აქაც ბერძნულ და ქართულ თარიღებს შორის სრულ თანხმობასთან

---

[9] ვახუშტის სინქრონული ტაბულის დასაწყისი ნაწილი გამოქვეყნებული აქვს ნ. ბერძენიშვილს. იხ. ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა (საქართველოს გეოგრაფია) თ. ლომოურის და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით. თბ., 1941, გვ. XXIII. სამწუხაროდ, ყაუხჩიშვილისეულ გამოცემაში ეს სინქრონული ტაბულა გამოქვეყნებული არაა.

გვაქვს საქმე. 5508—2856=2652; 532×5=2660+292=2952; 5604—2952=2652; გამოსარკვევია, მაშასადამე, „დასაბამითგანის“ თარიღი 1829 წელი. „დასაბამითგანი“ რომ ამ ორ ერასთან იგივეობაში მოვიდეს, ამისათვის საჭიროა 3949 გამოაკლდეს 1829 და მიიღება 2120. მაგრამ ეს რიცხვი ნაკლებია აღნიშნულზე. ამიტომ 2120+532=2652. აქედან ჩანს, რომ სამივე აღებული რიცხვი ერთმანეთს უდრის, მაგრამ აქ უნდა აღვნიშნოთ ერთი არსებითი ხარვეზი. საქმე ისაა, რომ როგორც ამ, ისე წინა შემთხვევაშიც „დასაბამითგანის“ ნაშთს მივუმატეთ 532 წელი. იბადება კითხვა, რა საფუძველი გაგვაჩნია ჩვენ ამგვარი ნებისმიერი მიმატებისათვის? ეს იმიტომ მოხდა, რომ ვახუშტი, როგორც ჩანს, მექანიკურ შეცდომას უშვებს ხოლმე, ყოველთვის ერთი მოქცევით ცდება. სწორედ ამიტომაა საჭირო ერთი მოქცევის მიმატება, ან, როგორც დავინახავთ ქვემოთ, გამოკლება, რათა სამივე წელთაღრიცხვის თარიღები მოვიდნენ სრულ იგივეობაში.

მოვიტანოთ მესამე მაგალითი. ვახუშტი წერს, რომ გარკვეული პერიოდის გასვლის შემდეგ კავკასიაში შემოიჭრნენ ხაზარები, რომლებიც გაანადგურა ადგილობრივმა მოსახლეობამ. ამ მნიშვნელოვანი მოვლენის აღსანიშნავად კავკასიელებმა ხაზარეთის საზღვარზე გააშენეს ციხესიმაგრე დასაბამიდან 2302 წელს, ბერძნული წელთაღრიცხვით 3861, ხოლო ქართულით 233 (გვ. 32).

„დასაბამითგანის“ ქვეშ ვახუშტის სკალიგერის ერა აქვს ნაგულისხმევი, ე. ი. 3949 წელი, ხოლო ბერძნული წელთაღრიცხვით იგულისხმება 5508 წელი. ამიტომ 3949 უნდა გამოაკლდეს 2302 და მიიღება 1647. თავის მხრივ 5508 აკლდება 3861 და ვიღებთ 1647. მაშასადამე, „დასაბამითგანსა“ და ბერძნულ წელთაღრიცხვებს შორის სრული მსგავსებაა. ამგვარი იგივეობა გვაქვს აგრეთვე ბერძნულ და ქართულ წელთაღრიცხვებს შორისაც. 532×7=3724. ამ უკანასკნელს უნდა მიემატოს 233 და მიიღება 3957, რომელიც აკლდება 5604 და მიიღება 1647 წელი.

ამგვარად, ჩვენ ვხედავთ, რომ ვახუშტისთან დასაბამითგანი, ბერძნული და ქართული თარიღები ყოველთვის ერთმანეთთან იდენტურ ურთიერთობაში წარმოგვიდგებიან, აქ აშკარა დარღვევას არა აქვს ადგილი, ისინი კანონზომიერებაში იმყოფებიან.

ვახუშტი ხაზარებზე საუბრის შემდეგ ქართლში ვიდრე ებრაელთა მოსვლამდე თარიღებს იძლევა „დასაბამითგანითა“ და „ქართულით“. მაშასადამე, მას ბერძნული წელთაღრიცხვა გამორიცხული აქვს (გვ. 32-34). მაგრამ ეს გარემოება არ აფერხებს

კვლევა-ძიების წარმოებას და თარიღები კვლავინდებურად იდენტურ იგივეობაში იმყოფებიან. ასე, მაგალითად, ვახუშტი ებრაელთა მოსვლას ქართლში გულისხმობს დასაბამით 3363, ხოლო ქართულით 230. იქვე სქოლიოში მიუთითებს, რომ „ხუთასიანი ქართული ქორონიკონი ცხრაჯერ მოქცეულა და მეათისა არს 230“ (გვ. 34, შენ. 3) აქ, მაშასადამე, ორი თარიღი დასაბამით 3363 გულისხმობს, რომ ვახუშტის მხედველობაში აქვს 3949 წელი, ხოლო ქართული ეროვნული ერა 5604 წლისა. ე. ი. 3949—3363=586 წელს ჩვენ ერამდე. ხოლო ქართული 230 ნიშნავს, რომ 532 წლიანი ციკლი უნდა გამრავლდეს 9-ზე[10] და მიიღება 4788; მას ემატება თვის მხრივ 230 და ამნაირად ვიღებთ 5018. ეს რიცხვი აკლდება 5604-ს და ვიღებთ 586. აქედან ჩანს, ჯერ ერთი, რომ ვახუშტის ეს ორი თარიღი ერთმანეთის მიმართ შესაბამისობაში არის და მეორეც, ებრაელთა მოსვლას ქართულში ადგილი ჰქონდა VI ს. დასაწყისისათვის ჩვენი წელთაღრიცხვის უწინარეს.

მოვიყვანოთ კიდევ ერთი მაგალითი: ვახუშტი გადმოგვცემს, რომ სპარსთა მეფე ქექეოსმა („ქართ. ცხ-ის“ ქექაოსი. — ა. ბ.) დახარკა ქართლი და შემდგომ უკუიქცა „დასაბამით 2434, ქართულსა 365“ (გვ. 33). ვახუშტის ეს ქრონოლოგიური თარიღი ასე აიხსნება: 3949—2434=1515. 532×7=3724+365=4089. 5604—4089=1515.

მაშასადამე, ჩვენ ვხედავთ, რომ ვახუშტი არც მაშინ ცდება წელთა გამოანგარიშებაში, როდესაც იგი მხოლოდ ორ ერას იღებს. ამგვარი ვითარება გრძელდება ვიდრე ფარნავაზის გამეფებამდე. ამ უკანასკნელის დროიდან კი, საქართველოს ყველა მეფეს დაბადებისა და გარდაცვალების თარიღი უზის. ამით ჩვენი ისტორიკოსი სხვათა შორის ამთავრებს საქართველოში ე. წ. მამასახლისთა გამგებლობის ხანას და იწყებს მეფეთა ისტორიას. მაშასადამე, ვახუშტი ბატონიშვილი „ქართლის ცხოვრების“ ზოგადი სქემიდან გამომდინარე, იზიარებს იმ შეხედულებას, რომ ფეოდალური საქართველო პერიოდიზაციის თვალსაზრისით იყოფა ორად. ესაა მეფობის წინა დროის საქართველო, ანუ უკლასო საზოგადოება და მეორე—მეფობისჟამინდელი საქართველო, ანუ თანამედროვე ტერმინოლოგიით, კლასობრივი საზოგადოება. ამ ორ დაპირისპირე-

---

[10] ცხრაზე და არა ათზე, როგორც ეს ვახუშტის აქვს აღნიშნული. აქედან ჩანს, რომ ამ შემთხვევაში ვახუშტის ერთი მოქცევით მეტი აუღია, რაც ასევე შეცდომის საფუძველი ხდება.

ბულ სისტემას შორის „ქართლის ცხოვრებისა“ და ვახუშტის წარმოდგენით მწვავე კლასობრივი ბრძოლა წარმოებს, რომლის შედეგად ძველი წელთაღრიცხვის IV ს. ბოლოს აღმოცენდა მონარქიული სახელმწიფო მეფე ფარნავაზის მმართველობის სახით.

რა შეიძლება ითქვას, კერძოდ, საქართველოს ისტორიის პირველი პერიოდის ქრონოლოგიის შესახებ? უწინარეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ისტორიაში ვახუშტი პირველი მკვლევარია, რომელმაც შემოიტანა „წლის მრიცხველობა“, ანუ ქრონოლოგია. ამ მხრივ ვახუშტის დაუფასებელი ღვაწლი მიუძღვის ქართული ისტორიოგრაფიის წინაშე. ვახუშტიმ ეს ქრონოლოგია კი არ შეთხზა, კი არ მოიგონა, როგორც ამას თვლიდა ნიღილისტი პროფ. ო. სენკოვსკი[11], არამედ პირველწყაროთა ერთიერთშეჯერების, მათი ანალიზისა და სინქრონიზმის მეთხებით დაადგინა ქართული ქრონოლოგია. მან გამოიყენა ჟ. სკალიგერის ერა, რომელიც თავის მხრივ მიიღება 4713 წელს გამოკლებული 764 (ეს რიცხვი ჟ. სკალიგერმა გამოიანგარიშა ქვეყნის გაჩენიდან რომაელ ქრონოგრაფოსთა მიხედვით) =3949 წელს.

მაგრამ სადღეისოდ ვახუშტის ქრონოლოგიაში წინაკლასობრივი საზოგადოების ისტორიის ხაზით ყველაფერი რიგზე არა ჩანს. ასე, მაგალითად, იგი ებრაელთა ქართლში მოსვლის ქართულ თარიღში ერთი მოქცევით ცდება, ცხრის მაგიერ ათ ციკლს ანგარიშობს, რაც გაუგებრობას იწვევს. ასევე მცდარია ჩვენი ავტორი ამიერკავკასიაში ხაზართა შემოსევის თარიღის შესახებ მსჯელობის დროს. მისი ცნობები ხაზარებზე „ქართლის ცხოვრების“ წყაროს ემყარება, რომელსაც აგრეთვე უძველესი ხანებისათვის აქვს წარმოდგენილი ამ ხალხის გამოჩენა ამიერკავკასიაში. ამასთან, ვახუშტი, ისევე როგორც „ქართლის ცხოვრება“ შეცდომებს უშვებს, როდესაც ხაზარებს იმ ხალხად თვლის, ისტორიაში კიმერიელთა და სკვითთა სახელით რომ არიან ცნობილნი და რომელთა შემოსევას ამიერკავკასიაში ნამდვილად ძველი წელთაღრიცხვის VIII—VII სს-ში ჰქონდა ადგილი[12]. მაშასადამე, ვახუშტისათვის უცნობი ტერმინი კიმერიელი, სკვითი გააზრებულია ხაზარებად, მაგრამ ეს

---

[11] Собрание сочинений Сенковского (Барона Брамбеуса), т. 6. СПб., 1859, с. 179.

[12] Г. А. Меликишвили. Наири-Урарту. Тб., 1954, с. 279—280; А. А. Барамидзе. К вопросу о датировке проникновения киммерийцев в Переднюю Азию. Сообщения Акад. наук ГССР, т. XVI, № 8, 1955, с. 647—654.

არაა მაინცდამაინც დიდი შეცდომა. შეცდომა აქ ისაა, რომ ვახუშტის წარმოდგენით ეს ხაზარები ჩნდებიან ჩვენ ისტორიაში „დასაბამითგან 2302, ქართულსა 233“ (გვ. 32). ამ თარიღიდან გამომდინარეობს, რომ ხაზარები შემოსულან ამიერკავკასიაში ძველი წელთაღრიცხვის XVII ს. მეორე ნახევარში (3949—2302=1647), რაც ძალზე შორეული და ლეგენდარული თარიღია და მას არც ისტორიული და არც არქეოლოგიური მასალა უჭერს მხარს.

ამრიგად, ვახუშტიმ წინაკლასობრივი პერიოდის საქართველოს ისტორიის ქრონოლოგია შეადგინა იმჟამად ცნობილი სისტემის მიხედვით და მისი გამოყენების საფუძველზე ძირითადად სწორად წარმოგვიდგინა ქართველ ტომთა ისტორიული განვითარება. ამ განვითარების ბუნებრივი შედეგი იყო ძველი წელთაღრიცხვის IV ს. ბოლოსათვის კლასობრივი საზოგადოების აღმოცენებაც მეფე ფარნავაზის მესვეურობით. აქედან იწყება, მაშასადამე, მეორე პერიოდი საქართველოს ისტორიისა და ამ ხანის ქრონოლოგია მისი კვლევა-ძიების მთავარი საგანია.

ვახუშტის ქრონოლოგიით ფარნავაზმა „დაიპყრო“ საქართველო „დასაბამითგან 3647, ქართულსა 514, ბერძულსა 5206“ (გვ. 37). ჩვენ მიერ მიღებული ერის მიხედვით ადვილი მისახვედრია, რომ სამივე ეს თარიღი ერთმანეთს შეესაბამება: 3949—3647=302. 5508—5206=302. მაშასადამე, დასაბამითგანი და ბერძნული თარიღები იძლევიან 302 წელს ჩვენ ერამდე, როგორც თარიღს ფარნავაზის გამეფებისას. ასევე აქვს აღნიშნული ვახუშტისაც ამ მეფის ზეობის წელი (გვ. 37). რაც შეეხება ქართულ ქორონიკულ თარიღს, აქ ისევ და ისევ ჩვეულებრივი მეთოდის გამოყენებით ვიღებთ 5206 წელს. 532×9=4788+514=5302. 5604—5302=302. ამრიგად, გამორკვეულია, რომ ფარნავაზის მეფობის სამივე თარიღი სავსებით სწორ თარიღებს იძლევა. თანამედროვე ქართულ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში ფარნავაზის მეფობის თარიღი 18 წლითაა გვიან გადატანილი, ე. ი. მისი მეფობა მოდის დაახლოებით 284—219 წლებზე ჩვენი წელთაღრიცხვის უწინარეს[13].

---

[13] პ. ინგოროყვა. ძველ-ქართული მატიანე „მოქცევაი ქართლისაი“ და ანტიკური ხანის იბერიის მეფეთა სია. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე. ტ. XI-B. თბ., 1941, გვ. 315; გ. მელიქიშვილი. ქართლის (იბერიის) ქრონოლოგიის საკითხისათვის. საქ. სსრ მეცნ. აკად. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. IV, ნაკვ. I, თბ., 1958, გვ. 155.

ჩვენ ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ ამგვარი მეთოდი ახასიათებს ვახუშტის „ისტორიას“ მთელ მანძილზე და ამ მხრივ არავითარ შეფერხებას არა აქვს ადგილი. მაგალითად, ვახუშტი წერს, რომ მეფე საურმაგი გარდაიცვალა „დასაბამითგან 3787, ქართულსა 122“ (გვ. 40). ეს ნიშნავს, რომ 3949—3787=162. მაშასადამე, იგი გარდაიცვალა ძველი წელთაღრიცხვის 162 წელს. მაგრამ რას ნიშნავს ქართული 122, რომელი მოქცევის 122 წელია იგი?

ცნობილია, რომ 10-ე მოქცევა დასრულებულა 5320 წელს ანუ 284 წელს ჩვ. ერამდე, ამიტომ 284—122=162 წელს. აქედან ჩანს, რომ „დასაბამითგანისა“ და „ქართულის“ რიცხვები იძლევა მსგავს თარიღს, რაც ვახუშტის გამოანგარიშების სისწორეზე მიუთითებს.

ვახუშტის მეფეთა ქრონოლოგიის გამოანგარიშებათა დასასრულს შევჩერდეთ კიდევ ერთ მაგალითზე. ჩვენი სახელოვანი ისტორიკოსი ერთგან აღნიშნავს (გვ. 44), რომ ადერკი გამეფდა „დასაბამითგან რომაულსა 3947, ბერძულსა 5506, ქართულსა 282, ინდიქტიონსა პირველსა“. აქ თითქოს ახალი ტერმინოლოგიაა ნახმარი: რომაულსა და ქართულსა ინდიქტიონსა. რას ნიშნავს ეს? აქვს ამ სიტყვებს რაიმე არსებითი მნიშვნელობა, თუ არა? ჩვენ ვფიქრობთ, რომ აქვს და აი რატომ: გამომდინარე მიღებული ერიდან ჩვენ ვიცით, რომ 3949—3947=2; 5508—5506=2; 284—282=2. ინდიქტიონსა პირველსა კი უდრის, რომ იგი იყო ადერკის მეფობის პირველი წელი. მაგრამ რას ნიშნავს „დასაბამითგან რომაულსა“? ვახუშტი ძველი ისტორიის მთელ მანძილზე მხოლოდ ერთხელ ხმარობს აღნიშნულ ტერმინს. სხვაგან მის ნაცვლად დასახელებულია „დასაბამითგან“. მაშასადამე, უნდა მივიღოთ, რომ „დასაბამითგან რომაულსა“ და „დასაბამითგან“ ერთი და იგივეა და რომ ამით ვახუშტი გულისხმობდა ჟ. სკალიგერის 3949 წლიან ერას.

ჟ. სკალიგერის ერაში რომ ვახუშტი „დასაბამითგან რომაულსა“ ან უბრალოდ „დასაბამითგანს“ გულისხმობდა, ეს დასტურდება XIX ს. ისტორიოგრაფიაში არაერთგზის დამოწმებული ტერმინოლოგიით, რომელსაც „რომაელ ქრონოგრაფოსთა“ ერა ეწოდება და რომელიც ჩვენ წელთაღრიცხვამდე 764 წლით განისაზღვრება[14].

---

[14] В. Штейнгейль. Опыт о времяисчислении. СПб., 1819, с. 86, 220; М. Лалош. Времяисчисление христианского и языческого мира. СПб., 1867, с. 26.

მაშასადამე, ზემოთქმულიდან გამომდინარე ჩვენ მივიღეთ, რომ ადერკი გამეფებულა ძვ. წელთაღრიცხვით 2 წელს. მას უმეფია 57 წელი, რის შემდეგ გარდაცვლილა. ამ ფაქტიდან ირკვევა, რომ იგი მომკვდარა ახ. წელთაღრიცხვის 55 წელს. ამასთან დაკავშირებით ვახუშტი წერს: ადერკიმ „იმეფა 57 წელი მშვიდობით და ნებიერად: შემდგომად მოკუდა, დასაბამით 4004, ქრისტეს შემდეგ 55, ქართულსა 339“ (გვ. 45, 65). ამ ცნობიდან ჩანს, რომ ვახუშტი აქედან უკვე წელთაღრიცხვის ახალ ტერმინოლოგიას ხმარობს, რომელსაც საერთოდ „ქრისტესით“ ეწოდება. ამავე ჩვენებიდან ისიც გამოდის, რომ თუ აქამდე 3949 წლიან ციკლს აკლდებოდა ვახუშტის „დასაბამითგანის“ („დასაბამითგან რომაული“) რიცხვი, ამიერიდან, ე. ი. ადერკის გარდაცვალებიდან „დასაბამითგანს“ აკლდება ჟ. სკალიგერის თარიღი. მაშასადამე, 4004—3949=55; მაგრამ რაა ეს ქართული 339 წელი? როგორ უნდა შევუფარდოთ იგი 4004-ს, რომ მივიღოთ ქართული 55 რიცხვი? აქ მხედველობაშია მისაღები XI მოქცევა, რომლის თარიღი უდრის ძველი წელთაღრიცხვის 284 წელს. 339 უნდა გამოაკლდეს სწორედ ეს 284 წელი და მივიღებთ 55-ს. მაშასადამე, „დასაბამითგანის“ 55 იდენტურია ქართულის 55-ისა. ამგვარი გზითაა, კერძოდ, მისაღები ვახუშტის სხვა დანარჩენი თარიღებიც.

ამგვარად, ვასრულებთ რა ძველი ისტორიის დარგში ვახუშტისეული ქრონოლოგიის განხილვის დადგენას, უნდა აღვნიშნოთ, რომ მისი სახით ჩვენ ქართული ისტორიული ქრონოლოგიის ფუძემდებელთან გვაქვს საქმე. მან პირველმა მეცნიერული დამაჯერებლობით წარმოგვიდგინა საქართველოს ისტორიის ქრონოლოგიის საკითხები. ამ რთული პრობლემის გადასაწყვეტად ვახუშტიმ გამოიყენა იმჟამად მოწინავე და აღიარებული მეცნიერის ჟ. სკალიგერის სისტემა და მისი დახმარებით გამოიანგარიშა „ქვეყნის გაჩენიდან“ არსებული ქრონოლოგია. ამასთან, მან არც ბერძნული და ქართული წელთაღრიცხვები დაივიწყა და ჟ. სკალიგერის ერა ამ უკანასკნელთ შეუფარდა არა მექანიკურად, არა ზეპირად, არამედ საკუთარ გამოანგარიშებათა საფუძველზე. ამგვარი ხერხით ვახუშტიმ თავის დროისათვის ქრონოლოგიის საკითხები იმჟამინდელი ისტორიული მეცნიერების მიღწევებს დაუკავშირა და მისი დახმარებით ქართველ მეფე-მთავართა ცხოვრებისა და მოღვაწეობის თარიღები გამოიანგარიშა. ყველაფერი ეს გვაძლევს უფლებას აღვნიშნოთ და გავიმეოროთ ქართულ ისტორიოგრაფიაში

უკვე დასაბუთებული აზრი იმის შესახებ, რომ ვახუშტი ბაგრატიონი XVII—XVIII სს. ევროპული ისტორიული მეცნიერების დონეზე იდგა[15]. >

* * *

მრავალ საკითხში თანამედროვე ქართული საბჭოთა ისტორიული მეცნიერება ვახუშტის კონცეფციას იზიარებს. ხოლო, რაც შეეხება XIX ს. ქართულ ისტორიოგრაფიას იგი ხომ ძირითადად ვახუშტის შემოქმედების გავლენას განიცდის. ცხადია, ამ მხრივ არც ქრონოლოგიის საკითხებია გვერდზე დატოვებული, თუმცა უნდა აღვნიშნოთ, რომ პეტერბურგის ბაგრატიონთა საისტორიო სკოლამ ქრონოლოგიის საკითხებში ვახუშტის კონცეფცია საფუძვლად არ მიიღო.

განსაკუთრებით ეს შეიძლება ითქვას დ. და თ. ბატონიშვილებზე. დავითთან „История Грузии"-ში სამიოდე თარიღის გარდა (გვ. 23, 25, 55), რომელიც ვახუშტისაგან არის ნასესხები, სხვა ქრონოლოგიური რიცხვებია მოცემული. ამასთან, არის ხოლმე ცდა ვახუშტის ცნობის თავისებური შეცვლა-გაგებისა (გვ. 26). თუ ვახუშტის მიხედვით (გვ. 33) 2454 წელს „დასაბამითგან სოფლისა" მოხდა ებრაელთა მიერ ზღვის გადავლა, დავითის ცნობით 2455 წელს მოხდა ქართველების დამორჩილება სპარსელთაგან. ამას გარდა, დავითის ნაწარმოებში ქრონოლოგიას არ უკავია ის ადგილი, რაც ვახუშტისთან. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ დავითის „ისტორიის" უძველესი პერიოდი მეფე ვახტანგ გორგასალის ჩათვლით 49 გვერდისაგან შედგება, ხოლო ამ ხანის თარიღები კი მხოლოდ 10—11-ია დასახელებული, მაშინ უფლება გვექნება მივიღოთ, რომ დავითი ქრონოლოგიას მეორეხარისხოვან მნიშვნელობას ანიჭებდა. აქ ჩვენ მხოლოდ მარტივ ქრონოლოგიურ სისტემასთან გვაქვს საქმე.

დავითს არსებითად გამოყენებული აქვს „დასაბამითგან რომაული", ე. ი. ჟ. სკალიგერის ერა, თუმცა შეინიშნება დასავლეთ-ევროპული საისტორიო ლიტერატურიდან თარიღთა სესხების

---

[15] ე. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი. ვახუშტი XVII—XVIII სს. ევროპული ისტორიოგრაფიის სინათლეზე „ანალები", ტ. I, თბ., 1947, გვ. 53—125.

ფაქტიც. ერთ-ერთი ასეთი თარიღია, კერძოდ, 3489 წელი „ქვეყნის შექმნიდან", როდესაც ავტორის აზრით, „მილტიადემ მარათონის ველზე სახელოვანი გამარჯვება მოიპოვა სპარსელებზე, საქართველო განთავისუფლდა სპარსელებისაგან და აღადგინა (ქვეყანაში, ა. ბ.) მამასახლისობა, რასაც ადგილი ჰქონდა „ქვეყნის შექმნიდან 3489 წელს" (გვ. 29). მიუხედავად იმისა, რომ 3489 წელი „ქვეყნის გაჩენიდან", ანუ 460 წელი ჩვენ ერამდე (3949 — 3489=460) არ ეთანხმება მარათონის ველზე მილტიადეს ისტორიული გამარჯვების თარიღს სპარსელებზე (490 წლის 13 სექტემბერი), მაინც დავითის ეს ცნობა მრავალმხრივადაა ყურადსაღები. ჯერ ერთი, აქედან ვტყობილობთ, რომ დ. ბაგრატიონი იცნობდა და კითხულობდა ევროპულ ისტორიოგრაფიას საბერძნეთის შესახებ და მას იყენებდა თავისი მიზნებისათვის. მეორე, ეს ცნობა დამოწმებულია ქართულ საისტორიო მწერლობაში (ვახუშტი, გვ. 33) და ამდენად ჩვენი ისტორიკოსი სარგებლობდა ქართულ წყაროთა წრის ამბებითაც; და, მესამე, აქაა გამოყენებული საქართველოს ისტორიისათვის სინქრონული მეთოდი. ნაპოვნია ის ობიექტური პირობა (სპარსელთა დამარცხება), რის მეოხებითაც ქართველობა განთავისუფლდა სპარსთა გავლენისაგან.

რაც შეეხება იმ გარემოებას, რომ მილტიადეს მიერ სპარსელთა დამარცხებას ადგილი ჰქონდა 490 წელს და არა 460 წელს ჩვენ ერამდე; ვფიქრობთ, რომ აქაა ბეჭდვის დროს დაშვებული უბრალო კორექტურული შეცდომა, რიცხვი 5 შეცვლილია 8-ით და განსხვავებაც 30 წელში მოსვლიათ. მაშასადამე, დავითს 3489 წელი უნდა შეესწორებინა 3459 (3949—3459=490) წლით.

დ. ბატონიშვილის „ისტორიაში" სხვა თარიღები მოცემული არაა. ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ ავტორი ისტორიული თხრობის პროცესში ქრონოლოგიას მაინცდამაინც დიდმნიშვნელოვან მოვლენად არ მიიჩნევდა.

დავითზე გაცილებით ნაკლებად სარგებლობს ქრონოლოგიით ვ. ბატონიშვილი. მის თხზულებაში: „Обозрение" თარიღები ჩვენთვის საინტერესო ეპოქიდან მხოლოდ სამჯერაა მითითებული (15, 30, 32). ერთ-ერთი ასეთი თარიღია, კერძოდ, ვახტანგის მიერ აღნიშნული ფაქტი წმინდა ნინოს მიერ 320 წ. გაწეული საქმიანობა ქართველთა გაქრისტიანებისათვის. უნდა აღინიშნოს, რომ ვახტანგისეული თარიღი განსხვავებულია ვახუშტისაგან, რომელსაც ეს ამბავი 317 წლისათვის აქვს ნავარაუდევი (გვ. 67). მაშასადამე, აქ ჩვენ სამი წლის განსხვავებასთან გვაქვს საქმე. საფიქრებელია,

რომ ვახტანგს ეს თარიღი საკუთარი გამოანგარიშების ნიადაგზე აქვს გამორკვეული.

XIX ს. პირველი ნახევრის ქართულ ისტორიოგრაფიაში ქრონოლოგიის საკითხს დიდი ყურადღება მიაქცია თ. ბაგრატიონმა. მან თავის თხზულებაში შემდგომი განვითარება მისცა ქართულ ქრონოლოგიას. თუ ვახუშტისათვის „დასაბამითგან რომაულისა“ უდრიდა 3949 წელს, თეიმურაზისათვის ამოსავალი საფუძველია 4713 წელი ჩვენი წელთაღრიცხვის უწინარეს ვიდრე „ქრისტეს დაბადებამდე“, რომელიც ისევე ჟ. სკალიგერის მიერ იყო გამოანგარიშებული და რომელიც ცნობილია ტექნიკურ (იგივე ისტორიულ) და მათემატიკურ ქრონოლოგიაში „იულიანური პერიოდის“ სახელწოდებით. ეს „იულიანური პერიოდი“ არ უნდა ავურიოთ იულიოს კეისარის წელთაღრიცხვასთან.

ვახუშტის მსგავსად თეიმურაზიც სარგებლობს ცნობილი სისტემებით თავისი ქრონოლოგიური თარიღების გამოსაანგარიშებლად. ესენია; „დასაბამითგან სოფლისა ბერძულისა აღრიცხვითა“, „იულიოსის აღრიცხვითა“ და „ქართულსა ქორონიკონსა“. ხშირად თეიმურაზის თარიღი ვახუშტისას იმეორებს, მაგრამ ხშირია აგრეთვე ამ უკანასკნელისგან ძალზე განსხვავებული თარიღები. ეს გარემოება აიხსნება იმით, რომ თეიმურაზის „ისტორიაში“ გამოყენებულია ავტორის თანადროული საისტორიო ლიტერატურა, კერძოდ, ისეთი, რომელიც წინა აზიის უძველესი ხანის მითოლოგიურ ისტორიას ეხება. ამიტომ მისი ქრონოლოგიური თარიღები ძველი ისტორიისათვის უფრო მეტია, ვიდრე ეს ვახუშტის აქვს მოცემული.

თ. ბატონიშვილი ქართლოსის მოსვლას საქართველოში ათარიღებს ვახუშტის მიხედვით 2785 ბერძნულით და 221 ქართულით. განსხვავება აქ „იულიოსის“ რიცხვშია, რომელსაც უზის 1990 წელი. იბადება კითხვა — საიდან აიღო თეიმურაზმა აღნიშნული თარიღი, მაშინ, როდესაც ვახუშტის უწერია 1758. მაშასადამე, განსხვავება 232 წელშია (1990—1758=232). საქმე ისაა, რომ თეიმურაზი სარგებლობს 4713 წლიანი ერით, რომელიც ჟ. სკალიგერს ეკუთვნის და ასევე დიდ ხმარებაში იყო XVIII—XIX სს. მანძილზე. ჩვენი მსჯელობა რომ სწორია, ეს შემდეგით მტკიცდება: 4713 — 1990=2723. 532×5=2660+221=2881. 5604—2881=2723. 5508—2785=2723. მაშასადამე, ჩვენ ვხედავთ, რომ თეიმურაზს ნაგულისხმევი 4713 წლიანი სისტემა აქვს მხედველობაში. უნდა შევნიშნოთ, რომ მასთან დაცული ყველა თარიღი საფუძველს იღებს

აღნიშნული ქრონოლოგიური ერიდან. თეიმურაზი წერს: „წელსა დასაბამითგან სოფლისა ბერძულითა წელთა აღრიცხვითა 2856, იულიოსის წელთა აღრიცხვითა დასაბამითგან წელსა 2061, ქართულსა ქრონიკონსა მეექვსისა მოქცევისასა 292“ (გვ. 41, შენ.). 5508—2856=2652; 4713—2061=2652; 532×5=2660+292= =2952; 5604—2952=2652; როგორც ვხედავთ, სამივე თარიღი ერთიმეორეს იმეორებს და გამოანგარიშება სწორია.

ავიღოთ მესამე მაგალითი. თეიმურაზის ცნობით „ბაალ გამეფდა ბაბილოვანსა შინა წელთა დასაბამითგან სოფლისა ბერძულითა აღრიცხვითა 3081, რომაულითა იულიოსის წელთა აღრიცხვითა 2286, ქართულსა ქრონიკონსა მეექვსისა მოქცევისასა წელსა 517“ (გვ. 62—63). 5508—3081=2427; 4713—2286=2427; 2660+517=3177; 5604—3177=2427.

მეოთხე მაგალითი. თეიმურაზი წერს: „ნინ ძეი ბაალისა იყო ძლიერი და კნინღა მეფობასა შინა თვისსა მარადის ძლევა შემოსილი; ხოლო აღვიდა ტახტსა ზედა მეფობისასა, შემდგომად მამისა თვისისა, წელსა დასაბამითგან სოფლისა ბერძულისა აღრიცხვითა 3143, ხოლო იულიოსის წელთა აღრიცხვით 2348. ქართულსა ქრონიკონსა მეშვიდისა მოქცევისასა 47“ (გვ. 63—64). 5508—3143=2365; 4713—2348=2365; 532×6=3192+47=3239; 5604—3239=2365.

მაშასადამე, როგორც ირკვევა, ჩვენ მიერ მოტანილი მაგალითები ერთმანეთთან იდენტურ იგივეობაში იმყოფებიან, წინააღმდეგობას აქ ადგილი არა აქვს. ეს გარემოება გვაძლევს უფლებას ღავასკვნათ, რომ თეიმურაზის ქრონოლოგიური რიცხვები სწორ მეცნიერულ საფუძველზეა დამყარებული.

<(თეიმურაზის „ისტორიაში“ ქრონოლოგიური რიცხვების გარდა, გარკვეული ადგილი ეთმობა ქართული ეროვნული წელთაღრიცხვის წარმოშობის საკითხს. უნდა აღვნიშნოთ, რომ XIX ს. ისტორიოგრაფიაში ქართულ წელთაღრიცხვაზე აზრის გამოთქმა პირველი შემთხვევაა და მისი დასმა თეიმურაზს ეკუთვნის.) იგი წერს: „წელსა დასაბამითგან სოფლისა ბერძულითა რიცხვითა 5206-სა, ქართულსა ქრონიკონსა მეათისა მოქცევისასა 514-სა, უწინარეს ქრისტეს შობისა 302-თა წლითა, ვახუშტი მეისტორიე ჩვენი ჰსწერს ფარნავაზის მოთხრობაში ერისთავთ ფარნავაზის მიერ დადგინების ბოლოს, „ამ ფარნავაზის მეფობის მეათცხრამეტესა წელსა ქართულიანი ხუთასიანი ქრონიკონი ათჯერ მობრუნე-

ბული განვიდაო და ამის შემდგომად მეათერთმეტე მოქცევმან იწყოვო". და სხვანიცა ქართველთა მომთხრობელნი ემოწმებიან ამას; მაშასადამე, ქართული ქრონიკონი ფარნაოზის დროსვე ყოფილა და ამ რიცხვიდამ ქრისტეს შობის რიცხვადმდე უცთომელად მრდიან ქართულნი წელთა აღრიცხვანი" (გვ. 115. შენ. 3).

თეიმურაზის ცნობა, თითქოს ვახუშტი წერდეს ფარნავაზის მეფობის XIX წელს ქართული ხუთასიანის 10-ჯერ მობრუნებისა და 11-ში გადასვლის შესახებ, სამწუხაროდ, ჩვენ ვახუშტისთან ვერ ვნახეთ. დ. ბაქრაძეს გამორჩენია მისი დაბეჭდვა, თუმცა ეს ცნობა ვახუშტის ხელნაწერში მოიპოვება[16]. მაგრამ არც ეს ფაქტია, ჩვენი აზრით, დიდი მნიშვნელობის მოვლენა. საქმე ისაა, რომ თვით ვახუშტის აზრით, ქართული ქორონიკონული წელთაღრიცხვის დასაწყისია 780 წელი (გვ. 118). ასეა თუ ისე, თეიმურაზი ვარაუდობს, რომ ფარნავაზის მეფობის ჟამს ქართველებს უკვე ჰქონდათ ქართული ქორონიკონი, იგი, მაშასადამე, სახეზეა ძველი წელთაღრიცხვის 283 წელს (302—19=283).

ზემოთ უკვე მითითებული გვქონდა, რომ ქართული ქორონიკონის ციკლებად დაყოფა ვახუშტის ეკუთვნის. ამიტომ წელთაღრიცხვის ვახუშტისეული დაყოფა თეიმურაზს არ გამოადგება იმის წყაროდ, რომ 283 წელი მივიღოთ თარიღად ქართული წელთაღრიცხვის წარმოშობის სასარგებლოდ[17]. სხვა საკითხია, რომ თეიმურაზის ზემოთ აღნიშნული მსჯელობა ლეონტი მროველთან ან სხვა ძველ ქართველ ავტორთან ყოფილიყო მითითებული, მაშინ მისი ვარაუდი, რა თქმა უნდა, წყაროდ გამოადგებოდა თეიმურაზს. ამჟამად კი, ჩვენი აზრით, თეიმურაზის ცნობას საფუძველი გამოცლილი აქვს, თუმცა თავისთავად ამ თარიღის მნიშვნელობაზე ჩვენ ისტორიოგრაფიაში მრავალგზის გამოთქმულა საინტერესო მოსაზრება.

ქართული ქრონოლოგია თეიმურაზის შემდეგ გარკვეული დროის მანძილზე კვლავ ვახუშტის გავლენას განიცდის. ესაა ნ. დადიანი თავისი „ქართველთ ცხოვრებით". ამ თხზულებაში არც ქრონოლოგიური საკითხები იქცევენ რაიმე ყურადღებას, ყველა თარიღი ვახუშტის „ისტორიის" ქრონოლოგიას მისდევს, თუმცა არის შემთხვევები ავტორის მიერ უნებლიე შეცდომების დაშვებისა (გვ. 71,

---

[16] ვახუშტის ხელნაწერი ინახება საქართველოს სსრ საისტორიო არქივში, № 03, გვ. 11. შდრ. ვახუშტი (ს. ყაუხჩიშვილის გამოც.), გვ. 57, სქოლიო 1.

[17] ამ თარიღის მნიშვნელობაზე იხ. F. K. Ginzel. Handbuch... ტ. III, გვ. 36; კ. ქ ე ქ ე ლ ი ძ ე. ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან. ტ. II, თბ., 1945, გვ. 333.

სტრ. 23, გვ. 73, სტრ. 26). აქაა აღნიშნული მხოლოდ „დასაბამითგან“ და „ქრისტესით“; ეს თარიღებიც ასოებითაა აღნიშნული.

< XIX ს. პირველი ნახევრის ქართულ ისტორიოგრაფიაში თ. ბაგრატიონის შემდეგ თავისი მაღალი კვლევა-ძიების უნარითა და საკითხთა დიდი ცოდნით გამოირჩევა პ. იოსელიანი. ცხადია, პ. იოსელიანი თეიმურაზზედაც დიდია, თუნდაც იმიტომ, რომ იგი განათლებითაა ისტორიკოსი. მართალია, პ. იოსელიანი პირველი ქართველი მეცნიერია, რომელსაც სასულიერო აკადემია აქვს დამთავრებული, მაგრამ მიუხედავად ამისა, მისი მოღვაწეობა მჭიდროდაა დაკავშირებული ქართულ ეროვნულ ისტორიოგრაფიასთან და მის აღმავლობასთან. პ. იოსელიანს მთელი რიგი წერილებისა აქვს მიძღვნილი კალენდრის, ქრონოლოგიისა და წელთაღრიცხვის წარმოშობისა და განვითარების საკითხებისადმი[18]. მართალია, პ. იოსელიანს არ უცდია ვახუშტის ქრონოლოგიის შეცვლა, მაგრამ მის ნაშრომებში დასმული მთელი რიგი პრობლემებისა მოწმობენ, რომ ავტორი ზოგიერთ შემთხვევაში კრიტიკულად იყო განწყობილი მისი სისტემისადმი.>

უწინარეს ყოვლისა, ჩვენ უნდა შევჩერდეთ პ. იოსელიანის ხელნაწერზე: «Записка о Грузии вообще», რომელიც რამდენიმე თავისაგან შედგება და რომელშიც ვრცლადაა საუბარი ქართულ ქრონიკონზე: «Изъяснение грузинского хроникона, содержащего в себе 532 года». ამ სათაურიდან ჩანს, თუ რა მიზანს ისახავდა ჩვენი ავტორი. ერთი სიტყვით, მასში დასმულია საკითხი ქართული ეროვნული წელთაღრიცხვის წარმოშობის შესახებ. პ. იოსელიანი მიუთითებს, რომ ქართული ქრონიკონი შემოსული უნდა იყოს ჩვენში: «ქრისტიანობის შემოსვლის შემდეგ, სახელდობრ, 781 წლის შემდეგ» (გვ. 36, ფურც. 1).[19] ამისათვის მას მოაქვს მრავალი მოსაზრება, რომელთაგან სულ ცოტა ორი მაინც ანგარიშგასაწევია. ავტორის არგუმენტაცია შემდეგია: თუ 780 გამოვაკლებთ 1 ქრონიკონს, მაშინ გამოვა ნაშთი 288 (sic) წელი (უნდა იყოს 248 (780—532—248), ხოლო ამ წელს საქართველოში ქრისტიანობა ჯერ კიდევ არ იყო (შემოსული.—ა. ბ.); იგი შემოვიდა 317 წელს (ეს თარიღი ვახუშტის ეკუთვნის. ვახუშტი . . .გვ.

<[18] П. И. Празднование новолетия у древних грузин. «Закавказский вестник», № 1, 1845, 8—9; его же. Летосчисление грузинское, «З. В.», № 3, 1845, с. 18—20; его же. Древние грузинские названия месяцев «З. В.», № 5, 1845, с. 36—38.>

[19] შდრ. «Описание древностей города Тифлиса, Тб., 1866, с. 290.

67). ამის გამო სარწმუნო არაა, რომ საქართველოში სცოდნოდათ ქორონიკონი (გვ. 36, ფ. 1—2), «ქრისტესით» ნაწარმოები წელთაღრიცხვა 516[20] წლამდე არსად არ იხმარებოდა; ეს წელი კი, პირველად იხმარა რომაელმა (sic) ბერმა დიონისემ, რომელმაც პასქალურ გამოთვლას მისცა ის სახე, რომელიც სადღეისოდაცაა დაცული; სწორედ ესაა ქართული ქორონიკონი» (გვ. 36, ფ. 2).

ამრიგად, ჩვენთვის ნათელია, თუ რატომ მიაჩნდა პ. იოსელიანს, რომ ქართული ეროვნული წელთაღრიცხვა შემოსული უნდა იყოს ჩვენში 780 წლიდან, ანუ ე. წ. XIII მოქცევიდან. მართლაც, წარმოუდგენელია, რომ დიონისე მცირის მიერ 525 წელს შემოღებული თარიღი „ქრისტესით" მექანიკურად გადაგვეტანა ჩვენი წელთაღრიცხვის უწინარეს ხანაში. ესაა მსოფლიო ისტორიაში პირველად ნახმარი ტერმინი „ქრისტესით", რომელიც დიონისეს ეკუთვნის და რომლიდანაც იწყება ქორონიკონით თვლა. ამიტომ სავსებით მართალია პ. იოსელიანი, როდესაც იგი უარყოფს ქართული ქორონიკონის შემოსვლას საქართველოში ვიდრე ჩვენი წელთაღრიცხვის უწინარეს.

გარდა ამისა, ჩვენ დავინახეთ, რომ პ. იოსელიანი ვახუშტის ბრალს სდებს იმაში, თითქოს ამ უკანასკნელმა ვერ შეძლო შეეთანხმებინა წელთაღრიცხვები „დასაბამითგან რომაული", „ბერძნულ" და „ქართულ" ერებს. ცხადია, ამაში ვახუშტი სავსებით მართალი იყო და ჩვენ არაერთი მაგალითი მოვიტანეთ ამის ნათელსაყოფად. მაგრამ, ჩვენი აზრით, პ. იოსელიანი ერთ საკითხში ვახუშტისთან კამათში სწორია. ესაა ვახუშტისთან მოქცევათა საკითხი. მაშასადამე, პ. იოსელიანი აღნიშნავდა, რომ ვახუშტიმ ვერ შეძლო ერთმანეთისათვის შეეფარდებინა აღნიშნული სამი წელთაღრიცხვა. იგი წერს:

„აქ მოვიტანთ ზოგიერთ ადგილს მისი (ვახუშტის, ა. ბ.) ისტორიიდან ქორონიკონზე გამოთვლაში. იგი წერს ნებროთზე. რომ იგი მოკლულ იქნა ჰაოსის მიერ „დასაბამითგან 1829, ბერძნულს 2856, ქართულს 292. აქ „ქართული ქორონიკონი ხუთასიანი ხუთჯერ მოქცეულა და მეექვსესი 292 არს". მაგრამ, თუ 2856 გავყოფთ 532-ზე, მაშინ მიიღება კერძო რიცხვი 5 და ნაშთი 216 (sic) (უნდა იყოს 196, ა. ბ.) და არა 292 (ვახუშტი,ა. ბ.). „პირველ მეფე ფარნა—

---

[20] პ. იოსელიანის თარიღი სწორი არაა; უნდა იყოს 525 წელი. იხ. F. K. Ginzel. Handbuch, ტ. III, გვ. 178.

ვაზზე წერს, რომ მან „დაიპყრა ყოველი საქართველო... დასაბამითგან 3627 (sic, ვახუშტის უწერია 3647. გვ. 37,56), ქართულსა 514, ბერძნულსა 5206" (გვ. 37, 56). შემდეგ ამბობს (ვახუშტი, ა. ბ.) „ამ ფარნაოზის მეფობის 19 წელს ქართული ხუთასიანი ქორონიკონი 10-ჯერ მობრუნებული განვიდა და მეთერთმეტე იწყების" (გვ. 38, 57-ის სქოლიო). თუ 5206 მივუმატებთ 19, მიიღება 5225, ხოლო ამ უკანასკნელს გავყოფთ 532-ზე, მაშინ კერძო რიცხვი მიიღება 9 და არა 10 და ნაშთი 437" (გვ. 37, ფ. 1—2).

ზემოთქმულიდან გამომდინარე პ. იოსელიანი ასკვნის: „ამ გამოანგარიშებიდან ჩანს, რომ ვახუშტი ყოველ ქორონიკონში სდებს ზუსტად 500 წელს, აკლებს რა 32 წელს... ამათ გათვალისწინების საფუძველზე ვახუშტის „ისტორია" საჭიროებს მკაცრ კრიტიკულ გარჩევას, რასაც აქამდე ადგილი არა ჰქონია" (გვ. 38, ფ. 1)[21].

ბუნებრივად იბადება კითხვა — რა შეიძლება ითქვას პ. იოსელიანის ამ მსჯელობაზე? ჩვენი აზრით, პ. იოსელიანი სწორად აქცევს ყურადღებას იმ გარემოებას, რომ ვახუშტი ცდება ერთი მოქცევით; იგი ერთი მოქცევით მეტს იღებს ხოლმე. ესაა სავსებით სწორი დაკვირვება, რომელიც შეამჩნია პირველად პ. იოსელიანმა და რომელიც არავის შეუმჩნევია შემდგომში. ხოლო, რაც შეეხება პ. იოსელიანის მეორე შენიშვნას, იგი ჩვენ არ გვეჩვენება სამართლიანად. ვახუშტი არამც და არამც არ ცდება 32 წლით. მართლაც, თუ ვავითვალისწინებთ. რომ ბერძნული წელთაღრიცხვა ქართულზე 96 წლით ნაკლებია. მაშინ 292—196=96. ეს გარემოება თავისთავად მიუთითებს ვახუშტის გამოთვლის სისწორეზე. ჩვენი აზრით, პ. იოსელიანი ამ საკითხში ვახუშტის მიმართ გარკვეულ შეუფასებლობას იჩენს და წინასწარ შემუშავებულ თვალსაზრისზე დგას. საქმე ისაა, რომ XIX ს. პირველი ნახევრის გამოჩენილმა ფრანგმა ორიენტალისტმა აკად. ჟან სენ-მარტენმა გამოთქვა მოსაზრება იმის შესახებ, რომ ქართული მატიანეები ვიდრე XV ს-მდე მუდმივად ცდებოდნენ ერთი ათეული წლითაო.[22] ამას იზიარებს ჩვენი ავტორიც და თავის ერთ-ერთი წერილში სავსებით ეთანხმება რა ფრანგ მეცნიერს, წერს: «Историки, не

---

[21] ის გარემოება, რომ ზოგიერთი ქართველი ავტორი 32 წლით ცდებოდა წელთაღრიცხვის გამოთვლაში, პ. იოსელიანს აღნიშნული აქვს აგრეთვე თავის ნაშრომში: „Жизнь великого моурава князя Георгия Саакадзе", Тб, 1848, с. 99. прим. 6.

[22] J. Saint-Martin, Memoires.. t. II, Paris, 1819, p. 257.

поняв смысла 532 летнего круга пасхалии, отсекали от него 32 и составился полный индикт в 500 лет»[23].

ჩვენ ზემოთ დავინახეთ, რომ პ. იოსელიანი ვახუშტისთან კამათში ცდება და მისი ვარაუდი არ ემყარება სწორ გამოანგარიშებას. ჟ. სენ-მარტენს მხედველობაში ჰყავდა XV საუკუნემდელი ქართველი მემატიანეები და არა ვახუშტი. ეს გარემოება ჩვენ გვაძალებს დავადასტუროთ პ. იოსელიანის ერთგვარი შეუფასებლობა ვახუშტისადმი, რაც მას დიდი ისტორიკოსის მიმართ სხვა საკითხში არასოდეს არ მოსვლია.

ამრიგად, პ. იოსელიანის შრომების განხილვა ქართულ წელთაღრიცხვაზე გვარწმუნებს, რომ მისი სახით ჩვენ ერთ-ერთ მაღალნიჭიერ მკვლევართან გვაქვს საქმე. თუ მისი წინამორბედი ხანის ისტორიკოსები ძირითადად ვახუშტის ან რომელიმე ავტორიტეტული მეცნიერის ნაშრომებს ემყარებოდნენ ქართული ქრონოლოგიის საკითხთა კვლევა-ძიებისა თუ ციტირების დროს, პ. იოსელიანი უკვე არ კმაყოფილდება ამგვარი მეთოდით და კრიტიკულად განიხილავს არსებულ ლიტერატურასა და პირველწყაროებს. ამასთან, ავტორი სკეპტიკურადაა განწყობილი ვახუშტის ქრონოლოგიისადმი და მასში დაშვებულ შეცდომებს ავლენს, რაც, ჩვენი აზრით, სავსებით სწორია.

პ. იოსელიანის სამეცნიერო მოღვაწეობის ხანა — ესაა ქართველოლოგიის, როგორც მეცნიერების ჩამოყალიბების ხანა. იმჟამად პლატონის გარდა ქართველოლოგიაში მოღვაწეობდნენ ისტორიკოსები ს. ბარათაშვილი, მ. ბროსე და დ. ჩუბინაშვილი. ამ მკვლევართა მადლიანმა კალამმა ქართველოლოგია ევროპული მეცნიერების დონეს დაუკავშირა. მ. ბროსე და დ. ჩუბინაშვილი იმჟამინდელი დასავლეთ ევროპული ისტორიულ-ფილოლოგიური მეცნიერების დონეზე იდგნენ. რაც შეეხება ს. ბარათაშვილს, იგი, მართალია, არ იყო მათი თანატოლი მასშტაბის მკვლევარი, მაგრამ მისი „История" მსოფლიო ისტორიულ ფონზე დაწერილი გამოკვლევაა. ამ ნაშრომს ახლავს ქრონოლოგია, დამყარებული საქართვე-

---

[23] П. И. Летосчисление грузинское «З. В.», № 3, 1845 г., с. 19. ამავე წერილში ავტორი წერს: «Историк Вахушт, начиная свою историю, подобно византийским писателям с космографии, ведет свою мнимую хронологию от сынов Ноя и с окончанием каждого круга постоянно указывает читателю на периоды обращения цикла». გვ. 20. ჩვენ გვგონია პ. იოსელიანი ჟ. სენ-მარტენის მოსაზრებას გაეცნო მ. ბროსეს ნაშრომიდან «Chronique Géorgienne», Paris, 1830, p.1.

ლოს უძველესი ხანებისათვის ევროპელ მეცნიერთა გამოკვლევებზე (უპირატესად ჰ. გიბონის), ხოლო ძველი, ანტიკური და შუა საუკუნეების ქრონოლოგია კი, ვახუშტის მონაცემებზე. მაგრამ როგორც პირველ, ისე მეორე შემთხვევაში, ს. ბარათაშვილის „ისტორიაში" არეკლილი ქრონოლოგიური მასალა მშრალი საბუთიანობის კვალს კი არ ატარებს, არამედ ავტორისათვის დამახასიათებელი მჭევრმეტყველური თხრობა, თითქოს ქრონოლოგიასაც მიმზიდველს ხდის.

ქართული წელთაღრიცხვის საკითხებს განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია დ. ჩუბინაშვილმა. მან თავისი შეხედულება გამოთქვა წერილში, რომელიც დაბეჭდა გაზეთმა „ივერიამ" (1877, № 14, 16, 17) და რომელიც იმავე წელს ცალკე ბროშურად გამოიცა თბილისში[24].

ავტორის აზრით, ქართული ეროვნული წელთაღრიცხვა თავისი წარმოშობით დაკავშირებულია ძველი წელთაღრიცხვის 284 წელთან, როდესაც დაწყებულა მეზობელი პონტოს სახელმწიფოს ერა (გვ. 16). მაგრამ რატომ გადაიღეს ქართველებმა წელთაღრიცხვა პონტოს სამეფოდან? ამ გარემოებას დ. ჩუბინაშვილი ხსნის პოლიტიკური ფაქტორით, თითქოს III ს-ში ჩვენი წელთაღრიცხვის უწინარეს კოლხეთი „დამონებული იყო პონტოს მეფეთაგან და ჰქონდათ

---

[24] დ ა ვ ი თ ჩ უ ბ ი ნ ო ვ ი. ეთნოგრაფიული განხილვა ძველთა და ახალთა კაპადოკიის ან ჰანეთის მკვიდრთა მოსახლეთა. თბ., 1877, გვ. 1—48. შდრ. Давид Чубинов. Грузино-русский словарь. СПб, 1887. გვ. 1347—1350. წერილი ქრონიკონზე, სადაც ავტორი აღნიშნავს, რომ ქართული ქრონიკონი შემოვიდა ჩვენში 284 წ. ჩვენ ერამდე. გვ. 1349. დ. ჩუბინაშვილს სპეციალური გამოკვლევა აქვს მიძღვნილი „პონტოს ერის შესახებ ქართულ წყაროთა მიხედვით", რომელიც მას წაუკითხავს 1881 წელს თბილისში გამართულ მეხუთე არქეოლოგიურ ყრილობაზე. სამწუხაროდ, ხელნაწერის შემდგომი ბედი ჩვენთვის უცნობია. იხ. Д. И. Чубинов. О понтийской эре по грузинским источникам. Труды V-го Археологического съезда в Тифлисе 1881 год, М., 1887, с. XXX—XXXI. ამ ნაშრომში დაბეჭდილი ანოტაციიდანაც კი კარგად ჩანს, რომ დ. ჩუბინაშვილი საკმაოდ დამაჯერებლობით უარყოფს იმ მეცნიერთა მოსაზრებას, რომელთა მიხედვით პონტოს სამეფოს ერის დასაწყისია ძველი წელთაღრიცხვის 297 წელი. მისი აზრით, პონტოს ერა იწყება 284 წელს ჩვენი წელთაღრიცხვის უწინარეს. ტეოდორ რეინახს რომ ამ გამოკვლევის შინაარსი სცოდნოდა, იგი ა ლბათ, გაიზიარებდა დ. ჩუბინაშვილის მოსაზრებას და არ მიიღებდა ამ ერის დასაწყისად 297 წელს. იხ. T. Reinach, Mithridate Eupator roi de Pont. Paris, 1890. გვ. 263. ყოველ შემთხვევაში ფ. გინცელმა არ გაიზიარა ტ. რეინახის მოსაზრება და პონტოს ერის დასაწყისად ისიც იღებს ძველი წელთაღრიცხვის 283 წელს. იხ. F. K. Cinzel. Handbuch, ტ. III, გვ. 36. შდრ. კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე. ეტიუდები, ტ. II, გვ. 333.

ერთმანეთში დიდი ერთობა“ (გვ. 16). „მე რომ შევადარე ჩვენი ქრონიკონი და აღრიცხე, მაშინ აღმოჩნდა, — აღნიშნავს დ. ჩუბინაშვილი,—რომ დასაბამი ჩვენისა და პონტოს ერასი არის 284 წელი ქრისტეს წინათ“ (გვ. 16). მაშასადამე, დ. ჩუბინაშვილის აზრით, ქართული ქორონიკონული აღრიცხვა იგივეა, რაც პონტოსი. მაგრამ ავტორმა იცის აგრეთვე, რომ ქორონიკონით, ანუ „ქრისტესით“ თვლა დაკავშირებულია დიონისე მცირესთან. ამიტომ იგი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „ქრონიკონი ან დიდი ინდიქტიონი შემოიღო მღვდელ მონაზონმა დიონისიმ 516 (უნდა იყოს 525 წ.) წელსა ქრისტეს შემდგომ მოსაპოვნელად, თუ რომელს თვესა და რომელს რიცხვში დადგება პასქა ამ ჟამადმდე, ე. ი. 516 წლამდინ ამგვარი აღრიცხვა არსად იყო და, რასაკვირველია, არც საქართველოში იქნებოდა. საქართველოში, როგორცა ჰსჩანს, აღრიცხვა უწყიათ 781 წლიდამ ქრისტეს შემდგომ. მაშასადამე, ხუთასეული ქრონიკონი გათავებულა 780 და ახალი დამდგარა 781 წელსა... თუმცა 781 წელს შემოუღიათ ქრონიკონი, გ ა რ ნ ა რ ი ც ხ ვ ი წ ე ლ თ ა დ ა ს ა ბ ა მ ი ს ა დ ა უ დ ვ ი ა თ პ ო ნ ტ ო ს ე რ ა, ა ნ უ დ ა ს ა ბ ა მ ი წ ე ლ თ ა ა ღ რ ი ც ხ ვ ი ს ა... 284 წ ე ლ ი ქ რ ი ს ტ ე ს წ ი ნ ა დ“ (გვ. 17, დაყოფა ჩვენია). ამ ცნობიდან ნათელი ხდება, რომ დ. ჩუბინაშვილის აზრით, ქართული ეროვნული წელთაღრიცხვა შემოუღიათ 111 ს-ში ჩვენ ერამდე. მაგრამ 1064 წლის, ე. ი. მთელი ორი ციკლის მანძილზე (532+532=1064) იგი ოფიციალურად ხმარებაში არ იყო და მხოლოდ 780 წელს დაუწყიათ მისი გამოყენება. მეტი რომ არ ვთქვათ, ძალზე ძნელი წარმოსადგენია ამგვარი მოსაზრების გაზიარება. ამასთან, ვერ გავიზიარებთ აგრეთვე იმ შეხედულებასაც, რომ ძველი წელთაღრიცხვის 111 ს. დასაწყისისათვის იბერია-კოლხეთი პონტის სამეფოს მიერ ყოფილიყო „დამონებული“. პირიქით, „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, იმჟამინდელი ქართლი (იბერია) უძლიერესი სახელმწიფოა, რომელიც იბრუნებს ძველთაგან დაკარგულ პროვინციებს. ეს გარემოება დ. ჩუბინაშვილმა კარგად იცოდა.

ქართულ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში ამჟამად გამორკვეულია, რომ მეფე ფარნავაზის ხანაში იბერია თავისი ძლიერების ზენიტზე იდგა და ყველა მიმართულებით აფართოებდა თავის პოლიტიკურ საზღვრებს... „სავსებით გასაგებია... ის აქტიური როლი, — აღნიშნავს გ. მელიქიშვილი, — რომელსაც თამაშობდა ფარნავაზის სამეფო მის ურთიერთობაში პონტოსა და სელევკიდთა

სამეფოებთან. ასე, რომ „ქართლის ცხოვრების“ ეს მონაცემები დადასტურებას პოულობენ ბერძნულ-რომაულ წყაროთა შუქზე“[25].

ამრიგად, ჩვენ ეჭვს გამოვთქვამთ, რომ ქართული ეროვნული წელთაღრიცხვის შემოღება დაკავშირებულია პონტოს ერასთან, რომელიც დ. ჩუბინაშვილის აზრით, დაწყებულა ძველი წელთაღრიცხვის 284 წელს, ხოლო ფ. გინცელის აზრით, 283 წელს[26]. მაშასადამე, ამ მხრივაც გარკვეულ წინააღმდეგობასთან გვაქვს საქმე. დ. ჩუბინაშვილი თავის „ქართულ-რუსულ ლექსიკონში“ (სანკტ-პეტერბურგი, 1887, გვ. 1347—1350, განსაკუთრებით გვ. 1349) „ქრონიკონის“ რუბრიკის ქვეშ, წყენით აღნიშნავდა, რომ მისი ზემოთ ხსენებული მოსაზრება მ. ბროსემ ვერ გაიგო და არ გაიზიარაო. ჩვენი აზრით, მ. ბროსე სავსებით მართალი იყო, რომ დ. ჩუბინაშვილის მოსაზრება არ მიიღო.

მ. ბროსეს მთელი რიგი შრომებისა აქვს გამოქვეყნებული ქართული კალენდრის, ქრონოლოგიისა და წელთაღრიცხვის შესახებ[27]. იგი ჯერ კიდევ 1829 წელს გამოცემულ ნაშრომში «ქართული ქრონიკის შესახებ» იკვლევს თვეებისა და წლების ქართულ სახელწოდებებს, საეკლესიო წელიწადს, ქართულ ქორონიკონულ წელთაღრიცხვას. ჟ. სენ-მარტენთან ერთად 1832 წელს თ. ბაგრატიონს უგზავნის შეკითხვებს ქართული გრამატიკის, ისტორიისა და ქრონოლოგიის საკითხებზე. ეს უკანასკნელიც უგზავნის პასუხს, რომლის მოკლე შინაარსიც გამოაქვეყნა მ. ბროსემ «Journal Asidtigue»-ში. ერთი სიტყვით, მ. ბროსე მეტად სერიოზულ მნიშვნელობას ანიჭებდა ქრონოლოგიას საქართველოს ისტორიისათვის.

ქართული ქრონოლოგიის შესწავლის თვალსაზრისით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი გამოკვლევა «ქართული ტექნიკური, საეკლესიო და სამოქალაქო ქრონოლოგია» დასტამბული 1877 წელს პეტერბურგის საიმპერიო აკადემიის «მოამბეში», რომელიც 1881 წელს გადაბეჭდილ იქნა «Melanges Anatigues»-ში. ამ წერილში მან გამოთქვა მოსაზრება იმის შესახებ, რომ ქართული ქორონიკონული წელთაღრიცხვა შემოღებულია 780 წლიდან, ხოლო იწყება იგი 781 წლიდან, ანუ XIII მოქცევიდან. აქ თითქოს გაზიარებულია პ. იო-

---

[25] Г. А. Меликишвили. К истории..., с. 291.

[26] F. K. Ginzel. Handbuch, ტ. III, Leipzig, 1914, გვ. 36; შდრ. კ. კ ე ე ლ ი ძ ე. დასახ. ნაშრ., გვ. 333.

[27] M. Brosset. Chronique Géorgienne, Paris, 1829; მისივე. О некоторых недостатках грузинской хронологии. «Кавказ», № 24—25, 1850; მისივე. Chronologie thechnique... მისივე. De la chronologie...

სელიანის მოსაზრება, თუმცა მ. ბროსეს არგუმენტაცია არსებითად განსხვავებულია ქართველი ისტორიკოსისაგან. თუ ამ უკანასკნელის აზრით, ქართული ეროვნული წელთაღრიცხვის დასაწყისია 780 წელი იმის გამო, რომ «ქართლის ცხოვრებაში აშოტ კერპალატის მოკვლის დროიდან, ე. ი. 826 წლიდან პირველად იხსენიება ქორონიკონული წელთაღრიცხვა («დასაბამითგანთა წელთა ბტლდ» (=6334) ქორონიკონმა მეათცამეტედ მოქცეულსა შინა მვ=(46) 6334—5508=826)[28]. მ. ბროსეს ეს თარიღი სხვა, უფრო რთული და ერთობ მიუღებელი მოსაზრებიდან გამოჰყავს. მისი აზრით, ამის მიზეზი შემდეგია: ცნობილია, რომ რომის ათასწლოვანი პერიოდი დასრულდა 248 წელს ჩვენი წელთაღრიცხვით, რომლიდანაც იწყება XII მოქცევა. მაგრამ იმჟამად რომი აღარ არსებობდა, როგორც მსოფლიო დედაქალაქი და ამიტომ არ იყო საჭირო მეორე ათასეულის თვლა. ის დრო იყო იმ ეპოქის დასაწყისი, რომელსაც სომხები ჰორჰომთ ეპოქას, ანუ ბიზანტიის ბერძენთა ეპოქას ეძახიან. 780 წელს თავდება 248 წლიდან მომდინარე 532 წლიანი ციკლი. 6 წლის გასვლის შემდეგ აშოტ ბაგრატიონის დროს საქართველო ერთიანდება და ერთ შემთხვევას, რომელსაც ჩვენ ჯერ არ ვიცნობთ, შემოაქვს ამ ქვეყანაში ხუთასიანი ციკლი და ქართველებში მის თვლას იწყებენ 780 წლიდან.[29]

ამრიგად, მ. ბროსე იზიარებს რა ქართველთა ეროვნული წელთაღრიცხვის შემოღებას 780 წლიდან, მას უპირს იმ მიზეზების პოვნა, რამაც განაპირობა ქორონიკონული წელთაღრიცხვის შემოღება აღნიშნულ წელს.

ჩვენ სწორად მიგვაჩნია ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოთქმული მოსაზრება, რომ ქართული ეროვნული წელთაღრიცხვა შემოსულია 780 წლიდან, ანუ XIII მოქცევიდან, თუმცა არ ვიზიარებთ იმ წანამძღვრებს, რაც გამოთქმულა ამ საკითხთან დაკავშირებით. საქმე ისაა, რომ ქართულ ხელნაწერებში, ძველ აქტებსა და ეპიგრაფიკულ ძეგლებში ქორონიკონით თვლა არა გვხვდება ვიდრე XIII და XIV მოქცევამდე. არც ერთი ქართველი მწერალი არ აღნიშნავს თუნდაც XII მოქცევის შემთხვევის ფაქტს. მხოლოდ ვახუშტია ერთადერთი ავტორი, რომელმაც მოგვცა მოქცევათა თარიღები, თუმცა არც მისი მონაცემებია სავსებით სრული. მისი წარმოდგენით, ქართველთა ისტორია იწყება მხოლოდ V მოქცევი-

---

28 П. Иоселиани. Описание..., с. 296—297.

29 მ. ბროსე. საქართველოს ისტორია, ნაწ. პირველი, თბ., 1895, გვ. 114—115.

დან, რომელსაც საეკლესიო კალენდრით ადგილი ჰქონდა ძველი წელთაღრიცხვის 2564 წელს. მაშასადამე, ჩვენს სინამდვილეში მოქცევები აისახა მარტოოდენ XIII ციკლიდან, რაც გვაფიქრებინებს, რომ ქორონიკონით თვლა აქედან უნდა დაწყებულიყო.

ქორონიკონული წელთაღრიცხვა ემყარება პასქალურ ციკლს, რომელიც მიღებულ იქნა ნიკეის მსოფლიო საეკლესიო ყრილობაზე მხოლოდ VI ს-ში. ამდენად, იგი ამ დრომდე არ არსებობდა. სწორედ ამ მოსაზრებათა გამო მიგვაჩნია ჩვენ 780 წელი ქართული ეროვნული წელთაღრიცხვის თარიღად.

რაც შეეხება მ. ბროსეს მიერ ქართული ქრონოლოგიის შესწავლის საქმეს, უნდა აღვნიშნოთ, რომ იგი აქ ვახუშტის სრულ გავლენას განიცდის. განსხვავება ისაა, რომ მ. ბროსე კიდევ უფრო ამარტივებს ვახუშტის ქრონოლოგიურ ტაბულას და წელთაღრიცხვის არსებულ სისტემათა შორის მხოლოდ ორით სარგებლობს თავის „საქართველოს ისტორიაში". ესაა ჟ. სკალიგერის ერა და „დასაბამიდან სოფლისა" ბერძნული 5508 წლიანი ერა. ადგილი აქვს აგრეთვე ევროპული ლიტერატურიდან ისეთი ქრონოლოგიური რიცხვების მოტანის ფაქტს, რომელთა შესახებ ქართულ საისტორიო წყაროებში არაფერია ნათქვამი. მაგალითისათვის შეიძლებოდა დაგვესახელებინა არგონავტთა მოგზაურობა კოლხეთში, რომელსაც ავტორის ჩვენებით ადგილი ჰქონია დაახლოებით 1200 წელს ჩვენი წელთაღრიცხვის უწინარეს[30]. სხვა მხრივ, როგორც აღვნიშნეთ, მ. ბროსეს ქრონოლოგია არაფრით არ განსხვავდება ვახუშტისაგან. ქართულ ისტორიოგრაფიაში მ. ბროსეზე მსჯელობის დროს ავტორთა ერთი ნაწილი (ნ. მარი, გ. ნათაძე) ჩვეულებრივად აღნიშნავს ხოლმე, რომ ფრანგი ორიენტალისტი არ იყო სინთეტიკური აზროვნებით დაჯილდოებული მკვლევარი და რომ მას ფაქტების განზოგადოება უქირდა. ამ თეორიის ავტორია ნ. მარი[31].

XIX ს. 50-იანი წლები ესაა ქართული ისტორიოგრაფიის გარიჟრაჟი, მისი საწყისი ეტაპი და არაფერია საკვირველი იმაში, რომ

---

[30] მ. ბ რ ო ს ე. დასახ. ნაშ., გვ. 13. შდრ. ბატონიშვილი თეიმურაზი, კოლხიდა (მეგრელია), „ცისკარი", № 3, 1857, გვ. 33. (5508—4314=1195); შდრ. С. Б а р а т о в. История Грузии, Тетрадь I, с. 8.

[31] Н. М а р р. К столетию дня рождения М. И. Броссе. «Вообще склад ума Броссе был не синтетического порядка: занимаясь с увлечением наблюдателя-энтузиаста отдельными фактами и явлениями, прослеживая до последней возможности их подробности, он избегал обобщений». «ЗВО», 1902, т. XIV, с. 75. იხ. ზემოთ.

იმჟამინდელი მეცნიერების მოღვაწეობას ახასიათებდეს საქართველოს ისტორიის მასალათა შეგროვებისა და პოპულარიზაციის საქმე. ამიტომ არაა ნაწილობრივ მართალი, ჩვენი აზრით, ნ. მარი, ხოლო სავსებით არაა მართალი გ. ნათაძე. გაცილებით სწორად აღნიშნავდა მ. ბროსეს ღვაწლს XIX ს. მეორე ნახევრის ქართული ისტორიოგრაფიის მამამთავარი დ. ბაქრაძე, როდესაც წერდა:

...„სახელოვანმა ქართველმა ისტორიკოს-გეოგრაფოსმა ვახუშტიმ XVIII ს-ში პირველმა დაიწყო ქრონოლოგიურ მცდარობათა გასწორება; მათი შემდგომი გასწორება კი თავის თავზე აიღო აკადემიკოსმა მ. ბროსემ, რომელსაც იგი უიშვიათესი წარმატებით ასრულებს“[32].

სრული ჭეშმარიტება გამოსჭვივის დ. ბაქრაძის ამ სიტყვებში. მართლაც, მ. ბროსემ დიდი ამაგი დასდო ქართული ქრონოლოგიის შესწავლის საქმეს და ჩვენ მისი მოღვაწეობის შეფასების დასკვნით ნაწილში არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ ის ნიშანდობლივი დახასიათება მ. ბროსესი ქართული კულტურის ერთ-ერთი მოღვაწის, იოანე შავთელის საკალენდარო ტრაქტატზე (უნდა ეთქვა აბუსერიძე ტბელზე)[33], „უნდა გვეჩვენებოდეს საოცრად, რომ ქართველებმა 1233 წელს უკვე იცოდნენ ნახევარი იმ ცთომილებისა, რომელმაც 1583 (sic, უნდა ეწეროს 1582 წელი. — ა. ბ.) წელს აიძულა პაპი გრიგორი (XIII — ა. ბ.) გაესწორებინა საეკლესიო (რომაული. — ა. ბ.) კალენდარი“[34].

აქედან ნათლად ჩანს, რომ მ. ბროსე დიდი აზრისა ყოფილა აგრეთვე ქართული ასტრონომიის შესახებაც. ამ ასტრონომიული კალენდრის ირგვლივ მას ძალზე საინტერესო შრომა აქვს გამოქვეყნებული, სადაც სხვათა შორის ქართულ-ფრანგულ ენებზე გამოცემულია ვახუშტი ბაგრატიონის საკალენდარო ტრაქტატიც. ყველაფერი ეს ჩვენ ვალდებულს გვხდის მეტი პასუხისმგებლობითა და ყურადღებით მოვეკიდოთ მ. ბროსეს მდიდარ მეცნიერულ მემკვიდრეობას და საკადრისი საზღაური ვუზღოთ ამ გამოჩენილ პიროვნებას, რომლის ცხოვრების მეტი ნაწილი დაუკავშირდა ქარ-

---

[32] Дм. Бакрадзе. Об источниках... с. 409.

[33] კ. კეკელიძემ გამოარკვია, რომ ამ საკალენდარო ტრაქტატის ავტორია აბუსერიძე ტბელი. მასზე იხ. ი. სიხარულიძე. ტბელ აბუსერისძე. თბ., 1963, გვ. 68—70.

[34] M. Brosset. Notice... BHP., № 14—15, ტ. I, 1844, გვ. 232, შენ. 5; მისივე. Etaudes... გვ. 57—88.

თული კულტურის შესწავლისა და გამომზეურების უანგარო და კეთილშობილურ საქმეს.

მ. ბროსეს შემდეგ ქართული ქრონოლოგიის შესწავლის მდგომარეობა წინ არ წასულა. დ. ბაქრაძე, მ. ჯანაშვილი, ა. ხახანაშვილი ძირითადად და არსებითად აგრძელებენ ვახუშტი-ბროსეს საქმიანობას და თავიანთ „საქართველოს ისტორიებში“ ორიგინალურს არაფერს იძლევიან. დ. ბაქრაძე პოპულარიზაციას უწევს ამ დარგში ფრანგი მეცნიერის საქმიანობას, ჩამოთვლის მის დამსახურებას და თანმიმდევრულად გადმოგვცემს მის შეხედულებებს ქრონოლოგიაზე[35].

ამრიგად, ვასრულებთ რა ჩვენ მიმოხილვას ქართული ქრონოლოგიის შესახებ, უნდა აღვნიშნოთ მისი დიდი დაინტერესება და წარმატება XIX ს. ქართულ ისტორიოგრაფიაში. მართალია, თავდაპირველად XIX ს. დასაწყისში ქართულ ისტორიოგრაფიაში ქრონოლოგიის შესწავლის ვითარება ძალზე სუსტია, იგი არაა გამოყოფილი ცალკე საისტორიო პრობლემად, მას მეორეხარისხოვანი ადგილი აქვს მიკუთვნებული, მაგრამ თ. ბაგრატიონის დროიდან იგი განსაკუთრებული ყურადღების საგნად იქცა. აქ უკვე წელთაღრიცხვის ახალი თარიღის შემოტანასთან გვაქვს საქმე. ქართული ქრონოლოგიის საკითხში ცალკე პრობლემად გამოიყოფა ქართული ეროვნული წელთაღრიცხვის შემოსვლისა და მისი შესწავლის საკითხი. ამდენად, ისტორიოგრაფია ორი პრობლემის შესწავლას გულისხმობს: ქრონოლოგიისა და წელთაღრიცხვისას. ამის მიხედვით ისტორიკოსებიც ორად იყოფიან, რომელთაც თავთავიანთი მიზანი გააჩნიათ. მაგრამ მ. ბროსეს სახით ქართული ისტორიოგრაფია ვახუშტის საქმის დიდ გამგრძელებელს იძენს და ქართული ქრონოლოგია უკვე სააკადემიო მნიშვნელობის საქმედ ხდება.

---

[35] დ. ბ ა ქ რ ა ძ ე. ისტ... გვ. 183, 214—217.

მ ე ო თ ხ ე თ ა ვ ი

ძველი საქართველოს პოლიტიკური ისტორიის პრობლემები XIX ს. ქართულ ისტორიოგრაფიაში

ჩვენ დავინახეთ, რომ XIX ს. პირველი ნახევარი ქართული ისტორიოგრაფიის ფრიად ნაყოფიერი პერიოდი იყო. XVIII ს-ში ვახუშტის მიერ დაწყებული კვლევის სასახელო საქმე ბევრ მიმდევარს პოულობს. მეცნიერის მიერ შეკრებილი დიდძალი მასალის კრიტიკული ათვისების გარდა, ქართული ისტორიოგრაფია ეძებს ახალ წყაროებს, ახალ მიმართულებებს, რათა შეავსოს ის დიდი ხარვეზი, რომელიც „ქართლის ცხოვრებას" გააჩნდა.

ქართველი ისტორიკოსები ცხოვრობდნენ და წერდნენ თავიანთ ნაშრომებს საქართველოს ისტორიაზე იმ ეპოქაში, როდესაც ქართული ისტორიული ცოდნა მხოლოდ ხელნაწერ მასალას ემყარებოდა. XIX ს. შუა ხანებამდე საქართველოს ისტორიის ერთადერთი ხელნაწერი სახელმძღვანელო „ქართლის ცხოვრება" იყო. ამიტომ ნებისმიერ მკვლევარს ძალზე დიდი სურვილიც რომ გამოეჩინა საქართველოს ისტორიის სისტემატური კურსის გადმოცემისა, საქმე ექნებოდა მხოლოდ ერთ ხელნაწერთან, რომელიც იმჟამად კრიტიკულად არ იყო შესწავლილი და რომელიც თავისი შედგენილობით ერთ მთლიან ნაწარმოებს არ წარმოადგენდა. ესაა ის დრო, როდესაც ხელნაწერთა ყიდვა და შოვნა შეიძლებოდა ეკლესია-მონასტრებსა თუ კერძო პირებისაგან, როგორც ამას არაერთგზის აღნიშნავდა პ. იოსელიანი[1].

„ქართლის ცხოვრება" შეიცავდა ბრავალ წინააღმდეგობებს, ანაქრონიზმებს, შეცდომებსა და უზუსტობებს. მიუხედავად ამისა, ეს კრებული XIX ს. პირველი ნახევრის ქართულ ისტორიოგრაფიაში რჩებოდა თითქმის ერთადერთ ნარატიულ წყაროდ, რომლის გადმოცემათა ნიადაგზე იქმნებოდნენ არცთუ მაინცდამაინც

---

[1] პ. იოსელიანის წერილები აკად. მ. ბროსესადმი. გვ. 150, 151, 167, 169, 191.

სუსტი ნაშრომები საქართველოს ისტორიის დარგში. პირველი ქართული საისტორიო ნაწარმოებნი არსებითად პოლიტიკური ისტორიის ამბავთა ქრონოლოგიურ გადმოცემებს შეიცავენ „ქართლის ცხოვრების" მიხედვით. ავტორები, უპირატესად ბატონიშვილები, საქართველოს ისტორიას განიხილავდნენ, უწინარეს ყოვლისა, პოლიტიკური თვალსაზრისით, რათა თვალნათლივ ეჩვენებინათ ბაგრატიონთა სამეფო დინასტიის მმართველთა განუსაზღვრელი ძალა და გონივრული პოლიტიკა.

პოლიტიკური რომანტიზმის იდეითაა შედგენილი დ. ბაგრატიონის «Краткая история о Грузии». მასში დიდი გატაცებითა და სამშობლოს ეგზალტირებული სიყვარულითაა გადმოცემული ქართველ მეფეთა მრავალსაუკუნოვანი ისტორია[2]. მართალია, ეს «ისტორია» არსებითად «ქართლის ცხოვრებისა» და ვახუშტის «ისტორიის» ტექსტებს ემყარება, ავტორი ბრმად ენდობა მათში მოთხრობილ ამბებს, მაგრამ უსაზღვროდ დიდია დავითის სიყვარული წარსულისადმი. როგორც ევროპელი რომანტიკოსების უმრავლესობა, დავითიც ისტორიული წარსულის იდეალიზაციას ახდენს. სამწუხაროდ, მის ნაშრომში თითქმის არა ჩანს რაიმე კვალი სხვა წყაროთი თუ ლიტერატურით სარგებლობისა. თხზულებაში დაცული პოლიტიკური ამბები და ცალკეული ფაქტები მატიანეს მისდევენ და იმავე ქრონოლოგიურ ცნობებს შეიცავენ, ვახუშტის რომ დაუდგენია თავის «ისტორიაში». ერთადერთ გამონაკლისს წარმოადგენს მოთხრობა პომპეუსის ლაშქრობისა საერთოდ აზიასა (გვ. 7) და კერძოდ, საქართველოში (გვ. 38 — 39). წყარო ტექსტში მითითებული არაა და ჭირს მისი დადგენა. ჩვენი აზრით, ეს ამბავი დავითს აღებული უნდა ჰქონდეს რუსული საისტო-

---

[2] ამჟამად ცნობილია სამი რედაქცია ამ ნაშრომისა. პირველი ხელნაწერია, შედგენილი თბილისში 1801 წელს და მიძღვნილია გენერალ-მაიორ ს.ტუჩკოვისადმი. იგი სულ 63 გვერდისაგან შედგება და მატიანისებრი თხრობის პრინციპზეა აგებული. დამატებითი ცნობებისათვის იხ. Р. Р. Орбели, გვ. 32—33. მესამე ხელნაწერი დაწერილია 1817—1818 წლებში პეტერბურგში და მიძღვნილია გენერალ ა. ერმოლოვისადმი. იგი მოცულობით დიდია. იხ. Р. Орбели, ГРИВ, გვ. 33. ეს ხელნაწერი გამოსცა ა. როგავამ, თბ., 1971. რაც შეეხება მეორე რედაქციას, იგი დაბეჭდილია და გამოცემულია პეტერბურგის საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიის მიერ 1805 წელს. ისიც მიძღვნილია. ს. ტუჩკოვისადმი. ამ სამ ნაშრომთა შორის (ისინი რუსულადაა შედგენილი) ყველაზე ვრცელია მესამე ვარიანტი, მაგრამ იმის გამო, რომ მასში ჩვენთვის საინტერესო საკითხებზე ახალი თითქმის არაფერია მეორესთან შედარებით, ამიტომ ჩვენ ჩვეულებრივად მეორე აკადემიური გამოცემით ვისარგებლებთ, თუმცა მხედველობაში გვექნება აგრეთვე პირველიცა და მესამე ვარიანტებიც.

რიო ლიტერატურიდან, რაკი თბილისში 1800 წელს გამოქვეყნებულ თავის «ნარკვევის» მეხუთე თავში იგი მოგვითხრობს რომის ისტორიაზე და აღნიშნავს, რომ მისი თხზულება შედგენილია რუსული და ქართული საისტორიო ლიტერატურის გამოყენებით[3].

დ. ბატონიშვილის წყაროა XVIII ს. მეორე ნახევარში დასავლეთ ევროპაში შედგენილი და რუსულად ნათარგმნი ვრცელი «მსოფლიო ისტორია», რომელიც ატარებს «Первые основания всеобщей истории»-ს სახელს და რომელიც ნამდვილად გადმოგვცემს მთელ მსოფლიო ისტორიას. იგი ემყარება, როგორც დასავლეთევროპულ საისტორიო ლიტერატურას, ასევე რუსულ წყაროებსაც. ძველი ისტორიისათვის ძირითადად გამოყენებულია «დაბადება». სწორედ ეს ნაშრომი (სამი ვრცელი ნაწილისაგან შედგება) აქვს გამოყენებული დავითს. ჩვენ ხელთაა ამ «ისტორიის» ქართული თარგმანი, შესრულებული პეტერბურგში 1828 წელს პოეტ სოლომონ რაზმაძის მიერ. იგი ინახება საქართველოს ცენტრალურ არქივში.[4]

სამწუხაროდ, ავტორის ვინაობა დადგენილი არაა. ცხადია, ჩვენი ავტორი სარგებლობს ამ ნაშრომით, თუმცა წყაროს არ მიუთითებს[5].

დ. ბატონიშვილის „История Грузии" შეიცავს საქართველოს წარსულის თანამიმდევრულ რომანტიკულ თავგადასავლის მოკლე თხრობას უძველესი ხანიდან რუსთა მმართველობის დამყარებამდე. იგი ორი ძირითადი თავისაგან შედგება, ე. წ. „შესავლისაგან" და „ქართველთა ისტორიისაგან მეფეთა შესახებ". ეს ორი თავი თავისთავად იყოფა მრავალ (45) პარაგრაფად. აქედან პირველი თავი 14 პარაგრაფს შეიცავს, ხოლო მეორე, დანარჩენ 31 პარაგრაფს. პირველი თავის პირველი პარაგრაფი საქართველოს ბუნებრივ რესურსთა ჩამოთვლას ეძღვნება, დანარჩენში კი საუბარია მეფობის წინამორბედი ხანის საქართველოს ისტორიაზე, ე. ი. „მამასახლისთა მმართველობის პერიოდზე", რომელსაც ჩვენ დავითის ნაშრომთა („ნარკუევი", „История Грузии") ანალიზის საფუძველზე თანამედროვე ტერმინოლოგიით პირველყოფილ-თე-

---

[3] დავითი. ისტორიული „ნარკვევი". თბ., 1800, წინასიტყვაობა.

[4] ფონდი 1446, № 489, 490, 491.

[5] რ. ორბელი განსხვავებული აზრისაა დავითის მიერ შედგენილი „ნარკვევის" წყაროებზე. იხ. მისი ГРИВ, გვ. 55—57. მას რომ სეოდნოდა თბილისის ხელნაწერის არსებობა, ალბათ, შეიცვლიდა თავის აზრს.

მურ წყობილებად განვიხილავთ[6]. მეორე თავი, როგორც სათაურიდანაც ჩანს, მოგვითხრობს საქართველოს ისტორიას ძველი წელთაღრიცხვის III საუკუნიდან XIX ს. დასაწყისამდე მონარჩიული სულისკვეთებით (გვ. 19—20, 36). ეს უდიდესი ისტორიული პროცესი (თითქმის 22 ს.) მოცულობის მიხედვით მცირე ზომის 115 გვერდისაგან შედგება და მეტად ძუნწად გადმოგვცემს აღნიშნულ საუკუნეთა ისტორიას. ნაშრომის თითქმის მთელ მანძილზე ძირითად წყაროდ გამოყენებულია „ქართლის ცხოვრება“ და ვახუშტის „ისტორია“. ზოგიერთი ადგილიდან ჩანს, რომ ავტორი სარგებლობდა აგრეთვე რუსულად ნათარგმნი დასავლეთევროპული ისტორიოგრაფიიდანაც, თუმცა ამგვარი ლიტერატურა არც მითითებულია და ფრიად მცირეცაა. წყაროთაგან დამოუკიდებელია 43—45 პარაგრაფები, რომლებშიც მოთხრობილია საქართველოს ისტორია XVIII ს. მეორე ნახევრისა და XIX ს. პირველი სამეუფლოებისა. იგი იმ მხრივაა საყურადღებო, რომ ავტორი ზოგიერთ მოთხრობილ ამბავთა თვითმხილველი და მონაწილეა. ნაშრომი თხრობითი, მატიანისებრი სტილითაა დაწერილი და კვლევითი ნაწილი მეტად მცირეა. მიუხედავად ამ ნაკლისა, დ. ბაგრატიონის „ისტორია“ XIX ს. ქართულ ისტორიოგრაფიაში პირველ ცდას წარმოადგენს საქართველოს ისტორიის სისტემატური კურსის გადმოცემისა და მასში აქა-იქ შინაგანი ისტორიის ამბებსაც ვხვდებით ხოლმე.

დ. ბატონიშვილის „ისტორიას“ თავიდან ბოლომდე გასდევს საქართველოს წარსულის რომანტიკული გატაცება და მისი სახელმწიფოებრიობის იდეალიზაცია. მან გააღვიძა ინტერესი ისტორიული წარსულისადმი, რომელიც უფერულ და ტლანქ აწყოს დაუპირისპირა. სამეფო ტახტის დაკარგვამ და სამშობლოს იძულებითმა მოწყვეტამ, დ. ბატონიშვილის შემოქმედებაზე ძლიერი და წარუშლელი კვალი გაავლო. ისტორიის მთელ მანძილზე შეიმჩნევა დიდი სიყვარული წარსულისადმი. მის ნაშრომს წითელი ზოლივით გასდევს იდეა მონარჩიული, ერთპიროვნული მმართველობისა, მეფეთა და მხედართმთავართა გონივრული საქმიანობისა „ხალხის“ (ამ ტერმინის ქვეშ პრივილეგირებული წოდებაა ნაგულისხმევი) საკეთილდღეოდ. საქართველოს მეფეთა საქმიანობას დავითი ყო-

---

[6] ქართულ ისტორიოგრაფიაში დავითის „ისტორიის“ სათანადო ადგილებში გვაროვნული წყობილების ამსახველი სურათი პირველად შენიშნა შ. მესხიამ, იხ. „მნათობი“, № 8, 1950, გვ. 164.

ველთვის ამკობს: „მოწყალის“, „სათნოს“, „დაუვიწყარის“ (გვ. 46), „შორსგამჭვრეტელის“, „დაუღალავის“, „გულუხვისა“ და „სამართლიანის“ (გვ. 47) ეპითეტებით. იგი ყოველთვის სწორად მიიჩნევს საქართველოს მონარქთა პოლიტიკას, იმ შემთხვევაშიაც კი, როდესაც ისინი აშკარად შემცდარი იყვნენ. ერთი სიტყვით, დავითის „ისტორია“ ამართლებს თავის მიზანდასახულებას და საქართველოს წარსულს უყურებს, უწინარეს ყოვლისა, როგორც პოლიტიკოსი, რათა გაამართლოს თავისი იდეალი — საქართველოს განთავისუფლება მონარქთა ხელისუფლებით. ძლიერი ინტერესი წარსულისადმი და მეფეთა უსაზღვრო პიროვნების კულტი ერთ-ერთი დამახასიათებელი და ნიშანდობლივი თვისებათაგანია დავითის შემოქმედებისა.

როგორც თავისი ეპოქის შვილი (ყოველ ეპოქას თავისი შეხედულება აქვს ისტორიაზე) და ბაგრატიონთა სამეფო გვარის წარმომადგენელი, დავითი დაზღვეული არაა ვიწრო კლასობრივი შეზღუდულობისაგან. იგი აშკარა წარმომადგენელია ფეოდალურ-თავადაზნაურული ისტორიოგრაფიისა და „ისტორიზმის“ პრინციპს უგულებელყოფს. საქართველოს შინაგანი ისტორია მას აინტერესებს იმდენად, რამდენადაც ავტორს ესაჭიროება სასამართლო პროცესებთან დაკავშირებით ქვეყნის საერთო ფონის ჩვენება, თუმცა ძალზე შაბლონურ ფრაზებში. ამაზე შორს იგი არ მიდის. შინაგანი, სოციალურ-ეკონომიკური და საგარეო მოვლენებზე ყურადღების გაფანტულობა სწორედ ისტორიზმის მოწინააღმდეგეთ ახასიათებთ. მაშასადამე, ავტორი ისტორიულ პროცესს განიხილავს როგორც პოლიტიკურ მოვლენათა ცვლას. ამასთან, დავითისათვის უცხო არაა პროვიდენციალიზმის იდეა, ე. ი. კაცობრიობის ისტორიის თეოლოგიური გაგება. იგი არ გაურბის ღმერთის კონცეფციას, აღიარებს განგების ძალას, რომელიც წარმართავს ისტორიის მთელ მსვლელობას. მართალია, დ. ბატონიშვილის პროვიდენციალიზმი არაა მკვეთრად გამოყოფილი მის „ისტორიაში“, მაგრამ რწმენა რაიმე სასწაულისა, განგებისა, თავის ჩარევით რომ წარმართავს ისტორიას ამა თუ იმ შედეგამდე, ცხადია, საბოლოო ჯამში წარმოადგენს ღმერთის არსებობის აღიარებას (გვ. 40, 41, 50). მისი აზრით, საქართველოში ასურელ მამათა მოსვლის მიზანს შეადგენდა ის, რომ ხალხი დაეყენებინათ „ქრისტიანობის ჭეშმარიტ გზაზე, ცდომილებაში რომ იყვნენ იმჟამად“ (გვ. 50). ამასთან, დავითს დაუწერია შემოკლებული აღსარება „მართლმადიდებლობითისა სარწმუნოებისა“, რომელიც წმინდა ღვთისმეტყველურ ტრაქტატს წარმოად-

გენს[7]. ყველაფერი ეს ლაპარაკობს იმაზე, რომ დ. ბატონიშვილის მსოფლმხედველობაში განგების როლს საგრძნობი ადგილი ეკავა.

დ. ბაგრატიონი საქართველოს ისტორიას პოლიტიკურად ორ პერიოდად ყოფს: მეფობის წინამორბედი ხანის საქართველოდ, ანუ სახალხო მმართველობის პერიოდად (ქვემოთ დავინახავთ, რომ სახალხო მმართველობის სახელწოდების ქვეშ პრივილეგირებული წოდება იგულისხმება) და მეფობისჟამინდელ საქართველოდ. „საქართველოს, აღნიშნავს იგი, — დასაწყისიდან ს ა ხ ა ლ ხ ო მ მ ა რ თ ვ ე ლ ო ბ ა ჰქონდა (ხაზი ჩვენია — ა. ბ.), შემდეგ მას ჰყავდა მმართველები, ანუ მოსამართლეები, რომელნიც კანონმდებლობას აწესებდნენ, ხოლო გაყოფის ეპოქიდან, რომელიც მოჰყვა ალექსანდრე დიდის სიკვდილს, იქცა უკვე სრულიად მონარქიულ სახელმწიფოდ და მეფეთა მმართველობით“[8].

ამ ამონაწერიდან ჩანს, რომ საქართველოში მეფობის დაარსებისთანავე აღმოცენებულა მონარქიული წესწყობილება. მაგრამ საქმე ისაა, რომ მონარქიული იყო იგი უკვე მამასახლისობის ჟამსაც. დავითი ეთნარქ მცხეთოსზე საუბრისას ხაზს უსვამს იმას, რომ „მიანდეს მას სრული ძალა-უფლება ხალხზე“ (გვ. 19—20). ხოლო მესამე ვარიანტში „სრულ ძალაუფლებას“ უმატებს სიტყვებს „განუსაზღვრელი ძალაუფლებით“ (§ 13, გვ. 34). მაშასადამე, ქართლოსის ვაჟიშვილი მცხეთოსი, დავითის აზრით, ძალზე განუსაზღვრელი და შეუზღუდველი უფლებით სარგებლობდა. სამეფოს გაჩენასთან ერთად ჩამოყალიბებულა აგრეთვე სახელმწიფო სამმართველოს აპარატი. მინისტრები (ვაზირები), სამხედრო კორპორაცია, სამოხელეო და სასამართლო ორგანიზაცია, ბიუროკრატია, თავადაზნაურული არისტოკრატია და სხვ. პოლიტიკურად ეს სახელმწიფო ფეოდალური ბუნებისაა. მართალია, დ. ბატონიშვილი ტერმინ „ფეოდალიზმით“ ჯერ კიდევ არ სარგებლობს, მაგრამ, როგორც ჩანს, იგი ამ უკანასკნელს იცნობდა. საქმე ისაა, რომ გენერალი ს. ტუჩკოვი დავითის ახლო მეგობარი, სწორედ 1805 წლის ბოლოს აქვეყნებს ნაშრომს საქართველოზე, რომელშიც ლაპარაკობს ჩვენში ფეოდალიზმის არსებობის შესახებ. საუბრობს რა „მამასახლისებზე“, იგი ასკვნის: ...„ყველაფერი ეს გვიჩვე-

---

[7] კატალოგი წიგნთ-საცავისა თეიმურაზ ბატონიშვილისა, თბ. 1948, გვ. 4.

[8] Две записки царевича Давида «О лучшем устройстве Грузии». Подготовил к печати И. Е. Ениколопов, მსკი, თბ., 1942, ნაკვ. I, გვ. 128.

ნებს ფეოდალური მმართველობის ნაკვალევს (დაყოფა ავტორისაა. — ა. ბ.) ძველი დროის საქართველოში; თვით უძველეს წარსულში მათი მეფეები მამასახლისებად იწოდებოდნენ"[9]. ს. ტუჩკოვის მთელი ნაშრომი აგებულია დავითის 1805 წლის „ისტორიაზე" და საფიქრებელია, დავითის უშუალო კონსულტაციით. ყოველ შემთხვევაში, თუ ბატონიშვილმა ამ პოლიტიკური ტერმინის თაობაზე მანამდე არაფერი იცოდა, 1805 წლის დასასრულიდან იგი უდავოდ იცნობდა მას.

ფარნავაზმა დააწესა საქართველოში აგრეთვე მემკვიდრეობითი უფლება, რომლის ძალით, უფროსი ვაჟიშვილი ხდებოდა სამეფო ტახტის ერთადერთი მემკვიდრე. „ფარნავაზის სიკვდილის შემდეგ მემკვიდრეობის წესის უფლებით მეფობა მიიღო მისმა შვილმა საურმაგმა; ეს წესი ბოლო დღემდე დაცული იყო საქართველოში" (გვ. 36). ამ ცნობას დავითი თავისი „ისტორიის" მესამე ვარიანტში უმატებს შემდეგ საყურადღებო ფაქტსაც. მისი სიტყვით, მეფის უფროსი შვილის გარდაცვალების შემთხვევაში ტახტის მემკვიდრედ ხდებოდა ყოველთვის მეფის უფროსი შვილიშვილი, ხოლო მისი დანარჩენი მემკვიდრეები მხოლოდ თავადებად იწოდებოდნენ: „ფარნავაზის სიკვდილის შემდეგ ივერიაში გამეფდა მისი უფროსი შვილი საურმაგი. მემკვიდრეობის ეს უფლება ფარნავაზიდან იყო დადგენილი და იცვებოდა ამ დრომდე (ე. ი. 1800 წლამდე, ა. ბ.) იმის დართვით, რომ მეფის უფროსი ვაჟიშვილის გარდაცვალების შემთხვევაში ტახტის მემკვიდრედ ყოველთვის ხდებოდა მეფის უფროსი შვილიშვილი, ხოლო მისი სხვა შვილები კი ითვლებოდნენ თავადებად"[10]. ამ ცნობაში, ჩვენი აზრით, მკაფიოდ აირეკლა დავითის პოლიტიკური მრწამსი. იგი თავის მკითხველს მოაგონებს, რომ საქართველოს სამეფო ტახტის მემკვიდრეობის წესი ფარნავაზის ჟამინდელია, რომლის უკანონობა, 1791 წელს ერეკლეს მიაღებინა დარეჯან დედოფალმა. ამ ტახტის მემკვიდრეობის ახალი წესის მიხედვით, გიორგი ერეკლეს ძის გარდაცვალების შემდეგ სამეფო ტახტი გადადიოდა სახლისშვილთაგან უფროსი ვაჟის, მაშასადამე, იულონის ხელში. ეს პირობა გიორგი

---

[9] С. Тучков. Соч. и переводы. Ч. IV, СПб, 1817. აქაა მოთავსებული მისი ნაშრომი: «Записки, касающиеся до земель между Черным и Каспийским морем находящихся и особенно о Грузии; показание теперешнего ее состояния, с некоторыми видами к исправлению оного». Сочинено в конце 1805 года, с 185.

[10] Давид Багратиони. История Грузии, Тб., 1971, გვ. 54.

XII-მ მალე დაარღვია და დაამტკიცა ოდითგან მომდინარე ფარნავაზისეული უფლება. სწორედ ეს ამბავი აქვს მხედველობაში დავითს და არაპირდაპირი გზით არწმუნებს მკითხველს, რომ მეფე გიორგი XII-ის შვილთა ხელში უნდა გადასულიყო სახელმწიფოს მართვა-გამგეობა[11]. დავითს ისე იტაცებს ტახტის მემკვიდრეობის ფარნავაზისეული იდეა, რომ მას იგი ნახულობს ჯერ კიდევ მამასახლისობის პერიოდის საქართველოში. „მამასახლისთა სახელწოდებით (ცნობილი, ა. ბ.) ამგვარი მმართველობა შემდეგში მემკვიდრეობით გაგრძელდა ვიდრე ალექსანდრე მაკედონელის ხანებამდე".[12] თითქმის იგივეა ნათქვამი დავითის ისტორიის მესამე ვარიანტშიც: „მამასახლისთა გამგებლობა გრძელდებოდა იმ ქვეყანაში დიდი დროის მანძილზე და იყო მემკვიდრეობითი ალექსანდრე მაკედონელის დრომდე" (გვ. 39). მაშასადამე, მამასახლისობა შთამომავლობითი, მემკვიდრეობითი უფლებაა და ამ წესიდან რაიმე გადახვევას არასდროს ადგილი არა ჰქონია.

დ. ბატონიშვილის სიტყვით, მამასახლისობას ეწოდებოდა აგრეთვე „ერისა საზოგადოობა"[13]. პოლიტიკური წყობილების თვალსაზრისით, საქართველოს ისტორიაში ესაა ისეთი ეპოქა, როდესაც ავტორს გარკვეული მნიშვნელობით მიაჩნდა, რომ ხალხი თვითონაა თავისი თავის ბატონპატრონი, ქვეყანა დაყოფილია ცალკეულ სამამასახლისოებოდ, რომელთაც ირჩევდა ხალხი. აქ წარმოდგენილი სურათი ძალზე წააგავს გვაროვნულ წყობილებას, თანამედროვე ტერმინით რომ ვთქვათ, პირველყოფილთემურ წყობილებას, სადაც სოფლები („селения") თემებად იყოფოდნენ და საჭიროების შემთხვევაში ერთიანდებოდნენ ხოლმე. ქვეყანა, როგორც კი იგრძნობდა მტრის (მამასახლისობის ხანაში უპირატესად სპარსელთა შემოტევისაგან განთავისუფლებას, რაც გამოწვეული იყო სპარსეთში შინაომებით სამეფო ტახტის დაკავებისათვის) დასუსტებას, მაშინვე აჯანყებათა მეოხებით ინთავისუფლებდა თავს „...სპარსეთის ბატონობისაგან და რჩებოდა მამასახლისთა მმართველობის ქვეშ". (გვ.

---

[11] არჩილ ბარამიძე. შინაპოლიტიკური ბრძოლის ერთი მაგალითი XVIII ს. დასასრულისა და XIX ს. დასაწყისის ქართულ ეპისტოლარულ წყაროებში. „ძიებანი საქართველოსა და კავკასიის ისტორიიდან", თბ., 1976, გვ. 312—318.

[12] Царевич Грузинский Давид. Кр. история... СПб., 1801, გვ. 8, პირველი ვარიანტი. ლენინგრადი. სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის არქივი, ფონდი 99, აღწერა 2, № 38, აკად. პ. ბუტკოვის არქივიდან.

[13] დავითი, ისტორიული „ნარკვევი", გვ. იდ.

26). მტრების განდევნის შემდეგ (როგორც უმეფო, ისე მეფობის ხანაში) საქართველოში, ავტორის სიტყვით, მყარდებოდა ხოლმე „სიწყნარე და უშიშროება“ (გვ. 39), „დაცული მყუდროებითა და სიმშვიდით“ (გვ. 82). ერთი სიტყვით, დავითს იმის თქმა სურს, რომ ქართველ ხალხს თავის მმართველთაგან არ ახსოვს სოციალური ჩაგვრა და დამონება. ამგვარი ვითარება მარტოოდენ გარეშე ძალის (სპარსელები, რომაელები) ბატონობის ხანას ახასიათებს, თორემ ქართველ-მამასახლის-მეფეთა ჟამს საქართველოში მხოლოდ იდილიური და ჰარმონიული ცხოვრება სუფევდა.

განსაკუთრებით ჰარმონიული იყო ცხოვრება, ავტორის სიტყვით, „ერისა საზოგადოობის“ ხანაში, ანუ მამასახლისთა მმართველობის ხანაში. აქ ყველაფერში ჩანდა ადამიანთა დამოუკიდებელი, წყნარი და მშვიდი ცხოვრება, ხალხს არ ახსოვს აჯანყებანი და სხვ. მეთოდოლოგიური თვალსაზრისით, საგულისხმოა ამ ხანისათვის საკუთრივ ტერმინის „ერისა საზოგადოობის“ ხმარებაც. თავისთავად ჩანს, რომ აქაა ნაგულისხმევი ხალხის საზოგადოება, მათი მმართველობის ხანა. სამწუხაროდ, დავით ბატონიშვილი ბოლომდე ვერ ამაღლდა გვაროვნული წყობილების ბუნების სწორ გაგებამდე. დავითის აზრით, „მამასახლისობა“ („ერისა საზოგადოობა“) სოციალური, მემკვიდრეობითი, დინასტიური და ერთპიროვნული ძალაუფლების ინსტიტუტი ყოფილა. სწორედ აქ მეღავნდება მკაფიოდ დავითის დემოკრატიზმის ძალზე შეზღუდული და საეჭვო ხასიათი. აქაა აშკარად გამოკვეთილი მისი კლასობრივი თვალსაზრისი, რომელიც მას ხელს უშლიდა საკითხთა სწორ, მეცნიერულ გადაწყვეტაში,

ამრიგად, მიმოხილული მასალებიდან ცხადი უნდა იყოს, რომ უძველესი ხანის საქართველოს პოლიტიკური ისტორიის საკითხებს დ. ბატონიშვილი ეკლექტურად განიხილავს. იგი სტაბილურობას ვერ იჩენს მის გაგებაში. თუ, ერთი მხრივ, ავტორი თითქოს ერთგვარ დემოკრატიზმს იჩენს „ერისა საზოგადოობის“ წყობილების გაგებისას, მეორე მხრივ, იგი ბოლომდე ვერ ერკვევა მისი ბუნების სისწორეში. მას დასაშვებად მიაჩნდა „მამასახლისთა“ არჩევითობის არისტოკრატიული პრინციპი, მათი მმართველობის ერთპიროვნული, მონარქიული ხასიათი და სხვ. მონარქიული მმართველობა მას მარადიულ კატეგორიად აქვს წარმოდგენილი და საქართველოს მრავალსაუკუნოვან ისტორიას იგი მხოლოდ ამ პოზიციებიდან განიხილავს. დავითს ერეკლესდროინდელი მონარქიული წყობილება მექანიკურად გადააქვს წინაკლასობრივ საზოგადოებაზე და ძველი

ისტორიის მოდერნიზებას ახდენს. აქ აშკარად იჩენს თავს ავტორის ზოგადისტორიული თვალსაზრისი — საქართველოში „აბსოლუტური მონარქიის“ მარადიულობისა და ოდინდელობის შესახებ. დავითის პოლიტიკური იდეალია დასაბუთება იმისა, რომ საქართველოში „აბსოლუტური მონარქია“ იმთავითვე არსებობდა და რომ პოლიტიკური მმართველობის ეს ფორმა უნდა აღდგეს აქ რუსეთის იმპერიის ხელისშეწყობით.

უზენაესი ხელისუფლების მონარქიულობის იდეა არაა დამახასიათებელი მარტოოდენ დ. ბატონიშვილის პოლიტიკური კონცეფციისათვის. ამ თვალსაზრისით განიხილავდნენ საქართველოს ისტორიას დავითის შემდგომი პერიოდის ყველა ქართველი ისტორიკოსი. მათ შორის პირველი ვ. ბაგრატიონი უნდა დავასახელოთ. მის მცირე საისტორიო შემოქმედებაში თავის იჩენს საქართველოს მეფეთა განუსაზღვრელი, ერთპიროვნული, სამართლიანი, გონივრული და საქველმოქმედო საქმიანობა. მისი ძირითადი ნაშრომი «Обозрение истории грузинского народа», 83 გვერდისაგან შედგება და სამ თავადაა დაყოფილი. პირველი თავი შეიცავს 1—31, მეორე 32—42 და მესამე 43—83 გვერდებს.[14] მთელი წიგნის ერთ მესამედზე მეტი (54—79, ე. ი. 25 გვერდი) მიძღვნილია მეფე ერეკლე II-ის როგორც საშინაო, ისე საგარეო საქმეთა აღწერისადმი. ნაშრომში ხაზგასმულია მისი დიდი და ზოგჯერ გენიალური (გვ. 63) გამჭრიახობა შინა თუ საგარეო მტრის წინააღმდეგ. ვახტანგი ერეკლე II-ს მრავალი ეპითეტით ამკობს. ერთგან იგი წერს: «ირაკლიმ გაორკეცა თავის ქვეშევრდომთა გულებში იმედი მყარი კეთილდღეობისა, რადგან არ ვამბობ რა მის გულმოდგინეობის, შრომისმოყვარეობის, დაუცხრომლობისა და იშვიათი სამხედრო ნიჭის შესახებ, ყველასათვის ცნობილი იყო მისი განსაკუთრებული კეთილმოწყალეობა, სულგრძელობა და თავდაჭერილობა» (გვ. 70).

ამგვარი აპოთეოზი თავის ლოგიკურ დასკვნას პოულობს იმ განცხადებაში, რომ ერეკლეს იმჟამად ბადალი არავინ ჰყოლია მთელ წინა აზიაში. ეს გარემოება არცაა გასაკვირი, თუ მოვიგონებთ, რომ ვახტანგი მეფე ერეკლეს ერთ-ერთი ვაჟიშვილთაგანია

---

[14] არსებობს ამ ნაშრომის ქართული ორიგინალი, გამოცემული თბილისში 1914 წელს ს. კაკაბაძის მიერ. მას ეწოდება „ისტორიებრი აღწერა“ თხზული საქართველოს მეფის ირაკლის ძის ვახტანგისა. ეს ნარკვევიც რუსეთშია დაწერილი, ს. კაკაბაძის აზრით, არა უგვიანეს 1810 წლისა. იხ. შესავალი. ძირითადი სქემა ქართულ და რუსულ ტექსტებს შორის ერთი და იგივეა, თუმცა არის აგრეთვე განსხვავებანიც. ერთ-ერთ ასეთ განსხვავებაზე იხ. ქვემოთ.

დარეჯან დედოფლისაგან. მაგრამ, როგორც აღინიშნა, ვახტანგის „Обозрение“ შეიცავს აგრეთვე საქართველოს სხვა მეფეთა ისტორიულ ქრონიკას და ძირითადად ემყარება „ქართლის ცხოვრებას“, ვახუშტის „ისტორიასა“ და დავითის ისტორიულ ნაშრომებს. ქრონიკა უბრალო კომპილაციაა, თუმცა მასში მაინც მკვეთრადაა გამოკვეთილი ავტორის პოლიტიკური შეხედულებანი.

ვ. ბატონიშვილის პოლიტიკურ შეხედულებათა საკითხს საინტერესო გამოკვლევა უძღვნა შ. ხანთაძემ[15]. მან დამაჯერებლად დაასაბუთა, რომ ვახტანგის პოლიტიკურ იდეალს შეადგენდა მონარქიული, ერთპიროვნული მმართველობა. მართალია, შ. ხანთაძის წერილში განხილულია ვახტანგის „Письма“[16], მაგრამ იგი ხშირად იმოწმებს აგრეთვე „Обозрение“-საც და ამ ორი ნაშრომის კრიტიკულად გარჩევის საფუძველზე იძლევა საესებით დამაჯერებელ დასკვნებს ბატონიშვილის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ შეხედულებათა შესახებ. ამ თვალსაზრისს ჩვენც ვიზიარებთ და არსებითად „Обозрение“-ზე დაყრდნობით ავტორის პოლიტიკურ წარმოდგენათა დახასიათებას შევეცდებით ძირითადად საქართველოს ძველი ისტორიის დარგში.

ვ. ბატონიშვილი დავითის მსგავსად, თუმცა საკმაოდ თავისებურად, საქართველოს ისტორიას ორ პერიოდად ყოფს: მეფობის წინამორბედ და მეფობისჟამინდელ საქართველოდ. პირველზე მას ასეთი ცნობები მოეპოვება: „საფიქრებელია, რომ ქართლოსი იყო ქართველთა მმართველი, ბელადი და კანონმდებელი“ (გვ. 1). ამიტომ „იგი არ იწოდებოდა მეფედ“ (გვ. 2). მაშასადამე, ავტორის აზრით, ქართლოსი არ იყო ქართველთა ეთნარქი; იგი მმართველია, ბელადია და სჯულმდებელია (კანონმდებელი), თუმცა მეფედ არ იხსენიება. აქ, მართალია, საკმაოდ მშრალად, მაგრამ ნათლადაა ნაჩვენები ქართლოსის, როგორც ქართველთა მესვეურის. პოლიტიკური უფლება-მოვალეობანი. ქართველობა ქართლოსის ბრძნული დადგენილებებით ხელმძღვანელობდა და მარადიულ ნეტარებაში იყო. „ქართველები ხელმძღვანელობდნენ რა ქართლოსის ბრძნუ-

---

[15] შ. ხ ა ნ თ ა ძ ე. ქართული პოლიტიკური აზროვნება XVIII—XIX საუკუნეთა მიჯნაზე (ვახტანგ ბატონიშვილის წერილები). „მნათობი“, № 12, 1962, გვ. 163—169.

[16] Письма грузинского царевича Вахтанга Ираклиевича, СПб., 1812, გვ. 1—36. ეს ნაშრომი რუსულად ქართულიდანაა ნათარგმნი. ქართულად მას ეწოდება „ებისტოლენი საქართველოს მეფის ირაკლის ძის ვახტანგისა“ და ინახება ხელნაწერთა ინსტიტუტში. s ფონდი, ხელნაწერი № 1113.

ლი დადგენილებებით, — აღნიშნავს ავტორი, — უძველეს წარსულში მიწის დამუშავებას მისდევდნენ, მოიწევდნენ თავისი შრომით მოპოვებულ ნაყოფს... ისინი თავისუფალნი იყვნენ და იცოდნენ მისი ყადრი; ურთიერთს ძმურად პატივს სცემდნენ და თვალყურს ადევნებდნენ მადლიერებისა და მეგობრობის საღვთო კანონს: ასევე მკაცრად იცავდნენ ქორწინებით კავშირს განახლებულს მათ შორის ქართლოსის მიერ...“ (გვ. 3—4)[17].

3. ბატონიშვილის მიერ წარმოდგენილი პოლიტიკური სიტუაცია ყველა ძირითადი ნიშნის მიხედვით, წინაკლასობრივ საზოგადოებას წააგავს. მართლაც. მისი სიტყვები, რომ ქართველობა უძველეს ხანებში თავისუფალი იყო, რომ ისინი ერთიმეორეს ძმებს უწოდებდნენ და მიწას კოლექტიურად ამუშავებდნენ, მიუთითებს მათში გვაროვნული წყობილების არსებობაზე. მაგრამ გადის დრო და უზენაესი განგება[18], ქართველ ტომთა წყნარ ცხოვრებას („тишины“) ბოლოს უღებს. საქართველოს მოევლინება ცნობილი დამპყრობელი ალექსანდრე მაკედონელი, რომელსაც თან ახლდა მხედართმთავარი აზონი (გვ. 5), რომელიც მმართველად რჩება აქ. ამ დროს ქართლში (იბერია) ჩნდება ქართლოსის ჩამომავალი ჭაბუკი ფარნავაზი, დედით სპარსეთის მეფის დარიოს კოდომანის ახლო ნათესავი[19]. იგი ბოლოს და ბოლოს ამარცხებს აზონს და ...„დაიპყრო რა სახელმწიფო, იღებს მანამდე უცნობ სამეფო წოდებას“ (გვ. 7). მაშასადამე, ფარნავაზის დროიდან საქართველოში ჩნდება მეფობა, ანუ ჩვენი ტერმინოლოგიით, კლასობრივი საზოგადოება. ეს საზოგადოება პოლიტიკური თვალსაზრისით ფეოდალურია. იგი, ამასთან, მემკვიდრეობითი (ფარნავაზმა „სახელმწიფოებრივი მართვის უფლება თავის გვარში მემკვიდრეობად აქცია“ (გვ. 6) და მონარქიულია (გვ. 14, 36, 52, 70).

ვახტანგის „მიმოხილვა“ ჩვენი ერის ისტორიის ძალზე შეკვეცილი ქრონიკაა. ფარნავაზიდან ვიდრე მირიანამდე ავტორი სულ

---

[17] აქ თითქოს შეეჩნეულია ძველქართულ გვაროვნულ თემში მიწის კოლექტიური დამუშავება და მიწაზე კოლექტიური საკუთრება. ცხადია, ვახტანგის მიერ ამ ფაქტის შეჩნევა სტიქიური აქტის შედეგია.

[18] ვახტანგის „მიმოხილვა“ გაჟღენთილია პროვიდენციალიზმის იდეით, იხ. გვერდები: 3—4, 33, 40—41, 59, 61, 83.

[19] ფარნავაზის დედის დარიოს კოდომანთან (336—330) ნათესაობაზე არც „ქართლის ცხოვრება“ და არც ვახუშტი არაფერს ამბობენ. იქ ლაპარაკია ფარნავაზის დედის „ნათესავით სპარსზე“. ქართულ ისტორიოგრაფიაში ფარნავაზის დედის დარიოს III-თან ნათესაობა პირველად აღნიშნა დავითმა, გვ. 32.

ორად ორ სტრიქონს უძღვნის, თუმცა მირიანზე, როგორც პირველ ქართველ ქრისტიან მეფეზე, საკმარისად მსჯელობს. რაც მთავარია, ვახტანგი იმჟამინდელ საქართველოს ზნე-ჩვეულებებს აღწერს ვახუშტის მიხედვით, მისი ნაშრომის დაუმოწმებლად. „მე აღვწერე ეს წესჩვეულება მირიანის მეფობიდან იმიტომ, რომ ისინი საქართველოში მისი დროიდან დამკვიდრდნენ, როგორც პირველი ქრისტიანი მეფის (სიახლე — ა. ბ.)... აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მან პირველმა დაამკვიდრა წესი, საბედნიეროდ საქართველოს დიდი კეთილდღეობისათვის აღდგენილი, წესი, რომლის მიხედვით მემკვიდრის სიკვდილის შემთხვევაში სამეფო ტახტი გადადიოდა არა მის შვილზე, არამედ მის ძმაზე, და მანვე მოგვცა ამის მაგალითი; რადგან მას (მირიანს — ა. ბ.) არა ჰყავდა ძმა, ამიტომ თავისი მემკვიდრის რევის სიკვდილის შემდეგ მან დაითხოვა ტახტისაგან შვილიშვილი და მეფედ დანიშნა უმცროსი შვილი ბაქარი“ (გვ. 29—30).

ვახტანგის ამ ცნობაზე შეჩერებაა საჭირო. მაშასადამე, მისი აზრით, მირიანმა ფარნავაზის საწინააღმდეგოდ მემკვიდრეობის ახალი რიგი დააწესა. ამ კანონის მიხედვით, მეფის უფროსი ვაჟიშვილის გარდაცვალების შემთხვევაში ტახტი გადადიოდა არა მისი შვილის, არამედ გარდაცვლილი მემკვიდრის ძმის ხელში. მირიანმა თვითონ შექმნაო, — გადმოგვცემს ვახტანგი, — ამის პრეცედენტი. რაკი მირიანს ძმა არა ჰყავდა, ხოლო მისი პირველი რევი ბაბაზე ადრე გარდაიცვალა, მირიანმა ტახტიდან გადააყენა შვილიშვილი (რევის ძე — ა. ბ.) და მეფედ დასვა თავისი უმცროსი შვილი ბაქარი, ადრე რომ მძევლად იყო ბიზანტიაში. ვახტანგი ამ საკითხში ვახუშტის „ისტორიას“ ემყარება, მაგრამ ამ უკანასკნელის ცნობიდან ასეთი დასკვნა არ გამომდინარეობს.

ვახუშტი გვაუწყებს: „შემდგომად ამისა წარმოუვლინა დიდმან კონსტანტინემ მეფესა მირიანს ძე თავისი ბაქარ და მოუმცნო: „ვინაითგან სცან ჭეშმარიტი ღმერთი ქრისტე, არღარა-რა მიხმს მძევალი შენ-მიერი, არამედ იყოს ქრისტე შუა-მდგომელ ჩუენ შორის“, და განიხარა მირიან ფრიად. შემდგომად მოკუდა ძე მირიან მეფისა რევ, რომლისათვის მიეცა მეფობა და მწუხარებასა ამას შინა ამასვე წელსა გარდაიცვალა მირიან მეფე, სავსე სარწმუნოებითა და მადლითა, რომელმან ნათელ-სცა ყოველთა ივერიელთა. ხოლო ვინაითგან მომკუდარ იყო რევ უხუცესი ძე მისი, ამისათვის მისცა მეფობა ძესა თვისსა ბაქარს უმრწამესსა და რე-

ეის ძეთა კახეთი საერისთაოდ, დასაბამითგან 4291, ბერძნულსა 5850, ქრისტეს აქეთ 342, ქართულსა. 94"[20]

ვახუშტის ცნობიდან მაინცდამაინც არა ჩანს, რომ მირიანიდან დაწყებული ეს წესი საყოველთაო კანონად იქცა. ხოლო, რაც შეეხება „ქართლის ცხოვრების" ტექსტის ცნობას, აქ ბაქარის მეფობიდან მართლაც შეინიშნება გარკვეული ბრძოლა ტახტის გარშემო მირიანის მემკვიდრეებს შორის. ბაქარის ძმის რევის შთამომავლები ეძიებენ ტახტს, რის გამოც „მაშინ მეფემან ბაქარ, შუამდგომლობითა ბერძენთა მეფისა და სპარსთა მეფისათა, დაწერა ხელით წერილი ძმის წულთა მისთა და დედასა მათისა სალომესგან ესრეთ, ვითარმედ: „ვიდრემდის იყოს ნათესავი ბაქარისი, რომელსაც ეძლოს პყრობა მეფობისა, მისი იყოს მეფობა, და არაოდეს ძებნონ მეფობა ნათესავთა რევისთა"[21].

„ქართლის ცხოვრების" ამ ამონაწერიდანაც ჩანს, რომ ვახტანგის მსჯელობა ცალმხრივი და ტენდენციურია. მართალია, „ქართლის ცხოვრებაში" საუბარია მირიანის უმცროსი ვაჟიშვილის ბაქარის მიერ სამეფო ტახტის მემკვიდრეობის უფლების შეცელაზე და რევის ოჯახის წევრთა მხრივ სამეფო ტახტის დაკარგვაზე, მაგრამ არსაიდან არა ჩანს, რომ ბაქარის ოჯახში მემკვიდრეობის უფლება ძმიდან ძმაზე უნდა გადასულიყო, როგორც ეს ვახტანგს მიაჩნდა. პირიქით, ამ უკანასკნელის შემდგომი თხრობიდან ნათლად ირკვევა, რომ მემკვიდრეობის წესის მიხედვით, ფეოდალურ საქართველოში სამეფო ტახტი მამიდან ყოველთვის უფროს შვილზე გადადიოდა. ვახტანგს მთელი ეს „ფილოსოფია" მხოლოდ იმისათვის სჭირდებოდა, რათა ისტორიული გამართლება მოუძებნოს მისი დედის, დარეჯან დედოფლის პოლიტიკურ მოთხოვნას, წაყენებულს ერეკლესადმი იმის შესახებ, რომ გიორგი XII-ის გარდაცვალების შემდეგ სამეფო ტახტი გადასულიყო არა დავით გიორგის ძის ხელში, არამედ იულონ ერეკლეს ძის ხელში და, მაშასადამე, მეფობა გადასულიყო გვერდითი შტოის წარმომადგენლებზე. ამიტომაა, რომ ახასიათებს რა ერეკლე II-ის ბრძნულ

---

[20] ვ ა ხ უ შ ტ ი. გვ. 94. შდრ. ვახუშტი. საქართველოს ისტორია. განმარტებული და შეესებული დ. ბაქრაძის მიერ. ნაწილი პირველი. თბ., 1885, გვ. 74 — 76. აქ ოთხივე ქრონოლოგიური ციფრი ერთმანეთს ემთხვევა: 4291—3949=342; 5850—5508=342; 342; 248+94=342.

[21] გ. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი. ქართლის (იბერიის) სამეფოს ისტორიის ქრონოლოგიის საკითხისათვის, ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. IV. ნაკვ. I, 1958, გვ. 163. შდრ. ქართლის ცხოვრება. გვ. 131.

მმართველობას, ვახტანგი დასასრულს დასძენს: „დაბოლოს, მეფე ირაკლი II-მ საქართველოში დადგენილი წესის (?) მიხედვით, რომელსაც ნებაყოფლობით დაეთანხმნენ მისი შვილები (და) დამტკიცებული ფიცით, როგორც მათ მიერ, ასევე ხალხის ყველა წოდების მიერ, დაადგინა ტახტის მემკვიდრეობა გვერდითი ხაზის გზით, ე. ი. იმგვარად, რომ ძმას ძმა ცვლიდეს, გარდაიცვალა... ქალაქ თელავში 1798 წლის 11 იანვარს“ (გვ. 79). „გარდაცვლილმა მეფემ გიორგი ირაკლის ძემ ტახტზე ასვლის დროს საზეიმო ფიცი დადო, ამ დადგენილი წესის მკაცრად დაცვის გამო, ისევე როგორც სხვა დაფუძნებათა შესახებ. იგი გარდაიცვალა 1800 წლის 28 დეკემბერს და იყო უკანასკნელი მეფე“ (გვ. 82).

აქ, როგორც ვხედავთ, ვახტანგი სიყალბეს ჩადის, როდესაც აღნიშნავს, რომ მეფე გიორგი XII სამეფო ტახტზე ასვლისას დებს საჯარო ფიცს, არ უღალატოს ერეკლეს მიერ დადგენილ წესსო. საქმის ნამდვილი ვითარება კი სავსებით საწინააღმდეგო სურათს წარმოგვიდგენს, რაც ძალზე კარგად მოეხსენებოდა ვახტანგ ბატონიშვილს. ეს ნამდვილი ვითარება მას შენიშნული აქვს საკმაოდ ღვარძლიანი, სარკასტული ტონით თავისი „მიმოხილვის“ ქართულ ვარიანტში. ერეკლემ „დაუტოვა შემდგომად სახლისა თვისისა მდგომარეობისა განჩინებაი, რომელიც არა ყოფილ არს იდუმალ როგორმე, არამედ განცხადებულ წინაშე ყოველთა და ფიცითა ხელმოწერილი დამტკიცებული საქართველოს სამღვდელოთა და საეროთაგან. ხოლო იძლია თავის მოყვარებისაგან მეფე გიორგი და ეცადა იდუმალ სხვაგვარ წინააღმდეგობასა განჩინებისასა მამისა თვისისა და განსაკუთრებასა საქართველოსა საკუთრად ტომთა თვისთათვის“[22].

თუ ვ. ბატონიშვილის პოლიტიკურ მრწამს დავითის შეხედულებებს შევუდარებთ, აღმოჩნდება, რომ ტახტის მაძიებელ ორივე ბატონიშვილს ერთმანეთის გამომრიცხავი და აბსოლუტურად საწინააღმდეგო თვალსაზრისი ალაპარაკებს, თუმცა ისტორიულად, რა თქმა უნდა, დავითი უფრო ობიექტური ჩანს. ვახტანგი იმდენადაა შეურაცხყოფილი გიორგი XII-ის მიერ ტახტის მემკვიდრეობის ახალი წესის დარღვევით, რომ თავის ქართულ და რუსულ „ისტორიებში“ ერთი სიტყვითაც არ იხსენიებს რუსეთის მთავრობისაგან დავითის საქართველოს დროებით მმართველად დანიშვნის ფაქტს. ვახტანგი თავის „მიმოხილვაში“ ყოველთვის იმ აზრს ატარებს, რომელიც შემუშავებული იყო ერეკლე II-ის კარზე ძლიერ

[22] ვ ა ხ ტ ა ნ გ ი. ისტორიებრი აღწერა... გვ. 35—36.

და ერთპიროვნულ მმართველ-მონარქზე[23] და რომელიც ვერ ურიგდებოდა საქართველოს სახელმწიფოს წვრილ ფეოდალურ ერთეულებად დაყოფას. ამიტომ იგი განსაკუთრებით ჩერდება XV ს-ზე, როდესაც ადგილი ჰქონდა საქართველოს სახელმწიფოს სამ სამეფოდ და სამთავროებად დაშლას „უკითუ სახელმწიფოს დაქუცმაცებას სხვადასხვა ცალკეულ ნაწილებად, — აღნიშნავს იგი, — უმნიშვნელოვანესი გავლენა აქვს შთამომავლობის ბედზე, მაშინ ჩვენ შევეხებით ახლა უბედური და ამასთან, ავადმყოფური სისუსტის იმ წყაროს, რომლიდანაც საქართველო გამოდიოდა ხოლმე იმდროიდან არა სხვარიგად, თუ არა უმოკლესი დროით და ისიც მხოლოდ იმისათვის, რათა ცოცხლივ ეგრძნო მკაცრი აუცილებლობა მის შვილთა სისხლის შეუწყვეტელი დინებისა“ (გვ. 43).

ამრიგად, ვახტანგი თავისი ისტორიულ-პოლიტიკური მრწამსით XVIII ს. ქართლ-კახეთში შემუშავებული თეორიის — ერთიანი და განუყოფელი, მონარქიული საქართველოს პოზიციებზე დგას და ამ თვალსაზრისით განიხილავს მის მრავალსაუკუნოვან ისტორიას. საქართველოს ერთიანობის იდეა ვახტანგის პროგრესულ შეხედულებად შეიძლება ჩაითვალოს, მაგრამ ის გარემოება, რომ იგი ვერ ამჩნევდა ფეოდალურ საქართველოს მრავალ ნაკლოვანებას (მეფისა და თავადაზნაურთა მტრულ დამოკიდებულებას მატერიალური დოვლათის მწარმოებელთა მიმართ, მათ განუსაზღვრელ ჩაგვრასა და დამონებას, კლასთა ბრძოლას) ლაპარაკობს მის ვიწრო და შეზღუდულ კლასობრივ თვალსაზრისზე.

ძველი და ადრე შუა საუკუნეების საქართველოს პოლიტიკური ისტორიის საკითხებს განსაკუთრებული გულმოდგინებით იკვლევდა თეიმურაზი. მართალია, ამ უკანასკნელის პოლიტიკური შეხედულებანი მთელ რიგ საკითხებზე მის წინამავალ ისტორიკოსთა პოლიტიკური თვალსაზრისისაგან მნიშვნელოვნადაა განსხვავებული (მის ნაშრომში არა ჩანს ერეკლეს კარზე შექმნილი მძიმე პოლიტიკური დაპირისპირების ტენდენცია), მაგრამ, როგორც ისტორიკოსი, იგი იმავე პოზიციასა და დონეზე დგას, როგორც მისი წინამორბედი ბატონიშვილები. თეიმურაზმა, საქართველოს სიძველეთა შესწავლის ამ მგზნებარე პატრიოტმა, დაგვიტოვა შესანიშნავი ნაშრომები საქართველოს ისტორიასა და ლიტერატურაზე. თავისი სიცოცხლის დიდ მანძილზე იგი ცხოველ მონაწილეობას იღებდა

---

[23] შ. ხ ა ნ თ ა ძ ე. დასახ. ნაშრომი, გვ. 164, 166—167, 169.

ჩვენი ქვეყნის ისტორიულ მოვლენათა კვლევა-ძიებაში და მნიშვნელოვან დახმარებას უწევდა ფრანგ მ. ბროსეს მის ბეჯით შრომაში ქართველი ხალხის წარსულის მეცნიერული შესწავლისათვის. თეიმურაზმა თვითონ შეადგინა მთელი რიგი წერილებისა, შენიშვნებისა და კომენტარებისა საქართველოს ისტორიის მრავალ რთულ საკითხთა შესახებ.

გარდა იმ ნაშრომებისა, უპირატესად განკუთვნილნი მ. ბროსეს შეკითხვათა საპასუხოდ, ამ უკანასკნელის პარიზში ცხოვრების პერიოდში[24], თეიმურაზმა დაწერა „ცხოვრება და მოღვაწეობა უკანასკნელი მეფის გიორგი XII-ის ძის დავითისა", გამოცემული პარიზს 1833 წელს მ. ბროსეს მიერ ლითოგრაფიულად[25]. ამასთან, მან განიზრახა საქართველოს ისტორიის მიმოხილვითი კურსის შედგენა ფართო პროგრამით. მაგრამ, როგორც აღნიშნავს თავის „ივერიის ისტორიაში" (გვ. 2), მან ავადმყოფობის გამო ვერ შეძლო სასურველი მასშტაბით ნაშრომის დაწერა და მხოლოდ მისი პირველი ნაწილის შედგენით დაკმაყოფილებულა. ეს გამოკვლევა მოიცავს საქართველოს ისტორიას მისი დასაბამიდან ვიდრე პირველი ქრისტიანი მეფის მირიანის მმართველობის დასასრულით.

„ივერიის ისტორიის" ძირითადი წყაროა ვახტანგ მეფის „ქართლის ცხოვრება" და ვახუშტის „ისტორია". მასში გამოყენებულია აგრეთვე ავთანდილ თუმანიშვილის მიერ რუსულიდან ქართულად თარგმნილი ნაშრომი „ბუნებითი ისტორია ასურასტანისა" და ს. რაზმაძის მიერ რუსულიდანვე ნათარგმნი „პირველნი საფუძველნი საზოგადოისა ისტორიანი". ეს ნაშრომები იხსენიებიან თეიმურაზის „ისტორიაში".

გარდა ქართული ნარატიული წყაროებისა და აგრეთვე დასავლეთევროპული საისტორიო ლიტერატურისა, ავტორს გამოუყენებია ანტიკური (ბერძნულ-რომაული) და სომხური (მოვსეს ხორენაცი) წერილობითი ცნობები უძველესი ხანის საქართველოს პოლიტიკური ისტორიისათვის.

„ისტორია ივერიისა" გამოცემულ იქნა თეიმურაზის გარდაცვალების შემდეგ 1848 წელს პეტერბურგში, საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიის მიერ დ. ჩუბინაშვილის რედაქტორობით[26]. იგი 298 გვერდს მოიცავს და, როგორც ჩანს, დამუშავებულია იმ-

---

[24] თეიმურაზ ბაგრატიონის წერილები აკად. მ. ბროსესადმი.

[25] თ. ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი. დავით ბაგრატიონის ისტორია. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო თ. ენუქიძემ, თბ., 1972.

[26] თ ე ი მ უ რ ა ზ ი. ისტორია ივერიისა...

ჟამინდელი რუსული ისტორიული სკოლის გავლენით[27]. წინასიტყვაობაში თეიმურაზი თითქოს არ მალავს თავის განზრახვას, რომ იგი მიბაძავს ახალი დროის ისტორიკოსებს ამბავთა სხარტად და მოკლედ გადმოცემისას: „სურვიელ ვიყავ უფრორე ბაძვად ახალთა ფსოფლიოთა და საზოგადოთა ისტორიკოსთა... არა განვრცომით ესრეთ, არამედ ლიტონად და შემოკლებით მოთხრობისა დასაწყისითგან მახლობელთა საუკუნეთაგან“ (გვ. 2). მაგრამ იქვე განმარტავს, რომ ახლობელთა რჩევის გამო, იძულებული შევიქენიო „საქართველოს ისტორია“ ფრიად ფართო მოცულობით შემედგინა: „აღწერად ამა ხატითა უვრცელესად“ (იქვე). სამწუხაროდ, ავტორმა თავისი განზრახვა ბოლომდე ვერ მიიყვანა (ავადმყოფობის გამო) და მხოლოდ პირველი ნაწილის ვრცელი სურათის აღწერა დაგვიტოვა.

„ივერიის ისტორიაში“ გამოყენებულია როგორც ზეპირგადმოცემები, ისე მრავალი სხვა წყარო ქართულ და უცხო ენებზე შედგენილი, რუსულიდან ქართულად თარგმნის გზით. თეიმურაზის „წინასიტყვაობიდან“ კარგად ჩანს მისი თვალსაზრისი ისტორიაზე, თუ რა მეთოდებითა და ხერხებით ხელმძღვანელობდა იგი ნაშრომის წერისას. ავტორი ჯერ კიდევ დგას „ქართლის ცხოვრების“ მატიანისებრი თხრობის სტილის დონეზე. მთელი ისტორია ქართველ ეთნარქებზე მას შეწყნარებულად მიაჩნდა მხოლოდ იმის გამო, რომ მასალები მათ ისტორიულობაზე „ქართლის ცხოვრებაშია“ მოთხრობილი. მისი აზრით, ისტორიის მთლიანი გადმოცემა გულისხმობს ყველა წვრილმანის აღწერას და არა მოვლენათა თანამიმდევრულად დაცვასა და ახსნას: „ვრცლად და დაწვრილებით მოთხრობასა ისტორიისასა თანა-აძს, რათა არა დატოვებულ იქნეს არცა ერთი რაიცა რაი იყოს აღწერილნი, გინა თქმულნი სხვათა და სხვათა მოთხრობათაგან ქუეყანისა, ანუ თემთა მათთვის“ (გვ. 1). ხოლო, მეორე გვერდზე გვაუწყებს: „რაიცა შევუძლე პოვნად ძველთა და უძველესთა შინა გამოძიებათა სრულიად შემოვკრიბენ იგინი და არა დავუტევენ იგინი არცა ერთი“ (გვ. 1—2).

ამრიგად, თეიმურაზი მთლიანად და სავსებით ვერ დაუახლოვდა იმ ახალ მოძრაობას, რომელიც აღმოცენდა რუსეთში კაპიტალიზმის გზით და რომელიც გადატრიალებას ახდენდა ისტორიული

---

[27] რუსეთის გავლენა ეტყობა ნაშრომის ცალკეულ გვერდებსაც: დეპუტატი, ფომილია, ხარაკტირი და ობილისკი.

პროცესის არსის გაგებაში[28]. ეს მოძრაობა მკაფიოდ აისახა უკვე XIX ს. 30-იანი წლების რუსულ ისტორიოგრაფიაში. მართალია, ჩვენი ავტორისათვის უცხოა მწყობრი თეორიული მსოფლმხედველობა, რომელიც განაპირობებდა მის ზოგადისტორიულ შეხედულებებს, მაგრამ ავტორის შემოქმედებაში თავს იჩენს გეორგ ნიბურის ისტორიული სკოლის ელემენტების გამოყენების ფაქტები. გ. ნიბურმა, როგორც ცნობილია, რომის ისტორიის დასაწყისი პერიოდი გამოაცხადა ლეგენდებად. მისმა გამოკვლევებმა ცხადყვეს, რომ ყველა ხალხის უძველესი ისტორია აპრიორულად უკავშირდება იგავებს. მისი გავლენით რუსმა ისტორიკოსებმაც შეითვისეს ის თვალსაზრისი, რომ ყველა ხალხის ისტორია გადმოცემებისაგან იწყება. მისდევდა და იზიარებდა რა კრიტიკული სკოლის ამ ფორმულირებას, თეიმურაზს თავის „ისტორიაში" შეაქვს მითოლოგიური მოთხრობები („ზღაპარ-სიტყვაობანი", გვ. 1) და მიაჩნია, რომ ეს ელემენტები („არა სრულიად უნაყოფონი არიან", გვ. 1) საჭიროა ისტორიული წარსულის აღდგენისათვის. ამ თვალსაზრისით იგი ამტკიცებს, რომ ყოველ მითში შეინიშნება ჭეშმარიტების გარკვეული მარცვალი („ნაწილნი სიმართლისანი", გვ. 1) და რომ ზოგიერთ ლეგენდარულ გადმოცემებში ასახულია ალეგორიული აზრი, მიზნად რომ ისახავს ნამდვილად რეალური ამბის აღდგენას (რომელნიმე ზღაპარ-სიტყვაობანი არიან ალიღორიანი", გვ. 1)[29]. ამ ლეგენდათა შორის თეიმურაზის განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს თქმულება არგონავტთა კოლხეთში მოგზაურობის (გვ. 85—100), ეგვიპტის მეფის სეზოსტრისის (შეესაბამება რამსეს II-ს 1317—1251) კოლხეთში ლაშქრობისა (გვ. 82—85) და ასურეთის დედოფლის სემირამიდას (მეფე შამურამატი 825—812) იბერიაში მოსვლისა და მისი დაპყრობის შესახებ (გვ. 58—68).

არგონავტთა კოლხეთში მოგზაურობა თანადროულ ქართულ ისტორიოგრაფიაში შეწყნარებულად ითვლება[30]. მიუღებელია მხოლოდ ეგვიპტელთა კოლხეთსა და ასურელთა იბერიაში ლაშქრობის ამბავი. მართალია, თეიმურაზი უარყოფს ეგვიპტელთა და კოლხთა ეთნიკურ იგივეობას და საკმაოდ სკეპტიკურადაა განწყობილი ამ თეორიისადმი, მაგრამ იგი იზიარებს მათი მოსვლის ფაქტს. ასევე

---

[28] Очерки истории исторической науки в СССР, ტ. I, М., 1955, გვ. 273, 275, 277, 288—310, 311—313, 315 და სხვ.

[29] თეიმურაზთან ფოლკლორულ და მითოლოგიურ მასალათა გამოყენებაზე იხ. ა. კ ი კ ვ ი ძ ე. XIX ს. ქართული... გვ. 2.

[30] Г. А. М е л и к и ш в и л и. К истории... გვ. 19 და სხვ.

ლეგენდარულია ასურეთის მეფის შამურამატის (სემირამიდა) იბერიაში ლაშქრობის აღწერა. საერთოდ, შ. მესხიასთან ერთად უნდა აღვნიშნოთ, რომ თეიმურაზის „ისტორია“ ხშირად „დამძიმებულია სხვადასხვა ქვეყნის ისტორიებით, რომელთაც მაინცდამაინც დიდი კავშირი არა აქვთ საქართველოს ისტორიასთან“[31].

როგორც ვხედავთ, თეიმურაზის „ისტორიაში“ ხშირადაა საუბარი ძველაღმოსავლურ და ძველბერძნულ სამყაროთა ურთიერთობებზე ისტორიულ საქართველოსთან. იმ ხანებში (დაახლოებით ძველი წელთაღრიცხვის II ათასწლეულის შუა ხანებიდან) ჩვენი ქვეყანა, ავტორის მართებული მოსაზრებით, გვაროვნული წყობილების სტადიაზე იდგა. საგულისხმოა, რომ თეიმურაზი ამ პოლიტიკურ ინსტიტუტს „ერისა საზოგადოობის“ სახელით იხსენიებს დავითის ჩვეულებრივად. იგი იცნობს ამ წყობილების ბელადებს, რომელთაც მამასახლისები ეწოდებათ და რომლებიც ფაქტიურად ტომთა (ცალკე თემთა) ხელმძღვანელები იყვნენ. „ისინი იყვნეს უფროსნი ერისა საზოგადოობასა შორის“ (გვ. 49). მაგრამ ყველა მამასახლისი უფლებრივად და პოლიტიკურად მცხეთის მამასახლისს ექვემდებარებოდა (გვ. 103). მამასახლისობა არჩევითი თანამდებობაა. თეიმურაზი „მამასახლისობის“ ინსტიტუტის თაობაზე თავისი წიგნის მრავალ გვერდზე გვესაუბრება და საქართველოს ისტორიის ეს პერიოდი მეტად იდეალურად და ჰარმონიულად აქვს წარმოდგენილი. მისი აზრით, „მამასახლისობა“, ანუ „ერისა საზოგადოობის“ ბელადობა ქართველთა ძველთაძველი ინსტიტუტია და იგი გენეტიკურად ქართლოსთანაა დაკავშირებული. „ქართლოს შემდგომად დამკვიდრებისა ძმათა და შვილთა თვისთა კეთილთა მათ, იხარებდა და იშვებდა მათ თანა, ემატებოდა და აღივსებოდა დღითი დღე ველნი კეთილად პოხიერნი მცხოვრებთა მიერ, იყვნენ მშვიდობასა და უშფოთველობასა შინა, რომელიცა ერთა ახალთ მოსახლეთა აღაორძინებს ფრიად: ყოველნი იგი ერნი ქართლოსისა მორჩილ და ბრძანებასა ქვეშე იყვნეს მისსა, იგი ზრუნევდა, ვითარცა შვილთა და ძმათა თვისთათვის, ეგრეთვე ყოვლისაცა უკანასკნელისა თვის კაცისა საზოგადოობისა თვისისათა; ძმანი და შვილნი ქართლოსისანი არა რაისამე ჰყოფდეს საქმესა თავით თვისით, უკეთუ პირველად არა შეეკითხებოდნენ ქართლოსს და ვითარცა უბრძანებდა მათ ეგრეთ იწყებდნენ აღსრულებასა მისს საქმისასა. აქვნდათ სრული თავისუფლებაი და არავინ ჰყვდათ მბრძოლი, არცა

---

[31] შ. მ ე ს ხ ი ა. თეიმურაზი... გვ. 69.

წინააღმდეგნი. და ესრეთ ყოველითა წარმატებითა ივერია იქმნა არა მრავლისა ჟამისა შემდგომად ერ-მრავალი" (გვ. 47).

თეიმურაზის ამ სიტყვებში ძნელი დასანახი არაა, რომ მისი წყაროა ვახტანგის „მიმოხილვა", რომელსაც შემდგომ ანვითარებს ჩვენი ავტორი. დამახასიათებელია, რომ არც „ქართლის ცხოვრების" ტექსტსა და არც ვახუშტის „ისტორიას" ქართლოსსა და ქართლოსიანებზე მსგავსი არაფერი შემოუნახავთ. ამგვარი თეორია, როგორც ჩანს, ერეკლეს მრავალრიცხოვან მემკვიდრეებში შეთხზულა და ამ წყაროდანაა ავტორთა მიერ შეთვისებული. ესაა პოლიტიკური თვალსაზრისი, რომელიც მიზნად ისახავს რუსებისათვის იმის ჩვენებას, რომ ქართველი ხალხი თავისუფლების სიყვარულს ისტორიულადაა ჩვეული, რომ დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის იდეა ქართველ მეფეთა უპირველეს საზრუნავს შეადგენდა და რომ ეს თავისუფლება კელავინდებურად უნდა დაუბრუნდეს ბაგრატიონთა სამეფო ოჯახს. ცხადია, ამ ტერმინის, თავისუფლების, ქვეშ იგულისხმება პოლიტიკური, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა ერთპიროვნული მონარქიული მმართველობის სისტემით. ამიტომაა, რომ თეიმურაზი დიდი გატაცებით მოუთხრობს მკითხველს ჯერ კიდევ უკლასო საზოგადოების წიაღში ქართველ ტომთა შორის არსებულ პოლიტიკურ თავისუფლებაზე, ხოლო, ფარნავაზ მეფის დროიდან უკვე სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობაზე. თეიმურაზის ჩვეულებრივი გამოთქმებია: „და შემდგომად... იყვნეს ყოველნი ივერიელნი მშვიდობასა შინა დიდსა. იყვნეს იგინი მარადის .ერთ განზრახუა სრულიად ქვემოი და ზემოი ივერია და განმგებელობათა ქვეშე მამასახლისთა თვისთასა იყვნეს კეთილად წარმართებულ და მტერთა ძლიერად პასუხისა მდებელ" (გვ. 77).

თეიმურაზის ამ სიტყვებში ჩვენ საქართველოში პირველყოფილ-თემური წყობილების მეორე ეტაპს — სასოფლო-ტერიტორიულ თემს ვხედავთ, თუმცა თვით ავტორს ეს პერიოდი უმეფო ხანად აქვს წარმოდგენილი. მაგრამ კიდევ უფრო რელიეფურად და მკვეთრად ჩანს ავტორის დახასიათება იმ პერიოდის საქართველოს ისტორიისა, როდესაც, მის მშფოთვარე ცხოვრებაში ახალი ეტაპი იწყება — ეტაპი ე. წ. სახელმწიფოებრიობისა. აქ თეიმურაზს ხშირად სიტყვებიც კი არა ყოფნის იმის საჩვენებლად, თუ რა იდეალური პირობები შეექმნა ქართველთა სახელმწიფოს მეფობის აღმოცენებით. ფარნავაზიდან ვიდრე მირიანის მეფობის ჩათვლით (გვ. 111—229) საქართველო მხოლოდ პოლიტიკურ ტრიუმფსა და ეკო-

ნომიკურ აღმავლობას განიცდის. ქვეყანა ძლიერი და ღონიერია, მართალია, მტრები ხშირად მოიწევენ საქართველოზე, მაგრამ „კეთილი“, „გონიერი“, „ჭკვიანი“ და „ძლიერი“ მეფეების გამჭრიახი საგარეო პოლიტიკის მეოხებით, ისინი ყოველთვის საშინელ მარცხს განიცდიან. „საქართველო, — აღნიშნავს თეიმურაზი, — დაშთა მშვიდობასა შინა და თავისუფლებასა“ (გვ. 129). „ყამსა მეფობისა... იყო ყოვლით კერძო მშვიდობა და წარმატება ივერიისა სახელმწიფოსა შინა“ (გვ. 121). ყველა ქართველი მეფე, თეიმურაზის მიხედვით, მოკლედ რომ ვთქვათ, ერთი და იმავე კანონად ქცეული ეპითეტითაა დახასიათებული: ისინი შემართულნი, ჰაეროვანნი, ძლიერნი და ქალაქთა მაშენებელნი არიან. ამიტომ მკითხველისათვის ხშირად ძნელია ბატონიშვილის მიერ დახატული სახეების ერთმანეთში გარჩევა, იმდენად ემსგავსებიან ისინი ერთიმეორეს.

საქართველოში სახელმწიფოებრიობა იმთავითვე მონარქიული იყო და მისი მეფე განუსაზღვრელი უფლებით სარგებლობდა. მონარქიულობის ეს იდეა თეიმურაზმა შემდგომ განავითარა და შექმნა მეტად თავისებური „კონცეფცია“ ქართველ მეფეთა ერთპიროვნული მმართველობის შესახებ. ლაპარაკობს რა ქართველი ხალხის პოლიტიკური განვითარების ორ ეტაპზე, ავტორი მიუთითებს, რომ ეს მეორე ეტაპი ხასიათდება მეფობის უფლებით, „ესე იგი თვითმპყრობელობითი“ (გვ. 48) უფლებით. საკმარისია, თუ აღვნიშნავთ, რომ ავტორი თავისი „ისტორიის“ მთელ მანძილზე სიტყვებს „ქართველ მეფეთა მონარქიულ მართველობას“ 35-ჯერ იმეორებს. ეს იმას ნიშნავს, რომ საშუალოდ ნაშრომის ყოველ მე-8 გვერდზე (298:35) საუბარია „სრულიად ივერიის თვითმპყრობელ“ მეფეთა თაობაზე, მათ ნიჭსა, გონებამახვილობასა და გამჭრიახობაზე.

თ. ბაგრატიონით მთავრდება (გარკვეული დროით) პეტერბურგელ ბატონიშვილთა სამეცნიერო მოღვაწეობა საქართველოს ისტორიის დარგში. მათ ნაყოფიერ საქმიანობას თანდათან აგრძელებენ უკვე საქართველოში და სამეცნიერო ცენტრი კვლავინდებურად ინაცვლებს ადგილს ჩვენ მიწა-წყალზე.

XIX ს. 20-იან წლებში, დასავლეთ საქართველოში, სამეგრელოს სამთავროს პოლიტიკურ ცენტრ ზუგდიდში საქართველოს ისტორიაში დაიწერა ამ ქვეყნის „მთავარი ხელმძღვანელის“[32]

---

[32] ს. ჯ ა ნ ა შ ი ა. გიორგი შარვაშიძე. გვ. 41; მისივე. გიორგი შარვაშიძე. გვ. 37.

„ქართველთ ცხოვრება“. დაწერილია იგი განათლებული მწიგნობრის მიერ. ავტორს არ უჭირს თავისი აზრის ნათლად გამოხატვა, თუმცა ეს ნაშრომი (სახელმძღვანელო) თავისი შინაარსით მეტად კომპილაციურია. საქართველოს პოლიტიკური ისტორია თავის უძირითადეს ნაწილში წარმოდგენილია ვახუშტის „ისტორიის“ აშკარად დაუფარავი გავლენით. სხვა წყაროთაგან აღსანიშნავია დავითის ისტორიული თხზულების „ნარკუევის“ გავლენა. ეს გავლენა ეტყობა როგორც წინასიტყვაობას, ისე ნაშრომის დასაწყისს — ძველი ხანის ისტორიას საერთოდ[33].

„ქართველთ ცხოვრებაზე“ გავლენა მოუხდენია აგრეთვე დავით ბატონიშვილის მეორე ნაშრომსაც: „История Грузии“, რომელსაც იგი გაეცნო სწორედ იმ 1805 წელს, როდესაც ავტორი იმყოფებოდა პეტერბურგში ოფიციალური ვიზიტით (როგორც სამეგრელოს სამთავროს იმჟამინდელი მმართველის დედოფალ ნინო დადიანის მიერ სამეგრელოს დეპუტაციაში მონაწილეობის მისაღებად) და როდესაც საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიამ დასტამბა ქართველი ბატონიშვილის აღნიშნული თხზულება[34]. მაშასადამე, ჩვენ აპრიორულად შეგვიძლია მივიღოთ (სხვა ნიშანდობლივი მასალის აღუნიშნავადაც), რომ ნ. დადიანი თავისი ისტორიული ნაწარმოების წერისას სარგებლობდა დავითის „ისტორიით“. „ქართველთა ცხოვრების“ ავტორი საქართველოს ისტორიას განიხილავს ერთიანობის თვალსაზრისით. ნ. დადიანი საქართველოს წარმოგვიდგენს როგორც ერთ მთლიან სახელმწიფო მექანიზმს, მიუხედავად იმისა, რომ მას ეს მთლიანობა კარგა ხნის წინათ დაუკარგავს.

ქართულ ისტორიოგრაფიაში საქართველოს ერთიანობის თვალსაზრისი, როგორც ცნობილია, პირველად ვახუშტიმ დასვა. ეს იდეა შემდგომში გაიზიარეს დავით და ვახტანგ ბატონიშვილებმა. მათ გზას გაჰყვა აგრეთვე ნ. დადიანიც[35]. მისი შეხედულებითაც,

---

[33] ს. ჯ ა ნ ა შ ი ა. დასახ. ნაშრ., გვ. 38; 42; შ. მ ე ს ხ ი ა. ისტორიკოსი ნიკო დადიანი. გვ. 3; შ. ბ უ რ ჯ ა ნ ა ძ ე. „ნიკო დადიანი, ქართველთ ცხოვრება“. გვ. 35, 36, 42, 215.

[34] სამეგრელოს დედოფალი ნინო დადიანი მეფე გიორგი XII-ის ქალიშვილი იყო ღვიძლი და დავითისა. ამიტომ ნ. დადიანი დავითის „ისტორიას“ შეიძენდა და მართმევდა კიდეც დედოფალს.

[35] ს. ჯ ა ნ ა შ ი ა. დასახ. ნაშრომები. გვ. 37, 42, შ. მ ე ს ხ ი ა. დასახ. წერ. გვ. 3; შ. ბ უ რ ჯ ა ნ ა ძ ე. დასახ. ნაშრ., გვ. 38; გ. ბ ა ხ ტ ა ძ ე. დასახ. ნაშრ., გვ. 82.

ერთიანი საქართველოს სახელმწიფოებრიობა იმთავითვე მონარქიული ბუნებისა იყო (გვ. 66, 71 და სხვ.).

რადგან ნ. დადიანის „ქართველთ ცხოვრება“ ვახუშტი-დავითის „ისტორიათა“ უშუალო გავლენას განიცდის, ცხადია, მისი ნაშრომი იმავე პრინციპზეა აგებული, რომელზედაც ისინი დგანან. ქართველთა უძველესი ხანის პოლიტიკური ისტორია იწყება ტრადიციულად ქართლოსის დამკვიდრებით ქართლში და მისი ოჯახის გამრავლებით. ქართლოსი და მისი შვილები პირველი „მთავრები“ არიან, მაგრამ ეს პოლიტიკური ტერმინი არ გამოხატავს ფეოდალური ხანის „მთავრის“ შინაარსს; მეფობამდელი „მთავარი“ ნ. დადიანთან „მამასახლისობასთანაა“ გაიგივებული. ეს უკანასკნელი ინსტიტუტი ქართლოსის შთამომავალთა შორის მემკვიდრეობითი (გვ. 68—69) ხასიათის უწყებაა და მამიდან ყოველთვის უფროს შვილზე გადადის.

მამასახლისური ანუ მთავრული პერიოდი (ავტორი აქ თითქმის სიტყვა-სიტყვით იმეორებს დავითის ჩვენებას: „ქართველთა ისტორია იპყრობს თვის შორის ორსა ცვალებასა: პირველსა მთავრობისასა, ხოლო მეორესა მეფობისასა“, გვ. 65), ავტორის წარმოდგენით, იცვლება ახალი პოლიტიკური ფორმით, სახელმწიფოებრიობით. მაგრამ ერთი წყობილების მეორეში გადასვლა არ უკავშირდება რაიმე განსაკუთრებულ ძვრებს. ეს რთული პროცესი ძალზე იოლი მანევრირებით წარმოებს. აქაც სახეზეა ფარნავაზის სიმდიდრე და მისი ბრწყინვალე წარმოშობა (გვ. 70—71).

ნ. დადიანის „ქართველთ ცხოვრებაში“ საქართველოს პოლიტიკური ისტორია არავითარი სიახლით არ გამოირჩევა. აქაც ყველაფერი ემორჩილება საბოლოო ჯამში „ქართლის ცხოვრებას“ და ბატონიშვილთა (დავითი, ვახტანგი) საისტორიო ნაშრომებში დაცულ ცნობებს. მაგრამ ერთი განსხვავება უდავოდ შეიმჩნევა. ნ. დადიანის „სახელმძღვანელოში“ საქართველოს ძველი ისტორია უფრო მეტადაა გაზრდილი, ვიდრე ხსენებულ ბატონიშვილთა ერთად აღებული „ისტორიები“, მაგრამ ამ სახითაც კი იგი ახალს, მათგან განსხვავებულს არაფერს არ შეიცავს: ერთ მეფეს მოსდევს მეორე, მესამე და ასე შემდეგ. ნაშრომის დიდი მოცულობის მიუხედავად იგი მაინც ქრონიკული ტიპის ნაწარმოებია და სუსტია.

ამრიგად, ზემოთ განხილული მასალებიდან ჩანს, რომ XIX ს. პირველი ნახევრის ქართულმა ისტორიოგრაფიამ უაღრესად საინტერესო და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ძველი საქართველოს პოლიტიკური ისტორიის შესწავლის საქმეში. უწინარეს

ყოვლისა, აღსანიშნავია, ავტორთა თავისებური დამოკიდებულება საქართველოს ისტორიის პერიოდიზაციის მიმართ. ყველა ისინი საქართველოს ისტორიას ორ ნაწილად ყოფენ: უმეფო (მიჩნეულია როგორც ბედნიერი წინაკლასობრივი მდგომარეობა) და მეფურ (ფეოდალურ) ეგზალტირებულ, საოცნებო საზოგადოებად. ქართული სახელმწიფოებრიობა კლასობრივი საფუძვლითა და მმართველობის სისტემის მიხედვით, იმთავითვე ფეოდალურ-ცენტრალიზებულია, ხოლო უზენაესი ხელისუფლების ხასიათით, აბსოლუტური, ერთპიროვნული, თვითმპყრობელობითი. უმეფო პერიოდიდან მოყოლებული ვიდრე „განყოფამდე" (1469) საქართველო განიხილება ერთიანობის იდეის თვალსაზრისით. მართალია, საქართველოს სამეფოს დაყოფის ქრონოლოგიური ჩარჩოები ხშირად სხვადასხვაგვარია (მაგ., დავითი ალექსანდრეს მიერ მეფობისათვის თავის დანებებას ათარიღებს არა 1442 წლით, არამედ 1414 წლით; ვახტანგი საქართველოს გაყოფას საერთოდ XV საუკუნეზე დებს, ხოლო ნ. დადიანი ვახუშტის მიხედვით, 1469 წ.), მაგრამ ისინი ერთობლივად აღნიშნავენ ამ დაყოფის უარყოფით მნიშვნელობას ქვეყნის შემდგომი განვითარებისათვის.

ქართველ ისტორიკოსთა ნაშრომებში თვალნათლივ აირეკლა აგრეთვე ის ფარული და შენიღბული ბრძოლა ტახტისათვის, რომელიც განსაკუთრებით მწვავედ გაჩაღდა საქართველოში მეფე გიორგი XII-ის ავადმყოფობისა და გარდაცვალების შემდეგ. თხზულებებში თითქოს სხვათა შორის, მაგრამ საკმარისი ღვარძლიანობითაა (ვახტანგი) წარმოდგენილი სამეფო ტახტის გარშემო ამტყდარი ბრძოლის ამსახველი სურათები.

სამწუხაროდ, ჩვენი ავტორები საქართველოს ისტორიის მსვლელობას, საბოლოო ჯამში, განიხილავდნენ პროვიდენციალიზმის იდეით, თითქოს ღმერთის ნება-სურვილზე იყო დამყარებული ქართველი ხალხის ისტორიული განვითარება. მაშასადამე, ისტორიის მსვლელობა არაა ახსნილი მისი შინაგანი, ორგანული განვითარების პირობებით, არამედ ღვთაების ნებაყოფლობაზეა მინდობილი მისი ისტორიული მსვლელობა. ამიტომ ამ ხანისათვის ჯერ კიდევ ნიშანდობლივი თვისებათაგანია სასულიერო მსოფლმხედველობა (კლერიკალურ-ფეოდალური) და ისტორიის სეკულარიზაციას (მოვლენების ახსნა ბუნებრივ-ისტორიული მიზეზებით, ღმერთის როლის გამოდევნებით) ადგილი არა აქვს.

პროვიდენციალიზმის გავლენა ეტყობა უთუოდ პ. იოსელიანის შემოქმედებასაც. მის ნაშრომებში უზენაესი განგების როლს

საქართველოს ისტორიაში უაღრესად მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. მას, მაგალითად, გულწრფელად სწამდა, რომ რუსეთმა, „განგებით ამორჩეულმა“[36] გადაარჩინა საქართველო ფიზიკური მოსპობისაგან. მასვე სჯეროდა, რომ „მსოფლიოსა და ხალხთა ისტორია“ არის „თხრობა განკვრეტის გზისა“[37]

ასეთი თვალსაზრისი გასდევს პ. იოსელიანის მთელ კონცეფციას ძველი და შუა საუკუნეების საქართველოს პოლიტიკურ ისტორიაზეც.[38] მართალია, მას არა აქვს დაწერილი საქართველოს ისტორიის მთლიანი კურსი, რომელშიც სისტემის სახით წარმოდგენილი ყოფილიყო საქართველოს პრაგმატული ისტორია, მაგრამ ავტორის ზოგიერთი შემაჯამებელი ხასიათის ნაშრომი საკმარის წარმოდგენას იძლევა მის შეხედულებათა შესახებ აღნიშნული ხანის საქართველოს პოლიტიკურ წყობილებასა და კულტურაზე. ასეთთა შორის პირველ რიგში უნდა დავასახელოთ პ. იოსელიანის ნაშრომი «Исторический взгляд на состояние древней Грузии». ესაა ძალზე საინტერესო გამოკვლევა ძველი და შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიაზე. მასში აშკარად გამოსჭვივის ავტორის ახალი თვალსაზრისი, ახალი მიდგომა ისტორიული მეცნიერების კვლევა-ძიების საგნისადმი. ეს ახალი თვალსაზრისი ისაა, რომ პ. იოსელიანს უკვე აღარ აკმაყოფილებს ფეოდალური ხანის ისტორიოგრაფიისათვის დამახასიათებელი ფაქტების უბრალო დალაგება, მათი თანამიმდევრული და მომხიბლავი თხრობა. ისტორიკოსის მიზანია საქართველოს ეკონომიკური ცხოვრების (ვაჭრობის, აღებ-მიცემობის, ქალაქთა აღმოცენების მიზეზების) შესწავლა და მისი გავლენის ჩვენება ხალხის სწავლა-განათლების განვითარების საერთო დონეზე. აქ ავტორი რამდენიმე გზის იმოწმებს XVIII ს. გამოჩენილი ფრანგი ბურჟუაზიული სოციოლოგის შარლ მონტესკიეს ნაშრომს «კანონთა შესახებ» და მასში გამოთქმულ შეხედულებათა მიხედვით აყენებს საკითხს ქართველი ხალხის ცხოვრების გარდაქმნაზე. ამისათვის, ავტორის აზრით, საქართველოში აუცილებელია ვაჭრობის განვითარება. «საქართველო, — აღნიშნავს იგი, — თითქმის არ ეწეოდა ვაჭრობას. . . ვაჭრობის ისტორია, ესაა ისტორია ხალხთა დაკავშირებისა . . . ვაჭრობის გზა, ესაა განათლების გზა. და ეს უმნიშვნელოვანესი ელემენტი ხალხთა სიმდიდრისა და დიდებისა

---

[36] П. Иоселиани. История грузинской церкви. СПб, 1843, с. V.

[37] П. Иоселиани. Путевые записки..., с. 45.

[38] П. Иоселиани. Исторический взгляд на состояние древней Грузии. СПб, 1843, с. 20.

თითქმის ყოველთვის დათრგუნული იყო კავკასიაში, გადასერილი რომ იყო ხეობებით, კლდეებითა და მდინარეებით; ყველაფერი ეს წინააღმდეგობას უწევდა ვაჭრობას, მაგრამ არაფერმა ისე არ ‹აავრო ვაჭრობის სული საქართველოში, როგორც ფეოდალური მმართველობის სისტემამ» (გვ. 5—6). ბ. იოსელიანი მეტად სკეპტიკურად და უარყოფითად უყურებს ფეოდალიზმს. ავტორის აზრით, ფეოდალიზმმა და მისმა იდეოლოგიამ, შუა საუკუნეების სქოლასტიკამ, დალუპა საქართველო (გვ. 4) «ფეოდალიზმის იდეათა ბატონობის გავლენითა და სქოლასტიკის ბორკილის დადებით მეცნიერებას არ შეეძლო განვითარება . . .ყველაფერი დამოკიდებული იყო სასულიერო წოდებაზე, ყველაფერი მომდინარეობდა მათი შორეული საკანებიდან, სადაც მეცნიერება პოულობდა თავშესაფარს და სადაც განათლებას ღებულობდნენ თვით ფეოდალები» (გვ. 4—5). ამიტომ მეცნიერებამ საქართველოში არ მიიღო მყარი საფუძველი და სათანადო განვითარება (გვ. 5). მაშინ, როდესაც ევროპის მეცნიერებმა გაატარეს რეფორმები ბუნების შეცნობასა და პოლიტიკაში, ქართველ სასულიერო პირებს (ანტონ I) საქართველოში შემოქონდათ შუასაუკუნეებრივი სქოლასტიკა. საქართველოში ერთპიროვნული მმართველობის (გვ. 5) შედეგად არ არსებობდა ხალხის საშუალო კლასი. საზოგადოება დაყოფილი იყო მარტოოდენ ბატონებად და მონებად. ჩვენში არ იყო ცნობილი მათემატიკური მეცნიერება და სათანადო ყურადღება არ ექცეოდა ბუნების საიდუმლოებათა შეცნობას. მართალია, ბერძნები ერთგვარად ცდილობდნენ საქართველოსთან სავაჭრო ურთიერთობის დამყარებას, მაგრამ მათ მთავარ საზრუნავს მაინცდამაინც ქრისტიანობის გავრცელება შეადგენდა. ამავე სარწმუნოებრივ მიზანს ისახავდნენ აგრეთვე სპარსეთის მეფეებიც, რომელნიც ჩვენში ჯერ ცეცხლთაყვანისმცემლობის, ხოლო შემდეგ მაჰმადიანობის გავრცელებაზე ოცნებობდნენ. უკვე უძველესი დროიდან რომი შორაპანში გზავნიდა 100 მილიონ სესტერცის, ხოლო პლინიუსის დაბეჯითებითი მტკიცებით რომაელი ვაჭრები აქ საკმაო სიმდიდრეს აწყდებოდნენ.

დიდი მნიშვნელობისა იყო აგრეთვე სავაჭრო გზა, რომელიც კოლხეთს ინდოეთთან აკავშირებდა. ყველაფერი ეს ლაპარაკობს ძველი საქართველოს ეკონომიკურ ძლიერებაზე. მაგრამ ვერავინ იტყვის, რომ ოდესღაც ძლიერი კოლხეთ-იბერია, რომაელთა დროს დიდი ქალაქებისაგან შემდგარი (დიოსკურია-იზგური-სებასტოპოლისი), რომელშიც 130-მდე (sic, უნდა იყოს 300-მდე) თარჯიმანი იყრიდა თავს (პლინიუსი), ახლა ოსმალთა და სპარსელთა

წყალობით, თანდათან გაღაიქცა უზარმაზარ გაუვალ ტყედ, გაუკვალავ ჭაობად, სადაც მოსახლეობა დღითიდღე კლებულობს[39]. არიანეს, რომელმაც თავის „პერიპლუსში“ აღწერა ქალაქი ფაზისი, გაშენებული მდინარე ფაზისზე (რიონი), ჩვენ დაგვიტოვა შესანიშნავი წარმოდგენა მის სიმდიდრესა და ბრწყინვალებაზე. შენობები, განლაგებულნი ქალაქის ორივე ნაპირზე, ბრწყინვალე სანახაობას წარმოადგენდნენ იმ უცხოელთათვის, ვინც კი ოდესმე ყოფილა აქ.

რაც შეეხება ქრისტიანობას, ქართველობამ რომ მიიღო IV ს. დასაწყისში, მან სცადა ხალხის გამოღვიძება, შეიტანა მეტი სინათლე, დაარბილა მთიელ ხალხთა ზნე-ჩვეულება, მაგრამ ბრძოლებში გახვეული ქვეყანა ვერ ავიდა შუა საუკუნეთა სქოლასტიკური განათლების დონეზე მაღლა. საქართველოს ესაჭიროებოდა გაერთიანება, ერთ სახელმწიფოდ გადაქცევა, მაგრამ ეს ოცნება განუხორციელებელი იყო. „მათ აკლდათ პოლიტიკური ერთიანობა სახელმწიფოებრივი წყობილების ეს სული და სამოქალაქო განათლება“,—წერს ავტორი სხვა წერილში[40]. საქართველოს სახელმწიფოებრიობის პოლიტიკა არ გასცილებია ევროპული პოლიტიკის იმ ფარგლებს, ჩვენ რომ წარმოგვიდგება შუა საუკუნეების ისტორიაში. შედეგმაც არ დააყოვნა და ამიტომაა, რომ ქართულ სინამდვილეში ადგილი ჰქონდა „სიჭარბეს, სამეფოთა დაყოფას სამეფოებად, ფეოდალიზმს“ (გვ. 4). მართალია, საქართველოსაც ახსოვს ზოგიერთი ეპოქა, როდესაც ერის ცხოვრებაში თავისუფლებისა და ძლიერების სიო უბერავდა ხოლმე, ესაა ვახტანგ გორგასლის, დავით აღმაშენებლისა და თამარის ეპოქები. ამ უკანასკნელის მეფობას ემთხვევა „ოქროს საუკუნე“, საუკუნე ქართული პოეზიისა და ლიტერატურისა. მაგრამ XVI—XVII ს-იდან ქართველი მეფეები კვლავინდებურად გასაჭირში ვარდებიან სპარსეთისა და ოსმალეთის ურდოთა გამუდმებული თარეშის გამო. მხოლოდ გამაჰმადიანებული მეფეები (შაჰნავაზი, როსტომი, ნაზარალიხანი, იესე) „ისხდნენ როგორც აჩრდილები ცრუთვითმპყრობელურ მეფეთა მეფის მბრძანებლურ ტახტზე დამამცირებელ პირობებში“ (გვ. 17). მეტის უფლება მათ არა ჰქონდათ. გადის მცირე დრო და მეფე ერეკლე II, რომლის მკერდს ამშვენებდა იმპერატორ ეკატერინე

---

[39] მითითებულია შ. მონტესკიეს „კანონთა შესახებ“-ის სათანადო ადგილი. წიგნი XXI, თავი V. ფრანგულად.

[40] П. Иоселиани. Различные ..., გვ. 140.

II-ის მიერ შემკობილი წმინდა ანდრია პირველწოდებულის ორ-
დენი, დებს რუსეთთან საუკუნო ტრაქტატს, რომლის ძალით, სა-
ქართველო რუსეთის იმპერიის უზენაესობას ცნობდა. ხოლო,
გიორგი XII-ის მეფობაში კი საქართველო რუსეთს შეუერთდა.

XIX ს. ბოლო მოუღო საქართველოს საუკუნეებრივ გასაჭირს
და დიდი ბედნიერება მოუტანა მას. ამიერიდან მმართველობამ
სწორი ფორმები მიიღო. საქართველომ მოიშუშა ჭრილობები და
ქართველი ხალხი საუკუნეებრივი დაღლილობიდან დასვენებული
გამოვიდა.

ამგვარად აქვს წარმოდგენილი პ. იოსელიანს ძველი და შუა
საუკუნეების საქართველოს პოლიტიკური ისტორია. ცხადია, ავტო-
რის მსჯელობაში ბევრი რამ მიუღებელი და საკამათოა (პროვი-
დენციალიზმი, ქართველი ხალხის წარსულის განხილვა როგორც
განუწყვეტელი ბრძოლისა სამშობლოს ხსნისათვის უპირსისხლია-
ნეს სპარსეთ-ოსმალეთის ურდოთა წინააღმდეგ, XIX ს. დახასია-
თება როგორც საქართველოს ბედნიერების დასაწყისისა და აბსო-
ლუტური იგნორირება ეროვნული და სოციალური ჩაგვრისა). მაგ-
რამ ქართულ ისტორიოგრაფიაში სავსებით ახალია ეკონომიური
ფაქტორის მნიშვნელობის წინა პლანზე წამოწევა: ხალხის განათ-
ლებისა და გათვითცნობიერების დანახვის სურვილი; ეკონომიკის
როლი ქალაქთა წარმოშობა-აღმოცენების საქმეში; ვაჭრობის
მნიშვნელობა ხალხის ცხოვრებაში და სხვ. ეს ნაშრომი ჩვენი ავ-
ტორის მაღალთეორიული მომზადების შესანიშნავი მაჩვენებელია.

პ. იოსელიანის „Исторический взгляд“ . ახალი, უფრო მაღა-
ლი საფეხურია მის სხვა, ადრე დაწერილ ნაშრომთა შორის. ამ გა-
მოკვლევიდან ჩანს, რომ ავტორის მსოფლმხედველობაში თვალსა-
ჩინო გარდატეხა ხდება, თანდათანი დაცილება ძველი ფეოდალური
ხანის ისტორიოგრაფიიდან, ახალი შედარებით მაღალი და, მაშასა-
დამე, პროგრესული, ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიის საფეხური-
საკენ. მართალია, ეს გზა ავტორისათვის მეტად რთული და ძნელი
იყო, მაგრამ საკმაოდ მყარ და საფუძვლიან ნიადაგზე მდგომი
პ. იოსელიანი თავისი თანადროული რუსული და დასავლეთევრო-
პული ისტორიოგრაფიების გავლენას უხვად ნაზიარები, ადვილად
ძლევს და ესისხლხორცება ახალს, შედარებით, პროგრესულ-ბურ-
ჟუაზიულ იდეოლოგიას. პ. იოსელიანით იწყება საქართველოში
ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიის აღმოცენება. ცხადია, ეს გარე-
მოება იმას როდი ნიშნავს, რომ მის შემდეგ მოღვაწე ყველა ქარ-
თველი ისტორიკოსი უკვე ბურჟუაზიული იდეოლოგიის წარმომად-

გენლად გამოვაცხადოთ, მაგრამ საფუძველი ახალი ისტორიოგრაფიისათვის კი ამიერიდან აშკარად ჩაისახა.

ძველი საქართველოს პოლიტიკური ისტორიის საკითხები განხილულია პ. იოსელიანის სხვა ნაშრომებშიც და ემყარება კონკრეტულ-ისტორიული მასალის ანალიზს. ამ მხრივ, განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ერთი ანონიმური და უთარიღო ხელნაწერი, დაცული ლენინგრადის ხელნაწერთა განყოფილებაში (შიფრი ОЛДПQ, 168). მთელ რიგ მოსაზრებათა გამო, ჩვენ ამ ხელნაწერს პ. იოსელიანს მივაწერთ[41]. ესაა მისი რიგით პირველი ორიგინალური შრომა საქართველოს ისტორიიდან, რომელშიც ავტორი მრავალ საინტერესო ცნობასა და დაკვირვებას გვთავაზობს უძველესი ხანის პოლიტიკური წარსულიდან. უწინარეს ყოვლისა, ყურადღებას იქცევს პ. იოსელიანის შეხედულება საქართველოს ისტორიის პერიოდიზაციაზე. მისი აზრით (ვახტანგის «Обозрение»ს ემყარება), საქართველოს ისტორია პოლიტიკური თვალსაზრისით ორ პერიოდად იყოფა: მეფობის წინამორბედი ხანისა და მეფობისჟამინდელი ხანის საქართველოდ. პ. იოსელიანი ლაპარაკობს რა ქართლოსიანთა ისტორიაზე (მას ყოველთვის ახსოვს ამ მოთხრობის ზღაპრული და ლეგენდარული ხასიათი «баснословный», . . . «Записка» ფურც. 29. გვ. I) შემდეგს აღნიშნავს: «ძალზე ხშირად მიმართავდნენ ისინი (ქართლოსიანები.—ა. ბ.) ქართლოსის გვარის იმ მთავარ მმართველის შუამავლობას, რომელიც იმყოფებოდა მცხეთაში, და რომელიც იყო მომრიგებელი; ხშირად ამყარებდა მათ შორის ზავსა და შეთანხმებას. მას უწოდებდნენ მამასახლისს (პატერ- ფამილია), რადგან პირველ მეფე ფარნავაზამდე საქართველოში არ იყო ცნობილი მეფისა და თავადის სახელი» (ფ. 24. გვ. 1).

პ. იოსელიანის აზრი სავსებით ნათელია. მისი სიტყვით, ქართლოსიანთა მთავარი მმართველი მსაჯული იყო, რომელიც მშვიდო-

---

[41] Записка о Грузии... ეს ხელნაწერი, ჩვენი აზრით, პ. იოსელიანს ეკუთვნის და შედგენილი ჩანს ავტორის პეტერბურგში სწავლების პერიოდში, 1831—1835 წლებში, უფრო ზუსტად, 1833—1835 წლებში. ამ ხელნაწერის სტილი ძალზე ახლოსაა პ. იოსელიანის ზოგიერთ (შინაარსით მონათესავე) ბეჭდურად გამოცემულ ნაშრომთა სტილთან. „Записка "-ში ცალკე თავადაა გამოყოფილი „Изъяснение груз. хроникона», რომელიც საკმაოდ ემსგავსება ავტორისავე ბეჭდურ ნაშრომს ამავე საკითხზე. გარდა ამისა, ხელნაწერში ყურადღებას იქცევს კიდევ ერთი თავი: Звание достоинств грузинского царского и других владетельных домов», რომელსაც სიტყვასიტყვით იმეორებს თბილისში 1838 წელს დაწერილი ამავე სახელწოდების ხელნაწერი და რომელიც აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილების ხელნაწერთა ფონდშია დაცული. იხ. Р. Р. Орбели. ГРИВ, გვ. 44—45.

ბიანობას ამყარებდა ხალხთა შორის. მას ეწოდებოდა მამასახლისი და მისი უფლება არსებითად განსხვავდებოდა მეფის ფუნქციისაგან. მამასახლისის ეს იურიდიული სახელო ზუსტად ემთხვევა ვახტანგის შეხედულებას ქართლოსზე (იგი იყოო „მმართველი, ბელადი და სჯულმდებელი ქართველებისა და არა მამამთავარი; იგი არ იწოდებოდა მეფედ“). ვახტანგის „მამამთავარი“ არსებითად ემთხვევა პ. იოსელიანის „ქართველთა დამაარსებელ ქართლოსს“, თუმცა ამ უკანასკნელს იგი რეალურ-ისტორიულ პიროვნებად არ წარმოუდგენია. ცოტაოდენ ქვემოთ, პ. იოსელიანი წყაროში უფრო მეტს ხედავს ვიდრე მისი წინამორბედნი. „შესაძლებელია, — აღნიშნავს იგი, — ადრე და ქართლოსზე გაცილებით ადრე (დაყოფა ჩვენია.—ა. ბ) ქართველობა საკმაოდ (ბევრი. — ა. ბ.) იყო, მაგრამ საერთო კავშირის გარეშე; ქართლოსმა კი დაარსა ქალაქი“ (ფ. 29, გვ. 2).

აშკარად საინტერესო დაკვირვებაა: პ. იოსელიანის აზრით, ქართველობა არსებულა ქართლოსამდე გაცილებით ადრე და ისინი „საკმაოდ“ ბევრნიც ყოფილან, თუმცა გაფანტულად ცხოვრობდნენ და არ ერთიანდებოდნენ საერთო კავშირში. ქართველობა, როგორც ჩანს, წინაგვაროვნულ საზოგადოებაში იმყოფებოდა, ხოლო გვარში გაერთიანება მომხდარა ქართლოსის მეშვეობით, მათ თავი მოიყარეს „ქალაქში“. ცხადია, ამ უკანასკნელის მნიშვნელობის ქვეშ, ტომთა გაერთიანება, სატომო კავშირი იგულისხმება, იმგვარი საკრებულო ადგილი, სადაც თავს იყრიდა მთელი საზოგადოება, ტომი. ამიტომ ტერმინი „ქალაქი“ აბსოლუტურად შეუფერებელია ჩვეულებრივი ტიპის გვაროვნული სამოსახლო ადგილის მიმართ. ტომს სათავეში ედგა მამასახლისი, რომლის ფუნქცია სწორად ესმის ჩვენ ავტორს. ტომის ბელადი იყო შუამავალი, მომრიგებელი, მედიატორი, საჩივართა მომწესრიგებელი და სხვ.

პ. იოსელიანის სხვა ნაშრომში კიდევ უფრო მეტადაა განვითარებული საქართველოში წინაკლასობრივი საზოგადოების ისტორიის საკითხი[42].

ავტორი, ლაპარაკობს რა ებრაელთა იძულებით ემიგრაციაზე პალესტინიდან საქართველოში ბაბილონის მეფის ნაბუქოდონოსორის ჟამს [(ნაბუქოდონოსორ II (604—562)] და მათ თხოვნაზე მცხეთის მამასახლისისადმი იბერიაში (მცხეთის მახლობლად) დასახლების ნებართვის მისაღებად, წერს: „ებრაელები, გამოქცეულნი (ნაბუ-

---

[42] П. Иоселиани. Историческое и геогр. описание ...

ქოდონსორის.—ა. ბ.) მახვილს, მოვიდნენ საქართველოში და მამასახლისისაგან (ე. ი. სახლის მმართველი, პატერ ფამილია) ნებართვის მიღების შემდეგ, დასახლდნენ მცხეთასთან ახლოს. ეს მიუთითებს ივერიაში პატრიარქალურ ხანაზე, როდესაც ივერიელებს ჯერ კიდევ არა ჰყავდათ საკუთარი მეფე" (გვ. 66, შენ. 22).

მოტანილი სიტყვები ცხადად ადასტურებენ ავტორის შეხედულებას იმის შესახებ, რომ აქ სახეზეა გვაროვნული წყობილების არსებობის აღიარების იდეა. ამიტომ საკვლევი უსაფუძვლოა მცხეთის მამასახლისის ფუნქციათა გაიგივება რომაული გვაროვნული წყობილების „Pater familia "-სთან („ოჯახის უფროსთან"). თავის თავად „პატერ ფამილია" „დიდი პატრიარქალური ოჯახის" უფროსს ეწოდებოდა, რომელსაც მის (ოჯახის) წევრებზე (მეუღლე, შვილები, ნათესავები, მონები) შეუზღუდველი უფლება და გავლენა ჰქონდა. მაგრამ ამ უკანასკნელის უფლება კიდევ უფრო ძლიერია მაშინ, როდესაც მის ოჯახში მონა ჩნდებოდა. მონაზე მას განუსაზღვრელი უფლება აქვს[43]. ამ დროს „პატერ ფამილია" უკვე კლასობრივი საზოგადოების ოჯახის უფროსს ნიშნავს.

საქართველოში „მამასახლისის" ინსტიტუტი გვაროვნული წყობილების რღვევის ჟამინდელია[44], რომლის უფლება-მოვალეობაში თავდაპირველად „დიდი პატრიარქალური ოჯახის" ხელმძღვანელობა შედიოდა. მაგრამ „ქართლის ცხოვრების" წყარომ ჩვენ მამასახლისის ფუნქციის ახალი შინაარსი და გეგმა შემოგვინახა. მასში მამასახლისი ტომის ბელადს განასახიერებს, იგი მისი წარმმართველი და ჰეგემონია, თუმცა საზოგადოების წევრთა დაუკითხავად არაფერს რომ არა წყვეტს. ამიტომ ქართლის მამასახლისსა და რომაულ „ოჯახის უფროსს" შორის დიდი ზღვარია და მათი გაიგივება შეუძლებელია. რომის სახელმწიფოს არსებობის ხანაში კი „პატერ ფამილია" უკვე კლასობრივ შინაარსს იძენს.

კლასობრივი საზოგადოების წინამავალი წყობილების პრობლემა პ. იოსელიანის ისტორიულ შეხედულებათა ერთ-ერთი ძირითადი ქვაკუთხედთაგანია. მისი არსისა და წარმოშობის მიზეზები ავტორს

---

[43] А. И. Немировский. История раннего Рима и Италии. Воронеж., 1962, с. 153—155.

[44] Г. А. Меликишвили. К истории... 1959, с. 605. შდრ. შ. მესხია. ლეონტი მროველი საქართველოს ისტორიის ორი პერიოდის შესახებ. კრებულში: კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები, თბ., 1966, გვ. 126. აქვეა მითითებაც სა თანადო ლიტერატურაზე.

ნაჩვენები აქვს ნაშრომში «Описание гор. Душета» [45]. გამოდის რა ქართველ ტომთა ცხოვრების ზოგადი წარმოდგენებიდან, პ. იოსელიანი ლაპარაკობს, საერთოდ, უძველესი ხანის საქართველოში, პატრიარქალურ ოჯახთა («в нераздельной общности патриархальной семьи», გვ. 24, 34) არსებობაზე. ასეთი პატრიარქალური ოჯახები სუფევდნენ აგრეთვე მთელ არაგვის ხეობაშიც, რომლის რელიგიურ, პოლიტიკურ და ეკონომიურ ცენტრს დუშეთი წარმოდგენდა: «დუშეთს, როგორც მთელი არაგვის ხეობის სამმართველო ცენტრს, — აღნიშნავს პ. იოსელიანი, — განაგებდა უფროსი, ხევისბერი. ამ მხარის ხევებად დაყოფილმა ფეოდალურმა კორპორაციამ შექმნა მმართველის ყველაზე ძველი სახელწოდება, ანუ ტიტული, სიტყვებისაგან ხევი და ბერი . . . ე. ი. უფროსი, ანდა, სიტყვასიტყვით, ხევის სასულიერო პირი. ამავე მნიშვნელობით მსგავსი მმართველები ლიკურგთან და ძველ (ავტორებთან. — ა. ბ.) იწოდებოდნენ გერონტებად და პრესვიტერებად, ე. ი. სასულიერონისა და უხუცესნის სახელით. შესანიშნავია ამ ორი ხალხის სახელწოდებათა სიახლოვე — უხუცესნი. ისინი იყვნენ ხევებში მჭიდროდ დასახლებულ ცალკეულ ჯგუფთა დამცველები და აირჩეოდნენ ხალხის მიერ სრულყოფილი ასაკის გონიერ მამაკაცებისაგან, რომელთაც გამოცდილი კეთილგონიერება და ცოდნა გააჩნდათ; მათ ხელთ იყო სასამართლოს წარმოება, სასჯელის დადება, სამხედრო და სამოქალაქო ძალაუფლება, რომელიც ემყარებოდა მთის საუკუნეებრივ ზნე-ჩვეულებებს. მართალია, ხალხის ადათი ჩაწერილი არა ყოფილა, იგი ზეპირი გადმოცემით ვრცელდებოდა, მაგრამ მკაცრად იყო დაცული. სალოცავის წინ ფიცით წყდებოდა დავა, მტკიცდებოდა ხელშეკრულებები. ეს წეს-ჩვეულება პატრიარქალურ ხანებიდან (მომდინარე. — ა. ბ.) სუფევდა ჩვენ დრომდე. უხუცესნი ამ საღვთო ადგილებში, თითქოს ღვთაების თანდასწრებით, კრებდნენ ხალხს სამხედრო თათბირებზე, როგორც რომაელებს კურიასთან. მათ მოვალეობაში შედიოდა ხალხის ზნე-ჩვეულებათა დაურღვეველი დაცვა, ან რაც იგივეა, სასამართლოზე მართლმსაჯულების კანონთა შესრულება, საჭიროებისამებრ ლაშქრის შეყრა და სხვ . . .ეს უძველესი წესი არაგვის ხეობის სახალხო მმართველობის იერარქიისა რჩებოდა თავის ძალასა და უფლებებში ძალზე დიდხანს» (გვ. 34—35).

როგორც იტყვიან, აქ ყველა ფანჯრიდან იხედება პირველყოფილთემური წყობილება. ნიშანდობლივია მხოლოდ ის გარემოება,

---

[45] П. Иоселиани. Описание... 1860, გვ. 1—70.

რომ პ. იოსელიანი თემურ წყობილებას ფართო ფონზე იკვლევს, მცირე პარალელური მასალა მოაქვს საბერძნეთისა და რომის ისტორიიდან და ცდილობს თავისი დაკვირვებები კიდევ მეტად დამაჯერებელი გახადოს. პ. იოსელიანი თავისუფლად ფლობდა ბერძნულ და ლათინურ ენებს და თავის ნაშრომებში ანტიკურ წყაროებს ორიგინალიდანვე მოქონდა. ამის შესანიშნავი მაგალითია უკვე დამოწმებული ნაშრომი «Историческое и географическое описание древней Грузии». ეს ხელნაწერი ავტორის თქმით შედგენილია «ცნობათა ზედა საკუთარი ჩუენთა მწერალთა და გარეშეთა ბერძენთა და რომაელთასა»[46] ამ ნაშრომში გაკვრითაა საუბარი ანტიკური საქართველოს პოლიტიკური ისტორიის საკითხებზეც. ხაზგასმულია ორფეოსისა (ძველი წელთაღრიცხვის XII ს.) და სეზოსტრისის ლეგენდარული ლაშქრობა კოლხეთში. ორფეოსის ლეგენდის წყარო საფუძვლად დაედო შემდგომში ძველი წელთაღრიცხვის III ს. მწერლის აპოლონიოს როდოსელის «არგონავტიკასთ». ფართოდაა საუბარი ეგვიპტელთა და კოლხთა ეთნიკურ ნათესაობაზე (ჰეროდოტე), თუმცა უარყოფილია იგი ქართული და ეგვიპტური ენების შედარებითი მასალის გათვალისწინებით. ავტორი იმ დასკვნამდე მიდის, რომ კოლხური ენა (მეგრულ-ჭანური) ქართულის ახლო მონათესავეა და სხვ.[47]

კოლხეთ-იბერიის უძველესი ისტორიისათვის პ. იოსელიანს გამოყენებული აქვს ჰომეროსის, ჰეროდოტეს, დიოდორე სიცილიელის, სტრაბონის, პლინიუსისა და პლუტარქეს წყაროები ორიგინალში. საგულისხმოა, რომ პოლიტიკური ორგანიზაციის ისტორიის თვალსაზრისით (ავტორის სხვა ნაშრომში)[48] ლაპარაკია იმაზე, რომ... „ამიერკავკასიის ისტორიული არსებობის გარიჟრაჟზე, ევროპის და აზიის ხალხებზე ადრე, გვხვდება აქ ძლევამოსილი არისტოკრატია, ანდა, უფრო ზუსტად, ნამდვილი ფეოდალიზმი. ასე იყო ჰომეროსის, სტრაბონის, პლინიუსისა და შუა საუკუნეებში“ (გვ. 149—141).

საქართველოში თავისებური სახის ფეოდალიზმის არსებობის იდეა, ჩვენ ხელთ არსებული მასალების მიხედვით, ეკუთვნის გენერალ ს. ტუჩკოვს[49]. ხოლო, ქართული ფეოდალიზმი წინ რომ

---

[46] პ. ი ო ს ე ლ ი ა ნ ი. წერილები, აკად. მ. ბროსესადმი, გვ. 150.

[47] ამავე აზრს იცავს იგი აგრეთვე „Ист. взгляд»-ში გვ. 10, შენ. 2.

[48] П. И о с е л и а н и. Различные... с. 115—143.

[49] С. Т у ч к о в. Сочинения и переводы, ч. IV, СПб, 1817, с. 185.

უსწრებდა დასავლეთევროპულს, ეს მოსაზრება პირველად წამოაყენა მ. ბროსემ[50].

მაგრამ აქ ყურადღებას იქცევს ფეოდალიზმის არსებობა პირველყოფილთემურ წყობილებაში. ბუნებრივად იბადება კითხვა — როგორ შეიძლება ამ საკითხის ახსნა? ცხადია, პ. იოსელიანის ცნობა პირდაპირი მნიშვნელობით არ უნდა გავიგოთ. აშკარად ჩანს, რომ იგი ცდება. როდესაც ავტორი ლაპარაკობს ხოლმე საქართველოში ფეოდალიზმის არსებობის თაობაზე, მას ძირითადად მხედველობაში აქვს შუა საუკუნეების ხანა და არა მაინცდამაინც „პატრიარქალური პერიოდის" საქართველო. წინააღმდეგ შემთხვევაში მას მთელი თავისი შემოქმედებისათვის ხაზი უნდა გადაესვა და ეღიარებინა, რომ საქართველოში ფეოდალიზმი აღმოცენდა ქართველი კაცის გაჩენასთან ერთად. როგორც ჩანს, ავტორს აქ დაშვებული აქვს XIX ს. პირველი ნახევრის ისტორიოგრაფიაში ცნობილი ფაქტი თემურ წყობილებაში თავისებური ფეოადალიზმის, ნახევრად პატრიარქალურისა და ნახევრად ფეოდალურის არსებობა. ამიტომ, ვფიქრობთ, არ შევცდებით, თუ შევნიშნავთ, რომ პ. იოსელიანის აზრით, ქართული სინამდვილისათვის ფეოდალიზმი დამახასიათებელია მხოლოდ სამეფო, ანუ კლასობრივი საზოგადოებისათვის, მაშასადამე, არა უადრეს ძველი წელთაღრიცხვის III ს. დასაწყისისათვის, კერძოდ, იბერიის მეფის ფარნავაზ I-ის მეფობის დროისათვის, ხოლო ამაზე უწინარეს კი პირველყოფილთემური წყობილება, ანუ უკლასო საზოგადოება იგულისხმება.

პ. იოსელიანის ნაშრომები საქართველოს პოლიტიკურ ისტორიაზე შეიცავენ ფრიად ორიგინალურ და თავისებურ მასალებს, რომელთა გათვალისწინება სარგებლობას მოუტანს თანადროულ ისტორიოგრაფიას. თავისი წინამორბედი ისტორიკოსებისაგან განსხვავებით, საქართველოს ისტორიის თხრობისას, არსებითად რომ „ქართლის ცხოვრების" ტექსტს აკონსპექტებდნენ, მან მართალია, არ მოგვცა საქართველოს ისტორიის სრული კურსი, მაგრამ თავისი საგულისხმო თეორიული მსჯელობით პრაგმატიზმის დონეზე აიყვანა იმჟამინდელი ქართული ისტორიოგრაფია. მისი დაკვირვება იმაზე, რომ ერის პროგრესი დაკავშირებულია ვაჭრობის, აღებ-მიცემობისა და განათლების განვითარებასთან, დიდი მნიშვნელობის ფაქტად უნდა ჩაითვალოს. ვაჭრობის, ეკონომიკისა (ფაბრიკები,

---

[50] M. Brosset. Discours prononse a l'ássemblée general. SPB, 1838, c. 5; его же. Взгляд на историю и литературу Грузии. ЖМНП, № 7, 1838, с. 277.

ქარხნები) და განათლების მოთხოვნა თავისთავად ბურჟუაზიული (კაპიტალისტური) კატეგორიის მოთხოვნილებაა, ხოლო, ის მკვლევარი, რომელიც ამ მოთხოვნათა პროგრამით გამოდის, ცხადია, ბურჟუაზიული იდეოლოგიის წარმომადგენელია. ჩვენ კი თვალნათლივ დავინახეთ, რომ ამგვარი იდეები ახასიათებს პ. იოსელიანის მრავალ ნაშრომს და ამიტომ საეჭვო არაა მისი მიჩნევა ბურჟუაზიულ ისტორიკოსად.

გასული საუკუნის 50-იან წლებში პეტერბურგის საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიაში მ. ბროსეს რუსულ ენაზე დაუწერია „Очерк критической истории Грузии" ორ ტომად[51]. პირველი ტომი 1855 წელსაა შედგენილი და შეიცავს საქართველოს უძველესი ხანის ისტორიას ვიდრე 1469 წლამდე, ე. ი. «ვანყოფამდე», ხოლო მეორე ტომი 1858 წელს დაწერილი, მოგვითხრობს საქართველოს ისტორიას სამეფო-სამთავროებად გაყოფიდან 1744 წლებამდე, ე. ი. თეიმურაზ II-ის ქართლში და ერეკლე II-ის კახეთში გამეფებით. ავტორს ხელნაწერი თავის სიცოცხლეში არ გამოუქვეყნებია. საფიქრებელია, რომ მ. ბროსეს ხელნაწერი არ მიაჩნდა ბეჭდურად გამოცემის ღირსად და ამიტომ არ დაუსტამბავს იგი. მიუხედავად ამისა, მ. ბროსეს შვილს ლორანს (ლავრენტი) ხელნაწერი გადაუცია ნიკოლოზ ღოღობერიძისათვის, რომელმაც ათარგმნინა ნაშრომი თავის ძმას სიმონს და რომელმაც თბილისში გამოსცა იგი ორ ნაწილად.

მ. ბროსეს „საქართველოს ისტორია" სუსტი შრომაა, თუმცა საკმაოდ პრეტენზიული სათაურით „საქართველოს ისტორიის კრიტიკული ნარკვევი"[52]. ავტორი თითქოს ცდილობს „ქართლის ცხოვრების" ტექსტიდან გადახვევას, რიგ შემთხვევაში კრიტიკულადაც ეკიდება მის ცნობებს, შემოაქვს ახალი ფაქტები (სეზოსტრისისა და არგონავტების ლაშქრობა), მაგრამ არსებითად მაინც ვერ სცილდება ამ მატიანის სქემას და მისი სისტემით სარგებლობს. ნაშრომში (ნაწ. I) არაა გამოყოფილი ცალკეული თავები და თხრობა გაბმული, უწყვეტი წესით წარმოებს. ეს მაშინ, როდესაც ავტორის კალამს ეკუთვნის საქართველოს ისტორიის მასალების შესანიშნავი კრიტიკული გამოკვლევები, რომლებშიაც საკმაო ადგილი ეთმობა ქართველი ხალხის შინაგანი ცხოვრების ამსახველ

---

[51] მ. ბ რ ო ს ე. საქართველოს ისტორია. ნაწილი პირველი, თბ., 1895, ნაწილი მეორე, თბ., 1900.

[52] მთარგმნელი გრძნობდა ამ სათაურის უხერხულობას და ქართულად „საქართველოს ისტორია" უწოდა.

ფაქტებს, სისტემატიური, მთლიანი ისტორიის გადმოცემისას, იგი წყაროთა ტყვეობაშია მოქცეული და პირდაპირ მატიანეში მოთხრობილ ამბებს გადმოგვცემს. ისტორიის ძირითად შინაარსს იგი პოლიტიკურ მოვლენებში ხედავდა. მისი „ისტორია" ძირითადად მეფეთა და მხედართმთავართა ცხოვრება-მოღვაწეობის თხრობას შეიცავს. ამ ნაშრომში როგორც მოსალოდნელი იყო არა ჩანს თვით ავტორის მიღწევათა შედეგების გამოყენებაც კი. მაგრამ ამ ნაკლთა მიუხედავად, მ. ბროსეს „ისტორია" მაინც პრაგმატიზმის პრინციპზე აგებული სახელმძღვანელოა. ამას სხვათა შორის, კარგად გრძნობდა ავტორის „საქართველოს ისტორიის" მთარგმნელი ს. ღოღობერიძე, თავის წინასიტყვაობაში რომ ეს წიგნი პრაგმატულ საფუძველზე აგებულ ნაშრომად აღიარა[53].

* * *

XIX ს. მეორე ნახევრის ქართულ ისტორიოგრაფიაში საქართველოს პოლიტიკური ისტორიის საკითხების შესწავლას საგრძნობი და მნიშვნელოვანი წინმსვლელობა ეტყობა. აქ ძირითადად დაძლეულია „ქართლის ცხოვრების" ტრადიციული სქემა და სისტემა. სახელმძღვანელოებში იგრძნობა საქართველოს ისტორიის კურსის შედგენის ახლებურად დაყენების ცდა. ასეთ მკვლევართა შორის უნდა დავასახელოთ ს. ბარათაშვილი.

ძალზე საინტერესოა მისი ორიგინალური „კონცეფცია" ქართველი ხალხის წარსულის კვლევაში. ამ ისტორიკოსისათვის ყოველგვარი სიახლე, მეტადრე ახალი პოლიტიკური ურთიერთობა, ემყარება მეფე-მონარქთა განწყობილება-სურვილების იდეას, უკეთეს შემთხვევაში, ერისთავთა დახმარებით. კეთილზნეობრივად სრულყოფილი და ჭკვიანი მეფე თავის ხელქვეითებს აძლევს „კარგ" სახელმწიფოებრივ ორგანიზაციას და ამდენად ხალხის ცხოვრებას ბედნიერსა ხდის, ხოლო ცუდი და ნაკლებ ჭკვიანი ხელისუფალი— პირიქით. ასე, მაგალითად, ს. ბარათაშვილის აზრით, ძველი წელთაღრიცხვის III ს-ში მეფე ფარნავაზმა დააარსა მონარქიული[54] სა-

[53] მ. ბ რ ო ს ე. დასახ. ნაშრ., გვ. 11. ჩვენ არ შევუდგებით მ. ბროსეს I ნაწილში მოთხრობილ პოლიტიკურ ისტორიის განხილვას. იგი ძალზე ზოგადია და კარგადაა გარჩეული შ. ხანთაძის მონოგრაფიაში „პარი ბროსე", გვ. 110—117.

[54] ს. ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი. საქართველოს ისტორია. რეული I, გვ. 54, 55 56.

ხელმწიფო და დაამტკიცა ერისთავთა ხელისუფლება, მაგრამ ს. ბარათაშვილი თავის მსჯელობაში კიდევ უფრო შორს მიდის. „ამაზასპის დროს, — ამბობს ავტორი, — საქართველოში იყვნენ, როგორც არიან ხოლმე ყოველთვის ყოველ საზოგადოებაში, — იმისთანა პირნი, რომელთაც შეეძლოთ ჭეშმარიტების გარჩევა სიცრუისაგან და სასარგებლოსი — საშიშარისაგან, და ამ პირთა შემწეობით ქართველი ხალხი გამოვიდა თავის დაცემულ ზნეობრივ მდგომარეობიდან. ეჭვი არ არის, რომ ამისთანა პირთა დასში პირველი ადგილი სჭერია რევს და, როგორც ადგილობრივი მატიანეები ამბობენ, ეს მეფე გამსჭვალული ყოფილა სახარების მოძღვრებით“[55].

„ბრბოს ყოველთვის წინაუძღვიან საზოგადოების მოწინავე წევრნი, — იქვე შენიშნავს ავტორი — და ყველა დაბრკოლებისა და დევნის მიუხედავად, რომელნიც ყოველგვარ რეფორმების დროს აუშორებელნი არიან, ისინი აყენებენ საზოგადოებას იმ გზაზე, ოომლისკენაც თვითონ მიისწრაფოდენ“[56]. ასეთი თვალსაზრისი გასდევს თავიდან ბოლომდე ს. ბარათაშვილის „საქართველოს ისტორიას“. ხოლო, ისტორიის, მისი განვითარების დედაბოძია პროვიდენციალიზმი, ანუ განგების საშუალებით ისტორიული პროცესის ახსნა. „ყველაფერი ქვეყანაზე განგების ნებით მოხდება ხოლმე, და ეს ნება გამოიხატება ბუნების კანონებით“[57], განმარტავს ს. ბარათაშვილი... „პოლიტიკური და სარწმუნოებრივი ხალხთა დაწესებულებანიც არ არიან დაფარულნი ამ საერთო წესისაგან“[58].

ძნელი მოსაძებნია, ალბათ, სხვა ასე მკვეთრად გამოხატული დებულება, რომელსაც აბსოლუტურობამდე დაყავდეს პროვიდენციალიზმის იდეა. ს. ბარათაშვილისათვის, როგორც ისტორიკოსისათვის, განგება განსაზღვრავს ისტორიულ პროცესს. ყველა პროცესი და მოვლენა, იქნება ეს პოლიტიკური, სოციალური თუ რელიგიური, ღვთაების ნება-სურვილს ექვემდებარება. ამ მიმართებით ს. ბარათაშვილის თვალსაზრისი უახლოვდება დიდი გერმანელი ფილოსოფოსის გეორგ ჰეგელის (1770—1831) მსოფლიო სულის იდეას. ამიტომ შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ ს. ბარათაშვილი

---

[55] ს. ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი. საქართველოს საშვალო საუკუნეთა ისტორია. რვეული II, ქრისტიანობის მიღებიდან არაბების შემოსევამდე. ქუთაისი, 1896, გვ. 9.

[56] იქვე. გვ. 9.

[57] იქვე, გვ. 8.

[58] იქვე.

იცნობდა გ. ჰეგელის ისტორიის ფილოსოფიას, მეტადრე თუ გავითვალისწინებთ იმჟამად გერმანელი მეცნიერის შემოქმედებისადმი საერთო დიდ გატაცებას.

საქართველოს პოლიტიკური ისტორიის შესწავლას ქართველი ხალხის შინაგანი ცხოვრების გაშუქებასთან ერთად[59], ხელი მიჰყო დ. ბაქრაძემ. იგი არაერთგზის ამახვილებდა ყურადღებას შინაგანი ისტორიის (სოციალურ-ეკონომიკურ) საკითხთა ღრმა გამოკვლევის მნიშვნელობაზე, თუმცა მისი „ისტორია საქართველოსი" არსებითად პოლიტიკური ისტორიის სახელმძღვანელოდ დარჩა. მაგრამ ეს ნაშრომი თავის წინამორბედ ისტორიათა შორის ყველაზე სრულყოფილი, გამართული და შინაარსით მდიდარი გამოკვლევაა. ესაა პირველი ქართული მონოგრაფია, რომელიც არსებითადაა გამიჯნული „ქართლის ცხოვრების" ტრადიციულ სქემას და მრავალი მეცნიერული დისციპლინის (გეოლოგია, ენათმეცნიერება, არქეოლოგია) მონაპოვართა სინათლეზეა დამყარებული. აქვე შესაძლებლობის ფარგლებში წარმოდგენილია ასურულ-ბაბილონური ლურსმული წყაროების ცნობებიც ქართველთა ისტორიული განსახლების შესახებ. ერთი სიტყვით, „ისტორია საქართველოსი" ისტორიული მეცნიერების იმჟამინდელ მოთხოვნათა დონეზე დგას, თუმცა ისტორიის საკითხთა შესწავლის თვალსაზრისით, მაინცდამაინც შორს არაა წასული. ეს გარემოება აიხსნება იმით, რომ დ. ბაქრაძეს მთელი შინაარსით არა ჰქონდა წარმოდგენილი ხალხის საშინაო ცხოვრების შესწავლა იმ დრომდე, ვიდრე მის ხელთ არსებული წყაროები სათანადოდ გამოკვლეული არ იქნებოდნენ[60]. მოკლედ რომ ვთქვათ, „მეთოდოლოგიური პოზიციების და წყაროთმცოდნეობითი ბაზის შეზღუდულობა"[61] ხელს უშლიდა ავტორს ისტორიული პროცესის სწორი წარმოდგენის შემუშავებაზე.

იმჟამად ისტორიოგრაფიაში საკმაოდ მძლავრად იყო ფეხმოკიდებული ფილოსოფიური პოზიტივიზმი. ეს უკანასკნელი უარყოფდა მოვლენისა და საგნის შეცნობის შესაძლებლობას და კმაყოფილდებოდა მარტოოდენ საკითხის ზედაპირული აღწერით. მისი მეთოდური და თანამიმდევრული დამცველი იყო ჰენრი ბოკლი (1821—1862),

---

[59] Д. Бакрадзе. Археологич. путешествие по Гурии и Адчаре. СПб, 1878, გვ. XIII.

[60] მ. დუმბაძე. ისტორიკოსი... 139.

[61] გ. მელიქიშვილი. საქართველოს ისტორიის შესწავლა... გვ. 5.

რომლის გავლენას შენიშნავენ დ. ბაქრაძის ადრინდელ შემოქმედებაში[62]. ამ გარემოების მიუხედავად, დ. ბაქრაძე მაინც არ დასულა ემპირიკოს-ისტორიკოსის დონემდე. იგი არ შემოფარგლულა ფაქტების უბრალო აღწერით და ცდილობდა ამა თუ იმ პოლიტიკურ მოვლენათა შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის ჩვენებას[63]. საქართველოს ძველი ისტორიის დარგში ამ მხრივ მეტად ნიშანდობლივია დ. ბაქრაძის აზრი კლასობრივი საზოგადოების დაარსების პრობლემაზე. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი ისტორიკოსი ამ საკითხზე დიდ ცოდნასთან ერთად ამჟღავნებს თავისი დროისათვის ძალზე პროგრესულ თვალსაზრისსაც. და თუ ს. ბარათაშვილისათვის, როგორც აღინიშნა, ეს რთული პრობლემა მექანიკურადაა გადაწყვეტილი და სახელმწიფოს წარმოშობა კეთილი მეფის ნება-სურვილების რეალური გამოხატულების შედეგია, დ. ბაქრაძე საქართველოში სახელმწიფოებრიობის წარმოშობას მეტად სერიოზულად უყურებს. ავტორი საქართველოში კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს აღმოცენებას განიხილავს, როგორც რთულ პოლიტიკურ პროცესს გვაროვნული წყობილების რღვევისა და კერძო საკუთრების გაჩენის ნიადაგზე.[64]. «შინაგანი წყობილება იმისი, — აღნიშნავს ავტორი, საზოგადოებრივი, სარწმუნოებრივი და პოლიტიკური იმგვარი თურმე იყო, რა გვარსაც ისტორია უძველეს დროებში თვით სხვა მრავალ ტომებსაც მიაწერს: თვითოეული ტომი თვითვე განაგებდა სათემო საქმეებსა, საეროსა და სასულიეროსა, მის მიერვე ამორჩეულ პირთა შუამდგომლობით. შემდეგ სამეფოები დამყარებულან»[65] მაშასადამე, პირველყოფილთემური წყობილება დ. ბაქრაძეს მიაჩნდა ქართველ ტომთა პოლიტიკური განვითარების პირველ საფუხურად, რომელსაც ისტორიულად კლასობრივი საზოგადოება ცვლის. ცხადია, ეს იდეა XIX ს. 80-იან წლებში ქართული ისტორიოგრაფიის დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს[66]. მაგრამ ეს კლასობრივი საზოგადოება ფეოდალური სახელმწიფოა. სამწუხაროდ, დ. ბაქრაძეს «ისტორია საქართველოსი»ში არა აქვს ნახმარი ტერმინი ფეოდალიზმი, მაშინ, როდესაც თავისი სამეცნიერო მოღვაწეობის გარიჟრაჟზე,

---

[62] მ. დუმბაძე. დასახ. ნაშრ., გვ. 139, 155; გ. მელიქიშვილი. დასახ. ნაშრ., გვ. 7.

[63] მ. დუმბაძე. დასახ. ნაშრ., გვ. 139.

[64] დ. ბაქრაძე. ისტ. საქართველოსი, თბ., გვ. 111.

[65] დ. ბაქრაძე. ისტორია... გვ. 111.

[66] ა. კიკვიძე. XIX ს. ქართული ისტორიული... გვ. 5—6.

კერძოდ, ავტორის ძალზე საყურადღებო წერილში «Сцены из грузинской жизни», იგი რამდენიმეგზის ლაპარაკობს როგორც საერო, ისე სასულიერო ფეოდალთა შესახებ[67]. ამასთან, «ისტორია საქართველოსიში» მეფე ფარნავაზის დროს აზნაურთა როგორც პრივილეგირებული სოციალური კლასის მოხსენიება (გვ. 22) გვავალებს დავასკვნათ, რომ დ. ბაქრაძის აზრით, საქართველოში პირველი კლასობრივი სახელმწიფო ორგანიზაცია ფეოდალური ბუნებისა იყო. სახელმწიფოს ამგვარი ბუნების თეორია საერთოა XIX ს. ისტორიოგრაფიაში და მისგან რაიმე გადახვევას არც ჩვენ ავტორს დაუპირებია. ყველა ხალხის ძველი ისტორია განიხილებოდა როგორც ფეოდალური ხანის ისტორიად. ფეოდალიზმი უნივერსალური სისტემა იყო.

დ. ბაქრაძის „ისტორიაში" ცალკე თავებადაა გამოყოფილი პომპეუსის ლაშქრობა საქართველოში (გვ. 96—101) და განსაკუთრებით I ს. ისტორიკოს-გეოგრაფოსის სტრაბონის ცნობები კავკასიაზე; სახელდობრ, აქაა წარმოდგენილი კოლხეთის, იბერიისა (გვ. 112—119) და ალბანეთის (გვ. 119—122) სახელმწიფოთა დახასიათება. მაგრამ განსაკუთრებით ნიშანდობლივია იბერიის სახელმწიფო წყობილების ავტორისეული ინტერპრეტაცია სტრაბონის ცნობათა სინათლეზე. დ. ბაქრაძე სარგებლობს ამედე ტარდოს სტრაბონის გეოგრაფის ფრანგული გამოცემით (პარიზი, 1867—1873) და ქართულად ასე თარგმნის: „იბერიაში დამყარებულა სახელმწიფო წესი და ყოფა-ცხოვრება წარმატებაში შესულა. იბერია დაყოფილია ოთხ წოდებად. პირველს და უმთავრესს წოდებას ეკუთვნიან მეფენი. მეფე უნდა იყოს როგორც უხუცესი წლოვანებით, აგრეთვე უახლოესი ნათესაობით მიცვლილის მეფისა. იმის მომდევნო ხნიერობით (პირს, — ა. ბ.) ეკუთვნის სამსაჯულო გამგეობა და მხედართმთავრობა. მეორე წოდებას შეადგენენ სამღვდელონი. ამათი მოვალეობაა, გარდა სასულიერო წესის აღსრულებისა, განბჭობა მცხოვრებთ დავა-განხეთქილებისა. მესამე წოდება შეიცავს მხედართა და მუშაკთა. მეოთხეც დაბალ ერსა, სამეფო ყმებსა, რომელთაც ვალად სძევთ ნივთიერი მზრუნველობა" (გვ. 118—119).

ჩვენ აქ არ შევდივართ დ. ბაქრაძის ინტერპრეტაციის სამართლიანობაში, რამდენად ზუსტად ასახავს და თარგმნის სტრაბონის ცნობებს იბერიის სოციალურ-პოლიტიკურ წყობილებაზე. სადღეი-

---

[67] Д. Бакрадзе. Сцены... «Современник», № 1, т. XXV, отд. VI, с. 15 и др.

სოდ, ეს საკითხები სულ სხვაგვარადაა გადაწყვეტილი ქართულ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში[68]. მაგრამ ერთი გარემოება კი თვალში გვეცემა, კერძოდ ის, რომ დ. ბაქრაძის თარგმანით და, მაშასადამე, მისი აზრით, იბერიის მოსახლეობის მეოთხე გენოსს ყმა გლეხები შეადგენდნენ, ყმები კი ფეოდალიზმის ხანისთვისაა დამახასიათებელი. აქედან ჩანს, რომ ავტორი იბერიის სახელმწიფოს ფეოდალურ ნიადაგზე აღმოცენებულ ქვეყნად მიიჩნევდა.

XIX ს. ქართული ისტორიული მეცნიერება, რა თქმა უნდა, პოლიტიკური ისტორიის კვლევის პირველი პიონერი არაა. ჩვენი ისტორიოგრაფია ამ საკითხში მისი თანადროული რუსული და დასავლეთევროპული ისტორიოგრაფიის საკმაო გავლენას განიცდის. მხედველობაშია, ცხადია, პოლიტიკურ იდეათა გავლენა. ხოლო საკუთრივ XIX ს. ისტორიოგრაფიამ პოლიტიკური ისტორიის შესწავლა ჰუმანისტური ისტორიოგრაფიიდან ისესხა, რომლის სამშობლოს იტალია წარმოადგენდა. ამ ხანის გერმანიის (პრუსიის) ოფიციალურმა ისტორიკოსმა და გერმანიის ახალი ისტორიული სკოლის დამაარსებელმა ლეოპოლდ რანკემ (1795—1886) გასული საუკუნის 20-იან წლებში (1824) აღნიშნა, რომ ისტორიკოსის დანიშნულებას მხოლოდ საქმის მსვლელობის ნამდვილი წარმოდგენა შეადგენსო[69]. ლ. რანკეს ამ განცხადებიდან ნათლად ჩანს კვლევა-ძიების იმჟამინდელი მეთოდი. სავსებით სამართლიანად აღნიშნავდა კ. მარქსი ლ. რანკეზე, რომ მან ისტორია დაიყვანა „ანეკდოტთა ერთობამდეო"[70]. აქედან ჩანს, რომ ლ. რანკე არ იყო დიდი ისტორიკოსი, ამასთან, იგი ჩვეულებისამებრ უყურადღებოდ ტოვებდა ისტორიული პროცესის სოციალურ და ეკონომიურ მხარეს და საერთოდ შინაგან ისტორიას.

მართალია, ქართულ ისტორიოგრაფიას ჩვენ ვერ წავუყენებთ ამგვარ საყვედურს, რადგან ეს უკანასკნელი თანაბარი შეფარდებით იკვლევდა როგორც პოლიტიკური, ისე სოციალურ-ეკონომიკური ისტორიის ფაქტებს, მაგრამ ბევრი რამ (ფართო განზოგადოება, ჰორიზონტის შეზღუდულობა, მეთოდოლოგია) ამ ორ ისტორიოგრაფიას შორის საერთო იყო. ქართულ ისტორიოგრაფიაში პოლიტიკური ისტორია მკვეთრად უპირისპირდებოდა შინაგანი ის-

---

[68] Г. А. Меликишвили. Истории...გვ. 310—321. ოთ. ლორთქიფანიძე. ანტიკური სამყარო და ქართლის სამეფო. თბ., 1968, გვ. 24—47.

[69] Р. Виппер. Очерки теории исторического познания. М., 1911, გვ. 12.

[70] К. Маркс и Ф. Энгельс. Сочинения, ტ. 23, გვ. 201—202.

ტორიის საკითხებს და დამოუკიდებელი მეცნიერული დისციპლინის სახითაა წარმოდგენილი. არა ჩანს მისი ერთიანობა სოციალურ-ეკონომიკურ ისტორიასთან. ეს გარემოებაც შესაძლოა ორი ფაქტორით აიხსნას, კერძოდ, იმჟამინდელი ისტორიული მეცნიერების მეთოდის არასრულყოფილობით და სათანადო წყაროთა არასაკმარისი შესწავლილობით. მიუხედავად ამისა, უკვე თ. ბაგრატიონის კვლევის მეთოდს ახასიათებდა წყაროზე ზუსტი მითითება, ისტორიული კრიტიკის მარტივი წესების გამოყენების შემთხვევები, სხვადასხვა წყაროთა ურთიერთშეპირისპირების პრაქტიკა და მათ ნიადაგზე ლეგენდარულის გამოყოფა რეალურისაგან. აქედან გამომდინარეობს, რომ ქართული ისტორიოგრაფია XIX ს. ისტორიულ-კრიტიკული სკოლის ნიადაგზე დგას. იგი უპირისპირდება XVIII ს. ევროპულ ანტიისტორიულ მიმდინარეობას და ამოცანად ისახავს ნამდვილი ჭეშმარიტების დადგენას. მაგრამ ისტორიული პროცესის ახსნა ჩვენი ისტორიკოსების უმრავლესობას არ ძალუძს პროვიდენციალიზმის გარეშე. შეიძლება თამამად ითქვას, რომ განგების იდეა წითელი ზოლივით გასდევს, როგორც საერთოდ, XIX ს. ისტორიოგრაფიას, ისე გარკვეულად ეს მოვლენა შეიმჩნევა ქართული ისტორიული აზროვნების მრავალი წარმომადგენლის მსოფლმხედველობაზე (დ. ბაქრაძის გამოკლებით). ეს უკანასკნელი თავისი შემოქმედებით წარმოგვიდგება როგორც ბურჟუაზიული ისტორიკოსი, შეგნებული რომ ჰქონდა ისტორიული პროცესის მნიშვნელობა, თუმცა რეალურად მისი გამოყენება მას არ დასცალდა.

XIX ს. 80—90-იან წლებში საქართველოს პოლიტიკური ისტორიის საკითხებზე არა ერთი სახელმძღვანელო დაწერილა. ესენია ივანე გვარამაძის ვინმე მესხის (1831—1912) „ქართლის ცხოვრება"[71], რომანოზ ცამციევ-ძამსაშვილის (1853—1885) „შემოკლებული საქართველოს ისტორია"[72], მოსე ჯანაშვილის „საქართველოს მოკლე ისტორია"[73] და მისივე „საქართველოს ისტორია"[74]. მიუ-

---

[71] ი. გ ვ ა რ ა მ ა ძ ე. ქართლის ცხოვრება. პირველი ნაწილი, ძველი ბოთხრობა 393 წლამდის. თბ., 1882, გვ. 1—V+9—276; ქ. წ ე რ ე თ ე ლ ი. სასკოლო ისტორიული განათლება საქართველოში. თბ., 1978, გვ. 53—55, 102, 107, 113—117.

[72] შემოკლებული საქართველოს ისტორია. შედგენილი რომან დ. ცამციევისაგან, თბ., 1882, გვ. I—IV+5—190.

[73] საქართველოს მოკლე ისტორია. შედგენილი მ. ჯანაშვილისაგან. გამოცემული თამარ ქართველიშვილისა, თბ., 1884, გვ. I—II+1—112.

[74] მოსე გიორგის ძე ჯანაშვილი. საქართველოს ისტორია. თბ., 1895, გვ. 111—VII+3—503.

ხედავად იმისა, რომ ი. კვარამაძეც და რ. ძამსაშვილიც განსწავლული მწიგნობრები იყვნენ და დაუღალავი ქართველი პატრიოტები, დიდი შრომა რომ გასწიეს ქართველი ხალხის განათლებისა და პროგრესისათვის ბრძოლაში, მათი „ისტორიები“ უაღრესად სუსტი სახელმძღვანელოებია და არსებითად „ქართლის ცხოვრების“ მეთოდოლოგიურ საფუძვლებს არა სცილდებიან. აქ არაა ელემენტარული ცდის ნასახიც კი „ქართლის ცხოვრების“ სისტემის შეცვლის, ან რაიმე ახალი ფაქტის შემოტანის, ან მასალის განზოგადოების მხრივ. ესენია ქრონიკული აღწერის მარტივი წესით შედგენილი კომპილაციური თხზულებები, რომელთაც მეცნიერული ღირებულება არა აქვთ. ამიტომ მათი გარჩევისაგან ჩვენ თავს ვიკავებთ.

რაც შეეხება მ. ჯანაშვილის პირველ ორ სახელმძღვანელოს, არც აქაა ყველაფერი რიგზე, თუმცა ისინი გარკვეული უპირატესობით მაინც გამოირჩევიან. ეს სახელმძღვანელოები შეიცავენ ზოგიერთ სიახლეს, მათში ლაპარაკია „ქართლის ცხოვრების“ ტრადიციული სქემის შეცვლაზე, შინაგანი (სოციალურ-ეკონომიკური) ისტორიის შესწავლის მნიშვნელობასა და მის უპირატესობაზე პოლიტიკურ ისტორიასთან შედარებით[75]. მაგრამ კონკრეტული ისტორიის თხრობისას, რა თქმა უნდა, ყოველივე ეს დავიწყებასაა მიცემული და მასში მშრალი პოლიტიკური ამბებია გადმოცემული.

ძალზე მარტივია მ. ჯანაშვილის შეხედულება საქართველოში ალექსანდრე მაკედონელის მოსვლისა და მასთან მჭიდროდ დაკავშირებულ პოლიტიკურ ამბებზე, თუმცა უნდა ითქვას, რომ სახელმძღვანელოში დაშვებულია მეფე აზოს ისტორიულობის აღიარება (გვ. III), რაც სხვა ისტორიკოსებს აზრადაც არ მოსვლიათ. ნაშრომში თავს იჩენს გარკვეული ტენდენცია ამა თუ იმ მოვლენისადმი მიზეზ-შედეგობრივი მიმართების დადგენისა. ეს შეეხება, კერძოდ, ისეთ მნიშვნელოვან პრობლემას, როგორიცაა საქართველოში სახელმწიფოს დაარსების საკითხი. მართალია, ავტორს საკმაოდ ლაკონურად და სქემატურად აქვს აღნიშნული სახელმწიფოს დაარსებისათვის დამახასიათებელი შინაგანი თუ საგარეო ფაქტორები, მაგრამ ის, რაც მოტანილია სახელმძღვანელოში, უთუოდ ყურადღების ღირსია და თავის წინამორბედთაგან მნიშვნელოვნად განსხვავებული. „ერთ მეფობის დაარსებას, — შენიშნავს იგი, — ხელი შეუწყვეს იმ უბედურებათა, რომელთაც ხშირად ეწეოდა ზემოქართლი რამდენიმე საუკუნის განმავლობაში; აგრეთვე ერთად

[75] მ. ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი. საქართველოს მოკლე ისტორია. თბ., 1884, გვ. 1.

ბრძოლამ, ვაჭრობამ, ერთმანეთში მისვლა-მოსვლამ, ერთნაირმა სჯულმა განცალკევებული ხალხი ერთმანეთს დაუახლოვა. ეს იყო მიზეზი, რომ იაზონის მოკვლის შემდეგ ყველა ქართველებმა დასვეს თავის მეფედ ფარნაოზი და დაემორჩილნენ მას 302 წელს ქრისტეს მოსვლამდის“ (გვ. 6).

მ. ჯანაშვილის ამ მსჯელობას დიდი მნიშვნელობა აქვს სახელმწიფოს გაჩენისათვის. მისი აზრით, საჭიროა ორი ძირითადი ფაქტორის არსებობა, კერძოდ, საგარეო, რაც გამოწვეული იყო ცალკეული თემების გაერთიანებით საერთო მტრის წინააღმდეგ ომში და შინაგანი ტენდენციით, რაც ნაკარნახევი იყო ქართველ ტომთა სოციალურ-ეკონომიკური კონსოლიდაციით. პირველი ქართული სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია, ჩვენი ისტორიკოსის აზრით, ფეოდალურია. ეს პოლიტიკური ინსტიტუტი ფარნავაზის დროს ოთხი სოციალური კატეგორიისაგან შედგა: „თავადთა, აზნაურთა, მოქალაქეთა და გლეხთაგან“ (გვ. 7). ამ ცნობიდან შესანიშნავად ჩანს ავტორის თვალსაზრისი ქართულ სახელმწიფოს შინაგან ბუნებაზე.

ამრიგად, ჩვენ დავინახეთ, რომ მ. ჯანაშვილის შეხედულება ძველი საქართველოს პოლიტიკურ ისტორიაზე საკმაოდ საინტერესო და ორიგინალურია. განსაკუთრებით ეს ითქმის საქართველოში კლასობრივი საზოგადოების აღმოცენების შესახებ. აქ ავტორი მოწინავე აზრებს გამოთქვამს და უახლოვდება პროგრესულ კონცეფციას აღნიშნულ საკითხზე.

სხვა მხრივ საქართველოს პოლიტიკური ისტორია არავითარი სიახლით არ გამოირჩევა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ თითოროლა ფაქტს (ეგვიპტელთა შემოსევა, არგონავტთა ლაშქრობა, პომპეუსის მიერ საქართველოს დაპყრობა), რომელიც მასზე გაცილებით ადრე გამოყენებული იყო ქართველ ისტორიკოსთა მიერ.

მ. ჯანაშვილის „ისტორიას“ მოჰყვა მოცულობით პატარა, მაგრამ შინაარსით მდიდარი და მრავალფეროვანი „საქართველოს ისტორია“ ა. ხახანაშვილისა ფრანგულ ენაზე „Histoire de Géorgie„[76]. ქართველი მეცნიერის ეს ნაშრომი სპეციალური დაკვეთის შედეგად დაწერილი წიგნია და ძალზე პოპულარულად, თუმცა დიდი პატრიოტული გატაცებით, მოგვითხრობს საქართველოს ისტორიაზე, გეოგრაფიაზე და ლიტერატურაზე უძველესი (უკლასო საზოგადოებიდან, სასოფლო-ტერიტორიული თემიდან („მამასახლისობი-

[76] A. Khakhanoff. Histoire... Paris -Tiflis, 1900.

დან") — „პატერ ფამილია", sic, გვ. 13)[77] ხანებიდან XIX ს. პირველ ნახევრამდე. ხოლო, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ქართული ლიტერატურა მოყვანილია შ. არაგვისპირელისა და ე. გაბაშვილის ჩათვლით, მაშინ ამ ნაშრომში შეტანილი ფაქტიური მასალა მთელ XIX ს. მოიცავს.

თხზულების დიდი ნაწილი მოდის ისტორიაზე. აქ ფაქტიურად თავმოყრილია ავტორის მიერ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებულ მრავალრიცხოვან საისტორიო გამოკვლევათა უმთავრესი შედეგები და პოპულარული ენით გადმოცემულია ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი ისტორია. ნარკვევი 9 თავისაგან შედგება და ასეა დასათაურებული: საქართველოს სამეფოს წარმოშობა. პირველი მეფე (გვ. 13—15); ქრისტიანობის დასაწყისი და ქართველთა პირველი პროგრესი (გვ. 16—24); საქართველოს ისტორიის მოკლე გადმოცემა, IV—VI სს. ისტორია (გვ. 25—33); საქართველო არაბთა ბატონობის ხანაში და ბაგრატიონთა დინასტია (გვ. 34—37); საქართველოს მოკლე ისტორია X—XII სს-ში. დავით აღმაშენებელი (გვ. 38—46); თამარის საუკუნე (1184—1212, sic, გვ. 47—53); საქართველოს დაყოფა რამოდენიმე დამოუკიდებელ სამეფოდ XIII—XVII სს-ში (გვ. 54—65); მეფე ვახტანგ VI (გვ. 66—74); საქართველო-რუსეთის ურთიერთობა XVI—XVII სს-ში (გვ. 75 — 84).

თავი რომ დავანებოთ, საქართველოს პოლიტიკური ისტორიის ამგვარი პერიოდიზაციის მცდარობაზე საუბარს, თვით მასალაც ვერაა მარჯვედ და სრულად გადმოცემული. აქ აბსოლუტურად იგნორირებულია საქართველო-რომის ურთიერთობა, ერთი სიტყვითაც არაა საუბარი იმ განმათავისუფლებელ ბრძოლაზე, ქართველობა რომ ეწეოდა რომაელთა აგრესიის წინააღმდეგ, არაფერია ნათქვამი კოლხეთის ისტორიაზე. ასევე თითქმის მთლიანადაა გამოტოვებული XIV—XV სს. საქართველოს ისტორია, თუმცაღა VIII თავი თითქოს გულისხმობს კიდეც მის გადმოცემას. ამრიგად, ნარკვევი საქართველოს პოლიტიკური ისტორიის მხოლოდ მნიშვნელოვან ფაქტთა აღნუსხვას შეიცავს და იმასაც ძალზე მოკლედ და შეკვეცილად გადმოგვცემს. მაგრამ ამ მნიშვნელოვან ხარვეზთა მიუხედავად, ა. ხახანაშვილის „ისტორია" მაინც გარკვეულ წარმო-

---

[77] როგორც ზემოთ აღვნიშნეთ (გვ. 136), მცხეთის მამასახლისის გაიგივება რომაულ „პატერ ფამილიასთან" ყოელად დაუშვებელია.

დგენას იძლევა საქართველოს ისტორიისას უძველესი ხანებიდან ვიდრე XX ს.დამდეგამდე.

ძველი ისტორიის დარგში ჩვენ ყურადღებას იქცევს ავტორის მსჯელობა ქართველ ტომთა თაობაზე. ეს უკანასკნელნი ცალკეულ თემებში იყვნენ გაერთიანებულნი და თემის მამასახლისებს („პატერ ფამილიას", sic, გვ. 13) ემორჩილებოდნენ. ერთ-ერთი ასეთი მამასახლისის ძმის შვილი იყო ფარნავაზი, რომელიც ალექსანდრე მაკედონელის თანამედროვეა და რომელიც აჯანყების მეოხებით საქართველოდან აძევებს ბერძენ აზოს და უცხო დამპყრობელთა ბატონობისაგან სამშობლოს გამოხსნისათვის მას მეფედ ირჩევენ. ფარნავაზი ხდება ფარნავაზიანთა დინასტიის დამაარსებელი.

ალექსანდრესა და აზოს შესახებ მოთხრობა აგებულია „ქართლის ცხოვრების" ცნობებზე, მაგრამ ქართველ ტომთა ამის უწინარესი ამბები გადმოცემულია იმჟამად ორიენტალისტიკაში გაბატონებული თვალსაზრისის მიხედვით. ანტიკური ისტორიოგრაფიის მონაცემებს (სტრაბონი) ემყარება ავტორის ცნობები ქართული სახელმწიფოებრიობის ისტორიიდან. ალ. ხახანაშვილი მიუთითებს, რომ ჯერ კიდევ ძველი წელთაღრიცხვის 1 ს-ში საქართველოში ჩამოყალიბებული ყოფილა მოქალაქეობის მყარი საფუძვლები: განვითარებულია ვაჭრობა, აღმართულია ციხე-კოშკები, აშენებენ ქალაქებს და ცივილიზებულ ქვეყანაში ჩნდება სამხელეო და წოდებრივი ორგანიზაციები. ამ დროს აქ სახელმწიფოებრიობა სუფევს.

ძველი დროის ყველაზე პროგრესული მოვლენა საქართველოში ქრისტიანობას უკავშირდება. „ქრისტიანულმა სწავლებამ, — აღნიშნავს იგი, — მძლავრი ბერკეტის როლი შეასრულა საქართველოს განვითარებაში. მან მოწყვიტა საქართველო აღმოსავლეთის წარმართობის განსაკუთრებულ გავლენისაგან და წარმართა მისი მსვლელობა, დასავლეთის, სახელდობრ, ბიზანტიის ქველმოქმედებითი ზეგავლენისაკენ"[78]". ქართველობამ ქრისტიანობა IV ს. დასაწყისში მიიღო ბიზანტიიდან ქართველი ქალის ნინოს მიერ[79] მირიანის მეფობის დროს. მაგრამ ბიზანტიასთან ურთიერთობას საქართველოსათვის უარყოფითი მნიშვნელობაც ჰქონდა. ბიზანტი-

---

[78] А. С. Хаханов. Грузия. Исторический очерк. «Русский архив», № 2, 1899, გვ. 163.

[79] А. С. Хаханов. დასახ. ნაშრ., გვ. 162.

ის იმპერატორთა პოლიტიკა გულისხმობდა ქრისტიანობის პროპაგანდის საშუალებით ქართველთა სახელმწიფოებრიობის მოშლას, ეს გარემოება მხედველობიდან არ გამოპარვიათ ქართველ ბაგრატიონებს, მეტადრე დავით აღმაშენებელს, როდესაც ა. ხახანაშვილის სიტყვით „ქართულმა განათლებამ მიაღწია თავის აპოთეოზს“[80]. ეს პოლიტიკურ-კულტურული ტრიუმფი გრძელდება შემდგომშიაც და თავის აყვავებას აღწევს მეფე თამარის ხანაში, რომელსაც „ოქროს საუკუნე“ ეწოდება. XIII—XIV სს-ში საქართველო შინა (მიწათმფლობელი არისტოკრატიის—არაგვის, ქსნის ერისთავთა და მაჩაბელთა)[81] და საგარეო ფაქტორთა გამო სამ სამეფოდ (ქართლი, კახეთი, იმერეთი) და ხუთ სამთავროდ (გურია, სამეგრელო, აფხაზეთი, სვანეთი, სამცხე) დანაწილდა (1469). საქართველოს პოლიტიკურმა მოუწყობლობამ, რაც ნაკარნახევი იყო მის რამდენიმე დამოუკიდებელ ერთეულად დაყოფასთან, გაუხსნა თავისუფალი გზა სპარსეთსა და თურქეთს თარეშისათვის. მეტადრე კონსტანტინეპოლის დაცემის დღიდან საქართველომ, გარემოცულმა მტრული მუსლიმანური სახელმწიფოებით, მიაპყრო თავისი მზერა მოსკოვს და XV ს. ბოლოდან იწყებს პოლიტიკურ ურთიერთობას რუსეთთან, რაც დაგვირგვინდა ისტორიული ტრაქტატით, რომლის ძალით საქართველო რუსეთს შეუერთდა, ხოლო 1800 წლიდან მოიშალა მისი სახელმწიფოებრიობაც.

ა. ხახანაშვილის „ისტორია“, როგორც ვხედავთ, მართლაც შეიცავს მეტად საინტერესო მსჯელობებს ჩვენი ისტორიული წარსულის საკითხებზე, რაც განასხვავებს მას თავის წინამორბედთა შეხედულებებისაგან. ამასთან, ნიშანდობლივია ავტორის მოსაზრება ქართული სახელმწიფოებრიობის პოლიტიკური ბუნების შესახებ. თავის „გუჯრებში“[82] კატეგორიულად უარყოფს საქართველოში ფეოდალური მონარქიის არსებობას (გვ. XII—XXXI) და მიაჩნია, რომ ჩვენში „მეფის უფლება არ იყო განუსაზღვრელი, იგი იყო შებოჭილი საჭვდელო და საერო მთავართა გავლენით“ (გვ. XXIII). „საქართველოს ფეოდალიზმის ისტორიაში, — განაგრძობს იგი, — მოჩანს კვალი იმ წეს-წყობილებისა, რომელიც სარჩულად დაედო პარლამენტარულ მმართველობას“ (გვ. XXIV).

---

[80] А. Хаханов. К столетию присоединения Грузии к России. «Русская мысль», кн. I, 1900, с. 112.

[81] ა. ხახანაშვილი. გუჯრები. ქუთაისი, 1891, გვ. XVI.

[82] ა. ხახანაშვილი. დასახ. ნაშრ., შესავალი წერილი.

თუ, ერთი მხრივ, შეიძლებოდა გაგვეზიარა ავტორის შეხედულება გარკვეულ პერიოდებში საქართველოში მეფეთა უფლების შეზღუდულობის თაობაზე, მეორე მხრივ, ყოვლად დაუშვებელია დავთანხმებოდით ა. ხახანაშვილს, კონკრეტულად, ბაგრატ III-ს, დავით აღმაშენებელის, გიორგი III-ის, თამარისა და ერეკლე II-ის მეფობათა ხანაში შეუზღუდველი მონარქიის არარსებობის იდეაზე. ამაზე, როგორც ჩანს, უფიქრია ჩვენ ავტორს და უკვე 1900 წლიდან გარკვეულად დაპირისპირებია თავისსავე შეხედულებას. ამიერიდან იგი საკმაოდ ფრთხილად აღნიშნავს საქართველოში ფეოდალური მონარქიის არსებობას[83].

ფეოდალიზმი, ა. ხახანაშვილის აზრით, საქართველოში ერთ-ერთი უძველესი ინსტიტუტთაგანია. მისი სიტყვით: „აქ ჯერ კიდევ პატივსა სცემენ უძველესი წარსულიდან მომდინარე პატრიარქატის ნიშნებსა და ფეოდალურ წარმოდგენებს, წერილობით ძეგლებში რომ აირეკლა. პატრიარქატის ნიშნებმა შემოინახა თავისი თავი უძველეს ჩვეულებით სამართალსა და საქორწინო წეს-ჩვეულებებში"[84].

აქ თითქოს აღიარებულია უძველეს ხანებში „პატრიარქატისა (პირველყოფილთემური წყობილებისა) და „ფეოდალიზმის" (კლასობრივი საზოგადოების) არსებობა, თუმცა არა იმგვარი გაგებით, როგორც ეს ს. ბარათაშვილს ჰქონდა წარმოდგენილი. ა. ხახანაშვილთან საუბარია უკვე უძველეს ხანებში ფეოდალური წყობილების არსებობაზე.

ა. ხახანაშვილით ვასრულებთ ჩვენ მიმოხილვას აღნიშნულ პრობლემაზე. XIX ს. მეორე ნახევრის ქართულმა ისტორიოგრაფიამ პოლიტიკური ისტორიის შესწავლის ხაზით მაღალ დონეს მიაღწია. მან მრავალი საინტერესო ფურცელი გადაგვიშალა თვალწინ და ნათლად დაგვანახვა ავტორთა აზრების სხვადასხვაობა, მსჯელობათა ნაირფეროვნება, არგუმენტაციათა ძალა და სხვ. მართალია, საქართველოს პოლიტიკური ისტორიის საკითხთა კვლევა-ძიებას ამით წერტილი არ დაესვა და მრავალი პრობლემის გაშუქება-გადაწყვეტა თანამედროვე ქართულ საბჭოთა ისტორიოგრაფიას ხვდა წილად, მაგრამ რისი გაკეთებაც შეძლეს ჩვენმა წინაპრებმა, ისიც მნიშვნელობას მოკლებული არაა.

---

[83] А. С. Хаханов. Грузия... с. 167. მისივე. К столетию... с. 114; მისივე. Борьба из-за грузинского престола. «Журнал для всех», № 4. 1902, с. 464; მისივე. Политическое и культурное состояние Грузии с XIII до XVIII в., «На Кавказе» № 3, 1909, с. 328.

[84] А. Хаханов. Задачи Кавказоведения. «Новое обозрение», № 6321, 1903, с. 2.

მ ე ხ უ თ ე თ ა ვ ი

ძველი საქართველოს სოციალური ისტორიის პრობლემები XIX ს. ქართულ ისტორიოგრაფიაში

XIX ს. შუა ხანებში (40-იანი წლები) ისტორიკოსთა განსაკუთრებული ყურადღების საგნად იქცა პირველყოფილი საზოგადოების სოციალური წყობილების პრობლემა. დაახლოებით ამავე ხანებში (თუ ცოტა უფრო ადრე არა) ქართულმა ისტორიოგრაფიამაც მოჰკიდა ხელი ამ საკითხების კვლევა-ძიებას.

ჩვენ ისტორიოგრაფიაში, ისევე როგორც მის თანადროულ რუსულ და დასავლეთევროპულ ისტორიოგრაფიებში, მარქსიზმის აღმოცენებამდე და ლუის მორგანის (1818—1881) ბრწყინვალე გამოკვლევის („ძველი საზოგადოება", 1877) გამოქვეყნებამდე გაურკვეველი რჩებოდა გვაროვნული წყობილების ბუნების პრობლემა[1]. ქართველ ისტორიკოსებს არა ჰქონდათ სწორი, მეცნიერული წარმოდგენა თემის, გვარისა და ტომის შინაარსზე. ცხადია, მათთვის სავსებით გაუგებარი იყო ამ სოციალურ უჯრედთა ურთიერთმიმართების საკითხიც, თუმცა აღნიშნული ტერმინოლოგიით ხშირად სარგებლობდნენ. ქართულ ისტორიოგრაფიას არ გააჩნდა აგრეთვე ზუსტი დეფინიცია პირველყოფილი საზოგადოების სოციალურ ტერმინოლოგიაზე, რის გამოც მის აღსანიშნავად სხვადასხვა სახელწოდებებს იყენებდნენ (თემი, ფამილია, გვარი, ტომი და სხვ.).

თანამედროვე საბჭოთა ისტორიოგრაფიაში ფრიად ვრცელი ლიტერატურა არსებობს პირველყოფილი საზოგადოების ისტორიის პრობლემათა შესახებ[2]. გამორკვეულია, რომ გვაროვნული

---

[1] ფ. ე ნ გ ე ლ ს ი. ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა, სახელგამი, 1953, გვ. 137, 236. შდრ. M. O. К о с в е н. Этнография и история Кавказа. М., 1961, с. 22.

[2] Ю. И. С е м е н о в. Как возникло человечество. М., 1966; Его же. Происхождение брака и семьи. М., 1974.

წყობილება პირველყოფილი საზოგადოების ადრეულ პერიოდს განეკუთვნება, რომლის სოციალურ უჯრედს გვაროვნული თემი წარმოადგენს, ხოლო მისივე გვიანდელი ხანა განიხილება როგორც გვარის დაცემის, მისი რღვევის პერიოდი, როგორც გარდამავალი საფეხური უკლასოდან კლასობრივ საზოგადოებისაკენ, რომელსაც სამეზობლო, ანუ ტერიტორიული თემი ეწოდება. გვაროვნული წყობილების რღვევის პერიოდში ჩნდება „დიდი პატრიარქალური ოჯახი"[3], ხოლო კლასობრივ საზოგადოებაში კი „მცირე ოჯახი", „ინდივიდუალური ოჯახი".

ქართულ საბჭოთა ისტორიულ მეცნიერებაში წინაფეოდალური ხანის საქართველოს სოციალური ისტორიის ისტორიოგრაფიული საკითხები სავსებით შეუსწავლელი თემაა. ამ პრობლემისადმი ყურადღების გაუმახვილებლობამ შექმნა არასწორი და მცდარი შეხედულება, თითქოს XIX ს. ქართულ ისტორიოგრაფიას სრულიად არ იზიდავდა ან არ აინტერესებდა საზოგადოებრივი ყოფის ესოდენ რთული და მრავალმხრივი პრობლემების კვლევა-ძიება.

ქართულ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში აქა-იქ ყრუდ გაისმის ხოლმე მკვლევართა ერთგვარი შეუფასებლობა XIX ს. ისტორიკოსებისა სოციალური ისტორიის საკითხებისადმი მათი თითქოსდა უარყოფითი დამოკიდებულების გამო[3ᵃ]. მაგრამ ხაზგასმით უნდა შევნიშნოთ, რომ აღნიშნული ხანის ქართული ისტორიოგრაფიის ჩვენ ხელთ არსებული მასალები პირველყოფილთემური წყობილებისა და ფეოდალური ხანის საქართველოს ისტორიის შესახებ არსებითად არღვევს ამგვარ მცდარ შეხედულებას და ამ სფეროში წარმატებითი მუშაობის პერსპექტივებს უსახავს მკვლევარს.

ქართულ საზოგადოებრივ ურთიერთობათა ფორმების შესწავლა XIX ს. ისტორიოგრაფიაში იმითაც იყო ნაკარნახევი, რომ საქართველოს მთიანეთს იმჟამად გადმონაშთების სახით შემორჩენილი ჰქონდა გვაროვნული წყობილების რღვევის საფეხურისათვის დამახასიათებელი ცალკეული ნიშნები. ამიტომ, ბუნებრივია, რომ სოციალური ისტორიის ფორმათა პრობლემების შესწავლამ XIX ს. ქართულ ისტორიოგრაფიაში იმთავითვე განსაკუთრებული ადგილი დაიკავა.

ცხადია, თავდაპირველად, ჩვენ ისტორიოგრაფიაში ადგილი

---

[3] Е. Г. Кагаров. Энгельс и проблема римского рода. «Вопросы истории доклассового общества. М.-Л., 1936, с. 619—646; И. А. Немировский. История... с. 94, 133.

[3ᵃ] ა. ბოგვერაძე. ქართლის ადრეფეოდალური საზოგადოებრივი ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1961, გვ. 5.

აქვს ფაქტების უბრალო აღნიშვნას, საკითხის ცალმხრივ და ზედაპირულ გაშუქებას, წყაროთა უკომენტაროდ დატოვებას, თუმცა შედარებით ადრე იწყება საზოგადოებრივ ფორმათა არსებობის აღწერა, მათი შესაბამისი დახასიათება, სოციალური დიფერენციაციის წარმომშობ მიზეზთა ძიება და სხვ.

წინაფეოდალური ხანის საქართველოს სოციალური ისტორიის საკითხებს ყურადღება მიაქცია ქართულმა თავადაზნაურულმა ისტორიოგრაფიამ, კერძოდ, პეტერბურგის ბაგრატიონთა ისტორიულ-ლიტერატურულმა წრემ.

პეტერბურგის ქართველ მოღვაწეთა მსოფლმხედველობა, როგორც აღინიშნა, ძირითადად ემყარებოდა XVII—XVIII სს. ქართველ მეცნიერთა და მწერალთა შრომებს; მათ შორის ყველაზე მეტად ვახუშტის შემოქმედებას, რომელთაც გარკვეული მიმართულება და ხასიათი მისცეს ბაგრატიონების საისტორიო მუშაობას როგორც მეთოდის, ისე შინაარსის მხრივ. ქართველ ისტორიკოსთა ყურადღებას მეტნაკლებად იქცევდა: მეფობამდელი წყობილების, სახელმწიფოს წარმოშობის პირობებისა და მიზეზების და წოდებათა გაჩენის პრობლემების კვლევა-ძიება. ამ მხრივ ქართველი ხალხის წარსულის შესასწავლად ჩვენ ისტორიკოსთა მრავალი თაობა მოღვაწეობდა, ხოლო მათი შემოქმედების მეცნიერული შეფასება თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფიის გადაუდებელი ამოცანაა.

XIX ს. ზოგიერთი ქართველი ისტორიკოსი საქართველოში სახელმწიფოს წარმოშობას ე. წ. პატრიარქალური თეორიის ნიადაგზე ხსნიდა. ეს თეორია, როგორც ცნობილია, ძველაღმოსავლური (ბიბლიური) და ანტიკური (რომაული) ხანიდან დაწყებული, უძველეს იდეალისტურ მოძღვრებას წარმოადგენს სახელმწიფოს წარმოშობის შესახებ, რომლის მიხედვით, კლასობრივი საზოგადოება აღმოცენდა ინდივიდუალური ოჯახისა და გვარის ბუნებრივი ზრდის საფუძველზე. სახელმწიფო ხელისუფლება ოჯახის უფროსის — პატრიარქის — განუსაზღვრელი უფლების ბუნებრივი განვითარების შედეგია, რომლის ხელთაა აგრეთვე კერძო საკუთრება. მართალია, გასული საუკუნის 60-იან წლებში ამ თეორიას დაუპირისპირდა მატრიარქალური თეორია, რომელმაც მას სასტიკი ლახვარი ჩასცა, განსაკუთრებით ფ. ენგელსის ნაშრომის გამოქვეყნების დროიდან („ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა"), მაგრამ პატრიარქალური თეორია 90-იანი წლებიდან მაინც იწყებს განვითარებას. ამასთან, ხაზგასმით უნდა აღინიშ-

ნოს, რომ XIX ს. ქართველი ისტორიკოსები, რომლებიც სახელმწიფოს წარმოშობის პატრიარქალური თეორიის ნიადაგზე იდგნენ, აღიარებდნენ ჩვენში გვაროვნული წყობილების არსებობის იდეას, როგორც გარკვეული პერიოდის პოლიტიკურ მოვლენას, თუმცა იზიარებდნენ, რომ ამ ხანის სოციალურ ჩანასახს ინდივიდუალური ოჯახი წარმოადგენდა და რომ მას სათავეში მამაკაცი ედგა. მაშასადამე, აღნიშნული ხანის ქართველი ისტორიკოსები არ განსხვავდებოდნენ მათი თანამედროვე დასავლეთევროპული ისტორიოგრაფებისაგან პირველყოფილთემური წყობილების აღიარებაში, მისი, როგორც პოლიტიკური პერიოდის გაგებაში; ქართველი ისტორიკოსები ერთი გამონაკლისის გარდა იზიარებდნენ აგრეთვე იმ თვალსაზრისსაც, რომ გვაროვნული წყობილება იმთავითვე აშენებული იყო პატრიარქალურ წესზე და არა მატრიარქალურზე.

XIX ს. პირველი ნახევრის ქართული რომანტიკული ისტორიოგრაფიის თვალსაჩინო წარმომადგენელია დ. ბატონიშვილი. სათანადო სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს საინტერესო ცდა დავითის ეკონომიკურ შეხედულებათა გარჩევისა. კერძოდ, ს. ბერაძემ სპეციალური გამოკვლევა მიუძღვნა დავითისა და მისი ძმების ეკონომიურ შეხედულებებს და საკმარისი საბუთიანობით აჩვენა მათი თეორიის კონსერვატიული და რეაქციული ბუნება, რამდენადაც ისინი განწირულ კლასს თავადაზნაურობას, ემყარებოდნენ[4]. სამწუხაროდ, ს. ბერაძის ნაშრომში ყურადღება არ ექცევა ბატონიშვილთა შეხედულებების განვითარებას წინაფეოდალური ხანის საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ საკითხთა შესახებ. ამდენად, ეს საკითხი ჩვენ ისტორიოგრაფიაში აბსოლუტურად შეუსწავლელია, მაშინ როდესაც მათი კონცეფცია უძველესი ხანის საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ წყობილებაზე ისტორიული თვალსაზრისით ძალზე საინტერესოა.

დავით ბაგრატიონის „История Грузии", მოგვითხრობს საქართველოს ისტორიას უძველესი ხანებიდან ვიდრე რუსთა მმართველობის დაწყებამდე.

ავტორი თავის ნაშრომს ორ ძირითად ნაწილად ყოფს, კერძოდ, ე. წ. „მამასახლისობის ხანის საქართველოდ" და შესაბამისად „მეფობის ხანის საქართველოდ". ჩვენი აზრით, საქართველოს ისტო-

---

[4] ს. ბ ე რ ა ძ ე. ქართული ეკონომიური აზრის ისტორიის საკითხები მე-19 საუკუნის დამდეგს. ეკონომიკის ინსტიტუტის შრომები. ტ. VI, თბ., 1950, გვ. 379—406.

რიის ამგვარი პერიოდიზაცია არ საჭიროებს კრიტიკას. ცხადია, რომ იგი მეტისმეტად პირობითია. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ საქართველოს ისტორიის ამ დაყოფამ გზა გაიკვლია მომდევნო ხანის ლიტერატურაში და მკვლევართა უმრავლესობამ გაიზიარა იგი. თავის მხრივ, დავითის პერიოდიზაცია არსებითად „ქართლის ცხოვრების" ცნობებზეა დამყარებული.

„ქართველთა ისტორია საერთოდ, — აღნიშნავს დავითი, — ორ პერიოდად იყოფა, რომელთაგან პირველში საქართველო აღწერილია იმ მმართველობის ქვეშ, რომელიც ამოსარჩევი იყო ერთი უძველესი და უძლიერესი გვარის კაცისაგან, და რომელსაც მამასახლისი ეწოდებოდა, რაც ქართულ ენაზე სახლის უფროსს ნიშნავს, და, მაშასადამე, მეფის მოუხსენებლობით. მეორე პერიოდი შეიცავს თავისში იმ საქმეთა აღწერას, რომელსაც ეწეოდნენ მეფეები. ისინი მომდინარეობენ ოთხი თაობისაგან: ფარნავაზიანთაგან, არშაკუნიანთაგან, ხოსროიანთაგან და ბაგრატიონთაგან"[5].

მოტანილი ამონაწერიდან ჩანს, რომ დ. ბაგრატიონისათვის ცნობილი ყოფილა მარტოოდენ ორი საფეხური საზოგადოებრივი განვითარებისა. უმეფო, ანუ მამასახლისობითი, რომელსაც იგი მეტად საგულისხმო ტერმინს „ერისა საზოგადოობას" (ხალხის, ანუ სახალხო მმართველობას) უწოდებს[6], როდესაც ადგილი აქვს მამასახლისთა გამგებლობას და „მეფურ", „მეფობით" მმართველობას, როდესაც სახელმწიფოს სათავეში მეფე დგას. როგორც დავინახეთ, ეს კლასობრივი საზოგადოება ფეოდალურია, იგი აშკარად განასხვავებს გვაროვნულ საზოგადოებას სახელმწიფოსაგან. მისი აზრით, მამასახლისობის საუწყებო წინ უსწრებდა მეფობის ინსტიტუტს. მეფობა კი, დავითის შეხედულებით, სახელმწიფოს გაჩენასთანაა მჭიდროდ დაკავშირებული. ამიტომ დავით ბატონიშვილს უფლება ჰქონდა ეფიქრა, რომ მამასახლისობა, ანუ სახალხო მმართველობა უმეფო ხანის ინსტიტუტია, რომელიც, ამასთან, არჩევითი ხასიათის ორგანოა. მართალია, მამასახლისებს ირჩევდნენ „უძველეს და უძლიერეს" გვარეულობათაგან, მაგრამ, მათი არჩევა მაინც, როგორც ჩანს, ერთგვარ დემოკრატიულ პრინციპს ემყარებოდა. სამწუხაროდ, დავითი არსად არ მიუთითებს, თუ რა წყაროთი სარგებლობდა იგი ამ ნიშანდობლივი ცნობის მოტანისას, მაგრამ ეჭვს გარეშეა, რომ ბატონიშვილის ეს დასკვნა ემყარება საკუთრივ „ქართ-

---

[5] Д а в и д. Краткая история Грузии, СПб., 1805, с. 5.

[6] დ ა ვ ი თ ი, ნარკვევი, გვ., იდ.

ლის ცხოვრების“ ტექსტის ცნობას[7], ერთი მხრივ, ხოლო ფრანგ განმანათლებელთა პოლიტიკურ იდეებს, მეორე მხრივ[8]. მაგრამ ეს ცნობა თუნდაც რომ ემყარებოდეს დავითის დროის არსებულ ფაქტიურ ვითარებას, მაინც ფრიად საგულისხმოა, რადგან აქ აღიარებულია უძველესი ხანის საქართველოს მამასახლისთა (თანამედროვე ტერმინოლოგიით, ტომთა ბელადების) არჩევითობის პრინციპი[9]. აქაა ასახული სამეზობლო, ანუ ტერიტორიული თემების ხანა, კლასთა წარმოქმნის პერიოდი.

მამასახლისთა არჩევის დავითისეული ინტერპრეტაცია აგრეთვე იმ მოსაზრების სასარგებლოდ ლაპარაკობს, რომ ქართველი ბატონიშვილისათვის უცნობი არ იყო გვაროვნული წყობილება მისი ზოგიერთი დამახასიათებელი ნიშნებით. ხოლო იმქამად, ე. ი. XIX ს. დასაწყისისათვის ამ ისტორიული ფაქტის წყაროში დანახვა და მისი აღიარება დიდი მნიშვნელობის საქმეა. ამასთან, ეგევე გარემოება აშკარად გვანიშნებს ავტორის გარკვეულ დემოკრატიულ აზროვნებაზე, მის მიერ თავისუფალ იდეათა გამოთქმის შესაძლებლობაზე.

დ. ბატონიშვილი „ქართლის ცხოვრების“ ცნობათა მიხედვით გადმოგვცემს, რომ ქართლში პირველი მამასახლისი ქართლოსის უფროსი ვაჟიშვილი მცხეთოსი იყო, რომელიც ხალხზე განუსაზღვრელი და შეუზღუდავი უფლებით სარგებლობდა[10]. მამასახლისთა

---

[7] ქართლის ცხოვრება, ტ .I, თბ., 1955, გვ. 11.

[8] ჯერ კიდევ მ. სპინოზამ XVII ს-ში აღნიშნა, რომ ხალხის მმართველობა (დემოკრატია) კაცობრიობის უძველესი პოლიტიკური წყობილება უნდა იყოსო («Древнейшим порядком политического устройства»). ამასთან დაკავშრებით მ. კოვალევსკი წერს: «Через всю политическую литературу XVII века красной нитью проходит мысль, что в так называемом естественном состоянии, предшествующем по времени государству, народ сам ведал свои дела.., народ является источником власти монархов. Это учение продолжало жить и развиватья в течение всего XVIII-го века. Из сочинений теоретиков, в том числе Руссо, оно проникло в сочинения историков, как Мабли, и сделалось, так сказать, «ходячей доктриной». См. М. М. Ковалевский, Происхождение семьи, рода, племени, собственности, государства и религии. В книге «Итоги науки в теории и практике». т. X, М., 1914, с. 130.

[9] დავითი თავისი „საქართველოს სამართლისა და კანონთმცოდნეობის მიმოხილვის“ ერთ-ერთ მუხლში ლაპარაკობს სოფლის მამასახლისის ფუნქციებზე. იხ. დავით ბაგრატიონი, აპ. როგავას რედაქციით და გამოკვლევით, თბ., 1959, მუხლი. 171, გვ. 251.

[10] «Вверили ему (მცხეთოსს, ა. ბ.) полную власть над народом». Давид დასახ. ნაშრ., გვ. 19—20.

ამგვარი მმართველობა დიდი ხნის მანძილზე შთამომავლობით გადადიოდა ქართლოსიანთა შორის მამიდან უფროს ვაჟზე ვიდრე ალექსანდრე მაკედონელის დრომდე, როდესაც მოხდა მამასახლისთა ინსტიტუტის გაუქმება და მის ნაცვლად, გარეშე პოლიტიკური ძალის ჩარევის ნიადაგზე, ახალი ინსტიტუტის, კერძოდ, გუბერნატორის უწყების აღმოცენება, რომლის პირველი და უკანასკნელი წარმომადგენელი იაზონი იყო.

როგორც ვხედავთ, ფრიად ნიშანდობლივი ცნობები მოეპოვება ჩვენ ავტორს საძიებელ საკითხზე. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ დავითი თავისი დროისათვის გარკვეულ დემოკრატიზმს იჩენს მეფობამდელი წყობილების აღიარების საქმეში, იგი მაინც ამ პროგრესული მიმართულების ბოლომდე თანამიმდევრული და მეთოდური დამცველი არაა. მართალია, მან მიუთითა ქართლში მამასახლისთა არჩევითობის თაობაზე, მაგრამ, მისივე განცხადებით, ყველა მამასახლისი ერთი „უძველესი და უძლიერესი“ გვარისაგან უნდა არჩეულიყო განუსაზღვრელი უფლებით, რაც ჯერ ერთი, გულისხმობს, რომ დავითი პატრიარქალური თეორიის ნიადაგზე დგას, და მეორეც, ეს გარემოება თავისთავად ცხადია, ხსნის ბატონიშვილის მიერ ხალხის მასებიდან ასარჩევ კანდიდატთა შერჩევის პრინციპის აღიარებას, რასაც ადგილი ჰქონდა ძველ საბერძნეთსა და საქართველოშიც[11]. აქ გამომჟღავნდა დ. ბატონიშვილის ეკლექტიზმი და ტრადიციული კლასობრივი თვალსაზრისი ისტორიულ მოვლენათა ახსნის საკითხში. იგი პატრიარქალური თეორიის ნიადაგზე დგას, რომელიც ერთპიროვნული ხელისუფლების იმთავითობას აღიარებს.

შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ ეს კლასობრივი თვალსაზრისი წითელი ზოლივით გასდევს დავითის მთელ შემოქმედებას. ამ მხრივ ნიშანდობლივია მისი ცნობა: ქართლოსიანთა შორის ჩვეულებად იყო მიღებული, რომ დიდებული ვალდებულია ცოლად შეირთოს დიდებულისავე ქალიშვილი. საშუალო შეძლების ადამიანს ცოლად მოჰყავს მისი შესაფერისი მდგომარეობის ქალი, ხოლო ღარიბი მისი შესაძლებლობის მქონეს ირთავს[12]. მაშასადამე,

---

[11] ანტიკურ საბერძნეთს ჩვენ იმიტომ ვახსენებთ, რომ დავითის დროს ცნობილი არ იყო ძველაღმოსავლური საზოგადოებები, ხოლო თუ მაინცდამაინც საბერძნეთს ვუთითებთ და არა რომს, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ „ნარკვევში“ ავტორი იხსენიებს „ათენის რესპუბლიკას“ იხ. გვ. კბ.

[12] Д а в и д. დასახ. ნაშრ. გვ. 21. დ. ბაგრატიონს საზოგადოებრივი წყობილების ეს სურათი აღებული აქვს ვახუშტისაგან (იხ. ვახუშტი, საქართველოს... გვ. 3; ვახუშტი, გვ. 14—15), თუმცა ცხადია, ამით მისი ღირსება არა მცირდება.

აქაც სახეზეა დავითის კლასობრივი ტენდენცია. რით უნდა აიხსნას, თუ არა კლასობრივი კარჩაკეტილობით დავითის ცნობა სახელმწიფოებამდელ წყობილებაში, კერძოდ, მამასახლისთა ხანაში, ქართლის ტერიტორიაზე მდიდარ (პრივილეგირებულ) და ღარიბ (არაპრივილეგირებულ) ოჯახთა არსებობა? პასუხი აქ მხოლოდ ერთი შეიძლება იყოს — დავითის კონცეფციას კლასობრივი თვალსაზრისი უდევს საფუძვლად. ეგეევ გარემოება იმაზეც მიუთითებს, რომ დავითს კერძო საკუთრება იმთავითვე არსებულ მოვლენად ჰქონდა წარმოდგენილი. ამასთან, აღნიშნული გარემოება თითქოს იმასაც მოწმობს, რომ დავითი იბერიაში ერთგვარად კლასების არსებობასაც ამჩნევდა. ცხადია, აქ არაა კლასთა შორის არსებულ წინააღმდეგობათა აშკარა აღიარება, მაგრამ ყრუდ კი გაისმის კლასთა დაპირისპირების ტენდენცია.

თუ გვაროვნული წყობილების დავითისეული შეხედულება ავტორის გარკვეულ წარმოდგენათა ერთობლიობას ქმნის, ეგეევ არ შეიძლება ითქვას მის თვალსაზრისზე ქართლში სახელმწიფოს წარმოშობის შესახებ. ამ საკითხში დავითი არსებითად დამყარებულია „ქართლის ცხოვრების“ ტექსტის ცნობებზე, თუმცა მას გათვალისწინებული არა აქვს ფარნავაზის პატრონიმია, რაც ლეონტი მროველის აზრით, უმთავრესი პირობათაგანია ამ მეფის ქართული ჩამომავლობისა და მისი აღზევების გარკვევის საქმეში. ამის საწინააღმდეგოდ დავითს მთელი ყურადღება მიუქცევია ფარნავაზის დედაზე, რომლის სპარსული წარმომავლობა არაფერს მნიშვნელოვანს არ იძლევა ავტორის კონცეფციის სასარგებლოდ. ამიტომ იბერიაში კლასობრივი საზოგადოების ჩამოყალიბება დავითს ძალზე ნებისმიერად აქვს წარმოდგენილი. მას შემდეგ, რაც ფარნავაზი ეგრისის „განთქმული და ძლიერი ხელისუფალის“ ქუჯის დახმარებით იბერიიდან აძევებს იაზონს. იგი თავის თავს მეფედ აცხადებს და ამ დროიდან ხდება ფარნავაზიანთა მმართველი დინასტიის დამაარსებელი.

მარტოოდენ „ქართლის ცხოვრების“ ცნობათა გამოყენება იბერიაში სახელმწიფოს წარმოშობის პროცესის წარმოსაჩენად, რა თქმა უნდა, სასურველ შედეგს ვერ იძლევა. ამიტომ შემთხვევითი არაა, რომ დავითის ცნობები მეტად მწირი და ნაკლულია. მეფის უფლებისა და სახელმწიფოს წარმოშობის ამგვარი ახსნა დამახასიათებელია XVIII—XIX სს. ფეოდალური და ზოგიერთი ბურჟუაზიული ხანის ისტორიკოსისათვის და დავითი ამ მხრივ გამო-

ნაკლისი არაა. ეს ე. წ. „საერთო წესი“ ემყარება სახელმწიფოს წარმოშობის პატრიარქალურ თეორიას, რომლის მიხედვით, ოჯახია ის ძირითადი საზოგადოებრივი უჯრედი (ემბრიონი), რომლიდანაც აღმოცენდება სახელმწიფო. მაშასადამე, პირველყოფილი საზოგადოების წიაღში დაშვებულია სამეფო ხელისუფლების არსებობა.

ცხადია, საბჭოთა ისტორიოგრაფიას სადღეისოდ არ აკმაყოფილებს დ. ბაგრატიონის აღნიშნული წანამძღვრები იბერიის სახელმწიფოს აღმოცენებაზე. მაგრამ უაღრესად საყურადღებოა ის გარემოება, რომ XIX ს. ქართულ ისტორიოგრაფიაში მან პირველმა დასვა საკითხი, ქართველ ტომთა ისტორიის მაგალითზე, ხალხთა სოციალური განვითარების ორი პერიოდის არსებობაზე, უმეფო და მეფურ საზოგადოებებზე, ანუ თანამედროვე ტერმინოლოგიით, პირველყოფილთემურ და ფეოდალურ წყობილებათა თაობაზე.

იბერიის სახელმწიფოს წარმოშობას, დავითის აზრით, თან სდევს მთელი რიგი საზოგადოებრივი მოვლენებისა. არსებითად ეს გამოიხატა მეფის მიერ ექვსი (მაშინ, როდესაც ლეონტი მროველი ლაპარაკობს რვა ერისთავისა და ერთ სპასპეტზე) საერო საუწყებოს დაარსებაში: ერისთავთა, დიდებულთა, აზნაურთა, ვაჭართა, დიდებულებისა და აზნაურების მოხელეთა და სოფლელთა სახით. ამათ გარდა, ფარნავაზმა შექმნა მოხელეთა მთელი იერარქია, რომელთაგან პირველია პროკურორი, ხოლო, მას მისდევენ მოსამართლეები, გუბერნატორები და მმართველნი.

აქ ჩამოთვლილი თანამდებობის პირნი, რა თქმა უნდა, ისტორიულად სინამდვილეს შეეფერებიან. მართლაც, როგორც ამჟამად არმაზის ბილინგვიდან გახდა ცნობილი, შედარებით მოგვიანო ხანის იბერიაში არსებობდა საკმაოდ მწყობრი სახელმწიფოებრივი სისტემა სამოხელეო თანამდებობათა და გავლენიან პირთა ერთგვარი იერარქიის სახით[13]. რაც შეეხება გუბერნატორს, მისი უწყება დავითს, როგორც ჩანს, ესმის ერისთავის მნიშვნელობით და მისი იდენტურობით, თუმცა ტერმინოლოგიას იგი თავისი დროისას ხმარობს და მის მოდერნიზებას ახდენს.

იბერიაში ამგვარი ფართო მასშტაბის სამმართველო სისტემა თავისთავად აყენებს დიდმოხელეთა არსებობის საკითხსაც. დავითი

---

[13] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი. არმაზის ბილინგვა. „ენიმკის“ მოამბე ტ. XIII, თბ., 1943.

დარწმუნებულია, რომ სამეფო კარზე ადგილი ჰქონდა: „გოფმარშალის, ობერკამერგერის, სტალმეისტერის, ცერემონიმეისტერის, კაბინეტის მმართველის, ადიუტანტების, სახელმწიფო ხაზინადარის, შენკის, გოფ-ინტენდანტის, შტატს-მდივნებისა და პოლიცმეისტერთა“ არსებობას (34).

ფარნავაზი, დავითის სიტყვით, არც სამხედრო უწყებას ივიწყებს. მას შეუქმნია „ფელდმარშალი, გენერლები, ბრიგადირები, ათისთავნი, ხუთასისთავნი, ასისთავნი, ორმოცდაათისთავნი, ათეულნი და ეფრეიტორნი“ (34—35). დავითმა არც ის 200 იტალიელი დაივიწყა, რომელიც მან ტყვედ იგდო იაზონის წინააღმდეგ გამართულ ბრძოლაში და მათთვის მიწების კერძო საკუთრებაში გადაცემის გარდა, სხვა შეღავათებიც არგუნა, კერძოდ, აზნაურთა მსგავსი უფლება მიანიჭა. აქედან წარმომდგარა, გვაუწყებს დავითი, „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, აზნაურთა სახელწოდება, რადგან ისინი იაზონს ეკუთვნოდნენო.

დ. ბატონიშვილის აქ აღნიშნული საზოგადოებრივი შეხედულებანი, როგორც ვხედავთ, ძალზე საინტერესოა და ახალ ფურცლებს შლის ავტორის საყურადღებო კონცეფციის გასათვალისწინებლად. ქართულ ისტორიოგრაფიაში დიდი მნიშვნელობის ფაქტია სოფლელებზე, ე. ი. გლეხებზე ლაპარაკი. ფარნავაზის სოციალურ-პოლიტიკური საქმიანობის იმ თავისებური და ლეონტი მროველისაგან საგრძნობლად განსხვავებული ინსტიტუტების ჩამოყალიბებასთან ერთად, დავითი აღნიშნავს მატერიალური დოვლათის მწარმოებელთა კლასის წარმოშობასაც. დავითი სავსებით მართებულ დებულებას გამოთქვამს, როდესაც აღნიშნავს, რომ გლეხობა სახელმწიფო ხელისუფლებისთვისაა, ე. ი. კლასობრივი საზოგადოებისთვისაა დამახასიათებელი. სოციალური თვალსაზრისით გლეხობა როგორც კლასი XIX ს. ქართულ ისტორიოგრაფიაში პირველად დავით ბატონიშვილთანაა მოხსენიებული. შესაწყნარებელია, ამასთან, დავითის საუბარი საქართველოში პირველყოფილთემური წყობილების შესახებ, თუმცა იგი ცდება, როდესაც თვლის, რომ მამასახლისობა ჩვენში შთამომავლობითი, ერთპიროვნული და შეუზღუდველი უწყება იყო. მიუღებელია დავითის შეხედულება წინაკლასობრივი საზოგადოების წიაღში მდიდარი ოჯახებისა და კერძო საკუთრების არსებობაზე. შეუწყნარებელია აგრეთვე ის სოციალური ტერმინოლოგია, რაც ახასიათებს ფეოდალურ წყობილებას და, რაც მექანიკურად გადააქვს დავითს უკლასო

თუ კლასობრივ საზოგადოებაზე, თუმცა, ცხადია, რომ მისთვის ეს წყობა ცნობილია[14].

ამ მასალებით ამოიწურება დავითის შეხედულებანი ქართველ ტომთა საზოგადოებრივ განვითარებაზე პირველყოფილთემური წყობილებისა და ფეოდალური ხანის საქართველოში. უნდა ითქვას, რომ დავითის მიერ თავმოყრილი მასალა იმდენად კარგადაა დამუშავებული, რომ იმჟამინდელი ისტორიული მეცნიერების დონეზე დგას; ხოლო გვაროვნული წყობილების, როგორც გარკვეული საზოგადოებრივი პერიოდის აღიარებით კი, ჩვენი ავტორი პროგრესულ იდეას ანვითარებს. ამრიგად, დავითმა საფუძველი ჩაუყარა სოციალური ისტორიის საკითხების შესწავლის საქმეს ქართულ ისტორიოგრაფიაში და პირველი, მეტად გაბედული ნაბიჯები გადადგა ამ მიმართულებით.

დ. ბატონიშვილის ნაშრომის დასტამბვის შემდეგ არ გასულა დიდი დრო და პეტერბურგში 1814 წელს ქვეყნდება ახალი თხზულება საქართველოს ისტორიიდან, სათაურით: «Обозрение истории грузинского народа». ეს ნაშრომი ეკუთვნის დავითის ბიძას ვახტანგ ბაგრატიონს. ვახტანგის აღნიშნული ნაწარმოები მეტად დაბალ დონეზე დგას. ესაა ერთობ კომპილაციური ნარატიული ხასიათის ქრონიკა საქართველოს ისტორიაზე, თუმცა სათაურის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ავტორის მიზანი ძალზე პრეტენზიულია. ამ სუსტ საისტორიო ნაწარმოებში ძველი საქართველოს სოციალურ ურთიერთობათა საკითხებს ფრიად მცირე ადგილი ეთმობა. ამ თვალსაზრისით ავტორის ყურადღებას იქცევს მარტოოდენ ქართლოსისა და ფარნავაზის მოღვაწეობის პატარა მონაკვეთზე შეჩერება, რაც არაფერს ახალს არ შეიცავს დავითის შემოქმედებასთან შედარებით. შეიძლება თამამად ითქვას, რომ ვ. ბატონიშვილის სახით ჩვენ გვაქვს საქმე არა ისტორიკოსთან, რომლის მიზანს შეადგენდა საქართველოს მდიდარი წარსულის მეცნიერული შესწავლა, არამედ დილეტანტ-კომპილატორთან.

ვახტანგის საისტორიო ნაწარმოებს „ქართველი ხალხის ისტორიის მიმოხილვა“ ეწოდება, თუმცა „ხალხის“ ისტორია აქ აბსოლუტურად იგნორირებულია და შეიცავს მეფეთა ცხოვრების მცი-

---

[14] ჩვენი მოსაზრების ანალოგიურია ივ. სურგულაძის სიტყვები, რომ „ვახტანგ და დავით ბაგრატიონები... ფარნავაზ მეფეს მიაწერენ ისეთი ინსტიტუტების შემოღებას, რომლებიც სინამდვილეში მხოლოდ გვიანფეოდალურ პერიოდში წარმოიშვნენ“. ივ. ს უ რ გ უ ლ ა ძ ე. სახელმწიფოს წარმოშობა საქართველოში, თბ., 1951, გვ. 14.

რე ქრონიკის გადმოცემას. იგი თავის ნაშრომს „ქართლის ცხოვრებისა“ და დავითის თხზულების სქემას უფარდებს და ჩვენი ქვეყნის წარსულს მათ მიხედვით ორ ნაწილად ყოფს — უმეფო და მეფურ პერიოდებად: „ქართლოსი იყო — აღნიშნავს იგი — მმართველი, ბელადი და სჯულმდებელი ქართველებისა“[15], ხოლო, რაც შეეხება ფარნავაზს: „...მან დაამარცხა აზონი და დაიპყრო სახელმწიფო (და) მიითვისა მანამდე იქ უცნობი სამეფო სახელწოდება“ (გვ. 6-7).

ეს ამონაწერები თავისთავად გვანიშნებენ, რომ ვახტანგის აზრით, ქართლოსის დროის იბერიაში მეფობა არ არსებობდა (2), ქვეყანა ბელადს ემორჩილებოდა და ეს უკანასკნელი სჯულმდებლის მოვალეობასაც ასრულებდა. საზოგადოებრივი განვითარების ვახტანგისეული აღწერა გულისხმობს პირველყოფილთემურ წყობილებას, მისი არსებობის უკანასკნელ საფეხურზე. მაგრამ ვახტანგის ცნობა ისე კი არ უნდა გავიგოთ, თითქოს იგი იცნობდა „სამხედრო დემოკრატიის“ ხანას ისტორიაში და ამდენად მისი თვალსაზრისი ისტორიის პროგრესულ გაგებამდე მიდიოდა, არამედ ავტორის წანამძღვრები, თავისთავად, სტიქიურად, სწორ თვალსაზრისს ემყარებოდნენ და ამიტომ შესაწყნარებელია. ამასთან, უნდა შევნიშნოთ, რომ ვახტანგი რიგიანად მაინც ვერ გარკვეულა გვაროვნული წყობილების ბუნებაში. თუ ვახტანგის მიხედვით, ქართველ ტომებში ამ საზოგადოებრივი წყობილების არსებობას დავუშვებდით, მაშინ გაუგებარი და აუხსნელია მისი ცნობა ფარნავაზის მიერ იაზონზე გამარჯვებისას ნათქვამი: „მან... დაიპყრო სახელმწიფო“ (6—7). ეს ტერმინი (სახელმწიფო) შემთხვევით ნათქვამი არაა: ამას ადასტურებს ვახტანგის სიტყვები, რომ ფარნავაზის აზრით: „საქართველო უნდა ეკუთვნოდეს მას, როგორც ქართლოსის ჩამომავალს, რომელმაც სახელმწიფო ხელისუფლება თავის გვარისათვის შექმნა“ (გვ. 6).

ვ. ბაგრატიონის ამ ცნობებიდან ირკვევა, რომ მისთვის სახელმწიფო იმთავითვე არსებული ინსტიტუტია, რომ ის არსებობს კლასთა წარმოშობამდეც, თუმცა იმგვარად, რომ სახელმწიფოს საათავეში მეფე კი არ ზის, არამედ ბელადი, სჯულმდებელი. აქ ვახტანგი წინააღმდეგობაში მოდის თავის თავთან, რაც გულისხმობს, რომ იგი არ აღიარებულა (ცხადია, არც შეეძლო ამაღლებულიყო) მეფობის წინამორბედ და მომდევნო ხანის საზოგადოებათა შორის არსებულ მკვეთრ განსხვავებათა გაგების დონემდე. ამასთან, ვახ-

[15] Грузинский царевич Вахтанг, Обозрение... зз. 1.

ტანვის მსჯელობა პირდაპირი საზღაურია იმჟამად არსებული პატრიარქალური თეორიისა.

ვახტანგ ბატონიშვილი საქართველოში სახელმწიფოს არსებობის აღიარებით (მას შემდეგ, რაც სახელმწიფოს მეფის ხელისუფლება განაგებს). ამ უკანასკნელს ფეოდალურ წყობილებად მიიჩნევს, თუმცა ამ ტერმინით არც ის სარგებლობს. მისი სიტყვით ფარნავაზმა: „შემოიტანა საქართველოში სათავადო და სააზნაურო წოდებანი შემდეგი მდგომარეობით: თავადი ეწოდებოდა მას, ვინც მომდინარეობდა ქართლოსისაგან და გააჩნდა თავის საკუთრებაში რაიმე ქალაქი და ციხესიმაგრე არამცირედი გლეხის ოდენობით; ამასთან, მას უნდა გაეწია მნიშვნელოვანი სამსახური სამშობლოსათვის. აზნაურს კი უნდა ჰქონოდა მრავალმოსახლოვანი სოფელი ციხესიმაგრითვე. ამათ გარეშე არავის არ შეეძლო თავისთვის ეწოდებინა თავადი და აზნაური“ (გვ. 7—8).

ფეოდალური სენიორიის ამაზე ზუსტი განსაზღვრა XIX ს. ქართულ ისტორიოგრაფიაში ჩვენ არ გვეგულება, თუმცა ვახტანგს ეს ცნობა წყაროს მიუთითებლად ვახუშტისაგან აქვს აღებული[16]. მაშასადამე, ყველაფრიდან ჩანს, რომ ვახტანგ ბაგრატიონი კომპილატორი მწიგნობარია, დავითთან შედარებით უფრო შეზღუდული და ვიწროდ მოაზროვნეც. იგი კიდევ უფრო მეტად განიცდის „ქართლის ცხოვრების“ გავლენას და მის ცნობათა ტყვეობაშია.

რაც შეეხება ქართველ ტომებში სოციალური უთანასწორობისა და წოდებათა წარმოშობის შესწავლის საქმეს, ვახტანგი ამ საკითხში დავითის უბრალო მიმბაძველია. მას არ მოეპოვება მეტნაკლებად ორიგინალური მოსაზრება ამ მხრივ, რაც ავტორის ნაშრომს, ისედაც სუსტს, სავსებით უმნიშვნელოსა ხდის. თხზულების არსებითი ნაკლი მაინც ისაა, რომ სოციალურ მოვლენებზე ყურადღების გამახვილებისას არა ჩანს მარტივი, ელემენტარული ისტორიული კრიტიკაც კი; აქ არაა ცდა სხვადასხვა წყაროთა ურთიერთშეპირისპირებისა, მათი შეჯერებისა და სხვა. დავითის გავლენით ვახტანგსაც გვიანფეოდალური ხანის საქართველოს სახელმწიფოში არსებული ფაქტიური ვითარება მექანიკურად გადააქვს უძველეს წარსულზე და, ცხადია, მეთოდურ-მეთოდოლოგიურ შეცდომებსაც უშვებს.

თუ დავით და ვახტანგ ბატონიშვილთა ნაშრომები საქართველოს ისტორიის დარგში ძირითადად „ქართლის ცხოვრების“

---

[16] ვ ა ხ უ შ ტ ი, საქართველოს... გვ. 6—7, ვახუშტი, გვ. 17—18.

ტექსტს ემყარებოდნენ, თუ მათში არა ჩანს ელემენტარული ცდა საქართველოს ისტორიის სქემის ახლებური გააზრებისა, ასეთ ბრალდებას ვერ წავუყენებთ ჩვენ მათი უმცროსი თანამედროვის, თეიმურაზის საისტორიო შემოქმედებას.

თეიმურაზის „ივერიის ისტორიაში" განსაკუთრებით გამოირჩევა ქართველ ტომებში პირველყოფილთემური წყობილების არსებობის საკითხი მისი განვითარების უკანასკნელ ეტაპზე. ამ მიმართულებით მან კიდევ ერთი გაბედული ნაბიჯი გადადგა პრობლემის კვლევა-ძიებაში. საყურადღებოა, რომ თანამედროვე ქართულ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში თეიმურაზის კონცეფცია ქართველ ტომებში გვაროვნული წყობილების წარმოშობის საკითხზე საკმარისი სისრულითაა გამორკვეული. კერძოდ, როგორც აღინიშნა, მას სხვადასხვა დროს შეხებიან ივ. ჯავახიშვილი, გ. სოსელია, შ. მესხია და ი. სურგულაძე.

თ. ბატონიშვილი ქართველ ტომთა საზოგადოებრივი განვითარების ორ ძირითად საფეხურს არჩევდა: „ორნი ვიდრემე არიან პირველიდგანვე ცვლილებანი საქართველოისა მმართებლობათაგანი. 1. ნამა-სახლისობითი, რომელ არს საზოგადო ერის-მმართებელობა. 2. მეფობითი, ესე იგი თვით-მპყრობელობითი" (გვ. 48).

დამოწმებულ წინადადებაში, როგორც ვხედავთ, გაზიარებულია XIX ს. პირველი ნახევრის ქართულ ისტორიოგრაფიაში მიღებული დებულება საქართველოს ისტორიის პერიოდიზაციაზე: უკლასო და კლასობრივ საზოგადოებებზე.

თეიმურაზის კონცეფცია წინაკლასობრივ საზოგადოებაზე შემდეგია: „ოდეს განმრავლდეს შთამომავალნი უმეტეს ქართლოსიანთანი, მაშინ საზოგადოობათა ერისათა გამოირჩივნეს და დაიდგინნეს თავისა მათისა ყოველთა თვითოეულთა კერძოთა და ადგილთა საქართველოსა მცხოვრებთაგან, რაოდენთამე სახლთა თვის თვისად მამასახლისნი; იგინი იყვნეს უფროსნი ერისა საზოგადოობასა შორის. საზოგადოობა ერისა თვით განაგებდა ყოველთა საჭიროებათა ქვეყანისა მათისა მმართებელობისასა, არა უვიდოდათ მათ მეფე, არცა მთავარი, მხოლოდ მამასახლისნი: მათ ხადიდენ მამად სახლთა თვისთა, პატივსა უყოფდენ და ჯეროვნად სმენდენ მათსა; არამედ ყოველსა ამას შინა ქვეყანასა ივერიისასა იყო უპირველესი სხვათა მამასახლისთა ზედა მამასახლისი მცხეთისა, ვინაიდგან მცხეთა იყო უპირველესი ქალაქი ქვეყანასა მის და ჟამითი ჟამად შეკრბებოდეს მცხეთელ მამასახლისსა თანა ყოველნი მამასახლისნი ყოვლისა მის ქვეყანისა და მათანავე რაოდენნიმე კაცნი, რომელ-

ნიცა თანა მიჰყვებოდეს, ვითარცა დეპუტატნი ერისაგან თვისისა თვითეულთა მამასახლისთა თვისთა და ესრეთ საზოგადოდ განიზრახვიდენ სარგებლობისათვის ქვეყანისა თვისისა: ხოლო მახლობელთაგან ადგილთა, სადაცა იქნებოდაყე შეკრებილება, ვისაცა ენება მცხოვრებთაგანსა ყოვლითა თავისუფლებითა მოვიდოდა დაუბრკოლებელად და განზრახვასა თვისსა იტყოდა კადნიერად შესაკრებელსა მას საზოგადოობისასა. ვერა ძალ-ედვათ მამასახლისთა თავით თვისით გარდახდევინებაი დამნაშავეთა ღირსთა დასჯისათა, ვიდრემდის არა წარიდგინებოდნენ იგინი საზოგადოსა ერისა შეკრებილებასა შინა. დამნაშავენი წარიდგინებოდნენ მუნ ყოველნივე, განიკითხებოდნენ ერისაგან და ვინცა მათგანი აღმოსჩნდებოდა ღირსად დასჯისა, მაშინ გარდაახდევინებდნენ მათ. ეგრეთვე ვერცა ძალედვათ ესე მამასახლისთა, რათამცა საჭიროებისა თვის ქვეყანისა დაუკითხველად საზოგადოობისა შეეკრიბათ თეთრი (ესე იგი ვერცხლი) ანუ სხვა რაიმე ნივთი სახმარად მხედრობათა, გინა სახმარებისათვის სხვისა რაისამე საზოგადოსა...

ჰყოფდეს მამასახლისნი სამართალსა აღრჩევითა ბჭეებისათა, ესე იგი აღირჩევდეს საზოგადოებისაგან მოხუცებულთა ბჭეებისათა, ესე იგი აღირჩევდეს საზოგადოობისაგან მოხუცებულთა, ჭკვიანთა, გამოცდილთა, უქრთამოთა და პირუთნებელთა კაცთა. პირველად მამასახლისი აღირჩევდა ორსა, ანუ სამსა მბრჭვესა, ხოლო მოჩივარნი თვის თვისად ოროლსა, შეკრბებოდეს ესენი ერთად და ესრეთ გარდაწყვეტდეს მოჩივანსა მათ სამართალსა.

ხოლო უკეთუ საქვეყნო რაიმე, ანუ სასოფლო საჩივარი, ანუ ორთა თემთა ურთიერთისა მიმართ ცილობა (იყო, — ა. ბ), მაშინ მამასახლისნი მუნებურნი წარავლინებდეს და მოუწოდებდენ თვისთა სხვათაცა მამასახლისთა და მამასახლისსა მცხეთისასა და ესრეთ განსწმენდდენ საქმეთა მათ ცილობისათა. არა იყო მათ შორის შური, არცა ხდომა რაიმე; არამედ ერთ-სულ და ერთ-განზრახვა იყვნეს მარადის და აქვნდათ ფრიადი მშვიდობა თვის შორის“ (გვ. 48—50).

აქედან სავსებით ნათლად ჩანს თეიმურაზის თვალსაზრისი გვაროვნულ წყობილებაზე. მაგრამ იგი ამაზე არა ჩერდება; ის წერს „მრავალნი ისტორიკოსნი ძველნი შეცდეს და ივერიისა, მამასახლისთა რომელთამე სწერდეს მეფობის სახელით და სხვათა მთავრებად და ესე ჯერ არს უწყებად მკითხველთათვის, რომელ ივერიელთა ერის საზოგადოობა იყო ალექსანდრე მაკედონელის მოსვლამდისინა, მანამდის არც ერთი მეფე და არც მთავარი მამა-

სახლისთა გარდა სრულიად ზემოსა და ქვემოსა ივერიასა შინა არავინ ყოფილა... მცხეთის მამასახლისი ყველა მამასახლისებზე უფროსი იყო. მამასახლისების დროს თუ ვინმე მძლავრი მტერი მოსულა ივერიად და მძლავრობით რომელსამე ალაგს ივერიაში თავისი სარდალი ანუ მთავარი ვინმე დაუგდია; მაშინც იმათს უფლებას ხანგრძლივ არ გაუწევია და ივერია ისევ თავის წესსზედ ერის მმართებელობით ყოფილა. ალექსანდრე მაკედონელმა აზონ მთავარი დააგდო მხედრობითა, ის ფარნაოზმა მოკლა და თვით გამეფდა, რადგანაც ბუნებით ქართველი იყო სრულიად ივერიელთ ის აღირჩიეს მეფედ და მეფობა მაშინ დაიწყო სრულიად ივერიაზედ ერთმეფობა. მანამდისინ... მამასახლისნი მართევდეს" (გვ. 87-ის შენ.).

ამ ვრცელი ამონაწერებიდან ნათლად ირკვევა, რომ თეიმურაზი მკვეთრად ანსხვავებდა მამასახლისობის ხანის ქართველ ტომთა საზოგადოებრივ წყობილებას, ამ ტომებში სახელმწიფოებრიობის გაჩენის ხანისაგან. სამწუხაროდ, ჩვენთვის ჯერჯერობით სავსებით ნათელი არაა, თუ ვის გულისხმობდა თეიმურაზი იმ „მრავალ ისტორიკოსებში", რომელთაც გააჩნდათ მამასახლისთა, მთავართა და მეფეთა იგივეობის თვალსაზრისი[17]. ამ გარემოებამ იძულებული გახადა თეიმურაზი აშკარა განსხვავებისათვის გაესვა ხაზი და ეს ორი დიამეტრალურად საწინააღმდეგო სოციალურ-ეკონომიკური წყობილება ერთმანეთს მკვეთრად დაუპირისპირა.

თ. ბატონიშვილის მიერ მამასახლისებზე წარმოდგენილი სურათი ამგვარია: ქართველი ტომები ცალ-ცალკე თემებში ირჩევდნენ საკუთარ მამასახლისებს, რომლებიც მცხეთის მამასახლისს ექვემდებარებოდნენ. თემები თვითონ განაგებდნენ თავიანთ საქმეებს, თუმცა მამასახლისს პატივს სცემდნენ. საერთო საქმეზე მცხეთის მამასახლისთან იყრიდნენ თავს დანარჩენი მამასახლისები, რომელთაც თან ახლდათ სხვა წარმომადგენელნიც, ე. წ. დეპუტატები. კრება იმართებოდა მცხეთაში, დასწრება თავისუფალი იყო. მცხეთის მამასახლისს არა ჰქონდა კერძო უფლება დამნაშავის გასამართლებისა. ეს უკანასკნელი საერთო კრების წინაშე უნდა წარმდგარიყო და იქ წყდებოდა მისი ბედ-იღბალი.

მცხეთის მამასახლისს არ შეეძლო გადასახადის გაწერა, ანდა

---

[17] თეიმურაზის ახალ ვარიანტში არგონავტთა კოლხეთში ლაშქრობაზე, რომელიც გამოქვეყნებული აქვს გ. შარაძეს, კვლავ ლაპარაკია მამასახლისებზე (სქოლიო, გვ. 50—52-ისა), სადაც „მრავალ ისტორიკოსებში" იგულისხმებიან „რომელნიმე გარეშენი მეზობელნი შორიელნი" (გვ. 52). იხ. გ. შარაძე თ. ბაგრატიონი, II, შემოქმედება, თბ., 1974, გვ. 50—52. მაგრამ არც ეს ცნობაა დამაკმაყოფილებელი.

დამოუკიდებელი გადაწყვეტილების მიღება. ომიანობის საკითხიც საერთო კრებაზე უნდა მიღებულიყო. ამგვარ პრინციპს ემორჩილებოდა აგრეთვე სასამართლოც. ამ უკანასკნელის ფუნქციაზე კომპეტენტური იყვნენ ე. წ. ჭკვიანი „ბჭეები“. მამასახლისი დაასახელებდა ორ ან სამ ბჭეს, მომჩივანიც ამდენსავე. ბჭეები შეიკრიბებოდნენ და გაარჩევდნენ საქმეს, ხოლო, თუ საჩივარი სოფლებს ან თემთა შორის იყო, მაშინ საქმეს მამასახლისები გაარჩევდნენ მცხეთის მამასახლისის მონაწილეობით.

ამრიგად, ხალხის, მამასახლისთა ბუნებისა და ფუნქციათა თეიმურაზისეული აღწერილობა ყოველგვარ ეჭვს გარეშე პირველყოფილთემურ წყობილებას გულისხმობს. მისი რღვევის უკანასკნელ სტადიაზე, ე. წ. ტერიტორიული თემის არსებობის დროს. სახალხო კრების ის დამახასიათებელი ნიშნები, რომელიც თეიმურაზს აქვს დაცული (საერთო საქმის კრებაზე განხილვა, დასწრების თავისუფლება, დაბნაშავეთა გასამართლება, კრებაზე ომიანობის საკითხის გარჩევა) ნიშანდობლივია სწორედ წინაკლასობრივი საზოგადოებისათვის. ამიტომ, ცხადია, თეიმურაზი იცნობდა გვაროვნული წყობილების ინსტიტუტს, როგორც საზოგადოების განვითარების ერთ-ერთ ძირითად საფეხურთაგანს. ამ ინსტიტუტის ბუნებაზე ნას უეჭველია ჩვენამდე მოღწეველი სანდო წყაროები უნდა ჰქონოდა. საფიქრებელია, აგრეთვე, რომ თეიმურაზის კონცეფციაში ნიშვნელოვანი ადგილი უკავია მის დროს ხალხში დაცულ გადმოცემებსა და საქართველოს მთიანეთში გადმონაშთთა სახით შემორჩენილ ფაქტიურ ვითარებას, რომელზედაც თვით ავტორი მოგვითხრობს. წინააღმდეგ შემთხვევაში ერთობ ძნელი წარმოსადგენია, რომ მამასახლისთა ის თავისებური გადმოცემა, რაც თეიმურაზს დაუცავს თავის „ისტორიაში“, თავიდან ბოლომდე შეთხზული იყოს ავტორის მიერ.

ამრიგად, თეიმურაზის კონცეფცია საქართველოში მეფობის წინამორბედი ხანის ისტორიაზე ფარნავაზ მეფემდე, პირველყოფილთემურ წყობილებას განეკუთვნება. თემური წყობილების თეიმურაზისეული აღწერა XIX ს. ქართულ ისტორიოგრაფიაში პირველი სერიოზული ცდაა ამ საკითხის შესწავლის ისტორიაში. ეს გარემოება კიდევ უფრო საყურადღებოს ხდის თეიმურაზის წყაროთა საკითხს და გვავალებს მეტი ყურადღებით მოვეპყრათ მის ცნობებს, რომელნიც „ივერიის ისტორიაში“ განსაკუთრებით გამოირჩევიან. ამიტომ უფრო საკვირველია ივ. ჯავახიშვილის სკეპტიკური დამო-

კიდებულება თეიმურაზის ცნობათა წყაროს მიმართ ქართველ ტომებში გვაროვნული წყობილების არსებობაზე.

თუ თეიმურაზის თხრობას საქართველოში თემურ წყობილებაზე ლეონტი მროველის ცნობებს შევუდარებთ, აშკარა გახდება, რომ ჩვენი ავტორის კონცეფციის ერთ-ერთი ძირითადი წყარო „ქართლის ცხოვრების" ტექსტი ყოფილა. კერძოდ, ჩვენ მიგვაჩნია, რომ თეიმურაზის ძირითადი თეზისი აღებულია ლეონტი მროველის ერთ-ერთი ცნობიდან. იქ, სადაც „ქართლის ცხოვრების" მიხედვით ქართლოსიანები უფლოსს უჯანყდებიან და მის უფროსობას უგულებელყოფენ, ლეონტი მროველს შემდეგი ცნობა აქვს დაცული: „და გაგრძელდა მათ შორის ესევითარი საქმე, და არავინ იყო მათ შორის უწარჩინებულეს და უსახელოვანეს, არამედ ადგილითი-ადგილად თავადნი იჩინიან. ხოლო ვინცა იყვის მცხეთას, რეცა თავადი იგი იყვის ყოველთა მათ სხუათა ზედა და არცა სახელ-ედებოდათ მეფედ, არცა ერისთავად. არამედ მამასახლისი ეწოდებოდათ, და იგი იყვის მაზავებელ და ბჭე სხუათა ქართლოსიანთა, რანეთუ ქალაქი მცხეთა განდიდებულ იყო უმეტეს ყოველთასა და უწოდეს დედა-ქალაქად"[18].

მოტანილი ამონაწერიდან გამომდინარეობს, რომ უფლოსის მიერ პრივილეგირებული მდგომარეობის დაკარგვა, ქვეყნის ამა თუ იმ მხარეში უფროსთა (თავადთა) დაწინაურებას უკავშირდება. მათ შორის ის „თავადი", რომელიც მცხეთაში ცხოვრობდა, ამ ქალაქის განსაკუთრებული მდგომარეობის გამო, სხვა „თავადთა" შორის პირველობას ისაკუთრებს და მას მამასახლისი ეწოდებოდა. მაშასადამე, ყველა ამ „თავადებს" თავიანთ თემებში მამასახლისები ეწოდებოდათ, მაგრამ, მცხეთისა მაინც მთავარი მამასახლისი იყო. თეიმურაზს, როგორც ჩანს, „ქართლის ცხოვრების" ეს ადგილი ჰქონდა მხედველობაში, როდესაც იგი „მამასახლისობის" ინსტიტუტზე მსჯელობდა. ჩვენი დაკვირვება იმითაც შეიძლება დამტკიცდეს, რომ თეიმურაზი სიტყვასიტყვით იმეორებს იმ ტერმინოლოგიას (მაგ., ბჭე), რომელიც ლეონტი მროველს ამ ადგილას აქვს ნახმარი.

გარდა ამისა, ყურადღება უნდა მიექცეს დავით და ვახტანგ ბატონიშვილთა ცნობებსაც საძიებელი საკითხის მიმართ, რასაც ისტორიოგრაფიაში აბსოლუტურად ანგარიში არ ეწეოდა, მაშინ, როდესაც ქართველ ტომებში თემური წყობილების არსებობის სა-

---

[18] ქართლის ცხოვრება, გვ. 11.

ფუძველს ხსენებულ ავტორებთან ვხვდებით. ჩვენთვის კი უდავოა თეიმურაზის დამოკიდებულება მათ მიმართ, განსაკუთრებით კი დავითის „ისტორიის“ მიმართ. ამიტომ თეიმურაზის კონცეფციის წყაროთა საკითხის ძიებისას საჭირო იქნება XIX ს. პირველი ნახევრის ქართული ისტორიოგრაფიის მონაცემთა გათვალისწინებაც.

რაც შეეხება თეიმურაზ ბაგრატიონის კონცეფციის მესამე წყაროს საკითხს, რომლის შესწავლის მნიშვნელობაზე განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა დ. ბაქრაძემ, მასზე შეიძლება ითქვას შემდეგი. ცნობილია, რომ ამ უკანასკნელ დრომდე საქართველოს მთიანეთში გადმონაშთების სახით დაცული იყო თემური წყობილების რღვევის ის ძირითადი ნიშნები, რომელთა შესახებაც თეიმურაზს საინტერესო ცნობები აქვს დაცული. კერძოდ, ნიშანდობლივია, რომ ხევსურეთში დიდი გავლენით სარგებლობდა ე. წ. უხუცესთა სასამართლო, რომელსაც „ხევსურული რჯული“ ეწოდებოდა[19], და რომელიც თავის ძირითად ნაწილში გვაროვნული თემის საფუძველზე იყო შექმნილი[20]. ამ საგვარეულო ინსტიტუტს არა ჰქონდა მუდმივად მოქმედი ხასიათი, იგი მოიწვევოდა ხოლმე საჭიროების დროს, რაიმე სადავო საკითხის გადასაჭრელად. იმისდა მიხედვით, თუ რა ხასიათისა იყო საკუთრივ დანაშაული, რჯულის კაცების ოდენობაც იცვლებოდა 2-იდან 10-მდე. მიღებული გადაწყვეტილება უცილობელი და საბოლოო იყო. დამახასიათებელია, რომ რჯულის კაცებს მებჭენი, ანუ ბჭეები ერქვათ და მათ გამოცდილ და გონიერ მოხუცთაგან ირჩევდნენ[21].

რაც შეეხება თ. ბაგრატიონის ცნობებს საქართველოში კლასობრივი საზოგადოების დაარსების საკითხზე, ეს უკანასკნელი მას ძალზე სუსტად აქვს წარმოდგენილი. აქ არა ჩანს თეიმურაზისეული დინამიკა საკითხთა კვლევა-ძიების საქმეში. ნაშრომში მხოლოდ ხაზგასმულია, რომ ფარნავაზი ქუჯის დახმარებით ამარცხებს აზონს და ათავისუფლებს ქართველობას ბერძენთა გავლენისაგან. ქართველთა განთავისუფლებას მოჰყვა სრულიად ივერიის გაყოფა „ათ ნაწილად და დაუდგინნა (ფარნავაზმა, ა. ბ.) თვითეულსა ნაწილსა განმგებელნი ხელის-ქვეშენი თვისნი, და უწოდა მათ ერისთავებად, გინა მთავრებად და თვით იწოდა მეფედ ყოვლისა საქართველო-

---

[19] В. А. Гурко-Кряжин. Хевсуры, «Новый Восток», № 20—21, 1928, გვ. 276, 290.

[20] რ. ხარაძე. ხევსურული რჯული. ანალები, ტ. I, თბ., 1947, გვ. 164.

[21] В. А. Гурко-Кряжин. დასახ. ნაშრ., გვ. 290, შდრ. რ. ხარაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 169.

ისა“ (115). „ჟამსა ფარნავაზ პირველისა მეფისასა... შეიცვალა მმართებლობა ქვეყნისა და იქმნა მეფობითი მმართებელობაი“ (84).

მეფის ხელისუფლების წარმოშობის თეიმურაზისეული ახსნა, ცხადია, დამაკმაყოფილებელ სურათს ვერ ქმნის, თუმცა უნდა შევნიშნოთ, რომ ავტორი იძლევა ერთობ დამახასიათებელ განმარტებას მამასახლისისა და მეფის ფუნქციათა გაგების საკითხში. თეიმურაზი, როგორც დავინახეთ, მკვეთრად უპირისპირებდა ერთმანეთს ამ ორ ცნებას და თავის თეორიას ამ დაპირისპირების საფუძველზე ანვითარებდა. მამასახლისობის პერიოდი თ. ბატონიშვილს ესმოდა სოციალური განვითარების ისეთ ხანად, როდესაც საქვეყნო საქმეს განაგებდა მთელი საზოგადოება, ხალხი. ხოლო „მეფობითი მმართებელობა“ მონარქიულია, ერთპიროვნული („თვითმპყრობელობითი“).

ამრიგად, განხილული მასალებიდან გამომდინარეობს დასკვნა, რომ თეიმურაზ ბაგრატიონი საქართველოში გვაროვნული წყობილების არსებობას არა მარტო ლიტერატურული გზით ადასტურებდა, არამედ საქართველოს მთიანეთში გადმონაშთების სახით დაცულ ისტორიულ სინამდვილესაც იყენებდა თავისი თვალსაზრისის განვითარებისათვის.

ბატონიშვილთა პეტერბურგის „სკოლა“ თეიმურაზის გარდაცვალებასთან ერთად (1846) არსებითად ასრულებს თავის საისტორიო მისიას. მართალია, პეტერბურგში, სამეცნიერო მუშაობა ქართველოლოგიის დარგში ამით არათუ არ შეწყვეტილა, არამედ შემდგომში კიდევ უფრო ინტენსიური გახდა, მაგრამ თეიმურაზით დასრულდა ქართული თავადაზნაურული ისტორიოგრაფიის პეტერბურგის პერიოდის მოღვაწეობა და სამეცნიერო ცენტრი თანდათან ადგილს ინაცვლებს საქართველოში.

XIX ს. პირველი ნახევრის თავადაზნაურული ისტორიოგრაფიის წარმომადგენელთა შორის, რომელთაც ან გაიზიარეს, ანდა შემდგომ განავითარეს უძველესი ხანის ქართულ საზოგადოებრივ ფორმათა არსებობის იდეა, ქრონოლოგიურად პირველ რიგში უნდა დავასახელოთ ნ. დადიანი, რომლის თხზულება „ქართველთ ცხოვრება“ გარკვეული ღირებულების საისტორიო ნაწარმოებია ამ მხრივ.

ჩვენთვის ამჟამად საყურადღებოა ნ. დადიანის თხზულების ის ნაწილი, რომელიც შეიცავს ისტორიული საქართველოს წარსულის თხრობას უძველესი დროიდან 1469 წლამდე.

ავტორი თავის „ქართველთ ცხოვრებას“ იწყებს საქართველოს

პერიოდიზაციით, რომელიც მას ორ ნაწილად აქვს დაყოფილი. „ქართველთ ისტორია, — აღნიშნავს ნ. დადიანი, იპყრობს თვის შორის ორსა ცვალებასა: პირველსა მთავრობისასა, ხოლო მეორესა მეფობისასა“ (გვ. 65).

ამ მცირე ამონაწერიდანაც ჩანს, რომ ნ. დადიანი საქართველოს ისტორიის პერიოდიზაციასა და მეფეთა მმართველი დინასტიების ჩამოთვლას დავითის შემოკლებული ნაშრომის („ნარკუევის“) სქემიდან სესხულობს, თუმცა წყაროს არ მიუთითებს. ასე იქცევა ნ. დადიანი ყველა შემთხვევაში დ. ბატონიშვილის თხზულებით სარგებლობისას. ეგევე მეთოდი გამოყენებული აქვს ავტორს ვახუშტის „საქართველოს ისტორიის“ წყაროს მიმართაც, თუმცა ერთგან კი შენიშნავს, რომ ამა და ამ საკითხზე „ვრცლად იხილეთ დიდსა ქართველთ ცხოვრებასა შინაო“ (39, 141, სტრ. 7). უნდა შევნიშნოთ, რომ ამგვარი მეთოდი, როგორც წესი, დამახასიათებელია ფეოდალური ხანის ისტორიოგრაფიისათვის და ნ. დადიანი ამ მხრივ გამონაკლისს საერთო წესიდან არ წარმოადგენს.

ნ. დადიანი ტერმინ „მთავრობას“ „მამასახლისობას“ უკავშირებს და მათ შორის იგივეობის ნიშანს სვამს. ასე, მაგალითად, ეთნარქ მცხეთოსზე საუბრისას იგი აღნიშნავს, რომ მას დედამისმა მისცა „მემკვიდრეობაი (ქართლოსისა, ა. ბ.) და უწოდა მამასახლისი, რომლისა მიზეზისა ძლით ეწოდებოდა ქართველთა პირველთა მართებელთა მამასახლისი ვიდრე მეფობადმდე სახლსა ზედა ქართლოსისასა“ (68—69).

მაშასადამე, აქ ორი სოციალური საფეხურის აღიარებასთან გვაქვს საქმე — მეფობამდელ და მეფობით (ფეოდალურ) საზოგადოებებთან — თუმცა ავტორი არ სარგებლობს ქართული სოციალური ტერმინით —ერისა საზოგადოობა“, რაც ხშირად აქვს მითითებული დავით ბაგრატიონს თავის „ნარკვევში“ და რომლითაც სარგებლობდა ნ. დადიანი. ამის სანაცვლოდ ავტორი ერთგან ახსენებს იმერეთის „საზოგადოებას“, ე. ი. იმერეთის ხალხს (გვ. 137). აქედან ჩანს, რომ ნ. დადიანიც იცნობდა ამ სოციალურ ტერმინს.

უმეფო საზოგადოება წარმოდგენილი ნ. დადიანის ცნობათა სინათლეზე, გულისხმობს, ავტორის აზრით, მრავალ და არა ერთ მამასახლისის არსებობას. თუმცაღა მისი შეხედულებით, იყო დრო (არცთუ ისე ძველად), როდესაც ქართველობას მესვეურობდა ერთი მამასახლისი — მცხეთოსი, მაგრამ მისი გარდაცვალების შემდეგ ქართველთა ცხოვრებაში ვითარება იცვლება და ერთი მამასახლისის (უფროსის) სანაცვლოდ „ადგილითი ადგილად“ (69,

სტრ. 15) ჩნდებიან სხვა მამასახლისებიც. ამ იდეის წყაროა „ქართლის ცხოვრების“ ტექსტის სათანადო ადგილი (II), რომლის პირველი მეცნიერული ანალიზი სწორედ ნ. დადიანს ეკუთვნის (მისგან დამოუკიდებლად ამ დასკვნამდე მივიდა თეიმურაზიც) და რომლის მიხედვით, მამასახლისთა ინსტიტუტის წარმოშობას სოციალურმა და გეოგრაფიულმა პირობებმა შეუწყვეს ხელი.

მეფობამდელი წყობილებიდან „მეფობაში“ გადასვლა ნ. დადიანს მექანიკურად აქვს წარმოდგენილი. აქაც მისი ძირითადი მასალა აღნიშნულ წყაროთაგან შედგება და არაფერს ორიგინალურს არ შეიცავს.

XIX ს. პირველი ნახევრის ქართულ ისტორიოგრაფიაში ქართველ ტომებში პირველყოფილთემური წყობილების პრობლემა, როგორც ვხედავთ, ერთ-ერთი აქტუალური საკითხია. იგი ჩვენ ისტორიოგრაფიაში თანდათან იკვლევს გზას და დროის შესაბამისად შემდგომ განვითარებას აღწევს. მასთან ერთად და პარალელურად მუშავდება აგრეთვე საკითხი საქართველოში კლასობრივი საზოგადოების წარმოშობის პირობების შესახებ, თუმცა აქ ძირითადად ნექანიკურ კონცეფციასთან, სახელდობრ, სახელმწიფოს წარმოშობის პატრიარქალურ თეორიასთან გვაქვს საქმე.

პატრიარქალური თეორიის გავლენის კვალი შეიმჩნევა პ. იოსელიანის ნაშრომებშიაც, თუმცა ავტორი ამ უკანასკნელს თავისებურად უდგება. უკლასო და კლასობრივი საზოგადოების აღმოცენების პრობლემა ერთ-ერთი საკითხია პ. იოსელიანის შემოქმედებისა, მიუხედავად იმისა, რომ იგი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების შესწავლის საქმეს მაინცდამაინც დიდ ადგილს არ უთმობს თავის ისტორიულ კონცეფციაში. მაგრამ მის ნაშრომებში თავს იჩენს მრავალი პრობლემა, რომლებიც საკმარის წარმოდგენას ქმნიან ავტორის შეხედულებათა შესახებ საკვლევაძიებო საგანზე. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ პ. იოსელიანი არ იფარგლება მარტოოდენ ქართულ წყაროთა მონაცემების გამოყენებით. იგი ამ საკითხზე საუბრისას ემყარება „დაბადებასა“ და ანტიკური ხანის პირველწყაროებს. ამდენად მისი კვლევა-ძიების სფერო შედარებით ფართოა და საგრძნობლად სცილდება წინამორბედთა მიერ მოპოვებულ მასალათა ჩარჩოებს.

როდესაც ამ თვალსაზრისით მივმართავთ ხოლმე პ. იოსელიანის შემოქმედების განხილვას, უწინარეს ყოვლისა, თვალში გვეცემა მისი მრავალმხრივ საყურადღებო ხელნაწერი ნაშრომი: „ისტორიებრი და ღეოღრაფიული აღწერა ძველისა საქართველოისა“.

სათაურის მიხედვითაც ნათელი ხდება ავტორის მიზანდასახულობა, მაგრამ აქ კანტიკუნტად გაფანტულია ავტორის ზოგიერთი შეხედულება ქართველ ტომებში წინაკლასობრივი საზოგადოების საკითხზეც. გამომდინარე „ქართლის ცხოვრების“ იმ ცნობიდან, რომ „მცხეთის მამასახლისი („სახლისმმართველი“ „პატერ ფამილია“), როგორც პატრიარქალური ხანის იბერიის მმართველი, ებრაელებს ნებას რთავს მცხეთის ახლოს დასახლებაზე, ავტორს საფუძველს აძლევს საქართველოში საზოგადოებრივ ურთიერთობათა განვითარების ის საფეხური შენიშნოს, როდესაც ჯერ კიდევ „ივერიელებს არა ჰყავდათ საკუთარი მეფე“, რაც „მიუთითებს ივერიის პატრიარქალურ დროებაზე“ (გვ. 66, შენ. 22).

მაშასადამე, მცხეთის მამასახლისი („პატერ ფამილია“) ავტორის აზრით, არაა ქვეყნის მეფე, იგი გამგებელია („правитель“) უზენაესი მმართველია, თითქოს შეუზღუდველი პოლიტიკური უფლებითაა მოსილი, მაგრამ მეფედ არ ითვლება, რადგან იბერიაში სახელმწიფოებრიობა იურიდიულად ჯერ გაუფორმებელია. ყურადღებას იქცევს პ. იოსელიანის მსჯელობაში ქართლის ქვეყანაში პატრიარქალური ხანის აღიარება. ამ ტერმინის ხმარება ქართულ ისტორიოგრაფიაში პირველად პ. იოსელიანის სახელთანაა დაკავშირებული (66). ეს გარემოება თავისთავად გულისხმობს, რომ ჩვენი ავტორი იცნობს მის თანადროულ დასავლეთევროპულ ისტორიოგრაფიაში გაბატონებულ ტერმინოლოგიას გვაროვნული წყობილების აღსანიშნავად. ამასთან, არაა გამორიცხული, რომ იგი საკუთრივ ლათინურ ორიგინალში იცნობდეს ახალი წელთაღრიცხვის II ს. რომაელი იურისტის გაიუსის „ინსტიტუციებს“, რომის სამართლის ელემენტარულ სახელმძღვანელოს, სადაც საუბარია „პატერ ფამილიას“ („მამასახლისი“, „глава семьи“) შესახებ. მაგრამ „პატერ ფამილია“ თავისთავად რომაული გვაროვნული წყობილებისათვის დამახასიათებელი ინსტიტუტია. გაიუსთან იქცა უკვე მონათმფლობელური რომის იმპერიის ოჯახის უფროსად, განუსაზღვრელ მბრძანებლად, რომლის გაიგივება ქართულ მამასახლისის ფუნქციებთან, სრულიად შეუთავსებელია[22].

---

[22] ი. ს. პ ე რ ე ტ ე რ ს კ ი. სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი ისტორია. ძველი რომი. თბ., 1947, გვ. 142—143. И. Б. Н о в и ц к и й. Основы римского гражданского права, М., 1972, გვ. 76—77, 83. ფ. ენგელსის სიტყვით: „მამაკაცების ამ წესით დამყარებული ერთძალაუფლებიანობის პირველი შედეგი თავს იჩენს პატრიარქალური ოჯახის იმ შუალედურ ფორმაში, რომელიც ახლა ჩნდება“. ფ. ენგელსი, ოჯახის .., გვ. 75.

ამრიგად, ჩვენ ვხედავთ, რომ საქართველოში გვაროვნული წყობილების არსებობის იდეა პ. იოსელიანისათვისაც უცხო არა ყოფილა. ზემოთქმულიდან ჩანს, რომ მან შემდგომ განავითარა ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოთქმული ეს მოსაზრება და მართალია, ერთობ ძუნწად, მაგრამ საკმაოდ ნათლად აღნიშნა მისი არსებობის ძირითადი ნიშანი.

პ. იოსელიანს მოეპოვება აგრეთვე მცირეოდენი ცნობები საქართველოში სახელმწიფოებრივი წყობილების აღმოცენების საკითხზეც. მაგრამ საქართველოში სახელმწიფოს წარმოშობის, ანუ პოლიტოგენეზის თაობაზე მას სათანადო მასალები უაღრესად მცირე ოდენობისა გააჩნდა, რის გამოც ავტორს ამ პრობლემაზე მუშაობა ძალზე უჭირდა. მისი შეხედულებანი ამ მხრივ ლეონტი მროველის ცნობათა ერთი ნაწილის გამოყენებით იფარგლება. საქმე ისაა, რომ პ. იოსელიანი იბერიაში (ქართლი) სახელმწიფოს წარმოშობას საგარეო ფაქტორით ხსნის და არა შინაგანით. მისი სიტყვით, „ქართველთა სამეფო აღმოცენდა 300 წელზე ადრე ჩვენ ერამდე. პირველი მეფე იყო ქართლოსის, ქართველთა დამაარსებლის ჩამომავალი, სახელად ფარნავაზი, რომელსაც სირიის მეფის ანტიოქოს სელევკიდელისაგან მფარველობა ჰქონდა მიღებული. ნისგანვე მიღებული ჰქონდა მას ეს პატივი“[23].

ამ ამონაწერიდან ნათლად ჩანს, რომ იბერთა მეფე ფარნავაზი ქართლოსის („ქართველთა შემქმნელი“) შთამომავლობის მეოხებით კანონიერი მემკვიდრეა ქართლის მამასახლისთა და სირიის (ასურასტანის) მეფის ანტიოქოს 1-ის (280—260) დახმარებით იგი ქართლის პირველ მეფედ ხდება. ჩვენი ყურადღება აქ (ფარნავაზის გამეფების აღნიშვნის გარდა) ძირითადად ექცევა იმ გარემოებას, რომ პ. იოსელიანი ფარნავაზის გამეფებით მისი მეფობის მემკვიდრეობას უსვამს ხაზს, რაც შესრულებულ იქნა საგარეო ფაქტორის ჩარევით.

პ. იოსელიანის ამ ცნობიდან გამომდინარეობს, რომ მისი შეხედულებანი იბერიაში სახელმწიფოს წარმოშობის შესახებ საკმაოდ შეზღუდულია არა იმდენად ფაქტობრივი მასალის უქონლობით (რაც ბუნებრივად გვეჩვენება), რამდენადაც იმჟამინდელი ისტორიული მეცნიერების სპეციფიკურობით. საქმე ისაა, რომ პ. იოსელიანი წმინდა ისტორიკოსია და არა სამართალმცოდნეობის მკვლევარი. იმჟამად სახელმწიფოს აღმოცენების საკითხს მარტო-

[23] П. Иоселиани. Записка о Грузии вообще.

ოდენ იურიდიული სკოლის წარმომადგენლები იკვლევდნენ, იმასაც იდეალისტურად. როგორც ჩანს, პ. იოსელიანი არ იცნობდა იურიდიული სკოლის მკვლევართა თეორიას სახელმწიფოს მოძღვრებაზე, თორემ წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ალბათ გამოიყენებდა სამართლის მცოდნეთა თეორიას.

პ. იოსელიანის მიერ იმ ფაქტის აღიარება, რომ საქართველოში ფარნავაზის დროს სახელმწიფოს არსებობასთან გვაქვს საქმე, აიძულებს მას გაიზიაროს ქართული, რუსული, და დასავლეთევროპული ისტორიოგრაფიის ტრადიციული აზრი ამ სახელმწიფოს ფეოდალური ბუნების შესახებ. სამწუხაროდ, აქ აღნიშნულ ნაშრომებში არაა ნახსენები ტერმინი „ფეოდალიზმი", რაც აგრე ხშირია მისი ხმარება მკვლევრის მიერ სხვა წერილებში. მაგრამ, თუ ჩვენ სათანადო ყურადღებას მივაქცევთ პ. იოსელიანის ერთ ცნობას დამოწმებულ ნაშრომში, დავინახავთ, რომ ავტორი იბერიის სახელმწიფოს განიხილავდა საზოგადოებრივი განვითარების ფეოდალურ საფეხურზე მდგომარედ: „პირველ ქართველ მეფე ფარნავაზამდე — წერდა იგი — საქართველოში არა ყოფილა ცნობილი მეფისა და თავადის სახელი; ასეთი ვითარება გაგრძელდა ხაზართა ლაშქრობამდე" (ფ. 23, გვ. 1). ტერმინ „თავადის" აღნიშვნაც კი სავსებით ცხადსა ხდის, რომ იოსელიანისეულ სოციალურ კატეგორიაში ჩვენ ფეოდალიზმი დავინახოთ. მაგრამ, ვიმეორებთ, პ. იოსელიანი თავის სხვა ნაშრომებში, რომელნიც მრავალგზისა გვაქვს დამოწმებული, იხსენიებს როგორც ტერმინს „ფეოდალიზმი", ისე ამ წყობილების არსებობას საქართველოში. მისი სახით ჩვენ ერთ-ერთ პირველ ქართველ ისტორიკოსთან გვაქვს საქმე, რომელმაც ეს ტერმინი შემოიტანა ლიტერატურაში.

ამ სოციალურ-ეკონომიკური ფორმაციის, როგორც კაცობრიობის ისტორიის ერთ-ერთი საფეხურის საინტერესო სურათი აქვს განვითარებული პ. იოსელიანს თავის ხელნაწერში (გვ. 45), რომელიც რამდენიმე თავისაგან შედგება და რომელსაც ეწოდება «Звания достоинств грузинского царского и других владетельных домов» (ფურც. 13—20).

ქართულ ისტორიოგრაფიაში წოდებათა წარმოშობის საკითხები პირველად ვახუშტი ბაგრატიონმა დასვა[24]. მისი ცნობები გაიზიარეს და მეტ-ნაკლებად შეავსეს დავით და ვახტანგ ბატონიშვი-

---

[24] ვ ა ხ უ შ ტ ი. საქართველოს ისტორია, დ. ბაქრაძის გამოცემა. გვ. 7—8, 12—14, 17—20; ვ ა ხ უ შ ტ ი, გვ. 14—15, 24—25.

ლებმა. მათ წარმოდგენათა შემდგომი განვითარება კი წილად ხვდა პ. იოსელიანს. ჩვენ აქ არ შევუდგებით იმის გარკვევას, თუ რაა ახალი პლატონთან, ეს განსხვავება და სიახლე თავისთავად გამოჩნდება კვლევის პროცესში. გავარჩევთ მხოლოდ აღნიშნულ ნაშრომს და შეეცდებით მისი შეფასების მოცემას.

ამჟამად ამ სახელწოდებით ცნობილია პ. იოსელიანის სამი ხელნაწერი, რომლებიც ერთმანეთს ავსებენ და საშუალებას იძლევიან ხელნაწერის მთლიანი სურათის აღდგენისას[25]. ხსენებული ხელნაწერი, პირველი, სისტემაში მოყვანილი ნარკვევია ქართულ წოდებათა ისტორიის დარგში. მართალია, პირველყოფილთემური წყობილებისა და ფეოდალური ხანის საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიით დაინტერესებული იყვნენ პ. იოსელიანის წინამორბედი სამივე ბატონიშვილი, რაც სხვათა შორის, მის ამ ნაშრომსაც ეტყობა[26], მაგრამ ჩვენი მკვლევრის დამსახურება ისაა, რომ აქ ეს საკითხები ერთ მთლიანობაშია მოყვანილი და უფრო ვრცელია. პ. იოსელიანი ამ ნარკვევში ჩამოთვლის და რუსეთის საზოგადოებას აცნობს საქართველოში მის დრომდე არსებულ და მოქმედ ყველა სოციალურ ინსტიტუტთა (ძირითადად ფეოდალურ) სახელწოდებებს. დამახასიათებელია, რომ აქვეა თავმოყრილი ბერძნული, არაბული, სპარსული, ოსმალური, ქართული, რუსული და ფრანგული პარალელური წოდებრივი ნომენკლატურა. ეს გარემოება პ. იოსელიანს აძლევს უფლებას უფრო თამამად დაადგინოს ქართული ფეოდალური წოდებრივი ინსტიტუტების სახელწოდებათა და თანამდებობათა წარმოშობის სათავეები.

ამავე ნაშრომში ადგილი აქვს დათმობილი მეფეთა, ერისთავთა, ხევისბერთა, მოთემეთა, ხევის უფროსთა, ხელოსანთა და მამასახლისთა ფუნქციების აღნიშვნას, თუ ვის რა ევალებოდა სახელმწიფოს წინაშე. აღნიშნული სახელწოდებანი ისტორიულად თავსდებიან პირველყოფილთემურ და ფეოდალურ საზოგადოებებში. პ. იოსელიანის დროს ჯერ არ იყო ცნობილი და ცალკე ფორმაციად გამოყოფილი (ძველი საბერძნეთისა და ძველი რომის მიმართ)

---

25 ორი ინახება სსრკ მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილების ხელნაწერთა ფონდში. Р.Р.Орбели. Грузинские рукописи. № 34—35. მესამეზე კი იხ. აქვე, გვ. 134-ის 41-ე შენიშვნა.

26 П. Иоселиани. Записка о Грузии вообще (ფურცელი 30, გვ. 2, შენ. 10) იხსენიებს ვახტანგის «Обозрение»-ს.

მონათმფლობელური საზოგადოება, როგორც სოციალურ-ეკონომიკური სტადია, თუმცა ჩვენი ავტორი იცნობს ტერმინს „მონებსა“ და „მონობას“[27]. ფეოდალიზმი იმქამინდელ ისტორიოგრაფიაში „უნივერსალურ“ საფეხურად განიხილებოდა, რის გამოც მკვლევარი არას გვეუბნება საქართველოში მონათმფლობელური საზოგადოებრივი ფორმაციის არსებობის შესახებ.

საკვირველია და საძიებელი ის გარემოება, რომ პ. იოსელიანი ისეთ სოციალურ კატეგორიებს, როგორიცაა ხევისბერი, მოთემე, ხევის უფროსი და მამასახლისი, არა თვლის წინაკლასობრივი საზოგადოებისქამინდელ ინსტიტუტებად და მათ განიხილავს როგორც ფეოდალური ხანის წარმონაქმნებად. მათი მიკუთვნება მარტოოდენ ფეოდალიზმის ხანისათვის არაა მართებული, რადგან ავტორისავე შედარებით მოგვიანო ხანის ნაშრომებში ხევისბერი და მამასახლისი მიჩნეულია პირველყოფილთემური წყობილებისათვის დამახასიათებელ სოციალურ კატეგორიებად[28]. თუ, ერთი მხრივ, მამასახლისი თავისი წარმომავლობით უკავშირდება პატრიარქატს, ე. ი. წინაკლასობრივ საზოგადოებას, მეორე მხრივ, იგივე სახელწოდებით ცნობილია სოფლის სტაროსტაც ფეოდალურ და ბურჟუაზიულ წყობილებაში, რასაც, როგორც ჩანს, პ. იოსელიანის წარმოდგენებში გარკვეული არევ-დარევა გამოუწვევია, თუმცა კი შემდგომში ამგვარი შეცდომები მას გამოუსწორებია.

---

[27] პ. იოსელიანი თავის ნაშრომში: «Путевые записки от Тифлиса до Мцхеты», ლაპარაკობს რა მოსხებსა და ტიბარენებზე, შემდეგს გადმოგვცემს:« Пророк Иезекииль, упоминая о месхах, говорит, что мосхи и тибаренцы торговали в Тире рабами и медными сосудами... О рабах и рабстве между ими давно известны древнему миру» და მიუთითებს ჰეროდოტეს ცნობაზე, რომ კოლხები ყოველ ხუთ წელიწადში ერთხელ ვალდებულნი იყვნენ აქემენიანთა სპარსეთის მეფისათვის ეძღოთ 300 ყრმა ქალ-ვაჟი. იხ. П. Иоселиани, დასახ. ნაშრ., თბ., 1871, გვ. 14—15. აქვიგად,ჩვენ ვხედავთ, რომ პ. იოსელიანი იცნობდა მონებსა და მონობას,მაგრამ მისი შრომიდან არა ჩანს, თუ რა საზოგადოებრივი წყობილების წარმონაქმნია ეს, „მონობა“? თუ გავითვალისწინებთ მკვლევრის ზოგადისტორიულ კონცეფციას, უნდა დავუშვათ, რომ პ. იოსელიანის „მონობა“ ესაა პატრიარქალური, ე.ი. საშინაო მონობა, რაც ახასიათებს პირველყოფილთემურ წყობილებას. მართალია, ამ საქმეში პ. იოსელიანი ორიგინალური არაა და იგი მონობის თაობაზე მიუთითებს გერმანელი ბერჟუაზიული ისტორიკოსის A. H. L. Heeren-ის ნაშრომზე: «De la politique et du commerce des peuples de l'Antiqueite», Paris, 1830 (გვ. 142—143). მაგრამ ჩვენთვის მთავარი ისაა, რომ ქართველი მეცნიერისათვის ცნობილია ტერმინი მონები, მონობა.

[28] П. И о с е л и а н и. Описание города..., გვ. 34—35, 42.

სამწუხაროდ, ჩვენ იძულებული ვართ ამით დავასრულოთ საუბარი პ. იოსელიანის შეხედულებებზე პირველყოფილთემური წყობილებისა და ფეოდალური საქართველოს შესახებ, დამატებითი მასალების უქონლობის გამო. განხილვამ დაგვანახვა, რომ პ. იოსელიანის სახით ჩვენ ერუდირებულ ისტორიკოსთან გვაქვს საქმე, რომელსაც არ აკმაყოფილებს საკითხთა კვლევა-ძიების დროს მარტოოდენ ეროვნული საისტორიო წყაროების გამოყენება და თავის ნაშრომებს ავსებს ანტიკური ისტორიოგრაფიის მონაცემებითაც. ამ ერთიერ ფრიად საგულისხმოა ტერმინ „პატერ ფამილიას" სახელწოდების მოტანაც, ამ უკანასკნელის ადექვატური (სოციალური შინაარსით) გაიგივებისათვის ქართულ მამასახლისობის ინსტიტუტთან, თუმცა სავსებით უადგილოდ. პ. იოსელიანი იზიარებდა აგრეთვე საქართველოს ისტორიის თავადაზნაურული ისტორიოგრაფიის პერიოდიზაციის თვალსაზრისს ორი საზოგადოებრივი საფეხურის — უმეფო და მეფურ წყობილების არსებობაზე მათი განმასხვავებელი ნიშნებით — მამასახლისობითა და მეფობით. მაგრამ განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მკვლევრის გულისყური ქართველ ტომებში მონებისა და მონობის შესახებ. ამ კატეგორიის ფაქტის დადასტურებაც საკმაოდ ნიშანდობლივია და ქართულ ისტორიოგრაფიაში პირველად პ. იოსელიანის სახელს უკავშირდება. ამ საკითხში იგი გერმანული ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიის მიღწევებს იზიარებს და ცდილობს ქართულ სინამდვილეში მოუძებნოს მას რეალური საფუძველი. შესაძლოა, ეს გარემოებაც გამოყენებულ იქნეს იმ მოსაზრების სასარგებლოდ, რომ პ. იოსელიანი ჩავთვალოთ პირველ ბურჟუაზიულ ისტორიკოსად.

XIX ს. 50-იანი წლების ქართულ ისტორიოგრაფიაში ახალი, დასავლეთევროპული მიმართულება იდგამს ფეხს. ამ დროიდან ქართველოლოგიას მტკიცე მეცნიერული საფუძველი ჩაეყარა, რაც დაკავშირებულია გამოჩენილი ფრანგი ორიენტალისტის მ. ბროსეს მოღვაწეობასთან. ძალზე ძნელია ლაპარაკი მ. ბროსეს დამსახურებებზე ქართველოლოგიაში საერთოდ, ხოლო, საქართველოს ისტორიაში, კერძოდ. მის სახელთანაა დაკავშირებული 50 წლის (30—80 წლები) მანძილზე ქართული ისტორიოგრაფიის წარმატება და მისი შემდგომი განვითარება. „ქართლის ცხოვრებისა" და ვახუშტის „საქართველოს ისტორიის" გამოცემა და ამ ტექსტთა ფრანგულ ენაზე თარგმნა, საქართველოს ისტორიის „დამატებათა და განმარტებათა" დასტამბვა, „საქართველოს ისტორიის კრიტიკული მიმოხილვის" რუსულად შედგენა და სხვა მრავალმნიშვნელოვან

და პირველხარისხოვან პრობლემათა დამუშავება განუყრელადაა დაკავშირებული მ. ბროსეს მოღვაწეობასთან. ბუნებრივია, რომ საქართველოს ისტორიის ყამირის აღება ერთი პიროვნებისათვის ფრიად მძიმე საქმე იყო, მაგრამ მ. ბროსე არ შეუშინდა ამ დარგში მუშაობას და მთელი ეპოქა შექმნა ამ მიმართულებით.

მ. ბროსე ქართველოლოგიაში მოვიდა ფრანგული ისტორიოგრაფიიდან და შეეცადა მისი თანადროული ქართული ისტორიოგრაფიის იმ დონეზე დაყენებას, რომელზედაც საკუთრივ ფრანგული იდგა. იმჟამინდელმა ფრანგულმა ბურჟუაზიულმა ისტორიოგრაფიამ, როგორც ცნობილია, ერთობ მაღალ მეცნიერულ დონეს მიაღწია. მისი ამ ხანის დამახასიათებელი ნიშნებიდან აღსანიშნავია: ხალხის შინაგანი ცხოვრების (სოციალურ-ეკონომიკური), კულტურის ისტორიისა (დამწერლობის, სარწმუნოების, ქრონოლოგიის, ხელოვნების) და ისტორიული გეოგრაფიის საკითხების შესწავლა მაღალ თეორიულ დონეზე[29]. მ. ბროსეს დამსახურება სწორედ ისაა, რომ მან მიზნად დაისახა ფრანგულის თანადროული ქართული ისტორიოგრაფიის (რომლის მდიდარი ტრადიციები მისთვის კარგად იყო ცნობილი) ევროპულ დონეზე აყვანა. ამ კეთილშობილური წამოწყების განხორციელებას, ცხადია, მრავალი სიძნელე ეღობებოდა წინ, მაგრამ ქართული ისტორიოგრაფიის თავისთავად მაღალმა დონემ საკმაოდ გაუადვილა მ. ბროსეს დასახული ამოცანის სისრულეში მოყვანა. შენთხვევითი არაა, რომ მ. ბროსემ თავის საპროგრამო სიტყვაში, რომელიც მან წაიკითხა 1837 წლის დეკემბერში პეტერბურგის აკადემიაში აკადემიკოსად არჩევის დროს, დიდი აღტაცება გამოთქვა ქართული მეცნიერების წარმატების შესახებ. როგორც ფრანგული ისტორიული მეცნიერების პროგრესულ ტრადიციებზე აღზრდილი, მ. ბროსე ქართულ ისტორიოგრაფიას ამოცანად უსახავს ხალხის შინაგანი ისტორიის შესწავლას. იგი წერს: „ქართველთა მატიანეები ნაკლებად შეიცავენ დაწვრილებით (ცნობებს — ა. ბ.) ხალხის შინაგან წყობილებაზე, ვიდრე მაკედონელთა შემოსევამდე. მხოლოდ ომები ხაზარებთან და სპარსელებთან ავსებენ ამ ხანას რამდენიმე საუკუნის მანძილზე"[30].

მ. ბროსეს მიერ შემჩნეული ფაქტი, რომ ქართულ წყაროებში ქართველი ხალხის შინაგანი ცხოვრების შესახებ მცირე ცნო-

---

[29] Е. А. Косминский. დასახ. ნაშრ., გვ. 184, 185, 190, 191, 204, 207.

[30] М. Броссе. Взгляд на историю и литературу Грузии, ЖМНП, Часть 19, № 7, 1838, გვ. 276.

ბებია დაცული, მიუთითებს სულ ცოტა სამ გარემოებაზე. უწინარეს ყოვლისა, აქ საქმე გვაქვს ფრანგულ ბურჟუაზიულ ისტორიოგრაფიაში გაბატონებული თვალსაზრისის გადმონერგვასთან ქართული ისტორიოგრაფიის ნიადაგზე, ხალხის შინაგანი ისტორიის შესწავლას რომ გულისხმობდა. მეორე მხრივ, ამ საკითხის დასმა ქართულ ისტორიოგრაფიაში, როგორც ირკვევა, მ. ბროსეს სახელს უნდა დავუკავშიროთ და ამით საფუძველი გამოვაცალოთ იმ მოსაზრებას, რომლის მიხედვით, ჩვენში სოციალურ-ეკონომიკური საკითხების შესწავლა გზას იკაფავდა თითქოს მხოლოდ XIX ს. 80-იანი წლებიდან. მართალია, სხვა საკითხია, შეძლო თუ არა მ. ბროსემ ამ ამოცანის გადაწყვეტა, ე. ი. რამდენად მოახერხა მან ქართველი ხალხის შინაგანი ცხოვრების სურათის აღდგენა. მაგრამ მარტოოდენ საკითხის დასმის თვალსაზრისითაც კი, მისი წამოწყება უთუოდ მნიშვნელოვანია. ყოველ შემთხვევაში, მკვლევრის ცდა ამ მდიდარ საისტორიო მასალებზე — სიგელ-გუჯრებზე კვლევა-ძიების წარმოებისა, რომელნიც შეიცავენ ხალხის შინაგანი ცხოვრების ამსახველ ფაქტებს, იმას მოწმობს, რომ მ. ბროსე ნამდვილად ცდილა მათ გამოყენებას საქართველოს ისტორიის მეცნიერული შესწავლისათვის[31].

მ. ბროსე სიგელ-გუჯრებში ქართველი ხალხის საზოგადოებრივი ცხოვრების პერიპეტიებს ხედავდა. მას მიზნად ჰქონდა დასახული ამ წყაროთა შესწავლის ნიადაგზე საქართველოს ისტორიის სისტემატური კურსის შედგენა, თუმცა, როგორც მისი „საქართველოს ისტორიიდან“ ჩანს, მან ეს იდეა ვერ განახორციელა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მარტოოდენ სიგელ-გუჯრების მიხედვით ისტორიის შედგენა შეუძლებელია, რადგან ეს უკანასკნელნი მის დროს მომდინარეობდნენ მხოლოდ XI ს-იდან და არსებობას განაგრძობდნენ ვიდრე XIX ს-მდე. მაშასადამე, მათი არსებობა, სულ დიდი, 8 საუკუნის მანძილზეა დადასტურებული. ამ ხარვეზის შევსების ერთგვარი კომპენსაციაა მ. ბროსეს „მოხსენებაში“[32] შესული მასალები იბერიის სახელმწიფოებრივი წყობილების სტრაბონისეული აღწერილობის შესახებ, როგორც შესასწავლი საკითხის ძირითადი წყარო, მაგრამ ეს პირველხარისხოვანი ანტიკური ძეგლი ყოველგვარი კომენტარების გარეშეა დატოვებული. მ. ბროსეს აზრად არ მოსვლია იბერიის თეიმურაზისეული სოცია-

---

[31] ა. ჯიქეიძე. XIX ს. ქართული ისტორიული..., გვ. 3.
[32] M. Brosset. Rapport... წიგნი III, SPB, 1851, გვ. 37.

ლური წყობილების შედარება სტრაბონის ცნობებთან, რაც, ცხადია, დიდად განათლებულ და ერუდირებულ მკვლევარს, მ. ბროსეს, მეტად საგულისხმო დასკვნებამდე მიიყვანდა. ამის მაგიერ აღნიშნულ ნაშრომში აღრეული და შედარებით მოგვიანო ხანის ზოგიერთი სოციალური ტერმინის (თავადი, აზნაური, მსახური, მონა, ხევისთავი, ხელოსანი, მამასახლისი) თავისებური ანალიზია წარმოდგენილი. მაგალითისათვის ავიღოთ ჩვენთვის საინტერესო ტერმინი მამასახლისისა. მისი აზრით, მამასახლისი ძველთაგან მომდინარეობს და იგი „ქართლის ცხოვრებაში" მეფობის წინამორბედი ხანის სოციალური კატეგორიაა[33]. რაც შეეხება მონას, იგი აბსოლუტურად განსხვავდებოდა მსახურისაგან, რომელიც მისი აზრით, გარკვეული პრივილეგირებული საზოგადოებრივი თანამდებობის მოხელე იყო. მონა ერთგვარად დაახლოებულია ყმასთან; სხვა აზრი მონაზე ჩვენს ავტორს არ მოეპოვება[34].

ახლა, როდესაც ჩვენ გვევალება იმის შეფასება, თუ რა მეცნიერულ ღირებულებას შეიცავს ფაქტების ის განზოგადოება, რომელიც თავმოყრილია მ. ბროსეს ხსენებულ ნაშრომში, მასზე შეიძლება ითქვას, რომ მასალათა არასრული შეგროვებისა და ნაწყვეტ-ნაწყვეტობის მიუხედავად, ფრანგი მეცნიერის „შესავალი" მეტ-ნაკლებად სრულ სურათს ქმნის XIV—XVIII სს. საქართველოს შინაგანი ცხოვრების განვითარებაზე. ჩვენი სახელოვანი ისტორიკოსის დ. ბაქრაძის სიტყვით რომ ვთქვათ, მ. ბროსეს მიერ დაწერილი ეს გამოკვლევა „ყველა იმის მრავალ-ტომიან შრომაზე უფრო საინტერესოა და ძვირფასი"[35].

ამრიგად, მ. ბროსეს „საქართველოს ისტორიის შესავალი" ქართველი ხალხის სოციალურ-ეკონომიკური ისტორიის კვლევა-ძიების საქმეში დადებით მოვლენად უნდა ვაღიაროთ. მაგრამ გარკვეული თვალსაზრისით იგივეს თქმა არ შეიძლება მ. ბროსეს „საქართველოს ისტორიაზე", რომელშიც სისტემატური, მთლიანი ისტორიის გადმოცემისას, ავტორი წყაროთა ტყვეობაში იმყოფება და პირდაპირ მატიანის ამბებს მოგვითხრობს. „საქართველოს ისტორიაში" სოციალურ-ეკონომიკური და საერთოდ შინაგანი ისტორიის საკითხები თითქმის სავსებით მივიწყებულია. ავტორისეული პროგრამა — შინაგანი ისტორიის შესწავლის შესახებ — აქ იგნორირე-

---

[33] მ. ბ რ ო ს ე. საქართველოს ისტორია, ნაწ. 1. გვ. 10.

[34] M. B r o s s e t. დასახ. ნაშრ., გვ. LXXX.

[35] დ. ბ ა ქ რ ა ძ ე. ახალ გამოკვლევაზედ... გვ. 28.

ბელია. მაგრამ მ. ბროსე არ ივიწყებს თავის წინამორბედ ისტორიკოსთა თეორიასაც ისტორიული საქართველოს ორ პერიოდად დაყოფაზე და საკმაოდ მკრთალად აღნიშნავს წინაკლასობრივ და კლასობრივ საზოგადოებათა განსხვავებებზე. ასე, მაგალითად, ფარნავაზზე საუბრისას იგი წერს: „მან თავისი სიცოცხლე მმართველის ვალდებულების შესრულებას შესწირა“ (25) და იაზონის გაძევების შემდეგ „მთელი ივერია და სამეგრელო ფარნავაზმა დაიპყრა და იგი მეფედ აღსარებულ იქნა“ (24).

ასე უბრალოდ ესახება მ. ბროსეს საქართველოში სახელმწიფოს წარმოშობის საკითხი. ცხადია, ამგვარი ლიტონი სიტყვებით ამ რთული პრობლემის გადაჭრა ჩვენ ავტორს არ ეპატიება.

მამასახლისობის ინსტიტუტიც, ე. ი. წინაკლასობრივი წყობილება მ. ბროსეს ნაკლებად აინტერესებს. მართალია, აქაა განვითარებული „ქართლის ცხოვრების“ ძირითადი აზრი, მაგრამ ყოველგვარი თეორიული დასაბუთების გარეშე. აღნიშნულია მხოლოდ, რომ „მცხეთოსი და იმისი საკუთარი შთამომავლობა ითვლებოდა ქართლოსის ნათესავთა მიერ უმთავრეს მ ა მ ა ს ა ხ ლ ი ს ა დ (ხაზგასმა ავტორისაა. — ა. ბ.), ანუ პატრიარქად მთელის ქართლისა“ (10).

მამასახლისთა მემკვიდრეობის იდეა „საქართველოს ისტორიის“ სხვა გვერდებზედაცაა დადასტურებული (14, 15, 22) მ. ბროსეს მიერ, მაგრამ ამაზე შორს იგი არ მიდის, თუმცა კი დასაშვებად მიაჩნია, რომ „ქართლის ცხოვრებაში“ დაცული ეს ზეპირგადმოცემა „არ ეწინააღმდეგება უკვე ცნობილთა და დამტკიცებულთ ფაქტებსა“ (II). ამ ამონაწერიდან ჩანს, რომ მ. ბროსესათვის ცნობილი იყო მამასახლისობის იდენტური ინსტიტუტები სხვა ხალხთა ცხოვრებაშიც. ამ მხრივ ფრიად საგულისხმოა ჩვენი ავტორისავე უკვე მითითებული „სიტყვა“, სადაც იგი მამასახლისთა გარშემო ასეთსავე მოსაზრებას გამოთქვამს. იგი წერს: „სხვა ხალხთა მსგავსად, საქართველომ თავდაპირველად არ იცოდა მმართველობის სხვა ფორმა გარდა მამამთავრის ძალაუფლებისა თავის ოჯახებში, შემდეგში დიდ პატრიარქებს დაქვემდებარებული, რომელთაც მ ა მ ა ს ა ხ ლ ი ს (ხაზგასმა ავტორისაა. — ა. ბ.) ეწოდებოდა. მან (საქართველომ. — ა. ბ.) მრავალი საუკუნე განვლო მათი მმართველობის ქვეშ. ამას მოყვა სამეფო ხელისუფლების დამყარება ფარნავაზით სათავეში. გადმოცემა მამასახლისობაზე ერთსულოვნად დაცულია ქართველთა ოჯახებში“[36].

[36] М. Б р о с е е. Взгляд... გვ. 395.

მაშასადამე, მ. ბროსეს აზრი ისაა, რომ იგი იზიარებს „ქართლის ცხოვრების“ ცნობას მამასახლისობაზე და მას მყარსა ხდის ანალოგიების მეთოდის გზით, თუმცა კონკრეტულ მაგალითს იგი არ მიუთითებს. აქედანვე ჩანს, რომ იგი მომხრე იყო საქართველოს ისტორიის ორ პერიოდად დაყოფისა, რაც, ცხადია, დამყარებულია ქართული ისტორიოგრაფიის მონაცემებზე. ქართველი ხალხის ისტორიის მეორე პერიოდი, მ. ბროსეს აზრით, ესაა ფეოდალიზმი, რომელიც წინ უსწრებს დასავლეთევროპულს. ტერმინი „ფეოდალიზმი“ ქართულ ისტორიოგრაფიაში, მართალია, უკვე ნახმარი იყო, მაგრამ იგი მაინც ერთ-ერთი პირველთაგანია მას რომ ახსენებს (გვ. 277).

ამრიგად, დასასრულს, ვაჯამებთ რა მ. ბროსეს ნაშრომის „საქართველოს ისტორიის“ განხილვას იმ ნაწილში, რომელიც ჩვენი კვლევის ძირითად საგანს შეადგენს, უნდა აღვნიშნოთ, რომ იგი ვერ პასუხობს და ვერ არეკლავს იმ მიღწევებს, რომლებიც შესრულებულ იქნა თვით ავტორის მიერ. აქედან ის ნაჩქარევი დასკვნა სრულიადაც არ გამომდინარეობს, რაც მიღებული იყო ქართული ისტორიოგრაფიის ერთი ნაწილის მკვლევართა მიერ, თითქოს მ. ბროსე არ იყო სინთეტიკური აზროვნების ისტორიკოსი და მას ფაქტების განზოგადოება უჭირდა[37]. ან კიდევ, როგორც გ. ნათაძეს მიაჩნდა, მ. ბროსეს „საქართველოს ისტორიას“ არავითარი მეცნიერული, თუ მეცნიერულ-პოპულარული მნიშვნელობა არა აქვსო[38].

ჩვენ ვერ დავეთანხმებით ქართველ ისტორიკოსთა (ნ. მარი, გ. ნათაძე) ამგვარ მოსაზრებას გარკვეული მიზეზის გამო. საქმე ისაა, რომ აღნიშნულ მკვლევართ, როდესაც ისინი იძლევიან მ. ბროსეს მეცნიერულ დახასიათებას, მხედველობაში აქვთ სწორედ „საქართველოს ისტორია“, რომელიც ავტორს შეუდგენია 1855 წელს რუსულ ენაზე და რასაც ისინი მხედველობაში სრულიად არ იღებენ. ამის მაგიერ ისინი აღნიშნავენ, რომ ეს ნაშრომი გამოვიდა 1895 წელს და იგი არ პასუხობს მ. ბროსესავე მეცნიერულ დონესო. ამით ნ. მარსა და გ. ნათაძეს მხედველობიდან ეპარებათ სულ ცოტა 40 წელი, რასაც, ცხადია, ანგარიში უნდა

---

[37] Н. Марр. К столетию дня рождения М. И. Броссе. «ЗВО», 1902, ტ. XIV, გვ. 75. შდრ. ი. მ ე გ რ ე ლ ი ძ ე. ერთი წიგნის ავ-კარგი... „კომუნისტი“, № 12, 1963, გვ. 4.

[38] გრ. ნ ა თ ა ძ ე. საზოგადოებათმცოდნეობის მეთოდოლოგიისა და მეთოდიკის საკითხები, ნაკვეთი, I, თბ., 1931, გვ. 78.

გაეწიოს. ამასთან, ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ მ. ბროსეს თავის სიცოცხლეში აღნიშნული ნაშრომი არ გამოუცია. მას ამ თხზულების გამოქვეყნება არც კი უფიქრია და თუ ეს ასეა, მაშინ ჩვენ არ გვმართებს „საქართველოს ისტორიის" მეტისმეტი კრიტიკა. ჩვენ გვგონია, რომ თუ აქ აღნიშნულ ფაქტს მხედველობაში მივიღებთ, საჭირო იქნება მ. ბროსეს რეაბილიტაციაც. ამ მხრივ სავსებით სწორ პოზიციებზე დგას, ჩვენი აზრით, მ. დუმბაძე, როდესაც აღნიშნავს, რომ მ. ბროსეს „ახასიათებდა შედარებითი და ანალიზური მეთოდების გამოყენება, მოვლენათა შეფასება, სრული შეუზღუდველობა წყაროების გამოყენებაში და საერთოდ რთული მეცნიერული აპარატი"[39].

მ. ბროსეთი ვასრულებთ ჩვენ XIX ს. პირველი ნახევრის ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებულ შეხედულებათა განვითარების განხილვას პირველყოფილთემური წყობილებისა და ფეოდალური ხანის საქართველოს ისტორიის შესახებ. ამ განხილვამ ცხადად დაგვანახვა, რომ XIX ს. პირველი ნახევრის ქართულ ისტორიოგრაფიაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა პირველყოფილთემური წყობილებისა და ფეოდალური ხანის საქართველოს ისტორიის კვლევაძიების საქმეს. არ დარჩენილა არც ერთი ქართველი ისტორიკოსი, რომლის ყურადღების სფეროში მეტ-ნაკლებად არა მდგარიყოს აღნიშნულ საკითხთა შესწავლა. ამ პრობლემის დამუშავებაში განსაკუთრებით ისახელეს თავი დავით და თეიმურაზ ბაგრატიონებმა. დავით ბატონიშვილმა ქართულ საისტორიო მეცნიერებაში პირველმა ქართველი ხალხის ისტორიის მაგალითზე დასვა საკითხი პირველყოფილთემური წყობილების არსებობისა და მისი შესწავლის აუცილებლობაზე. ავტორის სიტყვით, ქართულ ენაზე ამ წყობილებას „ერისა საზოგადოობა" ეწოდებოდა და გარკვეული მნიშვნელობით გულისხმობდა სახალხო მმართველობის დამოუკიდებელ სუფევას. ამით დავითს სურდა იმ გარემოებისათვის გაესვა ხაზი, რომ არსებობდა დრო, როდესაც ხალხი თავისუფალი იყო, რომ იგი თვითონ წყვეტდა თავის ბედ-იღბალს, რომ ხალხი იყო თავისი თავის ბატონ-პატრონი.

დავითის დამსახურებაა ქართველ ტომებში პირველყოფილთემური წყობილების ფაქტის დანახვისა, რასაც თავისთავად, ისტორიულად დიდი მნიშვნელობა აქვს. ამ ფორმაციაში იგი პოლიტიკურ შინაარსს სდებდა.

---

[39] მ. დუმბაძე. ისტორიკოსი... გვ. 104.

დ. ბატონიშვილის ეს დემოკრატიული იდეა შემდგომ განავითარა და გარკვეულ საფეხურზე აიყვანა თეიმურაზმა. ამ უკანასკნელმა მთელი კონცეფცია შექმნა „ერისა საზოგადოობაზე“ და მკითხველს თვალნათლივ დაანახა ამ ეპოქის სპეციფიკური და დამახასიათებელი ნიშნები. თემური წყობილების თეიმურაზისეული აღწერა პირველ სერიოზულ ცდას წარმოადგენს ამ საკითხის კვლევა-ძიების საქმეში. აქედან სრულიადაც არ გამომდინარეობს იმ დიდი ღვაწლის მიჩქმალვა, რაც მსოფლიო ისტორიის წინაშე მიუძღვის გამოჩენილ ამერიკელ ეთნოგრაფ ლუის მორგანს ქორწინების, ოჯახისა და გვარის სტრუქტურის პრობლემის შესწავლაში. ლ. მორგანმა შექმნა მეცნიერული თეორია პირველყოფილი საზოგადოების ისტორიაზე. მის მეცნიერულ არგუმენტაციებსა და წანაძღვარებს არაფერი საერთო არა აქვთ ბაგრატიონთა ცოდნასთან. ამ უკანასკნელსა და ბაგრატიონებს შორის არსებობს უდიდესი ზღვარი, უდიდესი კონტრასტი, რისი აღნიშვნა აუცილებელია. დავითი და თეიმურაზი, რა თქმა უნდა, ჩამორჩებოდნენ ამერიკელ ეთნოგრაფს როგორც მეთოდის (ლ. მორგანი მატერიალისტია, ბატონიშვილები კი იდეალისტები), ისე ფაქტობრივი მასალის განზოგადების თვალსაზრისით. ლ. მორგანის ნაშრომი „ძველი საზოგადოება“ (1877) გვაროვნულ წყობილებაზე შექმნილი უნივერსალური თეორიაა, რომელიც 400 გვერდისაგან შედგება და საზოგადოებრივ ინსტიტუტთა კვლევა-ძიებისას შედარებით-ისტორიული მეთოდის საფუძველზეა აგებული. ამგვარ პარალელურ მეთოდს დიდად აფასებდნენ მარქსიზმის კლასიკოსები. ლ. მორგანმა აღმოაჩინა გვარის როგორც სოციალური უჯრედის არსებობა და ამით დაამტკიცა გვაროვნული წყობილების მსოფლიო უნივერსალურობა, ხოლო ქართველ ისტორიკოსთა დახასიათებისას უნდა აღვნიშნოთ, რომ მათ ქართულ სინამდვილეში აღმოაჩინეს პირველყოფილ-თემური წყობილების არსებობის ფაქტი და მისი შესწავლის საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს, მაგრამ ამ აღმოჩენის შესახებ ისინი არას გვეუბნებიან. ეს აღმოჩენა თანამედროვე ქართული საბჭოთა ისტორიოგრაფიის დამსახურებას შეადგენს.

მომდევნო პერიოდის ქართველ ისტორიკოსთა შორის აღსანიშნავია ამ მიმართულებით პ. იოსელიანის საქმიანობა. მისი დიდი დამსახურება ისაა, რომ მან საქართველოში აღნიშნული ფორმაციის არსებობის დასაბუთებაში შედარებით-ისტორიული მეთოდი მოიმარჯვა და ქართული მასალის ანტიკურ პირველწყაროებთან შედარების გზით წარმართა თავისი კვლევა-ძიება. ამან თავისი ნა-

ყოფი გამოიღო და ავტორს აშკარად დაანახა საქართველოს სინამ-დვილეში მამასახლისთა გამგებლობის ხანა, რომელსაც საფუძ-ვლად პატრიარქატი ედო.

ცხადია, მამასახლისობა და „პატერ ფამილია" ორი სხვადასხვა ცნების გამომხატველია და მათი გაიგივება შეუძლებელია. „პა-ტერ ფამილია" რომის სახელმწიფოს არსებობის ხანაში გულის-ხმობდა კლასობრივი საზოგადოების „ოჯახის მამას" და არას შემთ-ხვევაში გვაროვნული წყობილების „ოჯახის მამას". რაც შეეხება გვაროვნული წყობილების ხანას, ამ უკანასკნელში გულისხმობდა „დიდი პატრიარქალური ოჯახის" უფროსს.

ქართული თემის შესწავლის მხრივ მნიშვნელოვანი წელილი შეიტანა მ. ბროსემაც. მაგრამ მისი მთავარი დამსახურება მაინც ისაა, რომ მ. ბროსემ ქართულ ისტორიოგრაფიაში შემოიტანა ხალ-ხის შინაგანი ისტორიის შესწავლის აუცილებლობის მოთხოვნა, რაც, საბოლოო ჯამში, ისტორიული კვლევა-ძიების ძირითადი მიზანია. შინაგანი ისტორიის შესწავლას მან საფუძვლად დაუდო ქართული სიგელ-გუჯრები, რომელნიც მისივე სიტყვით: „ქარტიებში დაცუ-ლია ნამდვილი შიშველი ისტორიული ფაქტები. ეს ქარტიები პატენტებია ხალხის დიდებაზე"[40].

ზემოთქმულიდან გამომდინარეობს, რომ XIX ს. პირველი ნა-ხევრის ქართულ ისტორიოგრაფიაში დიდი ადგილი დაეთმო საზო-გადოებრივ ფორმათა ისტორიის პრობლემების შესწავლას. განხილ-ვიდან გამოირკვა, რომ ქართველ ტომებში მამასახლისობა ერთ-ერთი საზოგადოებრივი საფეხურია; ქართლის მამასახლისის ინს-ტიტუტი საკმაოდ მსხვილი სოციალური კატეგორიათაგანი იყო ქართულ სინამდვილეში, რომელიც ისტორიულად წინამავალი სა-ფეხური იყო კლასობრივი საზოგადოებისაკენ.

რაც შეეხება, კერძოდ, კლასობრივი საზოგადოების (პოლიტო-გენეზის), ამ შემთხვევაში, ფეოდალური სოციალურ-ეკონომიკუ-რი ფორმაციის აღმოცენების შესწავლას საქართველოში, იგი ამორ-ფულ, არადიფერენცირებულ ხასიათს ატარებდა. XIX ს. ქართველი ისტორიკოსებისათვის მნიშვნელოვანი იყო მხოლოდ საკუთრივ აქტი სახელმწიფოს დაარსება-წარმოშობისა. ხოლო მისი შინაგანი ისტორიის განვითარების პრობლემა მათ ინტერესთა სფეროში არ შედიოდა. აბსოლუტურად გამორიცხულია სახელმწიფოს წარმო-შობის სოციალურ-ეკონომიკური ევოლუციის პროცესის ჩვენება.

---

[40] М. Броссе. Взгляд... გვ. 281.

ცხადია, ეს იყო მათი კლასობრივი შეზღუდულობის ერთ-ერთი არსებითი ნაკლი. მათ არ იცოდნენ, რომ სახელმწიფო შინაგანი განვითარების შედეგია და არა გარედან თავს მოხვეული აპარატი, რომ იგი ერთი კლასის მეორეზე ბატონობის ორგანიზაციაა და ამ შინა სოციალური მოვლენების წარმოქმნასთანაა უშუალოდ დაკავშირებული. არა თუ ქართული ფეოდალური ისტორიოგრაფიისათვის იყო ძნელი სახელმწიფოს წარმოშობის პრობლემის მართებული გადაწყვეტა, არამედ თანადროული ევროპული ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიის ერთ-ერთ ძალაზე სუსტ უბანს შეადგენდა სწორედ შეხედულება სახელმწიფოს წარმოშობაზე. აქ. მკვეთრად გამომჟღავნდა მისი მეთოდოლოგიის სრული უმწეობა, სახელმწიფო განიხილებოდა როგორც გარედან თავს მოხვეული ძალა. კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს წარმოშობა არ უკავშირდებოდა ეკონომიურ ძვრებსა და საზოგადოებრივ ცვლილებებს.

საქართველოში სახელმწიფოს წარმოშობის პრობლემაში მხოლოდ ერთი მიმართულება გამოიყოფა: ისტორიკოსები სახელმწიფოს წარმოშობას პატრიარქალურ თეორიას უკავშირებდნენ, რომელიც კლასობრივი საზოგადოების იმთავითობის იდეის არსებობას აღიარებდა, ე. ი. წინაკლასობრივ საზოგადოებაში კლასობრივ წყობილებას ხედავდა, რაც მატერიალისტური დიალექტიკით მეტად მძიმე შეცდომაა.

* * *

ამრიგად, ჩვენ დავინახეთ, რომ XIX ს. პირველ ნახევრის ქართული ისტორიული აზროვნება ძირითადად ფეოდალური ხანის იდეოლოგიას გამოხატავდა. მაგრამ ამ საუკუნის 60-იანი წლებიდან, საქართველოში კაპიტალისტურ ურთიერთობათა განვითარებასთან ერთად, ქართველი განათლებული საზოგადოება ახალ, შედარებით პროგრესულ, ბურჟუაზიულ იდეოლოგიურ აზრს დაადგა. ამავე პერიოდში, კერძოდ, 60—70-იანი წლებიდან დაწყებული ქართულ საზოგადოებაში გადამწყვეტი როლი ითამაშა ეროვნულ-განმათავისუფლებელმა დემოკრატიულმა მიმართულებამ, რომლის ხელში გადადის მწერლობა, ხელოვნება და მეცნიერება (გ. ერისთავი, დ. ჭონქაძე, ა. ფურცელაძე, ნ. ნიკოლაძე, ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი). ეს უკანასკნელნი ნათლად ამჩნევენ საქართველოში მიმდინა-

რე ცვლილებებს და თავიანთი შემოქმედებით ხელს უწყობენ ახალი იდეოლოგიის გამარჯვებას. ეს გარემოება შეუმჩნეველი არ დარჩენია არც პ. იოსელიანს, რომელიც 1871 წელს წერდა: „ჩვენ ვიმყოფებით შუა საუკუნეთა დასასრულის მიჯნაზე, ჩვენი თვალის წინ რომ ქრება. კაცობრიობა მოელის გონების მოძრაობის ახალ ნაყოფს, ახალ იდეებს, ახალ საკითხებს, თუმცა ზოგჯერ ძველს, რომელზედაც ჩუმად ლაპარაკობენ ევროპის სწავლულები და ხმამაღლა გაჰყვირიან მათი უგუნური მიმდევრები. ღმერთმა ქნას, რომ ახალ იდეათა ეს დაბადება და მათი განხორციელება და ახალ იდეათა მეხედვით ახალი საზოგადოებრივი წყობილების ფორმათა შექმნა (ხაზი ჩვენია, ა. ბ.) იყოს უმტკივნეულო სიხარულად ადამიანთა მოდგმისათვის, რომელმაც უიმისოდაც ბევრი დაცემა და უბედურება განიცადა"[41].

ცხადია, ბურჟუაზიული ურთიერთობის წარმოშობა-განვითარება თავისთავად ფეოდალიზმის მოსპობის მაუწყებელია. საქართველოში ეს პროცესი, უწინარეს ყოვლისა, გამოიხატა იმ დიდ პოლიტიკურ ბრძოლაში, რომელსაც იმჟამინდელი იდეოლოგიის დარგში ბატონყმობის გაუქმების პრობლემა წარმოადგენდა და რომლიდანაც, ვ. ი. ლენინის სიტყვით, ყველა სხვა საკითხი გამომდინარეობდა[42]. ამ უაღრესად რთული პრობლემის გადაჭრას სხვადასხვაგვარად უდგებოდნენ გვიანფეოდალური ხანის იდეოლოგიისა და პროგრესულ-დემოკრატიული მიმართულების წარმომადგენლები. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ამ უკიდურესობამდე მისული ბრძოლის ერთგვარი სურათია დახატული ს. ბარათაშვილის „История Грузии-ს" პირველ რვეულში, სადაც ავტორი ისტორიული პერსპექტივის გათვალისწინებით ასკვნის: „ოცი საუკუნის განმავლობაში იბრძოდა ქართველი ხალხი უძლიერეს დამპყრობელთა წინააღმდეგ დამოუკიდებლობისათვის და ეს ბრძოლა იქამდე გაგრძელდა, სანამ ერთმა საქართველოს უკანასკნელ მეფეთაგანმა არ შეარყია ხალხის უმაღლესი წოდების ძველი სამიწო უფლებანი"[43].

XIX ს. მეორე ნახევრის ქართველ ისტორიკოსთა შორის ს. ბარათაშვილს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. თავის დროისათვის საკმაოდ საფუძვლიანად განათლებული, მოაზროვნე და ნიჭიერი ახალგაზრდა მკვლევარი, ს. ბარათაშვილი, ქართველ გაღატა-

[41] П. Иоселиани. Путевые заметки... с. 82—83.

[42] ვ. ი. ლენინი. თხზულებანი. ტ. 2, გვ. 628.

[43] ს. ბარათაშვილი. საქართველოს ისტორია. რვეული I, გვ. 49—50

კებულ თავადაზნაურთა იმ მცირე წრეს ეკუთვნოდა, რომლის საქმიანობა სამშობლოს უანგარო სიყვარულში ირეკლებოდა. სწორედ სამშობლოსადმი სიყვარულის ამ უსაზღვროობამ შეაძლებინა მას „საქართველოს ისტორიის“ შედგენა, რომელიც მეთოდოლოგიური თვალსაზრისით იმჟამინდელი ისტორიოგრაფიის დონეზე დგას. იგი თავისი „ისტორიის“ მეორე რვეულში საგანგებოდ ჩერდება კიდეც იმ წყაროთა და სამეცნიერო ლიტერატურის აღნიშვნაზე, მას რომ აქვს გამოყენებული.

ს. ბარათაშვილის „История Грузии“ რუსულად დაწერილი დიდი გამოკვლევაა და სამი რვეულისაგან, ანუ წიგნისაგან შედგება. მათში მოთხრობილია ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი ისტორია უძველესი ხანებიდან ვიდრე მონღოლთა ბატონობის დამკვიდრებით. ამ ნაშრომის დასაწყისში ავტორი გადმოგვცემს თავის შეხედულებას ქართველი ხალხის უძველესი პერიოდის ისტორიაზე იმგვარი მეთოდის გამოყენებით, რითაც ხასიათდება დასავლეთევროპული ბურჟუაზიული ისტორიოგრაფია. ს. ბარათაშვილს მიაჩნია, რომ ქართველი ხალხის უძველესი გადმოცემა თავის წარმოშობაზე, რომელიც „ქართლის ცხოვრებაშია“ დაცული, სინამდვილეს იმდენად შეესაბამება, რომ ამ წყაროში ეჭვის შეტანა ნიადაგს არა პოულობსო. მაგრამ ავტორი აქვე დასძენს, რომ ქართლოსიანთა საზოგადოების ფეოდალური სისტემა კი არ იყო იმგვარი, როგორიც ბარბაროს გერმანელ ტომთა საზოგადოებრივი წესწყობილება რომის იმპერიის დაცემის ჟამს. ქართველთა სოციალური ვითარება ბარბაროსებთან შედარებით მაინც დაბალ დონეზე იდგა თუნდაც იმის გამო, რომ ამ ველურმა ტომებმა იხილეს რომის იმპერიის დიდება და მის ნანგრევებზე დაიწყეს ახალი ცხოვრების შენება. ხოლო, რაც შეეხება ქართველებს, მათ მხოლოდ საკუთარი ცხოვრების პირობებითა და მაგალითებით უნდა ეცხოვრათ და დაკმაყოფილებულიყვნენ საქართველოს ბუნებით (გვ. 13). რა თქმა უნდა, ეს უკანასკნელი წინადადება აშკარად მცდარია.

ქართველთა პოლიტიკური ვითარება ძველი წელთაღრიცხვის VII ს-მდე, ს. ბარათაშვილის აზრით, ორი ფაქტორით შეიძლება აიხსნას: კერძოდ, შინაგან და გარეგან მოვლენათა ნიადაგზე, რომელნიც თავის მხრივ ქართველობას სხვა ხალხთაგან განასხვავებდნენ. ესაა მიწის ნიადაგის სპეციფიკურობა და ქართველთა ენობრივი ერთიანობა. ხოლო, გარეგან ფაქტორთა შორის, ავტორის აზრით, აღსანიშნავია ხაზართა (სკვითთა) შემოსევა, რომელსაც ძველი წელთაღრიცხვის VII ს-ში ჰქონდა ადგილი.

„საზოგადოდ ყველა უძველესი ხალხები, — აღნიშნავდა ს. ბარათაშვილი, — წარსული დროის მიხედვით კი არ ეწყობოდნენ. არამედ ისე, როგორც შინაგანი, ანუ გარეგანი მოვლენა და გარემოება უჩვენებდა მათ. პირველი — საქართველოს მიწის ნიადაგი: რადგან ეს ნიადაგი ხეობებით დასერილ მთიან ადგილს წარმოადგენს, ამიტომ თავიდანვე ყოფდა ხალხს რამდენიმე ნაწილად. ქალაქების და სოფლების მოსაშენებლად მთებს და მთების ტყიან მწვერვალებს ირჩევდნენ, რადგან ამგვარ ადგილებში მათი ოჯახობა და ავლა-დიდება უფრო უშიშარ მდგომარეობაში იყო. მეორე· გარემოება იყო — ხალხის საერთო ენა და თვისტომობა, რის წყალობითაც ერთტომობა გამაგრებული იყო“ (გვ. 13—14).

მოტანილი ამონაწერი ავტორის ორიგინალურ მოსაზრებად ვერ ჩაითვლება. ეს „თეორია“ ეკუთვნის პ. იოსელიანს, რომელმაც 1844 წელს წამოაყენა იგი[44]. სამწუხაროდ, ს. ბარათაშვილი გამოყენებულ ლიტერატურაზე არ მიუთითებს. რაც შეეხება ნიადაგის მნიშვნელობას ხალხის ეკონომიკური განვითარების საქმეში, აქ ჩვენი ავტორის შეხედულება არსებითად ემყარება შ. მონტესკიეს თეორიას. ს. ბარათაშვილი იცნობს ფრანგი სოციოლოგის ამ ნაშრომს და თავის პირველ რეფერატში სამგზის იმოწმებს მას ფრანგულად (გვ. 44—45). ამიტომ ცხადი უნდა იყოს, რომ ისტორიკოსის მიერ გამოთქმული იდეა გეოგრაფიული გარემოს მნიშვნელობის შესახებ ქართველ ტომთა განვითარებაში შ. მონტესკიესგან მომდინარეობს, მაშასადამე, ფრანგული ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიიდან.

ამავე წყაროდან (ფრანგული ბურჟუაზიული ისტორიოგრაფია) იღებს თავის სათავეს ს. ბარათაშვილის მეორე იდეაც, ქართველთა ენობრივი ერთიანობის თაობაზე. სწორედ ამის შედეგია, რომ იგი ქართველ ტომთა ეთნიკური ვინაობის საკითხში იზიარებდა ფრანგი მეცნიერის ლუი ვივიენ დე სენ-მარტენის მოსაზრებას მათი ინდო-კელტურ (ინდოევროპულ) წარმოშობაზე (გვ. 12)[45].

ბუნებრივად ისმის კითხვა — ყველაფერი ზემოთქმული ხომ არ აახლოებს ს. ბარათაშვილს ქართულ ბურჟუაზიულ ისტორიოგრაფიასთან? ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამის საფუძველს იძლევა თვით ავტორის ნაშრომთა შესწავლა. ამ მხრივ ძალზე ნაშანდობლივია, ჩვენი აზრით, ს. ბარათაშვილის წერილი: «Краткое обозрение глав-

---

[44] Различные наименования, გვ. 115—143.

[45] V. Saint-Martin, Recherches ... 1847, გვ. 95—97.

нейших причин падения грузинского царства»[46]. წერილი მიზნად ისახავს გამოიკვლიოს ის ძირითადი მიზეზები, რომლებმაც განაპირობეს საქართველოს სამეფოს დაცემა ისტორიულად. აქ ხაზგასმულია ორი ფაქტორის როლი: საგარეოსი და შინაგანისა. საგარეო ფაქტორი საქართველოს ისტორიაში თითქმის მედმივად მოქმედი იყო და მისი უარყოფა, რა თქმა უნდა, არ შეიძლება — აღნიშნავს ავტორი. მაგრამ ჩვენი ქვეყნის დაცემის მთავარი მიზეზი მაინც სამეფოს შინაგან დაშლილობაშია საძიებელი. ამ თეზისის დასამტკიცებლად იგი მიმართავს საქართველოს ისტორიას და განსაკუთრებით ჩერდება XII—XVIII სს. ისტორიულ მოვლენებზე.

თამარის მმართველობა საქართველოს ძლიერების უკანასკნელი საფეხურია, თუმცა არა ყველა მიმართულებით. იმჟამად ჩვენში ძალზე განვითარებული იყო პოეზია, მაგრამ არ იყო ცნობილი მათემატიკა და ზუსტი მეცნიერებანი; მაშინ განთქმული იყო სამხედრო სიმამაცე, თუმცა ნაკლები ყურადღება ექცეოდა მანუფაქტურის, მრეწველობისა და ვაჭრობის განვითარებას. რა თქმა უნდა, შეუძლებელი იყო თანამედროვეთათვის სამეფოს მოჩვენებითი დიდების ფონზე უტყუარი დაცემის დასაწყისის შემჩნევა: ქვეყნის სამხედრო დაძაბუნება მონგოლებთან პირველსავე დამარცხებაში გამოვლინდა.

მონგოლებს მოჰყვა მძვინვარე თემურლენგის 7 გზისი (უნდა იყოს 8, ა. ბ.) ლაშქრობა საქართველოში და მის ბუნებრივ თავდაცვით საშუალებებს რომ არა (ხალხის მთებსა და ხეობებში გახიზვნა) ქართველობა სავსებით ამოწყდებოდა. ამას მოსდევს ალექსანდრე I-ის მეფობიდან გადადგომის (1442) შემდეგ საქართველოს სახელმწიფოს სამ სამეფოდ დაყოფა, რამაც ქვეყნის გაერთიანების მაგიერ მისი საბოლოო დაშლა გამოიწვია. ამრიგად, ქართველი ხალხი შეკავშირებული ისტორიულად ერთი წარმოშობითა და საერთო ინტერესებით, აღარ არსებობდა.

საქართველოს დაყოფას სამ სამეფოდ საზოგადოებრივი თვალსაზრისით ეკონომიური დაცემაც მოჰყვა. სახელმწიფოს შემოსავალი ძლივს აუდიოდა მთავრობის, მებატონეთა და ჯარის გამოკვებას, მისი მოგება ერთ მეოთხედამდე დაეცა. სამი მეოთხედი კი სამღვდელოებას გადაეცა, რომელიც არ ხედავდა საჭიროებას სახელმწიფოს ეკონომიურად დახმარებოდა თუნდაც ომიანობის ჟამს.

ასეთი იყო სოციალურ-ეკონომიკური და კულტურულ-პოლი-

---

[46] «Кавказ», № 10, 1848, გვ. 39—40.

ტიკური ვითარება საქართველოში იმ დროს, როდესაც სამეფო ტახტზე ერეკლე II ავიდა. მაგრამ მისი კეთილშობილი პოლიტიკა (სახელმწიფო რეფორმები, სამთავადნო წარმოების წამოწყება, ქართლ-კახეთის გაერთიანება) მიმართული საქართველოს სახელმწიფოს ჩქარი დაცემის შეჩერების წინააღმდეგ, თავის მიზანს ვერ აღწევდა; საშინაო არეულობისა და აღა-მაჰმად-ხანის საქართველოში შემოსვლისა და განადგურების გამო, საქართველოს სამეფო დაეცა.

ს. ბარათაშვილის ამ წერილის ისტორიულ პოზიციას, რა, თქმა უნდა, ბურჟუაზიული ისტორიოგრაფია განსაზღვრავს. იგი ცდილობს მის თანადროულ რუსულ და დასავლეთევროპულ ისტორიოგრაფიაში არსებული ბურჟუაზიული თვალსაზრისის გადატანას ქართულ სინამდვილეში. ამიტომ იგი მიმართავს მოდერნიზაციის მეთოდს და XII — XIII სს. საქართველოში მანუფაქტურის, ვაჭრობისა და მრეწველობის განუვითარებლობას მწვავედ განიცდის. თავისთავად არაფერია გასაკვირი, რომ XII — XIII სს. საქართველოში ადგილი ჰქონოდა მანუფაქტურის, ვაჭრობისა და მრეწველობის არსებობას. მაგრამ საქმე ისაა, რომ ჩვენი ავტორის მოღვაწეობის დროს საქართველოში უკვე არსებობდა კაპიტალისტური საწარმოები[47], რასაც იგი ვერ ხედავდა XII — XIII სს. საქართველოში. ამიტომ იგი უჩივის იმ დროს და მიაჩნია, რომ მათი სუსტი განვითარება ერთ-ერთი არსებითი შინაგანი ფაქტორთაგანი იყო საქართველოს სამეფოს დაცემის მიზეზთა შორის. მაგრამ თვით ის ფაქტი, რომ ს. ბარათაშვილი ეკონომიკის განუვითარებლობაზე ლაპარაკობს XII — XIII სს. საქართველოში, ერთი მხრივ, ხოლო, მათემატიკისა და ზუსტ მეცნიერებათა არარსებობაზე, მეორე მხრივ, ცხადია, მიუთითებს მის სიმპათიებზე ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიისადმი. ეს უკანასკნელი არ უარყოფს სიტყვიერად მაინც ხალხის შინაგანი ცხოვრების (სოციალურ-ეკონომიკური) ისტორიის შესწავლას. ჩვენ დავინახეთ, რომ ასეთ მოთხოვნას უყენებს თავის თავს აგრეთვე ს. ბარათაშვილიც. მან მიუთითა იმ შინაგან მიზეზებზე, რომლებმაც ისტორიულად განსაზღვრა საქართველოს სახელმწიფოს დაცემა. ერთი სიტყვით, ს. ბარათაშვილის ტენდენციები ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიისადმი თითქოს ეკვს არ უნდა იწვევდნენ. იგი თეორიულად მომზადებული ჩანს იმისათვის, რათა საქართველოს ისტორიის შესწავლას მიუდგეს როგორც ბურჟუაზიული ისტორიკოსი.

---

[47] И. Г. Антелава, Э. А. Орджоникидзе, Э. В. Хоштария. К вопросу о генезисе и развитии капитализма..., Тб., 1967, გვ. 87.

ს. ბარათაშვილი შედარებით ახალი, მაღალი საფეხურია XIX ს. ქართული ისტორიოგრაფიისა: მას ახასიათებს წყაროზე ზუსტი მითითება, გამოყენებული ლიტერატურის (უპირატესად) დამოწმება, ტექსტიდან ამონაწერთა გამოყოფა, წყაროთა ურთიერთშეჯერება და მათი მეცნიერული ანალიზი, „ქართლის ცხოვრების" ტექსტის ტრადიციული სქემის დარღვევა და საქართველოს ისტორიის მსოფლიო ისტორიასთან დაახლოება-დაკავშირების ცდები. მაგრამ, ამასთან, საქართველოს კონკრეტული ისტორიის კვლევის დროს იგი სავსებით ივიწყებს ბურჟუაზიულ მეთოდს და იხღუდება ამ ისტორიოგრაფიისათვის დამახასიათებელი ბუნებით. ესაა, უწინარეს ყოვლისა, თითქმის აბსოლუტური იგნორირება ისტორიზმისა, ხალხის შინაგანი, სოციალურ-ეკონომიკური ისტორიისა. მართალია, ჩვენ დავინახეთ, რომ ავტორი აღნიშნავდა ხალხის შინაგანი ისტორიის შესწავლის მნიშვნელობას, მაგრამ, როდესაც იგი კონკრეტულად ეხება ქართველი ხალხის წარსულის კვლევა-ძიებას, აქ ს. ბარათაშვილი ივიწყებს თავის დაპირებას და ძირითადად პოლიტიკური ისტორიის ტყვეობაში ექცევა. ავტორის სამი რვეული 400 (399) გვერდისაგან შედგება და მისგან მხოლოდ რამდენიმე ფურცელი შეეხება შინაგანი ისტორიის საკითხებს. აქედან ჩანს, რომ ს. ბარათაშვილი ნაკლებ ყურადღებას აქცევდა ისტორიზმის პრინციპს. ეს გარემოება შეუმჩნეველი არ დარჩენია რუსული ჟურნალ-ს „Отечественные записки"-ს რედაქციას, რომელიც მისი პირველი რვეულის რეცენზირებისას წერდა: „ეს ნაწარმოები... არ შეიძლება არ გვაინტერესებდეს ჩვენ, რუსებს, რის გამოც ვუსურვებთ რა ბ-ნ ბარათოვს წარმატებას მის ბევრ წამოწყებულ შრომაში. ჩვენ ვალდებულად ვთვლით მოვაგონოთ მას ის გარემოება, რომ მისი თხზულება მოიპოვებს კიდევ უფრო დიდ მნიშვნელობასა და წარმატებას, თუ შემდგომ წიგნებში მეტი ყურადღება მ ი ე ქ ც ე ვ ა ქ ვ ე ყ ნ ი ს შ ი ნ ა გ ა ნ ც ხ ო ვ რ ე ბ ა ს (ხაზი ჩვენია, ა. ბ.), რომელიც სავსებით უყურადღებოდ გამორჩენია... პირველ ნაკვეთში"[48].

სახელდობრ, რისი თქმა შეიძლება ს. ბარათაშვილის მიერ მოთხრობილ საქართველოს შინაგან ისტორიის პრობლემებზე? უწინარეს ყოვლისა, უნდა შევნიშნოთ, რომ ჩვენი ავტორის კონცეფციას ამ მხრივ მკვეთრი ეკლექტიზმი ახასიათებს. იგი ერთხელ

---

[48] «Отечественные записки», CLXII (162), № 10, 1865, განყოფილება „Литературная летопись», გვ. 258.

ნათქვამს მალე ივიწყებს და არსებითად სავსებით საწინააღმდეგო დებულებას აყენებს. თუ, ერთი მხრივ, იგი მიუთითებდა, რომ ხალხთა ისტორიაში გადამწყვეტ ფაქტორს მიწის ნიადაგი (გეოგრაფიული გარემო) და სისხლითი ნათესაობა (ფიზიოლოგია) წარმოადგენდა, მეორე მხრივ, ს. ბარათაშვილი წერს, რომ „ყველაფერი ქვეყანაზე განგების ნებით მოხდება ხოლმე და ეს გზა გამოიხატება ბუნების კანონებით. ამ კანონების ძალით ყველაფერი... იცვლება. პოლიტიკური და სარწმუნოებრივი ხალხთა დაწესებულებანიც არ არიან დაფარულნი ამ საერთო წესისაგან“ (რეული მეორე, გვ. 8).

მაშასადამე, ისტორიული პროცესის განვითარების დედაბოძია ე. წ. პროვიდენციალიზმი. იგია უზენაესი განგება, რომელიც წარმართავს მსოფლიო ისტორიის მსვლელობას კაცობრიობის დასაბამიდან დასასრულამდე წინასწარ განსაზღვრული თვალსაზრისით. ამასთან, ეს პროცესი განვითარებასაც ცნობს, იგი დიალექტიკის ელემენტებს შეიცავს — „ყველაფერი იცვლება“. იცვლის სახეს საკუთრივ საზოგადოებაც; ასე, მაგალითად, ქართლოსის დროის ქართველთა საზოგადოებრივი წყობილება, მართალია, ფეოდალური იყო, მაგრამ ერს ჯერ კიდევ არ შეადგენდა, მაშინ როდესაც, განვითარების შედეგად, ფარნავაზის სახელმწიფო მონარქიულია და ხალხი ერად ჩამოყალიბდა. აქ, რა თქმა უნდა, დაშვებულია „განვითარების“ კანონზომიერება, თუმცა მეთოდოლოგიურ დაბეჯითებასთანაც გვაქვს საქმე. ქართლოსის შთამომავალთა სოციალური წყობა, ავტორის აზრით, ფეოდალურია (1 რვ., გვ. 13), მაგრამ ფეოდალიზმის წიაღში დაშვებულია აგრეთვე გვაროვნული წყობილების არსებობა ვიდრე ალექსანდრე მაკედონელის აზიაში გამოჩენამდე. ამ ხანაში ქართველ ტომებში ადგილი აქვს ტომთა ტერიტორიულ-გეოგრაფიულ კარჩაკეტილობას, დანაწილებას, განცალკევებას, იზოლაციას, მამასახლისობას, თვისტომობასა და ერთტომობას (I, გვ. 14). ცხადია, ამ სიტყვებში ძნელი დასანახი არ უნდა იყოს ის გარემოება, რომ ს. ბარათაშვილისათვის ცნობილია გვაროვნული წყობილება, რომლის საფუძველია ფეოდალიზმი. მართალია, უკლასო საზოგადოების არსებობის სურათი ს. ბარათაშვილს მკვეთრად არა აქვს დახატული, როგორც მის წინამორბედ ისტორიკოსებს (თ. ბაგრატიონი, პ. იოსელიანი), მაგრამ საქართველოში სამეფოს დაარსების წინა საფეხურზე მსჯელობისას ისეთი შთაბეჭდილება რჩება მკითხველს, რომ მისთვის ცნობილი იყო ეს უკანასკნელი. „ამ ხანებში — აღნიშნავს ავტორი... ქართველების

ერად ჩათვლა ჯერ კიდევ... არ შეიძლებოდა. მათი მდგომარეობა არ აძლევდა კაცს ნებას, წარმოედგინა ისინი მთელ შეერთებულ საზოგადოებად. ისინი იყვნენ მხოლოდ ერთი ტომისანი და იმგვარ ქვეყანაში ცხოვრობდნენ, სადაც ყოველი ხეობა თავის მცხოვრებელთ განსაკუთრებულ სახელს აძლევდა" (1,18). მაშასადამე, ქართველობა ჯერ კიდევ „შეერთებულ საზოგადოებად" არ ცხოვრობდა, იგი იზოლირებულად სახლობდა და ცალ-ცალკე ხეობაში ერთიანდებოდა. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ამ აღწერაში საქმე უნდა გვქონდეს გვაროვნული საზოგადოების არსებობის აღიარებასთან.

ბუნებრივად იბადება კითხვა — როგორ უნდა ავსხნათ ავტორის ცნობა წინაკლასობრივი წყობილების წიაღში ფეოდალური მმართველობის (1.13) არსებობა? პასუხი აქ შეიძლება მხოლოდ ერთი იყოს: ს. ბარათაშვილს ძალზე სუსტად აქვს წარმოდგენილი ფეოდალური ურთიერთობა, იგი მას იმთავითვე გაჩენილად მიაჩნია და არა გარკვეული ეპოქის სოციალურ-ეკონომიკურ მოვლენად. ავტორისათვის „ფეოდალიზმი" ოდინდელი, სახელმწიფოებრიობამდელი ინსტიტუტია, რომელიც საქართველოში სამეფოს წარმოშობასთან ერთად კიდევ უფრო მეტად ვითარდება და ფარნავაზის ხელში იგი იქცევა „ფეოდალური ცხოვრების" (1,48) ქვაკუთხედად. ს. ბარათაშვილის აზრით, თემური წყობილება გაგრძელდა იმ დრომდე, ვიდრე „ძლიერმა და განუწყვეტელმა გარეგანმა ომებმა ხალხს არ დაანახვა, რომ აუცილებლად საჭირო იყო უმეტესად შეკავშირება და შეერთება" (1,20).

ამრიგად, პირველყოფილი საზოგადოების წიაღში დაშვებულია ფეოდალური ურთიერთობის არსებობაც. ფეოდალიზმი თავისთავად ფეოდალთა კლასის არსებობას გულისხმობს. ამიტომ ს. ბარათაშვილის აზრით, ფეოდალურ-გვაროვნული წყობილების დროს, ცალ-ცალკე მცხოვრებ ქართველ ტომთა შორის გარკვეული მნიშვნელობით სოციალურ უთანასწორობას აქვს ადგილი. ეს ფაქტი, კერძოდ, მაშინ გამომეღავნდა, როდესაც მცხეთის მამასახლისი თურქთა და ებრაელთა ქართლში დასახლებისათვის თხოვნით მიმართავს „ქვეყნის სხვა მთავრებს" (1,27). აქ ნახმარი „ქვეყნის სხვა მთავრები", როგორც ირკვევა, გულისხმობს განსაკუთრებულ, პრივილეგირებულ ხალხს, რომელნიც საზოგადოების სხვა წევრებზე მაღლა დგანან. სამწუხაროდ, ამგვარი დასკვნა „ქართლის ცხოვრების" ტექსტიდან არ გამომდინარეობს და ეს აზრი ს. ბარათაშვილის მიერ მოგონილი ამბავია. ამასთან, აქვე უნდა აღვნიშ-

ნოთ, რომ ავტორის მთელი ეს „კონცეფცია“ ძალზე მერყეევი, ნებისმიერი და ქაოსურია.

ნაწილობრივ შეიძლებოდა გაგვეზიარებინა ს. ბარათაშვილის მოსაზრება საქართველოში კლასობრივი საზოგადოების წარმოშობის პროცესში გარეგანი ფაქტორის მონაწილეობის შესახებ, რასაც შედეგად უცხო მტრის წინააღმდეგ ბრძოლას ობიექტურად ქართველ ტომთა კონსოლიდაცია მოჰყვა (1,20). კონსოლიდაცია თავის მხრივ ამზადებს ნიადაგს სახელმწიფოს დასაარსებლად, რაც ს. ბარათაშვილის აზრით, სამი გარემოებითაა შეპირობებული: ქართველ ტომთა ერთიანობით, სპარსელთა მფლობელობის ზეგავლენით ამ ტომთა გაერთიანებისაკენ ლტოლვით და ხალხის განვითარებით.

საქართველოში სახელმწიფოს დაარსებასთან ერთად (ძველი წელთაღრიცხვის III ს. დასაწყისში), იმთავითვე იგულისხმება ქართველი ხალხის ერად ჩამოყალიბების პროცესის დასასრულიც. ფარნავაზი მოწოდებულია ერის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად: იგი თავის სახელმწიფოს რვა თუ ცხრა ნაწილად ჰყოფს, რომელთა სათავეში ერისთავები დგანან. ეს უკანასკნელნი საერისთავოებში თავისთავად მეფეები არიან. ერისთავობა მემკვიდრეობითია. მემკვიდრეობის ეს უფლება „ქართველთ ტომის ფეოდალური ცხოვრების ბუნებრივი შეღეგი“ იყო, აღნიშნავდა ს. ბარათაშვილი (1,48). „ეს ცხოვრება დაიწყო ქართლოსის სიკვდილის შემდეგ, მის შთამომავალთა შორის მიწების დანაწილების დროიდან და რამდენიმე საუკუნის განმავლობაში მაგრად მოიდგა ფეხი. რაკი ფარნავაზმა დაამტკიცა ეს უფლება, საქართველოში დაიბადა ჯერ მიწის მფლობელობის, როგორც კერძო ნათესაობრივი საკუთრების, უფლება და შემდეგ აზრი იმ ოთხ სახალხო წოდების დაფუძნების შესახებ, რომელიც არსებობდა განუწყვეტლივ ვიდრე საქართველო თავისუფალ სამეფოს შეადგენდა“.

ამრიგად, ს. ბარათაშვილის მიხედვით, საქართველოში მემკვიდრეობის უფლება ქართლოსის სიკვდილის შემდეგ ყოფილა დამყარებული. ფარნავაზმა ეს უფლება კანონმდებლობით დააწესა და ერისთავებს გადასცა მიწა კერძო მფლობელობაში. მიწა ქართული ნიადაგის განსაკუთრებული დოვლათიანობის მეოხებით ფეოდალთა გამდიდრების წყაროდ იქცა. აქედან გამომდინარეობს, რომ ს. ბარათაშვილს, როგორც თავადაზნაურობის აშკარა დამცველს, უდავოდ მიუჩნევია კერძო საკუთრების ინსტიტუტის იმთავითობის არსებობის იდეა. მან ქართულ ისტორიოგრაფიაში

პირველმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია მიწის, როგორც პრივილეგირებული წოდების, კერძო საკუთრების საკითხს და ამით იდეოლოგიური, თეორიული წანამძღვარების პრეცედენტი შექმნა XIX ს. 60-იანი წლების ქართულ ისტორიოგრაფიაში; მაშასადამე. იმათ სასარგებლოდ, ვინც გლეხთა უმიწოდ განთავისუფლებას უჭერდა მხარს. იგი იზიარებდა იმ შეხედულებას, თითქოს მიწის კერძო მფლობელობა ღვთის მიერაა დაკანონებული. ამით ავტორი არაპირდაპირი გზით იცავდა გაღატაკების გზაზე შემდგარ ქართველ თავადაზნაურთა გააფთრებულ ბრძოლას თერგდალეულებთან გლეხთა უმიწოდ განთავისუფლების შესახებ. ამდენად, ქართული საზოგადოებრივი აზრის ამ მწვავე წინააღმდეგობამ თავისი გამოხატულება ჰპოვა ს. ბარათაშვილის შემოქმედებაშიაც.

მაგრამ, როდესაც ვაჯამებთ ავტორის მიერ მოპოვებულ შედეგებს საქართველოს ძველი და შუა საუკუნეების ისტორიის დარგში, უწინარეს ყოვლისა, უნდა აღვნიშნოთ ამ ისტორიკოსის დიდი ორიგინალობა, თავისებურება და ნიჭიერება სხვა მკვლევრებთან შედარებით. შესაძლებელია მის მოსაზრებაში არც ერთ დებულებას არ დავეთანხმოთ, მისი მწყობრი ლოგიკური მსჯელობა არ გავიზიაროთ და ფაქტების აბსოლუტურად სხვაგვარი გაგება წარმოვადგინოთ, რაც ჩვენთვის, ცხადია, არავითარ სიძნელეს არ შეადგენს, მაგრამ ყურადღებას იქცევს, უთუოდ ს. ბარათაშვილის კვლევა-ძიების მეთოდის განსაკუთრებული, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი თავისებურება. აღსანიშნავია, რომ მან იმჟამად მის ხელთ არსებული ყველა კომპლექსური მასალა გამოიყენა („ქართლის ცხოვრება", ბერძენ-რომაელ-ბიზანტიელ-სომეხ ისტორიკოსთა ცნობები და მსოფლიო ისტორიის სახელმძღვანელოები). ამ სახის წყაროთა ურთიერთშეჯერება, მათში წინააღმდეგობის შემცველ შეხედულებათა შემჩნევა, ყველა ამათ ნიადაგზე ისტორიულ რეალობათა დადგენა და მათი თეორიული განზოგადება, აი ის ძირითადი, დამახასიათებელი ელემენტები ს. ბარათაშვილის მეთოდოლოგიისა, რომელზედაც ყურადღება უნდა გაამახვილოს ქართულმა საბჭოთა ისტორიოგრაფიამ. იგი თეორიულად მომზადებული იყო ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიის დონემდე ასამაღლებლად, თუმცა პრაქტიკულად მის სიმაღლემდე ვერ ავიდა. იგი შერჩა ფეოდალური ისტორიოგრაფიის მაღალ დონეს, მაგრამ ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიის დიდი ელემენტებით. ამიტომ ჩვენ ვერ გავიზიარებთ გ. ნათაძის თეზისს, თითქოს ს. ბარათაშვილი იყო

ფეოდალურ-ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური ისტორიოგრაფიის წარმომადგენელი[49].

ზემოთქმულიდან გამომდინარეობს, რომ ს. ბარათაშვილი მოაზროვნე ისტორიკოსია, ძალზე ერუდირებული და განათლებული, საკმაოდ ორიგინალური იდეებისა და თეორიების მქონე. თუ მისი ერუდიცია, აღნიშნულის მიუხედავად, ამჟამად მარტოოდენ ისტორიოგრაფიული თვალსაზრისითაა მხოლოდ ყურადსაღები, ეს გარემოება არ ნიშნავს იმას, რომ ს. ბარათაშვილი, როგორც საქართველოს ისტორიის მკვლევარი, არ უნდა იმსახურებდეს ნდობას. ჯერ კიდევ გასული საუკუნის 60-იან წლებში დ. ბაქრაძე აღტაცებული იყო ს. ბარათაშვილის მომზადებითა და მისი ერუდიციით. იგი ს. ბარათაშვილისადმი გაგზავნილ პირად წერილში წერდა: „თქვენ ისტორიულ სტატიებს საქართველოზე ყოველთვის სიამოვნებით ვკითხულობ ხოლმე... იმედი არა მქონდა, თუ ჩვენთაგანი, საქართველოს შვილთაგანი, აწინდელს დროში ასეთს შრომას დაუდებდა თავსა და ან თუ ვინმე ასე მომზადებული იქნებოდა. გავკვირდი, თქვენ უკანასკნელს შრომაში რომ ასეთი ვრცელი წყაროების ცოდნა და სვინდისიანი შემუშავება ვპოვე... ამ შრომაში ისეთი წყაროები ვიპოვე, რომლებსაც დიდი ხანია დავეძებ და ჯერაც ყიდვით. ვერც ისე დროებით ვერსად მომიპოვებია“[50].

ამ წერილიდან აშკარად ჩანს, რომ ს. ბარათაშვილის „ისტორიას“ დიდი გავლენა მოუხდენია XIX ს. მეორე ნახევრის ქართულ ისტორიოგრაფიაზე[51]. თვით დ. ბაქრაძის შემოქმედებაშიც იჩენს თავს ს. ბარათაშვილის „საქართველოს ისტორიის“ არქიტექტონიკა. მაგ., დ. ბაქრაძის თხზულების „საქართველო“, პირველი რვეული შესავალი: „კავკაზია“, სათაურიდანვე ჩანს, რომ იგი კომპოზიციური თვალსაზრისით ს. ბარათაშვილის „რვეულების“ პრინციპზეა აგებული. „საქართველო“ დ. ბაქრაძის სიტყვით, „სამ რვეულად“ (გვ. 11) იყო დაგეგმილი გამოსაცემად.

საგულისხმოა, ამასთან, დ. ბაქრაძის პირად წერილში ს. ბარათაშვილისადმი აღნიშნული ერთი ფაქტი. „ამ შრომაში ისეთი

---

49 Г. Натадзе. Сулхан Баратов... გვ. 103—104. საგულისხმოა, რომ «БСЭ»-ში ს. ბარათაშვილი არაა მიჩნეული თავადაზნაურული ისტორიოგრაფიის წარმომადგენლად. იხ. «БСЭ», ტ. 4, გვ. 229—230.

50 თ. ს ა ხ ო კ ი ა. თავადი სულხან..., გვ. 39.

51 დ. ბაქრაძის გარდა „საქართველოს ისტორიას“ თაეისი დადებითი რეცენზიები მიუძღვნეს ა. ფურცელაძემ („ცისკარი“, 1863, № 3) და სხვებმა. ყველამათზე იხ. ალ. კალანდაძე. საქართველოს მოამბე, თბ., 1963, გვ. 93—94.

წყაროები ვიპოვე, რომლებსაც დიდი ხანია დავეძებ და ვერც ყიდვით, ვერც ისე დროებით ვერსად მომიპოვებია". დ. ბაქრაძის ნაშრომში „ისტორია საქართველოსი" ჩახედული მკვლევრისათვის ერთ-ერთი ამგვარი წყაროს აღმოჩენა არ გაჭირდება. იქ, მაგალითად, ძველი კოლხეთის ეკონომიკური აღმავლობის ფაქტის აღნიშვნისას მოტანილია პლინიუსის ცნობა შორაპანში (სარაპანა) რომაელ ვაჭართა მიერ ყოველწლიურად 100 მილიონი სესტერციის[52] შემოტანის შესახებ. პლინიუსის ეს წყარო, როგორც ცნობილია, ქართულ ისტორიოგრაფიაში პირველად ს. ბარათაშვილმა შემოიტანა (საქ. ისტ... გვ. 88—89), რითაც თავის მხრივ დ. ბაქრაძესაც უსარგებლია (ისტორია საქართველოსი, გვ. 115) და წყაროს მიუთითებლად გამოუყენებია, რაკი აღნიშნული საბუთი მას ხელთ არა ჰქონია.

დ. ბაქრაძე ქართულ ისტორიოგრაფიაში იმთავითვე გამოვიდა ხალხის შინაგანი ისტორიის (სოციალურ-ეკონომიკური) შესწავლის მოთხოვნილებით. ამ გარემოება ჭეშმარიტად ადასტურებს მისი პირველივე სამეცნიერო ნაშრომი: «Сцены из грузинской жизни»,[53] რომელიც მიძღვნილია XIX ს. შუა ხანების ქართველ (კახელ) გლეხთა საშინაო ცხოვრების, მათი საქმიანობისა და ეკონომიკური მდგომარეობის შესწავლისადმი. მასში მკვეთრად მოჩანს დ. ბაქრაძის დიდი სიმპათიები ქართველ გლეხთა მიმართ; იგი მთელი თავისი არსებით მოხიბლულია მატერიალური დოვლათის მწარმოებელთა კლასის საქმიანობით. დ. ბაქრაძე ვერც მალავს თავის განწყობილებას და ყველა მისი გმირი მაღალ, მშრომელ, პატიოსან და კეთილშობილურ პირებად ჰყავს წარმოდგენილი. ავტორი თავისი მთავარი გმირის ფარსადან კახიშვილის სიტყვებით ლაპარაკობს: « . . .მე განსაკუთრებით მომწონს მისი (ერთ-ერთი გლეხის, ალექსანდრე ნინიაშვილის, ა. ბ.) კეთილგონიერება: მას უყვარს შრომა» (გვ. 14). ეს წერილი დ. ბაქრაძის სამეცნიერო მოღვაწეობის საპროგრამო დოკუმენტია.

აქედან აშკარად ჩანს, თუ რა სიმპათიითა და სიყვარულით ეკიდა დ. ბაქრაძე ქართველ მშრომელ გლეხობას, რა ხიბლავს მას ამ ხალხში. ეს გარემოება არცაა გასაკვირი, რადგან ჩვენი ავტორი

---

[52] დ. ბაქრაძის ცნობით, 100 მილიონი სესტერციი უდრის 25, 1/2 მილიონ ფრანკს. თითო ფრანკი კი შეესაბამება 5 შაურს. იხ. დ. ბ. ბაქრაძე, ისტორია საქართველოსი, გვ. 115.

[53] ჟურნალი «Современник», СПб., 1851, № 1, ტ. XXV, განყ. VI, გვ. 1—126 და № 2, განყ. VI, გვ. 165—191.

თავისი მსოფლმხედველობით სამოციანელთა, თერგდალეულთა იდეური საქმიანობის მიმდევარია[54]. დ. ბაქრაძის მოღვაწეობის ამ მხარეს, ე. ი. ხალხის შინაგანი ცხოვრების შესწავლის მნიშვნელობას საგანგებოდ შეეხო ა. კიკვიძე. მან ქართულ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში პირველმა დასვა საკითხი დ. ბაქრაძის დამოკიდებულებისა ხალხის შინაგანი ცხოვრების შესწავლისადმი[55]. მაგრამ ჩვენ ვერ გავიზიარებთ ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოთქმულ მოსაზრებას იმის შესახებ, თითქოს ხალხის შინაგანი ისტორიის საკითხების შესწავლის მიმართულებით პირველი მკვლევარი იყო დ. ბაქრაძე[56] და რომ იგი XIX ს. ქართულ ისტორიოგრაფიაში ასევე პირველია, რომელმაც მიზნად დაისახა საქართველოს შინაგანი ისტორიის ცალკე სპეციალური გამოკვლევა[57].

დ. ბაქრაძის კონცეფციას ამ მიმართულებით ორი წყარო განსაზღვრავდა. ერთი მხრივ, მისი წინამორბედი ქართული ისტორიოგრაფია, ხოლო, მეორე მხრივ, რუსული და დასავლეთევროპული ისტორიოგრაფია. ევროპულ ისტორიოგრაფიაში ამ საკითხს პირველად ფრანგი ისტორიკოსი ფრანსუა დე-მეზერე (1610—1683) შეეხო. იგი თავის „საფრანგეთის ისტორიაში“ ამტკიცებდა, რომ „ისტორია უნდა იყოს არა მარტო მეფეთა ისტორია, არამედ ხალხთა ისტორიაც“. ამ აზრის შემდგომი განვითარება დაკავშირებულია გამოჩენილი ფრანგი განმანათლებლის ფ. ვოლტერის სახელთან, რომელიც თავის ფილოსოფიურ ნაშრომებში მოითხოვდა სოციალური საკითხების შესწავლის აუცილებლობას. მანვე აღნიშნა, რომ ისტორია უნდა სწავლობდეს მხოლოდ ხალხთა ისტორიას და არა მეფეებისასო[58]. საფიქრებელია, რომ დ. ბაქრაძის ერთ-ერთ

---

[54] ქართულ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში სულ უფრო მეტად მკვიდრდება ის შეხედულება, რომ დ. ბაქრაძე ძლიერ გავლენას განიცდიდა სამოციანელებისას, იხ. П. Ратиани. Национально-освободительное движение и передовая культура Грузии во второй половине XIX века. „მაცნე“, № 6, 1964, გვ. 91—92. გამოთქმულია მოსაზრება, რომ დიდი ქართველი მამულიშვილი ეკუთვნოდა ქართული ისტორიოგრაფიის რევოლუციურ-დემოკრატიულ ფრთას. ი. კ ა ვ ა ჩ ა ვ ა. ქართული ისტორიოგრაფიის საკითხები. თბ., 1962, გვ. 24, 26, 27, 178, 203; А. Б а р а м и д з е. Историк, археолог, этнограф. «Вечерний Тбилиси», № 13, 1965, გვ. 4.

[55] ა. კ ი კ ვ ი ძ ე. XIX ს. ქართული... გვ. 4—8.

[56] ა. კ ი კ ვ ი ძ ე. დასახ. ნაშრ., გვ. 4.

[57] ვ. დ უ მ ბ ა ძ ე. ისტორიკოსი, გვ. 122. იხ. ა. ბარამიძე. პირველყოფილ-თემური წყობილებისა... „მაცნე“, № 2, 1966, გვ. 94—121, განსაკუთრებით გვ. 106.

[58] О. Л. Вайнштейн. Историография средних веков. М.-Л., 1 40, გვ. 91.

წყაროს სწორედ ფ. ვოლტერის კონცეფცია ედო საფუძვლად. ხაზგასმით უნდა შევნიშნოთ, რომ არ დარჩენილა დ. ბაქრაძის არც ერთი მეტ-ნაკლებად მსხვილი ნაშრომი, რომელშიც აღნიშნულ საკითხს სათანადო ყურადღება არა ჰქონოდეს მიქცეული. ჯერ კიდევ გასული საუკუნის 50-იან წლებში იგი გულისტკივილით წერდა, რომ „ქართლის ცხოვრებაში" არიან ჩვენებულნი მხოლოდ გარეგანნი ფაქტები; აქ ვერ ვპოვებთ შინაგან განკარგულებათა, მონახდენის საქმეების მიზეზთა და შედგომილებათა"...[59] მხოლოდ იმგვარ საისტორიო წყაროებში, როგორც, მაგალითად, გუჯრებია, შესაძლებელია აღმოჩნდეს საქართველოს „შინაგანი წესდებულება; რა ყოფილა სამეფო მოსავალი და სამეფო გუარის მამული, რა უფლება ჰქონდათ მოურავებს, რა თანამდებობანი და ღირსება მოხელეებს" (გვ. 66—67; შდრ. რუსული გვ. 415).

ასეთი შეხედულებისა იყო ჩვენი სახელოვანი ისტორიკოსი ძველ ქართულ წყაროთა შესახებ XIX ს. მეორე ნახევრის დასაწყისში. ხოლო, ეს ხანა დ. ბაქრაძის ერთ-ერთი თანამედროვის სიტყვით რომ ვთქვათ, იყო ისტორიკოსის მოღვაწეობის დასაწყისი, ხანა, როდესაც იგი ჯერ კიდევ სავსებით ჩამოყალიბებულ მკვლევრად ვერ ჩაითვლებოდა და ძირითადად მაინც მატიანეთა ცნობების ტყვეობაში იმყოფებოდა[60]. მაშასადამე, მით უფრო საყურადღებოა დ. ბაქრაძის ამ მოსაზრებათა გათვალისწინება, რათა სწორად გავერკვეთ მომავალი მკვლევრის მსოფლმხედველობის წყაროთა საკითხებში.

როგორც ვთქვით, დ. ბაქრაძე იმთავითვე გამოვიდა მშრომელი ხალხის (გლეხობის) ისტორიის შესწავლის პროგრამით. ეს იდეა წითელი ზოლივით გასდევს ისტორიკოსის მთელ შემოქმედებას. ნაშრომში „საქართველო" (კავკაზია), აღნიშნულია, რომ მას განზრახული ჰქონდა გამოეკვლია „განსაკუთრებით შინაური ცხოვრება ჩვენის ტომისა, დაშყარებული ძველს ქართულს და უცხო ტომთ ლიტერატურაზე, ეკლესიებისა და ხატების წარწერებზე, გუჯრებზე და სიგელებზე"[61].

ამგვარი აზრია გამოთქმული აგრეთვე დ. ბაქრაძის მიერ დაწერილ დიდ ნაშრომში: «Археологическое путешествие по Гурии и

---

[59] დ. ბაქრაძე. საქართველოს ისტორიის წყაროები, გვ. 56. მისივე. Об. источниках... გვ. 408.

[60] Современники. Дмитрий Захарьевич Бакрадзе. «Новое обозрение», № 2117, 1890, გვ. 1.

[61] დ. ბაქრაძე. საქართველო... თბ., 1871, გვ. 41.

Адчаре»[62]. „ამჟამად, როგორც ცნობილია, ხალხის ისტორიად, ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, მიჩნეულ უნდა იქნეს არა აღწერა გარეგან მოვლენათა და არა ცალკეულ პიროვნებათა ბიოგრაფიები, არამედ ნამდვილი და საფუძვლიანი დასურათება ხალხის შინაგანი ცხოვრებისა მისი ეკონომიკური და სოციალური ყოფისა. ასეთი ისტორია მხოლოდ მაშინ შეიძლება იქნეს შედგენილი, როცა გაგებული და გამორკვეული იქნება შინაგანი ცხოვრების ყველა მხარე. ძველი საქართველოს შინაგანი ცხოვრების შესახებ ჩვენ მაინცადამაინც არა ვიცით რა. მათზე ჩვენ ან ცოტა გვაქვს მონაცემები, ან სულ არა. ქრონიკები უმთავრესად ეხებიან მის საგარეო მოვლენებს, საქართველოზე მტრის დაცემას და მის განდევნას. შინაგან ცხოვრებას ისინი ან დუმილით უვლიან გვერდს ან გაკვრით ეხებიან» (გვ. XIII)[63].

ამრიგად, პოსტულირებული მასალებიდან კარგად ჩანს დ. ბაქრაძის განსაკუთრებული ყურადღება ქართველი ხალხის შინაგანი ისტორიის შესწავლის სურვილისადმი. თუ საკითხს თეორიული თვალსაზრისით შევხედავთ, აღმოჩნდება, რომ XIX ს. ქართულ ისტორიოგრაფიაში შინაგანი ისტორიის შესწავლის ამგვარი ბეჯითი ტენდენცია, ცხადია, ბევრს არა ჰქონია. მართალია, იყო თეორიული ცდები ამ პრობლემათა შესწავლის მიმართულებით, თითქოს დაწერილა კიდეც ამ მხრივ ცალკე ნაშრომიც (თ. ბაგრატიონი), მაგრამ უნდა ითქვას, რომ ქართველ ტომთა სოციალურ-ეკონომიკური სურათის აღდგენის სურვილის საქმეში ჩვენ ავტორს ნამდვილად ბადალი არ მოეპოვება და სამართლიანად პირველი ადგილი მას ეკუთვნის. სამწუხაროდ, დ. ბაქრაძის ლტოლვაც ამ მიმართულებით მხოლოდ შორეული მომავლის ოცნება იყო.

როგორც დ. ბაქრაძის „ისტორია საქართველოსის“ „წინასიტყვაობიდან“ ჩანს, ჩვენ მამულიშვილს განზრახვა ჰქონია „საქართველოს შინაგანის წყობილების“ სურათის წარმოდგენისა (გეოგრაფიული, პოლიტიკური და სოციალურისა უძველესი ხანებიდან ვიდრე X ს. ბოლომდის)[64], მაგრამ სათანადო წყაროთა უქონლობის გამო დ. ბაქრაძემ მისი დაბეჭდვა ვერ შეძლო (გვ. V); ხოლო ამ წიგნის გამოსვლიდან არც კი გასულა ერთი წელი, რომ იგი გარდაიცვალა. ამრიგად, დაპირება შეუსრულებელი დარჩა.

---

[62] СПб, 1878.

[63] შდრ. მისივე, История Грузии, გვ. 194; მისივე, ახალ გამოკვლევაზედ... გვ. 27.

[64] ამ ნაშრომის პროგრამა ავტორმა დაბეჭდა „ივერიაში“, № 235, 1888, გვ. 4.

სხვა მხრივაც ძნელი წარმოსადგენია, რომ იმჟამად შესაძლებელი ყოფილიყო ხალხის შინაგანი ისტორიის შემცველი ნაშრომის შედგენისა. ამ გარემოებას, როგორც ჩანს, თვით ავტორიც კარგად გრძნობდა. „შინაური ცხოვრება ძველის საქართველოსი, — წერდა იგი, — სწორე რომ თქვას კაცმა, ჯერ ჩვენთვის გამოურკვეველია. ამის შესახებ სულ მცირე ცნობანი გვაქვს ხელში, ან სულ არა მოგვეპოვება რა. მატიანენი თუ სულ არა მოჩეტებულს ნაწილად მაინც მოგვითხრობენ გარეგან ამბებს — მტერთ შემოსევას საქართველოში და მათ განდევნის ამბავს ქართველთაგან. შინაურ ცხოვრებას ისინი სულ არ შეეხებიან და მდუმარებენ. ან თუ ამბობენ რასმე, მხოლოდ ოდნავ, გაკვრით. მხოლოობით მოწამედ ამ შინაურის ცხოვრებისა არქიტექტურული სახსოვარნიღა არიან დარჩენილნი, კოშკნი, ციხენი, დანგრეულნი ხიდნი, აგრეთვე საეკლესიო შენობანი და მათი ზედ-წარწერანი; მაგრამ მარტო ამგვარ სახსოვართა შემწეობით უწინდელის გამქრალის ცხოვრების ნამდვილი მოთხრობა და მოგონებით აღდგენა შეუძლებელია“[65].

მაშასადამე, ხალხის ისტორიად დ. ბაქრაძეს სამართლიანად მიაჩნია მისი შინაგანი ცხოვრების ანალიზი, დასაბუთება ხალხის სოციალური და ეკონომიკური წყობილებისა. ისტორიული მეცნიერების საგანი, ამდენად, ხალხის შინაგანი ცხოვრების გამოვლენაში გამოიხატება, მის მამოძრავებელ საზოგადოებრივ და ეკონომიკურ ძალებში მჟღავნდება[66].

როგორც ვხედავთ, დ. ბაქრაძის ისტორიული კონცეფცია ძირითადად მართებულია, თუმცა იმჟამინდელი პირობების შესაბამისად, განუხორციელებელიც. ამ სურვილთა განუხორციელებლობა შესაძლებელია ორი გარემოებით აიხსნას. ერთი მხრივ, როგორც ჩვენი ავტორი შენიშნავდა, საკითხის შესახებ სათანადო პირველწყაროთა სიმცირით, ხოლო, მეორე მხრივ, თეორიული ხასიათის ნაკლოვანებით, მეთოდოლოგიური ჩამორჩენილობით. იმჟამად დასავლეთევროპულ ისტორიოგრაფიაში განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა ფილოსოფიური მიმდინარეობა, რომელსაც პოზიტივიზმი ეწოდებოდა და რომელსაც „ეკონომიზმიც“ ახასიათებდა[67]. მის დიდ და ბეჯით დამცველად გამოდიოდა ისტორი-

---

[65] დ. ბ ა ქ რ ა ძ ე. ახალ გამოკვლევაზედ... გვ. 27; მისივე. История Грузии, გვ. 194.

[66] ა. კ ი ტ ვ ი ძ ე. დასახ. ნაშრ., გვ. 4.

[67] О. Л. В а й н ш т е й н. Историография средних веков, გვ. 243.

კოსი ჰ. ბოკლი, რომლის გავლენა შეინიშნება დ. ბაქრაძის ადრინდელ შემოქმედებაში. მაგრამ დ. ბაქრაძე არ დასულა ემპირიკოს-ისტორიკოსის დონემდე. იგი არ შემოფარგლულა ფაქტების უბრალო აღწერით და ცდილობდა ამა თუ იმ პოლიტიკურ მოვლენათა შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის აღმოჩენას[68]. საქართველოს ძველი ისტორიის საკითხში ამ მხრივ მეტად ნიშანდობლივია დ. ბაქრაძის მიერ გამოთქმული ერთი თეზისი: „შინაგანი წყობილება იმისი (საქართველოსი, ა. ბ.), საზოგადოებრივი, სარწმუნოებრივი და პოლიტიკური იმგვარი თურმე იყო, რა გვარსაც ისტორია უძველეს დროებში თვით სხვა მრავალ ტომებსაც მიაწერს: თვითოეული ტომი თვითვე განაგებდა სათემო საქმეებსა, საეროსა და სასულიეროსა, მის მიერვე ამორჩეულ პირთ შუამდგომელობით. შემდეგ სამეფოები დამყარებულან. იმ დროიდან, როდესაც... მატიანე პირველად უჩვენებს სამეფოს დაარსებას ქართლში. უცხოელთა მწერლობა ხან და ხან ეთანხმება იმის გარდმოცემას და თვით უმთავრესი ფაქტები ამ მატიანისა არ ეწინააღმდეგება მსოფლიო ისტორიის ცნობებსა. ვფიქრობთ, იმ დროსვე, თუ უფრო ადრე არა, ჩვენში დაარსებულა მწერლობა, თუმცა ამ აზრის შესამოწმებელი ცხადი ფაქტი ჯერ არ აღმოჩენილა. არ ვეჭვობთ კი, რომ უნდა აღმოჩნდეს. თვით ჩვენის მწერლობის ნიშნებს იმგვარი ხასიათი აქვთ, რომ ჩანს, იმას ძველადვე დიდი ხანი უვარჯიშნია"[69].

მართალია, მოტანილი ამონაწერები დ. ბაქრაძეს „ისტორია საქართველოსის" წინასიტყვაობაში აქვს ნათქვამი თეზისების სახით, მაგრამ აქედანაც ნათლად ჩანს ავტორის მსჯელობის მწყობრი, ლოგიკური ხასიათი. საქართველოს ტერიტორიაზე წინაკლასობრივი საზოგადოების კლასობრივში თანდათანობითი გადასვლის ავტორისეული კონცეფცია უახლოვდება ისტორიული პროცესის ახსნის მატერიალისტურ გაგებას: ტომი, ტომთა ბელადები, სამეფოს წარმოშობა გვაროვნული წყობილების რღვევის საფუძველზე და დამწერლობის გაჩენა[70]

დ. ბაქრაძის მიერ „წინასიტყვაობაში" გამოთქმული ეს თეზისები შემდგომ განვითარებას პოულობენ საკუთრივ საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოში. აქ, კერძოდ, გაზიარებულია თ. ბა-

---

68 მ. დ უ მ ბ ა ძ ე. ისტორიკოსი... გვ. 139; გ. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი. საქართველოს ისტორიის შესწავლა ... გვ. 5.

69 დ. ზ. ბ ა ქ რ ა ძ ე. ისტორია საქართველოსი, გვ. 111.

70 დ. ზ. ბ ა ქ რ ა ძ ე. იქვე. ამ საკითხში ჩვენი მოსაზრება ემთხვევა ა. კიკვიძის აზრს. იხ. ა. კიკვიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 6.

ტონიშვილის მამასახლისობის თეორია (გვ. 61—62), ე. ი. ქართველ ტომებში საზოგადოებრივი განვითარების პირველყოფილთემური წყობილების არსებობის ფაქტი; გაზიარებულია აგრეთვე ლეონტი მროველისა და ვახუშტის ცნობები საქართველოში კლასობრივი საზოგადოების წარმოშობის შესახებ, ოღონდ მათ მოსაზრებებს დართული აქვთ დ. ბაქრაძის კომენტარებიც. ერთ-ერთი ასეთი განმარტება შემდეგი შინაარსისაა: „ახლა დასკვნილია, რომ ერი მიაწერს სხვადასხვა დროს აღმოჩენილს მოვლენასა, სხვა და სხვა პირთ მოღვაწეობასა ერთს დროს და ერთს რომელსამე ზღაპრულს თუ ისტორიულ პირსა. ამგვარად, ფარნავაზისაგან საქართველოს დაყოფა საერისთავოებად თუმცა სრულებით ეთანხმება ჩვენის ტომ-ნათესავის გეოგრაფიულს და ეთნოგრაფიულს დანაწილებასა, მაგრამ ამ ბუნებითს თვისებაზე იყო ფარნავაზის წინათაც და შემდეგშიაც დამყარებული საქართველოს პოლიტიკური დაყოფა“ (გვ. 81).

მაშასადამე, დ. ბაქრაძის აზრით, ფარნავაზ მეფეს კი არ ეკუთვნის ერთიანი საქართველოს საერისთავოებად დაყოფა, არამედ ქვეყნის ამგვარი ადმინისტრაციულ-პოლიტიკური დანაწილება სახელმწიფოს დაარსებამდეც კი არსებულა. დ. ბაქრაძის ამ მოსაზრებას თუ ზემოთქმულს დავუპირისპირებთ, ერთი შეხედვით, შეიძლება ისე მოგვეჩვენოს, თითქოს ამ ორ მოსაზრებას შორის აშკარა წინააღმდეგობაა. მაგრამ ასეთი დასკვნის გამოტანა არ იქნებოდა მართებული. მამასახლისობა დამახასიათებელია უკლასო წყობილებისათვის, ხოლო ერისთავობა კლასობრივი საზოგადოებისათვისაა ნიშანდობლივი. მაშასადამე, დ. ბაქრაძემ არ უარყო ქართველ ტომთა შორის პირველყოფილთემური წყობილების ფაქტის აღიარება, სადაც ცალკეულ ტომს თავისი საკუთარი მამასახლისი ჰყავდა. ფუნქციონალურად ამგვარ მოვალეობას ასრულებდნენ აგრეთვე ერისმთავრებიც, ოღონდაც უკვე კლასობრივ, ანტიკურ ხანაში საერთოდ[71]. მათი ძირითადი მოვალეობა სამხედრო სამსახურში მდგომარეობდა. ჩვენი ავტორი აქ თ. ბაგრატიონ-ს. ბარათაშვილის სქემას მისდევს[72].

რაც შეეხება საკითხს იმის თაობაზე, თუ რა ხასიათისა და ბუნებისა უნდა ყოფილიყო ფარნავაზისა და მის შემდგომ მეფეთა

---

[71] Г. А. Меликишвили. К истории..., გვ. 290, 465.

[72] თ ე ი მ ु რ ა ზ ი. ისტორია... გვ. 115; ს. ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი. საქართველოს... რვეული I-ლი, გვ. 48.

დროის საქართველოს სახელმწიფოებრიობა. ამას არა აქვს მაინც-დამაინც არსებითი მნიშვნელობა. მაგრამ მისი წინამორბედი ისტორიკოსებისაგან (პ. იოსელიანი, ს. ბარათაშვილი) გამომდინარე და, ამასთან, იმ ფაქტის აღიარება, რომ დ. ბაქრაძე ლაპარაკობს ფარნავაზის დროს აზნაურთა, როგორც პრივილეგირებული სოციალური კლასის შესახებ, მიუთითებს ამ საზოგადოების ფეოდალურ ბუნებაზე. ავტორიც, როგორც სხვა ქართველი ისტორიკოსი, ხმარობს ტერმინ „ფეოდალიზმს". იგი იცნობს როგორც საერო, ისე სასულიერო ფეოდალებს[73]. ამიტომ არაფერია გასაკვირი იმაში, რომ ძველი საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური და კულტურულ-პოლიტიკური წყობილება მას მიაჩნდეს ფეოდალურად. საქართველოს სახელმწიფოებრიობის ბუნების ფეოდალურობა მკვეთრად ჩანს ბერძენი ისტორიკოსის სტრაბონის ცნობათა ბაქრაძისეულ იმ ინტერპრეტაციაში, რომლის მიხედვით იბერიის მოსახლეობის მეოთხე გენოსს ყმა გლეხები შეადგენდნენ (საქ. ისტ., გვ. 118—119).

ამრიგად, ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე შეიძლებოდა გვეთქვა, რომ დ. ბაქრაძეს საფუძვლიანად ჰქონდა შეთვისებული ხალხის შინაგანი ისტორიის შესწავლის აუცილებლობის აზრი. იგი მთელი თავისი მოღვაწეობის მანძილზე ბეჯითად მოითხოვდა ხალხის, როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების მამოძრავებელი ძალის, ისტორიის შესწავლას. მაგრამ წყაროთა სიმცირე და მისი კრიტიკული შეუსწავლელობა და იმჟამინდელი ისტორიული მეცნიერების მეთოდოლოგიური პრინციპების შეზღუდულობა არ იძლეოდნენ მყარ საფუძველს საზოგადოების ისტორიაზე ტრადიციული შეხედულების შეცვლის სასარგებლოდ.

XIX ს. 60-იანი წლებიდან რუსეთის გზით საქართველოში მოღვაწეობას იწყებს რევოლუციური იდეებით შთაგონებული ქართველ პატრიოტ-ინტელიგენტთა მთელი თაობა, რომლის იდეური ხელმძღვანელი და ბელადი ილია ჭავჭავაძე იყო. ესაა პერიოდი, როდესაც ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა თავის უმაღლეს საფეხურს აღწევს. ილია თავის დევიზად და სამოქმედო პროგრამად აცხადებს „ძმობას, ერთობას, თავისუფლებას". ბუნებრივია, რომ ასეთ პირობებში, ე. ი. ეროვნული თვითშეგნების გაღვიძების ამგვარ ვითარებაში, დღის წესრიგში დამდგარიყო ცხოველი ინტერესი საქართველოს ისტორიული წარსულისადმი. ი. ჭავჭა-

[73] Дм. Бакрадзе. Сцены из грузинской жизни, გვ. 15.

ვაძემ, რომელსაც არ დარჩენია უყურადღებოდ ქართველი ხალხის არც ერთი საჭირბოროტო საკითხი, მიუძღვნა მას მთელი რიგი ბრწყინვალე წერილებისა, სადაც საოცარი გონებამახვილობითაა ნაჩვენები ჩვენი სამშობლოს წარსული ცხოვრება. სახელოვანი პოეტი და საზოგადო მოღვაწე ჩვენ გვევლინება როგორც დიდი მოსარჩლე და დამცველი ქართველი გლეხობისა. იგი ისტორიკოსებისაგან მოითხოვს ქართველი ხალხის შინაგანი ცხოვრების ისტორიის შესწავლას. ი. ჭავჭავაძის მემკვიდრეობის ამ მიმართულებით კვლევა-ძიებას ჩვენში კარგა ხნის ისტორია აქვს და დიდი და ნაყოფიერი მუშაობაცაა ჩატარებული. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ივ. ჯავახიშვილის, პ. რატიანის, ა. იოსელიანისა და ა. კიკვიძის გამოკვლევები, რომელთაც საფუძველი ჩაუყარეს მგოსნის შეხედულებების შესწავლას საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე. საკითხთა ამ წრეში განსაკუთრებით ასახელებენ ხოლმე ილიას მოცულობით პატარა, მაგრამ შინაარსით დიდ წერილს „ძველი საქართველოს ეკონომიური წყობის შესახებ“[74]. ესაა განუმეორებელი მნიშვნელობის ნაშრომი, რომელსაც ბადალი არ მოეპოვება XIX ს. მეორე ნახევრის ქართულ საისტორიო-ეკონომიკურ ლიტერატურაში. საკითხის ღრმა ცოდნამ და მატერიალური დოვლათის მწარმოებელთა ცხოვრებაში კარგად ჩახედულმა ილიამ დაამტკიცა, რომ საზოგადოებრივი ცხოვრების საფუძველს მისი ეკონომიკა წარმოადგენს, მის გარეშე კაცობრიობა ვერ იარსებებს[75].

სამწუხაროდ, ი. ჭავჭავაძის თემური წყობილებისა და ეკონომიკური ცხოვრების ამ შესანიშნავმა იდეებმა თავისი გამოხატულება ვერ პოვა 90-იანი წლების ქართულ ისტორიოგრაფიაში, თუმცა ხალხის ცხოვრების, ქვეყნის საშინაო ამბების შესწავლის მიმართულებით ამ მხრივ საპატიო ადგილი უდავოდ მ. ჯანაშვილს ეკუთვნის. მართლაც, საქართველოს ისტორიის ეს მხარე — ქვეყნის შინაგანი ცხოვრება მ. ჯანაშვილს ერთგვარად წინ წამოწეული აქვს

---

[74] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე. თხზ. სრული კრებული. ტ. IV, თბ., 1955, გვ. 175—178.

[75] ი. ჭავჭავაძის გვაროვნული თეორიის საკითხისათვის იხ. არჩ. ბ ა რ ა მ ი ძ ე. პირველყოფილ-თემური წყობილებისა და ანტიკური (ადრეკლასობრივი საზოგადოების) საქართველოს სოციალური ისტორიის საკითხები XIX ს. მეორე ნახევრის ქართულ ისტორიოგრაფიაში. „ქართული ისტორიოგრაფია“. 2, თბ., 1971, გვ. 103—108.

თავის „საქართველოს ისტორიაში“[76]. ეს გარემოება შეუმჩნეველი არ დარჩენია ი. ჭავჭავაძის „ივერიასაც“, რომელიც ამ ნაშრომის მეორე გამოცემის გამო 1895 წელს წერდა: „მ. ჯანაშვილი თავის მოკლე ისტორიაში შეძლებისა და გვარად ასრულებს ისტორიის ფილოსოფიის მოთხოვნილებათაც. ის გვაცნობებს ჩვენ არა თუ მარტო ქართველთა ომებს, არამედ მათს კულტურულს ცხოვრებასაც, იმდენად, რამდენადაც საქართველოს საისტორიო არსებული წყაროები ნებას აძლევენ მას“[77].

მაგრამ არ იქნებოდა მართებული გვეთქვა, რომ მ. ჯანაშვილი, როგორც XIX ს. მეორე ნახევრის ქართული ისტორიოგრაფიის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელთაგანი, იმთავითვე გამოვიდა ქართველი ხალხის სოციალურ-ეკონომიკური ისტორიის შესწავლის პროგრამით. მ. ჯანაშვილის დროისათვის ამ საკითხების კვლევა-ძიებას ჩვენ ისტორიოგრაფიაში უკვე კარგა ხნის ტრადიცია ჰქონდა და აღარაფერია გასაკვირი იმაში, რომ ისიც შეეცდებოდა მათზე საუბარს. მაგრამ საქართველოზე როგორც საკუთრივ ქართული, ისე უცხოური ისტორიული წყაროების შესწავლის მდგომარეობა იმჟამად არ იდგა სათანადო მეცნიერულ დონეზე, რომ შინაგანი ისტორიის პრობლემათა შესწავლას მკვიდრი საფუძველი ჰქონოდა. ამიტომ მ. ჯანაშვილიც მიმართავდა თავის ყურადღებას საქართველოს ისტორიის ამგვარი შესწავლისადმი, თუმცა ნაყოფი მეტად მცირე იყო. ძალზე მარტივად აქვს გადაწყვეტილი ავტორს, მაგალითად, საქართველოში ალექსანდრე მაკედონელის მოსვლისა და მასთან მჭიდროდ დაკავშირებული ამბების თხრობა. მას სწამს ალექსანდრეს საქართველოში ლაშქრობის ისტორია და მის მიერვე აქ მზის, მთვარისა და ხუთი უძრავი ვარსკვლავის კულტის შემოტანა, რაც წყაროებით არ დასტურდება. ამასთან, ავიწყდება, რომ მეოთხე გვერდზე ამ წარმართულ-ასტრალური სარწმუნოების საქართველოში შემოღებას იგი უკავშირებდა კოლხეთში ეგვიპტელთა ლეგენდარული შემოსვლის ამბავს. წიგნში ამგვარი წინააღმდეგობანი არაიშვიათია. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ამ ნაშრომშიც თავს იჩენს გარკვეული ცდა ამა თუ იმ მოვლენის მიზეზშედეგობრივი კავშირის ჩვენებისა. საკითხი ეხება საქართვე-

---

[76] მ. გ. ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი. საქართველოს ისტორია, მეორე გამოცემა, თბ. 1894.

[77] ინი და ფარი, ბიბლიოგრაფია. მ. ჯანაშვილის „საქართველოს ისტორიის“ გამოცემის გამო, „ივერია“, № 74, 1895, გვ. 4, სვ. 2.

ლოში სახელმწიფოს დაარსების პრობლემას, რომელიც გასული საუკუნის ქართული ისტორიოგრაფიის ყურადღების საგანს შეადგენდა, და რომელიც, მართალია, მეტად ლაკონიურად აქვს ჩვენ ავტორს გადმოცემული, მაგრამ ის რაც მოტანილია, გარკვეული ნნიშვნელობის მქონეა. „ერთ-მეფობის დაარსებას — წერდა მ. ჯანაშვილი — ხელი შეუწყვეს იმ უბედურებათა, რომელთაც ხშირად ეწეოდა ზემო-ქართლი რამდენიმე საუკუნის განმავლობაში; აგრეთვე ერთად ბრძოლამ, ვაჭრობამ, ერთმანეთში მისვლა-მოსვლამ, ერთნაირმა სჯულმა განცალკევებული ხალხი ერთმანეთს დაუახლოვა. ეს იყო მიზეზი, რომ იაზონის მოკვლის შემდეგ ყველა ქართველებმა დასვეს თავის მეფედ ფარნაოზი და დაემორჩილენ მას 302 წელს ქრისტეს მოსვლამდის“ (გვ. 6). მ. ჯანაშვილის მსჯელობის მნიშვნელობა არა იმდენად საკითხის დასმაში მდგომარეობს, რადგან იგი დიდი ხნით ადრე იყო წამოყენებული ქართულ ისტორიოგრაფიაში, არამედ მის გადაწყვეტაში. მაშასადამე, მ. ჯანაშვილის აზრით, საქართველოში სახელმწიფოს დაარსების აუცილებლობა ორი ფაქტორით განისაზღვრება, კერძოდ, საგარეოთი, რაც გამოწვეული იყო ცალკეული ქართული ქვეყნების გაერთიანებით[78] საერთო მტერთან ომში და შინაგანი აუცილებლობით, რაც ნაკარნახევი იყო ქართველ ტომთა სოციალურ-ეკონომიკური განვითარებით[79].

ამრიგად, ჩვენ ვხედავთ, რომ საქართველოში კლასობრივი საზოგადოების ჯანაშვილისეული სურათი იმჟამინდელი მოწინავე მეცნიერების დონეზე დგას. არამარქსისტულ ლიტერატურაში იშვიათად თუ შევხვდებით სხვა ასე სწორად გადმოცემულ შეხედულებას სახელმწიფოს დაარსების საკითხზე. ეს გარემოება მ. ჯანაშვილის ერუდიციის ნიშანდობლივი თვისებაა.

მ. ჯანაშვილს სხვა არა ნაკლებ მნიშვნელოვანი საკითხებისათვის მიუქცევია ყურადღება. ესაა, როგორც აღვნიშნეთ, XIX ს. ისტორიოგრაფიაში მის დრომდე დასმული საკითხი — ხალხის

---

[78] ავტორის აზრით, ქართლოსის სიკვდილის შემდეგ მისმა შთამომავლობამ ქართველთა ქვეყანა რამდენიმე ნაწილად გაჰყო. მათ სათავეში მამასახლისები ისხდნენ, რომელნიც მცხეთის მმართველს, ანუ მამასახლისს ემორჩილებოდნენ. იქვე, გვ. 3.

[79] მ. ჯანაშვილისთვისაც პირველი ქართული სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია ფეოდალურ სისტემაზე აგებული მექანიზმი იყო. მისი სიტყვით, ფარნავაზის დროს გაჩენილა „ოთხი წოდება: თავადთა, აზნაურთა, მოქალაქეთა და გლეხთა“ (გვ. 7). ამ ცნობიდან ჩანს ავტორის თვალსაზრისი ქართული სახელმწიფოებრიობის ბუნებაზე.

შინაგანი ისტორიის დამუშავების პრობლემა. საგულისხმო აქ ისაა, რომ ავტორმა ამ ფრიად მნიშვნელოვან საკითხს შემდგომი მეცნიერული გაშუქება მისცა, რითაც გამდიდრა XIX ს. მეორე ნახევრის ქართული ისტორიოგრაფია. მ. ჯანაშვილის „საქართველოს ისტორიის" მესამე გამოცემა საზოგადოების ახალ მოთხოვნილებებს ეესახურება. ამ გამოცემის წინასიტყვაობაში ავტორი მწუხარებით იუწყებოდა, რომ ჩვენი ისტორიის უმნიშვნელოვანესი წყარო „ქართლის ცხოვრება" „ისტორიულ მოვლენებს გვიხსნის არა მათ შინაგან ძალთა მიხვედრისამებრ, ანუ მათ შედეგისა და გვარად, არამედ აღგვინუსხავს ქრონოლოგიურს რიგზე, ისიც ხშირად შეცდომებით, აბნეულ-დაბნეულად"[80]. მისივე სიტყვით, „საქართველოს ერის შინაურ წეს-წყობილების შესახებ, სამწუხაროდ, ჩვენი მატიანეები არას იტყობინებიან" (გვ. 298).

მოტანილი ცნობიდან კარგად ჩანს, რომ მ. ჯანაშვილს ყოველი ისტორიული მოვლენის შინაგანი ძალა აინტერესებდა: მაშასადამე, მის ყურადღების საგანს იმ მიზეზთა ძიება შეადგენდა, რომლებმაც ეს უკანასკნელი წარმოშვეს. ავტორს ყურადღების სფეროდან არ ეპარებოდა, როგორც სამართლიანად აღნიშნავს კ. გრიგოლია[81], აგრეთვე შედეგიც, რომელიც ამა თუ იმ მოვლენას თან მოყვა. ერთი სიტყვით, ავტორი ისტორიული მოვლენის მიზეზშედეგობრივი კავშირის ახსნის ნიადაგზე დგას. ყველაფერი ეს ხელს უწყობდა მ. ჯანაშვილს დამდგარიყო სწორ მეთოდოლოგიურ პოზიციებზე, თუმცა ისტორიული მეცნიერების იმჟამინდელმა პირობებმა ხელი შეუშალა მას გამხდარიყო ნამდვილი მარქსისტი ისტორიკოსი.

XIX ს. მეორე ნახევრის ქართული ისტორიოგრაფიის თვალსაჩინო წარმომადგენელია აგრეთვე ა. ხახანაშვილიც. მას მეტად ორიგინალური მსჯელობა აქვს განვითარებული ჩვენთვის ამჟამად საინტერესო საკითხთა შესახებ. ჩვენს ყურადღებას იქცევს, კერძოდ, ავტორის შეხედულებათა შესწავლა ქართველ ტომებში პირველყოფილთემურ წყობილებაზე.

ცხადია, ა. ხახანაშვილი პირველი ქართველი ისტორიკოსი არაა, რომელმაც თავის კვლევა-ძიების საგნად აქცია საზოგადოებრივ ფორმათა ისტორიისა და ურთიერთობის შესწავლის პრობლემა. ამ მხრივ, როგორც დავინახეთ, ა. ხახანაშვილს წინ უსწრებს XIX ს. პირველი ნახევრის ქართული ისტორიოგრაფია. ავტორი

---

[80] მ. ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი. საქართველოს... ტ. I, თბ., 1906, გვ. VII.
[81] კ. გ რ ი გ ო ლ ი ა. მოსე ჯანაშვილი ...გვ. 16.

ქართველ ტომებში პირველყოფილთემური წყობილების არსებობის დამტკიცებას იძლევა არა მარტო „ქართლის ცხოვრების“ ტრადიციული სქემის მიხედვით, არამედ იგი ამ საკითხს თეორიული, მატერიალისტური პოზიციებიდან იკვლევს. ეს გარემოება კი, თეორიული ცოდნის გამომჟღავნება და საზოგადოების განვითარების უძველესი ფორმების შესახებ მატერიალისტურ წარმოდგენებთან სიახლოვე, XIX ს. ქართულ ისტორიოგრაფიაში პირველია და ა. ხახანაშვილის სახელთანაა დაკავშირებული.

ა. ხახანაშვილი თავისი შეხედულების განვითარებისას ამოდიოდა იმჟამად საქართველოს მთაში გადმონაშთების სახით დაცული კონკრეტული ვითარებიდან და არა მექანიკური, შემთხვევითი ცნობებით იყო შემოფარგლული. ამგვარი კონკრეტული მასალა მას აგრეთვე XIX ს. ქართული ლიტერატურიდანაც აქვს აღებული. სახელდობრ, ა. ხახანაშვილმა საფუძვლიანად გამოიყენა ცნობილი ქართველი მწერლის ალ. ყაზბეგის ნაწარმოებები, განსაკუთრებით „ელგუჯა“, საქართველოს მთაში თემური წყობილების გადმონაშთების დასაბუთებისათვის. მოთხრობაში „ელგუჯა“, ავტორის სიტყვით: „... შეიძლება დავინახოთ, სახალხო კრების უწინდელი პოლიტიკური ავტორიტეტის გამოძახილი“[82].

ამრიგად, ა. ხახანაშვილის ისტორიული კვლევა-ძიების მეთოდს ახასიათებს ის გარემოება, რომ პრობლემაზე მუშაობისას იგი არ იფარგლება მარტოოდენ საისტორიო მასალით, მისი ყურადღების სფეროში მოქცეულია აგრეთვე მხატვრული ლიტერატურაც. ეს ფაქტი ა. ხახანაშვილის მუშაობის სპეციფიკური მხარეა, რითაც იგი გამოირჩევა XIX ს. სხვა ქართველ ისტორიკოსთაგან. ამასთან, აღნიშნულიდანაც ისიც სავსებით ცხადი ხდება, რომ მისი ავტორის სახით ჩვენ საქმე გვაქვს მკვლევართან, რომელიც გარკვეულ ისტორიულ მონაკვეთში ქართველ ტომებში სოციალური განვითარების უძველეს ფორმებს აღიარებდა.

ა. ხახანაშვილის აზრით, ისტორიული საქართველოს ტერიტორიაზე ქართველი ტომები VII ს-ში მოდიან ჩვენი წელთაღრიცხვის უწინარეს და პირველსაცხოვრისიდან (მცირე აზია — ურარტუ—არმენია) თან მოაქვთ იმჟამად მათი საზოგადოებრივი ყოფისათვის დამახასიათებელი გვაროვნული წყობილება. მაშასადამე, აქ ჩვენი ავტორი მიგრაციონისტულ პოზიციებზე დგას და ქართვე-

---

[82] А. Хаханов. Суд общины у грузин-горцев, «ЭО», № 1, 1893, с. 142.

ლებს ადგილობრივ ხალხად არა თვლის. მიგრაციის ეს თეორია XIX ს. ისტორიოგრაფიაში, როგორც აღინიშნა, ჩვეულებრივი მოვლენაა და ამ საერთო წესიდან არც ა. ხახანაშვილია გამონაკლისი. „ესურელ და სომეხ ტომთაგან გამოძევებული ქართველობა, უწინდელი მათი გავრცელების საზღვრებიდან, VII. ს-იდან ჩვენ ერამდე უკუიქცნენ ჩრდილოეთისაკენ ცალკეულ ჯგუფებად და გვარებად“ (გვ. 13).

ავტორის სიტყვით, გვაროვნული წყობილების პროცესი გაგრძელებულა 1 ს-მდე ჩვენი წელთაღრიცხვის უწინარეს, რაც დადასტურებას პოვებს სტრაბონის ცნობაშიც, რომ „იბერები იყოფიან გვარებად, რომელთაც მართავს და განაგებს უხუცესი“[83].

ჩვენ არ გამოვუდგებით ა. ხახანაშვილის იმ მცდარი შეხედულების კრიტიკას, რომლის მიხედვით, ქართველთა საზოგადოებრივ ურთიერთობას ძველი წელთაღრიცხვის 1 ს-ში პირველყოფილ-თემური წყობილება ედო საფუძვლად. ისტორიკოს ლეონტი მროველის მიერ მოთხრობილ ამბებში გმირებზე, ავტორი ხედავს ისტორიულად არსებულ ქართის, მესხთა და სხვა ქართველ ტომთა ბრძოლას პირველობისათვის.

„გვარები ერთმანეთს შორის შორიშორ ცხოვრობდნენ და თავდაპირველად ურთიერთს არ ეჯახებოდნენ, მაგრამ მათი გამრავლებისა და გავრცელების შედეგად დაიწყო შინაომები... ამგვარი შეჯახება დაიწყო, მატიანის სიტყვით, უფლოსის, მცხეთოსის ძის, სიკვდილის შემდეგ. ჩვენთვის მნიშვნელოვანია „ქართლის ცხოვრების“ მოგონება ქართველთა დასახლებაზე ცალკეული გვარების მიხედვით და მათ შორის მტრული ურთიერთობის (დამყარება, ა. ბ.)... ქართველთა გავრცელების ბუნდოვანი ნაკვალევიდან... შეიძლება დავასკვნათ, რომ გვაროვნული კავშირები ერთმანეთისაგან განცალკევებისას დასახლებულან გარკვეულ ტერიტორიაზე და შემდგომში გამრავლების შემდეგ შეჯახებიან ერთმანეთს. გვარი დაშლილა ცალკეულ ოჯახებად, რომელთა სათავეში მოექცა უხუცესი „მამასახლისი“. ცალკეულ ოჯახთა უხუცესები გაერთიანდნენ გვარის უფროსთან, რომელიც ურთიერთობას ამყარებდა სხვა გვარებთან. იმ გეოგრაფიული მდებარეობის გამო, რომელსაც ასრულებდა მცხეთა ქართველი ხალხის ცხოვრებაში... მცხეთის

---

[83] А. Хаханов. Некоторые черты строя и культуры древней Грузии, по данным археологии и этнографии. Юбилейный сборник в честь В. Ф. Миллера. М., 1900, с. 13. შდრ. თ. ყაუხჩიშვილი. სტრაბონის გეოგრაფია. თბ., 1957, გვ. 129—130.

„მამასახლისს“, როგორც პირველს, პატივსა სცემდნენ. ამრიგად, ადრინდელი ქართული წყაროები მოგვითხრობენ იმ გარემოებაზე, რომ ქართველები ცხოვრობდნენ ცალკეულ კავშირებად, რომელთაც მმართველობდნენ „მამასახლისები“, ე. ი. პატრიარქალური თემები“[84] (გვ. 14). მოყვანილი ამონაწერი ფრიად საინტერესო სურათს წარმოგვიდგენს ავტორის შეხედულებათა განვითარების შესახებ ზოგადი ეთნოგრაფიისა და ძველი ისტორიის თვალსაზრისით. ამასთან, როგორც ჩანს, ავტორი იცნობს აგრეთვე ფ. ენგელსის შრომასაც: „ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობას“. ჩვენი მოსაზრება რომ რეალურ საფუძველზეა დამყარებული, ამისათვის ფ. ენგელსის ნაშრომიდან მოვიყვანთ იმ ციტატებს, რომლებიც აირეკლა ა. ხახანაშვილის ცნობებშიაც. სახელდობრ, ფ. ენგელსის მიხედვით, გვაროვნული საზოგადოება, რომელიც აღმოცენდება ველურობის შუა საფეხურზე, თავის განვითარებას აღწევს მის უმაღლეს საფეხურსა და ბარბაროსობის დაბალ საფეხურზე. ამის შესაბამისად ადამიანთა კოლექტივების რაოდენობაც თანდათან მატულობს, თუმცა მაინც უმნიშვნელოა. ფ. ენგელსის ცნობით: „ამერიკული ტომების საშუალო რიცხვი 2000 სულზე ნაკლებია“[85] (გვ. 124). ირაკეზთა ხუთი ტომის კავშირის გაერთიანების საერთო რაოდენობა „არასოდეს არ აღემატებოდა 20000 სულს“ (გვ. 127). მაგრამ ირაკეზები გამონაკლისს წარმოადგენდნენ: „ტომობრივ გაერთიანებას ამერიკელი ინდიელების დიდი უმრავლესობა ვერ გასცილდა. მათი მცირერიცხოვანი ტომები, დაშორებულნი ერთმანეთისაგან ფართო მოსაზღვრე ზოლებით და დასუსტებულნი მუდმივი ომებით, ცოტაოდენი ხალხით უზარმაზარ ტერიტორიას იკავებდნენ“ (გვ. 117). ირაკეზები ირჩევდნენ „თავის „სახემს“ (მამასახლისს)“ (გვ. 115).

ამრიგად, უკლასო საზოგადოებისათვის დამახასიათებელია ის გარემოება, რომ ხალხი ცხოვრობს განცალკევებითა და მეტ-ნაკლებად მცირე ჯგუფებით. მსხვილ გაერთიანებებს ჯერ არა აქვს ადგილი, მოსახლეობა ძალზე მცირეა. ჩვენ გვგონია, რომ ფ. ენგელსის მიერ ნაჩვენებ სურათში ბევრი რამ არის ისეთი, რაც მოყვანილი აქვს ა. ხახანაშვილს. ეს გარემოება მიუთითებს იმაზე, რომ ჩვენი ავტორი შესაძლოა იცნობდა ფ. ენგელსის ნაშრომს და მის

---

[84] А. Хаханов. некоторые черты...

[85] ფ. ენგელსი. ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა. თბ., 1954.

დებულებებს უყენებდა ქართულ სინამდვილეს. მაგრამ იგი აშკარად ცდება, როდესაც თვლის, რომ ქართველ ტომთა საზოგადოებრივი წყობილება VII—I სს-ში ჩვენი წელთაღრიცხვის უწინარეს გვაროვნული იყო. ამიტომ იგი მეთოდოლოგიურ შეცდომას უშვებს ქართველ ტომთა სოციალური განვითარების გაგებაში. ამასთან, ა. ხახანაშვილი ცდება აგრეთვე გვარის სტრუქტურის განსაზღვრაშიც. იგი აღნიშნავს, რომ თითოეული გვარი თავის მხრივ „დაიყო ცალკეულ ოჯახებად, რომელთა სათავეში იდგა უხუცესი, ე. ი. „მამასახლისი“ (სახემი).

რაც შეეხება „მამასახლისს“, ეს უკანასკნელი, ა. ხახანაშვილის მოსაზრებით, ძველ ქართულში „სახლის მამას“ ნიშნავს და თავისი სოციალური შინაარსით სომხურ „ტანუტერსა“ და ლათინურ „პატერ ფამილიას“ შეესაბამება (გვ. 14, შენ. I). ცხადია, მცდარი აზრია „მამასახლისის“ გაიგივება „პატერ ფამილიასთან“. მამასახლისის სახელწოდება ვრცელდებოდა, მისი აზრით, აგრეთვე ცალკეულ თემთა მმართველებზედაც. მართალია, მკვლევარს არსად არა აქვს აღნიშნული და ახსნილი ოჯახის უფროსის სახელოსაგან თემის მამასახლისის ინსტიტუტის აღმოცენება, მაგრამ მისთვის ამ ტერმინის ამგვარი ფართო მიმოქცევა სავსებით ცხადი იყო. იგი თავის ერთ-ერთ ნაშრომში პირდაპირ წერს, რომ მამასახლისი „თემის უფროსს“ ან „თემის გამგეს“ აღნიშნავს[85].

ა. ხახანაშვილის აზრით, ქართველმა ტომებმა თავის განვითარებაში გვაროვნული წყობილების ორი სტადია განვლეს: დედათმთავრული, ანუ მატრიარქალური და მამათმთავრული, ანუ პატრიარქალური. მართალია, „ქართლის ცხოვრებაში“ აირეკლა ცნობები მხოლოდ პატრიარქატის შესახებ, მაგრამ ქართველ მთიელების საზოგადოებრივ ყოფაში შემორჩენილი მრავალი გადმოცემა დაბეჯითებით მიუთითებს იქ მატრიარქატის არსებობაზე. „თანამედროვე ხევსურთა, ფშავთა და თუშთა ზნე-ჩვეულებებში დედობრიობის არამცირედი გადმონაშთია დაცული, რომელიც საერთო ცხოვრების თავდაპირველი სტადიაა. ამ ხალხთა დაყოფა „ძმობად“, თითოეული გვარის რამოდენიმე გაერთიანებას წარმოადგენს: ქორწინების აკრძალვა არა მარტო ერთ გვარში, არამედ ერთიანი „ძმობის“ ფარგლებში“ — ეს ეგრეთ წოდებული ეგზოგამია, ე. ი.

---

[85] ა. ხ ა ხ ა ნ ა შ ვ ი ლ ი. წოდებათა ისტორია საქართველოში, თავადაზნაურობა, „კვალი“, № 41, 1899, გვ. 704.

ქორწინება გვარის გარეთ, აშკარად მიუთითებს მატრიარქატის კვალის არსებობაზე" (გვ. 16)[87].

მაშასადამე, აქედან ჩანს, რომ ა. ხახანაშვილს სრული უეჭველობით მიაჩნდა გვაროვნული წყობილების ადრეულ საფეხურზე ქართველ ტომებში დედათმთავრული ოჯახის არსებობის ფაქტი. ამასთან, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ა. ხახანაშვილი ერთ-ერთი იმ მკვლევართაგანია XIX ს. მეორე ნახევრის ქართულ ისტორიოგრაფიაში, რომელმაც აღიარა გამოჩენილი შვეიცარიელი მეცნიერის იოჰან ბახოფენის (1815—1887) თეორია დედათმთავრული ოჯახის არსებობის შესახებ[88] და იგი კონკრეტული მასალების მიხედვით ქართულ სინამდვილესაც კი მიუყენა. იგი თავის წერილში არ ერიდება ი. ბახოფენის ნაშრომის „დედის უფლების" მოხსენიებას: ავტორი იმასაც მიუთითებს, რომ „ამ თეორიამ (ბახოფენის, ა. ბ.) ამ უკანასკნელ დროს ახალი კრიტიკული გადასინჯვა განიცადა"[89] (გვ. 16, შენ. 2).

ამრიგად, ზემოთქმულიდან გამომდინარე უნდა დავასკვნათ, რომ ა. ხახანაშვილმა პირველყოფილთემურ წყობილებაზე პროგრესული თვალსაზრისის კარგი ცოდნა გამოამჟღავნა და თავისი კვლევა-ძიების დროს მის გამტარებლად მოგვევლინა.

როგორც უკვე ვნახეთ, ა. ხახანაშვილი შესაძლოა იცნობდა ფ. ენგელსის ნაშრომს[90]. საქმე ისაა, რომ ა. ხახანაშვილი თავის ორივე წერილში ი. ბახოფენის გამოკვლევის ხსენებისას იქვე მიუთითებდა, რომ შვეიცარიელი მეცნიერის თეორიამ ამ უკანასკნელ დროს ახალი კრიტიკული გადასინჯვა განიცადაო. გამომდინარე იმ ფაქტიდან, რომ XIX ს. მეორე ნახევრის დასავლეთევროპულ ბურჟუაზიულ ისტორიოგრაფიაში ი. ბახოფენის ნაშრომზე არც დადებითი და არც უარყოფითი რეცენზია არ დაწერილა[91] და მის გამოკვლევას მხოლოდ ფ. ენგელსი შეეხო, ჩვენ გვაძლევს საფუძ-

---

[87] А. Хаханов. Некоторые черты...

[88] ი. ბახოფენმა თავისი „დედის უფლება" გამოსცა 1886 წ. შტუტგარდტში. პროფ. მ. კოსვენის სიტყვით: «Можно сказать, что «Материнское право» было встречено гробовым молчанием и это не только вообще в зарубежной науке, но в частности и в Германии, т. е. в стране, где Бахофен... мог ожидать раньше всего найти своего читателя». М. О. Косвен. Матриархат. М.-Л., 1948. с. 140—141.

[89] А. Хаханов, Некоторые. ..

[90] ფ. ენგელსის ნაშრომი გამოვიდა 1884 წელს, ე. ი. ი. ბახოფენის გამოკვლევის გამოქვეყნებიდან 23 წლის გასვლის შემდეგ. ამიტომ არაფერია გასაკვირი იმაში, რომ ა. ხახანაშვილმა ცნობაში იგულისხმა ფ. ენგელსი.

[91] М. О. Косвен. დასახ. ნაშრ., გვ. 140—141.

ველს დავასკვნათ, რომ ა. ხახანაშვილს მხედველობაში ჰყავდა სწორედ ფ. ენგელსი.

ისმის კითხვა — თუ მართლაც ა. ხახანაშვილი ფ. ენგელსს გულისხმობდა, მაშინ რატომ არ მოიხსენია იგი თავის ნაშრომში? ამგვარი კითხვის დასმისას გასათვალისწინებელია ცენზურის საკითხი იმჟამინდელ რუსეთის იმპერიაში.

იმ რთულ იდეოლოგიურ ბრძოლაში, რომელსაც ადგილი ჰქონდა რუსეთში XIX ს. მთელ მანძილზე, მოწინავე, პროგრესულ მოღვაწეთა ინტერესები განუწყვეტლივ ეჯახებოდა ცენზურას, რომელიც კარლ მარქსის განსაზღვრით „ოფიციალურ კრიტიკას“ განასახიერებდა. ეს „ოფიციალური კრიტიკა“ საკმაოდ მკვეთრად და სრულად გამოხატავდა მმართველ კლასთა იდეოლოგიას. ამდენად, ცენზურასთან ბრძოლა არსებითად იყო ბრძოლა ოფიციალურად გაბატონებულ იდეოლოგიასთან, რომელიც წარმოადგენდა პოლიტიკურ იარაღს თავადაზნაურულ, ხოლო შემდგომ, ბურჟუაზიულ-მემამულურ მონარქიის ხელში. ამიტომ მეფის რუსეთის მმართველი წრეები განსაკუთრებული გულისყურით ადევნებდნენ თვალს რუსეთში მატერიალისტური იდეების გაუვრცელებლობაზე. მაგალითად, გამოჩენილი რუსი რევოლუციონერ-დემოკრატი ნ. ჩერნიშევსკი თავის პოლიტიკურ რომანში: „რა ვაკეთოთ?“ იძულებული იყო ლ. ფოიერბახის იდეათა გავრცელება მიეწერა საფრანგეთის იმპერატორ ლუდოვიკო XIV-თვის (1638—1715). მაშასადამე, ლ. ფოიერბახის ხსენებაც კი იმჟამინდელ რუსეთში სასტიკად იყო აკრძალული. ცხადია, ცენზურა ფ. ენგელსის ხსენებას მით უფრო აკრძალავდა. ამიტომ ა. ხახანაშვილი იძულებული გამხდარა ლიტონი განცხადებით დაკმაყოფილებულიყო[92], თუმცა მთელი რიგი საკითხებისა მან ენგელსისებურად ვერ გადაწყვიტა.

---

[92] თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებობს საკმაო ლიტერატურა მარქსიზმის კლასიკოსთა და მათ ნაშრომთა გამოყენების ფაქტებისა XIX ს. ქართულ პერიოდულ პრესაში (ს. ხ უ ნ დ ა ძ ე. ცნობები კ. მარქსის შესახებ ქართულ ლიტერატურაში. ჟურნ. „საქართველოს სოციალისტური მეურნეობა“. № 1—2, 1933, გვ. 109—112; პ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი. კარლ მარქსი ქართულ პუბლიცისტიკასა და საზოგადოებრიობაში, თბ. 1956; Л. Ф. Ч и к о в а н и. Ранние переводы марксистской литературы на грузинский язык. «Вопросы истории КПСС», № 4, 1960, с. 140—146. არსებული მასალებიდან ჩანს, რომ გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან დაწყებული ქართულ ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე, ცენზურის მძიმე პირობების გამო, ხშირი იყო შემთხვევა მარქსიზმის კლასიკოსთა გვარის მოუხსენებლობისა. როგორც მასალების განხილვა ცხადყოფს, ესა თუ ის ქართველი ავტორი, მართალია, კ. მარქსს და ფ. ენგელსს არ იხსენიებდა, მაგრამ წერის დროს კი ისინი

ამრიგად. XIX ს. მეორე ნახევრის ქართველ ისტორიკოსთა შეხედულებანი პირველყოფილთემურ წყობილებასა და შუა საუკუნეების საქართველოს სოციალურ საკითხებზე, როგორც დავინახეთ, ფრიად საინტერესო და საყურადღებოა თეორიულად. ამ ხანის ქართველი ისტორიკოსები ყველა უკლებლივ და მეტ-ნაკლები ოდენობით გრძნობდნენ ხალხის შინაგანი ისტორიის პრობლემათა შესწავლა-დამუშავების საქმეს. მართალია, ეს იდეა ჩვენში გადმოინერგა თანადროული რუსული და დასავლეთევროპული ისტორიოგრაფიიდან, მაგრამ მან ქართულ ნიადაგზე მიიღო შემდგომი თეორიული და ნაწილობრივ პრაქტიკული გამოყენება. მაგრამ ქართული წყაროთმცოდნეობითი ბაზის შეზღუდულობამ და მეცნიერული კვლევა-ძიების იდეალისტურმა მეთოდოლოგიამ[93] ჩვენ ისტორიკოსებს საშუალება არ მისცა განზრახული სურვილის პრაქტიკულ-მეცნიერული განხორციელება და ფაქტების განზოგადოება წარმოედგინათ.

ქართულ ისტორიოგრაფიაში ს. ბარათაშვილის დროიდან (მასზე ადრე კი პ. იოსელიანის) თავს იჩენს ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიისათვის ფრიად დამახასიათებელ მოვლენათა ელემენტების (შინაგანი ისტორიის საკითხთა შესწავლის) დასმა, თუმცა დ. ბაქრაძე, ი. ჭავჭავაძე, მ. ჯანაშვილი და ა. ხახანაშვილი, უკვე ახალგაზრდა ქართველი რევოლუციურ-დემოკრატიული ისტორიოგრაფიის დონეზე დგანან. განსაკუთრებით აღსანიშნავია ა. ხახანაშვილის თეორიული მომზადება და მისი კონცეფციის მატერიალისტური საფუძველი. მაგრამ XIX ს. მეორე ნახევრის ქართული ისტორიოგრაფიის დიდ მიღწევათა მიუხედავად, პრობლემა ძველი საქართველოს საზოგადოებრივი წყობილების შესახებ მაინც შეუსწავლელი დარჩა და იგი ამჟამად XX ს. ქართული საბჭოთა ისტორიოგრაფიის კვლევა-ძიების საგანს შეადგენს.

ჰყავდა მხედველობაში. მაგალითად, ი. ჭავჭავაძე თავის ერთ-ერთ წერილში კ. მარქსს არ ასახელებს, მაგრამ მას „გამოჩენილ მეცნიერს“ უწოდებს. ასევე იქცევა ხალხოსანი ი. ჯაბადარიც. იგი თავის პოლემიკურ წერილში კ. მარქსზე წერს: „ეს აზრი... ეკუთვნის წარჩინებულ საქვეყნო მეცნიერს“. ამ საინტერესო ფაქტებიდან გამომდინარე, ჩვენ შეგვიძლია გამოვთქვათ ვარაუდი, რომ ა. ხახანაშვილიც ამგვარად მოქცეულა, ე. ი. ი. ბახოფენზე საუბრისას ფ. ენგელსის გვარზე ვერ მიუთითა, თუმცა მას გულისხმობდა.

[93] გ. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი. საქართველოს ისტორიის... გვ. 7.

დასკვნა

ამრიგად, ჩვენ გავარჩიეთ XIX ს. ქართული ისტორიოგრაფიის დიდძალი მასალა ძველი საქართველოს ისტორიაზე და თვალნათლივ დავინახეთ მისი განვითარებისათვის დამახასიათებელი მეთოდები, გზები და მიმართულებანი. ამ საუკუნის 30-იან წლებამდე ისტორიოგრაფიის წყაროთმცოდნეობითი ბაზა ძირითადად „ქართლის ცხოვრებასა“ და ვახუშტის „ისტორიას“ ემყარებოდა. 30-იანი წლებიდან კი საქართველოს ისტორიის მეცნიერების წყაროთა წრე მნიშვნელოვნად ფართოვდება ახალი, მანამდე მეტ-ნაკლებად ცნობილი, ფრიად ძვირფასი ცნობების შემცველი, ანტიკურ-ბიზანტიური საისტორიო მწერლობის წყაროებით. მაგრამ არც ეს უკანასკნელი აღმოჩნდა საკმარისი იმჟამინდელი ჩვენი ისტორიოგრაფიისათვის და მის წყაროებს შეემატა ძველაღმოსავლური („დაბადება“, ასურულ-სპარსული ლურსმული) მასალები ქართველ ტომთა წარმომავლობის, ისტორიული განსახლებისა და პოლიტიკურ ისტორიაზე. ეს გარემოება მნიშვნელოვნად წინ სწევდა ქართულ ისტორიოგრაფიას და მაღალ დონეზე აჰყავდა იგი.

რაც შეეხება ქართული ისტორიოგრაფიის მიერ გამოყენებულ სამეცნიერო ლიტერატურის წრეს, ეს უკანასკნელიც საკმაოდ მნიშვნელოვანი იყო. საუკუნის მთელ მანძილზე ქართულის გარდა, აქ გამოყენებულია რუსული, ფრანგული, გერმანული და ინგლისური სათანადო ისტორიული ლიტერატურა, რომლებშიც დაცულია მრავალი საყურადღებო ფაქტები და მასალები საქართველოს ისტორიის შესახებ. ქართული ისტორიოგრაფია მის თანადროულ რუსულ და დასავლეთევროპულ ისტორიოგრაფიის გავლენას განიცდის ისტორიის მეთოდოლოგიურ პრობლემათა სფეროდან და კვლევა-ძიების თვალსაზრისით ცდილობს იმავე პოზიციებზე დადგეს, რომელზედაც ისინი დგანან. ეს გარემოებაც ქართული ისტორიოგრაფიის განვითარებას დიდად უწყობდა ხელს. საუკუნის დასასრულს კი ქართულ ისტორიოგრაფიაში თანდათან რუსულის

საშუალებით ისახება და გზას იკვლევს მარქსისტული მიმართულების ისტორიოგრაფია.

პოსტულირებული მასალის ანალიზი გვიჩვენებს, რომ XIX ს. ქართულმა ისტორიოგრაფიამ დიდი მუშაობა გასწია ეროვნული ისტორიის რთულ პრობლემათა შესწავლის მიმართულებით. რუსულ და დასავლეთევროპულ ისტორიოგრაფიათა გავლენით მან უთუოდ მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია და შექმნა ორიგინალური კონცეფცია საქართველოს ისტორიის მეცნიერების შესახებ. მართალია, ზემოთ განხილული რთული ისტორიული პრობლემატიკა იმჟამად არ იდგა სათანადო სამეცნიერო დონეზე, მას მრავალი სიძნელე სდევდა თან, მაგრამ ქართული ისტორიული აზროვნების განვითარება არა ყოფილა სტატიკური, იგი მაინც მიიწევდა წინ და საფუძველს უყრიდა ჩვენში მარქსისტული ისტორიული მეცნიერების აღმოცენების კეთილშობილურ საქმეს. ამაშიც მდგომარეობს XIX ს. ქართული ისტორიოგრაფიის მეცნიერულ-ისტორიული და შემეცნებითი მნიშვნელობა.

ОЧЕРКИ ИЗ ГРУЗИНСКОЙ ИСТОРИОГРАФИИ XIX ВЕКА

Резюме

Работа посвящена изучению проблемы древней и частично средневековой истории Грузии в грузинской историографии XIX века, проделавшей весьма большую работу в исследовании сложнейших вопросов истории Грузии. Она опиралась на достижения современной ей русской и западноевропейской историографий, руководствовалась аналогичными методами, путями и направлениями, обусловившими ее дальнейшее развитие. Это, безусловно, благоприятствовало грузинским историкам в создании своей оригинальной и в определенной мере стройной концепции по вопросам истории Грузии, в частности, по проблемам первобытнообщинного строя, этногенеза, политогенеза, социально-экономической и культурно-политической истории.

Основной источниковедческой базой грузинской историографии до 30-ых годов XIX в. являлись «Картлис Цховреба»

(«История Грузии») и «История» Вахушти Багратиони (XVIII в.). Установлено огромное влияние этого последнего на грузинскую историографию последующего времени. С 30-х же годов круг источников по истории Грузии значительно обогащается новыми, весьма ценными сведениями греко-римско-византийских исторических источников. Однако и эти последние оказываются недостаточными для воссоздания научных построений по истории Грузии и в историографию вливается новая струя источников в лице древневосточных письменных памятников (Библия, ассирийские и персидские письменности) о происхождении грузинских племен, их исторического расселения, политической и социальной истории.

Что касается проблемы научной литературы, то в этой области грузинская историография XIX века широко пользовалась трудами современной ей русской и западноевропейской историографии, значительно влиявшей на ее дальнейшее развитие. Кроме грузинской, она в продолжении целого века пользовалась русской, французской, немецкой и английской соответствующей, как исторической, так и языковедческой литературой. В них, в частности, содержатся многообразные ценные факты и материалы о грузинском языке и истории Грузии. С конца XIX века в грузинскую историографию путем русской историографии прокладывает путь марксистское направление исторической науки.

Правда, изучение столь сложной проблематики в то время еще не могло стоять на должном научном уровне, однако оно заметно способствовало развитию исторической мысли в Грузии.